# ქართული ენა

# 10

## მასწავლებლის წიგნი

სახელმძღვანელო გრიფირებულია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2013

ქართული ენის მეათე დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისაგან კომპაქტ დისკთან ერთად.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში.

ავტორი: მარიკა სიხარულიძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
დალი გვენცაძე-კაკაბაძე

დიზაინერ - დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

# ქართული ენა

## X დონე

## მასწავლებლის წიგნი

## სარჩევი

1. შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4
2. X დონის სახელმძღვანელოს კომპონენტების ჩამონათვალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
3. X დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6
4. სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .7
5. მეთოდიკური რეკომენდაციები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .7
6. შეფასება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .8
7. ტიპური აქტივობების/გაკვეთილების ნიმუშები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .9
8. „წავიკითხოთ და გავიაზროთ“, „პროექტი“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .13
9. მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .134
10. მიზნებისა და შინაარსის რუკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 145
11. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი, X დონე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 150

# 1. შესავალი

არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოს სერია "ქართული ენა" თორმეტი დონისაგან შედგება. X დონის სახელმძღვანელოს მოცემული კომპონენტი — "მასწავლებლის წიგნი" სასარგებლო დიდაქტიკური რჩევებისა და მეთოდიკური ორიენტირების კრებულს წარმოადგენს. ის მასწავლებლის გზამკვლევის როლს ასრულებს მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და აუდიომასალის მართებულად გამოყენებისათვის.

სახელმძღვანელოს დიდაქტიკური მიზნების მკაფიოდ წარმოსაჩენად მასწავლებლის წიგნი შეიცავს მოსწავლის წიგნს შემცირებული ფორმატით, ცალკეული დავალებების შესასრულებლად საჭირო კომენტარებითურთ და აუდიომასალის ტექსტობრივი ტრანსკრიფციებითურთ.

## 2. X დონის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება ოთხი კომპონენტისაგან:




1. მოსწავლის წიგნი, რომელიც შედგება ექვსი თემატური ერთეულისაგან.




2. მოსწავლის რვეული, რომელიც შედგება მრავალფეროვანი სავარჯიშოებისგან და ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალის ათვისებას.




3. აუდიო კომპაქტ-დისკი, რომელიც შეიცავს მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერებს.




4. მასწავლებლის წიგნი - რომელიც, აღწერს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო დიდაქტიკურ პრინციპებს.

## 3. X დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა

### სახელმძღვანელოს 5 თემატური ერთეული:



**პირველი ნაბიჯები**



**ეს ჩემი ცხოვრებაა! (I თავი)**



**მოდა და სტილი (II თავი )**



**არქიტექტურა (III თავი)**



**ტურიზმი (IV თავი)**

## 4. სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები

"ქართული ენა" არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა აგებული და ქართულის, როგორც მეორე ენის თორმეტდონიან საგნობრივ პროგრამას შეესაბამება.

სახელმძღვანელო თანამედროვე დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებითაა შექმნილი და ხელს უწყობს მოსწავლის საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და ენობრივი ცოდნის ათვისებას. მასალა ითვალისწინებს ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის გამომუშავებას: სათანადო ადგილი ეთმობა როგორც მოსმენასა და კითხვას, ისე ლაპარაკსა და წერას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმძღვანელოს ენობრივი ნაწილი: იმის გათვალისწინებით, რომ გრამატიკული მასალის სწავლება I-IX კლასის სახელმძღვანელოებში კონტექსტიდან გამომდინარე ხდებოდა და მოსწავლეს საშუალება ეძლეოდა, დაკვირვებოდა, გაეზიარებინა და გამოეყენებინა ესა თუ ის გრამატიკული კონსტრუქცია, ხოლო გრამატიკული სტრუქტურები მარტივად აღქმადი და ფუნქციურად დასაბუთებული ნაწილების სახით იყო წარმოდგენილი. სერიის წინამორბედი დონეებისაგან განსხვავებით მოცემული, მეათე კლასის სახელმძღვანელო, განვლილი გრამატიკული მასალის ერთგვარ სისტემატიზაციას უწყობს ხელს: სახელმძღვანელო შეიცავს გრამატიკულ ჩანართებს, რომლებიც ენობრივი კომპეტენციების დაუფლება—გადამეორებისათვისაა გათვალისწინებული და მოხერხებულად აწვდის მოსწავლეს ქართული ენის გრამატიკის ფუნქციურ ასპექტს.

რაც შეეხება ლექსიკას, სახელმძღვანელოს ფარგლებში არსებული ლექსიკური მასალის მიწოდების პრინციპი ასათვისებელი კონტექსტიდან გამომდინარეობს. სახელმძღვანელოს აგებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართული ენის კულტურული და სოციოკულტურული რეალიების ინტეგრაცია სასწავლო მასალის საკომუნიკაციო მიზნებთან. გარდა ამისა, სახელმძღვანელო უხვად გვთავაზობს მსოფლიო კულტურის თანამედროვე თუ ისტორიულ კონტექსტებს, რაც მოსწავლის ინტერკულტურული კომპეტენციის მრავალმხრივ განვითარბას ემსახურება და სამოქალაქო განათლების ასპექტებს შეიცავს.

## 5. მეთოდიკური რეკომენდაციები

**მოსმენილის გაგების უნარის განვითარება**

მოსმენის პროცესის სწორად წარსამართავად მნიშვნელოვანია მოსასმენი ამოცანების მკაფიოდ დასახვა მოსწავლეთათვის, რათა მათ კონკრეტული ორიენტირები ჰქონდეთ მოსმენილი ავთენტური საუბრის გასაგებად და გასააზრებლად. იმისათვის, რომ მოსწავლემ დაზუსტებით იცოდეს, რა ტიპის ინფორმაციის გაგება ევალება ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, ამისათვის მას კონკრეტული ინსტრუქცია ესაჭიროება. მოსასმენი დავალებისას მნიშვნელოვანია მოსასმენი აუდიომასალის სულ ცოტა ორჯერ მოსმენინება, რათა მოსწავლეებს შესრულებული სამუშაოს კონტროლის საშუალება მივცეთ.

**წაკითხულის გაგების უნარის განვითარება**

სწავლა-სწავლების მოცემულ ეტაპზე, როდესაც სხვადასხვა ფუნქციური მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით ხდება, მნიშვნელოვანია წაკითხულის გაგებაზე ორიენტირებული სტრატეგიებზე მეტი აქცენტის გაკეთება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამა თუ იმ დავალების მიზნიდან გამომდინარე, კითხვის გაცნობითი, შესწავლითი თუ ძიებითი უნარის გამოყენებას. ისევე, როგორც მოსმენის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხავ ამოცანას, რაც დავალების შესრულების წარმატების წინაპირობაა. მკაფიო საკითხავი ამოცანის არსებობის შემთხვევაში მოსწავლე მეტ წარმატებას აღწევს ტექსტში არსებული ინფორმაციის ამოკრეფისას.

**ზეპირი მეტყველება**

სწავლა-სწავლების მოცემულ საფეხურზე მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის მრავალმხრივი საკომუნიკაციო სიტუაციების შეთავაზება, სადაც ის ლექსიკური მარაგის რეალიზებას შეძლებს. გარდა ამისა, საჭიროა მასწავლებლის მხრიდან სამეტყველო აქტივობების ინიცირება შეკითხვების დასმისა და დისკუსიის წამოწყების ფორმით. გადამწყვეტია მოსწავლეებსათვის შეცდომებისადმი შემწყნარებლობითი დამოკიდებულების გაღვივება, რათა ისინი არ დაბრკოლდნენ ამა თუ იმ საკომუნიკაციო სიტუაციაში მონაწილეობისას და ზეპირი მეტყველებისას თამამად გამოხატონ საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, რის საშუალებასაც სახელმღძვანელოში ჩადებული აქტივობები უხვად გვთავაზობს.

**წერითი მეტყველება**

სწავლა-სწავლების მოცემულ ეტაპზე წერითი პროდუცირების უნარის გაღრმავება ხდება. სახელმძღვანელო მოსწავლეებს ისეთ წერით საკომუნიკაციო ტიპის დავალებებს სთავაზობს, სადაც მოსწვალეებს საშუალება ეძლევათ, დამოუკიდებლად მიეჩვიონ წერით მეტყველებასა და წერითი სტრატეგიების გამოყენებას.

## 6. შეფასება

აკადემიური მიღწევების შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში მრავალმხრივად უნდა მოხდეს, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის განვითარებასა და მისი პოტენციალის გამოვლენას, ისე სწავლა-სწავლების ხარისხის კონტროლს.

მასწავლებლის ხელთაა შეფასების ორი ტიპი — **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი**.

**განმსაზღვრელი შეფასების** მეშვეობით მასწავლებელი აკონტროლებს სწავლის ხარისხს დასახულ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში და განსაზღვრავს აკადემიურ მოსწრებას. განმსაზღვრელი შეფასება სწავლის შედეგებზეა ორიენტირებული. ის ფასდება ქულით (ნიშნით).

**განმავითარებელი შეფასება** აფასებს მოსწავლის სწავლის დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების მიზანია **სწავლის პროცესის** და არა **სწავლის შედეგის** კონტროლი. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლე არ ფასდება ქულით (ნიშნით). მასწავლებელი მას აფასებს ზეპირი ან წერითი რეკომენდაციით, რჩევა-დარიგებით და სხვა. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში, თავის მხრივ, მოსწავლეს საშუალება ეძლევა, შეაფასოს საკუთარი და თანაკლასელების მიღწევები **თვითშეფასებისა** და **თანაშეფასების** სქემის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ხარვეზების გამოაშკარავებას და მიღწევების გაუმჯობესებას.

**შემაჯამებელ შეფასებას** სამი კომპონენტი განსაზღვრავს: **საშინაო დავალება, საკლასო დავალება** და **შემაჯამებელი დავალება**. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, ხოლო შემაჯამებელი დავალების კომპონენტი მხოლოდ განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უშუალო კავშირშია სწავლის შედეგთან. ის აფასებს ერთ სასწავლო მონაკვეთს - იქნება ეს სახელმძღვანელოს თემატური ერთეული, ქვეთავი, ცალკეული აქტივობა, თუ სხვა პირობითი სასწავლო ერთეული. ყოველი ზემოხსენებული კონკრეტული სასწავლო ერთეული უნდა წარმოაჩენდეს ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარებს.

**შემაჯამებელი დავალების ტიპები**

შემაჯამებელი შეფასბისათვის მრავალგვარი დავალების გამოყენებაა შესაძლებელი. გთავაზობთ მათ ძირითად ტიპებს:

- მოსმენილის გაგების შემოწმება;
- წაკითხულის გაგება შემოწმება;
- წერითი ნამუშევარი (თხზულება, წერილი და სხვ.);
- ზეპირი ინტერაქცია: სიმულაციური სიტუაციის გათამაშება/როლური თამაში;
- გაბმული საუბარი კონკრეტულ თემაზე;
- პრეზენტაცია;
- პროექტი.

**შემაჯამებელი დავალების შედგენის კრიტერიუმები**

დავალება უნდა ეყრდნობოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. დავალებას უნდა ახლდეს **შეფასების რუბრიკა**, სადაც კრიტერიუმების ჯამური ქულა 10-ს შეადგენს. შეფასების რუბრიკის შედგენა შემდეგი ზოგადი პარამეტრების გათვალისწინებით ხდება:

- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები;
- ენობრივი ცოდნა;
- პირობასთან შესაბამისობა;
- შემოქმედებითი უნარები

და სხვა.

როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების უნარების შეფასებისას უნდა დავეყრდნოთ სამი კატეგორიის კრიტერიუმს: პირობასთან შესაბამისობას, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებსა და ენობრივ

უნარ-ჩვევებს. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შეტანა სქემაში დამოკიდებულია როგორც დავალების სპეციფიკაზე, ისე მასწავლებლის საგანმანათლებლო პრიორიტეტებზე სწავლების კონკრეტულ ეტაპზე. ენობრივ კრიტერიუმებთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეს გრამატიკული და ლექსიკური სიზუსტის დაცვა მოეთხოვება მხოლოდ განვლილ მასალასთან დაკავშირებით. თუ მან შეცდომა დაუშვა ისეთ საკითხში, რომელიც ნასწავლი არ აქვს, ამის გამო მას ქულა არ დააკლდება. აღსანიშნავია, რომ პირობასთან შესაბამისობა და საკომუნიკაციო უნარები რომ შეფასდეს, თავად დავალების პირობა უნდა იყოს კონკრეტული და ზუსტი.

## 7. ტიპური აქტივობების/გაკვეთილების ნიმუშები

მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში გადამწყვეტ როლს ასრულებს პროდუცირებაზე ორიენტირებული უნარების განვითარება: ლაპარაკი და წერა, აგრეთვე მნიშვნელოვანია პროექტის (იხ. ქვეთავი № 8) ტიპის აქტივობებზე აქცენტის გაკეთება. გთავაზობთ მათ ნიმუშებსა და რეკომენდაციებს.

**№ 1 (წერითი მეტყველება)**

| | |
|---|---|
| **მიზნები** | • წერის საკომუნიკაციო უნარის განვითარება: თხზულების (ესეს) წერა |
| **რესურსები** | • წერითი დავალებისათვის - თხზულებისათვის შერჩეული რამდენიმე თემა. |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, შეარჩიონ სამიდან ერთი, მათთვის სასურველი თემა და დაწერონ დაახლოებით 150 სიტყვის შემცველი თხზულება მოცემულ თემაზე.<br>2. მოსწავლეები შეარჩევენ სასურველ თემას და მასწავლებლის დარიგებით გეგმავენ სამუშაოს: ქმნიან თხზულების გეგმას, თხზულების შესავალს, ტექსტის ძირითად და დასკვნით ნაწილებს. ისინი აღწერენ შერჩეული თემის მათთვის მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შეხედულებებს, გამოყოფენ მოცემული საკითხის დადებით და უარყოფით მხარეებს, წერენ დასკვნას.<br>3. წერის დასრულებისას მოსწავლეები ასწორებენ ნაწერს როგორც შინაარსობრივი, ისე ლექსიკური, გრამატიკული თუ ორთოგრაფიული თვალსაზრისით (შავი ნაწერის შემთხვევაში, ათეთრებენ მას). |
| **ხანგრძლივობა** | 1 გაკვეთილი |
| **საგაკვეთილო მენეჯმენტი** | • გაკვეთილის სოციალური ფორმა: ინდივიდუალური;<br>• მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლეთათვის შესათავაზებელი თხზულების თემებს. |
| **შეფასება** | **განმსაზღვრელი შეფასება:** მასწავლებელი აფასებს მოსწავლის წერითი კომუნიკაციის უნარს: რამდენად შეესაბამება თემას მის მიერ შეთხზული ტექსტი, რამდენად ლაკონურია ნაწერი, რამდენად წარმოაჩენს და ასაბუთებს მოსწავლე თავის მოსაზრებას. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მართებულად იყენებს მოსწავლე ლექსიკურ—გრამატიკულ მასალას თუ ენობრივ კონსტრუქციებს, რამდენად იცავს ორთოგრაფიის წესებს. ხშირ შემთხვევაში ფასდება თხზულების მხატვრული მხარეც.<br>**განმავითარებელი შეფასებისას** მოიაზრება ნაწერის იმავე პარამეტრების შეფასება სიტყვიერად, ნიშნებით შეფასების გარეშე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეცდომების, უზუსტობების, შეუსაბამობების განხილვა მოსწავლეებთან ერთად ხარვეზების შემდგომში გამოსწორების მიზნით. |
| **მეთოდიკური რეკომენდაციები** | • მასწავლებელი იცავს დროის ლიმიტს, რათა გამოუმუშავოს მოსწავლეებს გამოყოფილ დროში ჩატევის უნარი;<br>• მნიშვნელოვანია სიტყვების რაოდენობრივი პარამეტრის დაცვაზე ყურადღების გამახვილება, რათა მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ კონკრეტული მოცულობის ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევა. |

## № 2 (ზეპირი მეტყველება)

| | |
|---|---|
| **მიზნები** | • ლაპარაკის უნარის განვითარება: მონოლოგური მეტყველების უნარის განვითარება. |
| **რესურსები** | • სახელმძღვანელო;<br>• მოზრდილი ფორმატის პოსტერი. |
| **მსვლელობა** | 1. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გადახედონ განვლილ თემატიკას სახელმძღვანელოში და აირჩიონ მათთვის სასურველიდან ერთ-ერთი, მაგ: „კატასტროფები“, ან სხვა. მოსწავლეებს ევალებათ წარმოადგინონ ზეპირი პრეზენტაცია ზემოხსენებული თემებიდან ერთ-ერთის შესახებ (დაახლოებით150 სიტყვა).<br>2. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები გეგმავენ პრეზენტაციას:<br>• ირჩევენ სასურველ თემას;<br>• ქმნიან პრეზენტაციის გეგმას: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;<br>• ამუშავებენ ცალკეულ ნაწილს: შესავალში ამუშავებენ მიმართვის ფორმებსა და თემატიკის წარმოჩენის საშუალებებს, წინასიტყვაობას. შემდეგ გამოკვეთენ ძირითად სათქმელს: ამა თუ იმ პრობლემას, საჭირბოროტო საკითხს მოსათხრობის ირგვლივ; ხაზს უსვამენ საკუთარ თვალსაზრისს ზემოხსენებული საკითხის/საკითხების მიმართ; გადადიან დასკვნით ნაწილზე, სადაც ერთგვარ რეზიუმეს აყალიბებენ.<br>3. მოსწავლეები წარსდებიან კლასის წინაშე და წარმოაჩენენ საკუთარ ნამუშევარს. |
| **ხანგრძლივობა** | 2 გაკვეთილი |
| **საგაკვეთილო მენეჯმენტი** | • გაკვეთილის სოციალური ფორმა: ინდივიდუალური;<br>• მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლეთათვის შესათავაზებელი თხზულების თემებს. |
| **შეფასება** | • განმსაზღვრელი შეფასება: მასწავლებელი ადგენს შეფასების რუბრიკას და აფასებს მოსწავლეებს შემდეგი პარამეტრებით - ა) ზეპირი კომუნიკაციის უნარი (გაბმული მონოლოგური მეტყველების უნარი); ბ) მართებული ლექსიკის გამოყენება; გ) გრამატიკული ფორმების მართებულად გამოყენება; დ) პრეზენტაციის თემასთან ადეკვატურობის ხარისხი. ე) პრეზენტაციის თვალსაჩინო მხარე.<br>• განმავითარებელი შეფასება: განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი აკვირდება ცალკეულ მოსწავლეს; ცდილობს, დაეხმაროს გაბმული მეტყველებისას დაშვებული შეცდომების აღმოჩენასა და გაანალიზებაში, ზეპირ კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების გამოკვეთასა და მათი დაძლევის სტრატეგიების შემუშავებაში. |
| **მეთოდიკური რეკომენაციები** | • მასწავლებელი ეხმარება ცალკეულ მოსწავლეს პრეზენტაციის დაგეგმვაში, ილუსტრაციების მოძიებაში და სხვა.. |

№ 3

| საკომუნიკაციო მიმართულება: მოსმენა, წერა | აქტივობის აღწერა | მასწავლებლის ველი |
|---|---|---|
| მიზნები | • მოსმენის უნარის განვითარება;<br>• წერის საკომუნიკაციო უნარის განვითარება. | |
| რესურსები | • აუდიო-ტექნიკა;<br>• მოსასმენი ტექსტის შესაბამისი სამუშაო ფურცლები;<br>• მოსასმენი ტექსტის ტრანსკრიფცია. | |
| მსვლელობა (აქტივობის ფაზები) | 1. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს აქტივობის პირობას და ერთხელ ასმენინებს ინტერვიუს ცნობილ ადამიანთან.<br>2. თავდაპირველად მოსმენა ხდება რაიმე სამუშაოს შესრულების გარეშე. ინტერვიუს ხელმეორედ მოსმენამდე მასწავლებელი არიგებს სამუშაო ფურცლებს - მოსასმენი მასალის შესაბამისი დავალებით, რომლის გასაცნობადაც მოსწავლეებს დრო ეძლევათ.<br>3. შემდეგ კლასი ხელმეორედ უსმენს ინტერვიუს და ასრულებს სამუშაო ფურცლებზე მოცემულ დავალებებს.<br>4. მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მოსწავლეებს ურიგდებათ მოსმენილი ტექსტის ტრანსკრიფცია და საშუალება ეძლევათ გადაამოწმონ და შეაფასონ მოსმენილის გაგების საკუთარი უნარები.<br>5. საშინაო დავალების სახით მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს თავიანთი საყვარელი სპორტსმენის, მსახიობის, მუსიკოსის და სხვ. ბიოგრაფიული მონაცემების მოძიებას და ილუსტრირებული (ფოტოსურათიანი) ანკეტის მომზადებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს რეზიუმეს ტიპის მონაცემებს. | |
| ხანგრძლი-ვობა | 1 გაკვეთილი | |
| საგაკვეთილო მენეჯმენტი | • სოციალური ფორმა: ინდივიდუალური;<br>• მასწავლებელი გაკვეთილისათვის წინასწარ მოიძიებს ინტერვიუს;<br>• ამზადებს ან სახელმძღვანელოდან ამოკრეფს სამუშაო ფურცლებს და მოსასმენი ტექსტის ტრანსკრიფციას. | |
| შეფასება | • **განმავითარებელი შეფასება:** განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი აკვირდება ცალკეულ მოსწავლეს და, საჭიროების მიხედვით, ცდილობს დაეხმაროს შეცდომების აღმოჩენასა და მისი დაშვების მიზეზის დადგენაში; მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს მათ მიერ **თვითშეფასებულ** მასალას, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების არსს.<br>• **განმსაზღვრელი შეფასება:** მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოდგება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალება, სადაც დეტალურად აისახება მოსმენილი ტექსტის გაგების ყველა კრიტერიუმი. | |
| მეთოდიკური რეკომენდა-ციები | • მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისათვის კონკრეტული მოსასმენი ინტერვიუ იყოს უცნობი, თუმცა მასალა წინასწარ განვლილი და დამუშავებული;<br>• მოსასმენი მასალა/აუდიოჩანაწერი უნდა იყოს მკაფიო, ტემპი - ავთენტური.<br>• საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინტერვიუს უფრო მეტჯერ მოსმენაც კლასში. | |

№4

| საკომუნიკაციო მიმართულება: კითხვა, ლაპარაკი | აქტივობის აღწერა | მასწავლებლის ველი |
|---|---|---|
| **მიზნები** | • კითხვის უნარის განვითარება;<br>• მეტყველების უნარის განვითარება. | |
| **რესურსები** | • სამი ცნობილი ქართველი მწერლის ბიოგრაფია, მაგ.: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ოთარ ჭილაძე (მაგალითები სასურველია შეირჩეს სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის გათვალისწინებით);<br>• სამუშაო ფურცლები. | |
| **მსვლელობა (აქტივობის ფაზები)** | 1. მასწავლებელი აცნობს კლასს ტექსტს (სამი მწერლის ბიოგრაფიას) და ტექსტთან დაკავშირებული დავალების არსს. მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ და კითხულობენ სამივე ტექსტს; მონიშნავენ ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ასპექტებს; გამოკვეთენ მწერლების მოღვაწეობის ეპოქებს, მათ ნაწარმოებებს.<br>2. შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებას და ავსებენ სამუშაო ფურცლებზე მოცემულ წაკითხულ ბიოგრაფიებზე დაფუძნებულ სხვადასხვა მონაცემს, მაგ.: ამა თუ იმ მწერლის დაბადების თარიღი, ადგილი და ეპოქა, რომელშიაც ის მოღვაწეობდა; მისი ცნობილი ნაწარმოებები; მისი გარდაცვალების თარიღი და სხვა, მისი ბიოგრაფიის სხვადასხვა ნიშანდობლივი მომენტები.<br>3. შესაბამისი შეკითხვების საფუძველზე, მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები წარმართავენ დისკუსიას: გამოთქვამენ აზრს წაკითხული ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ, ცალკეული მწერლის ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის მსვლელობაში ნაპოვნი მსგავსებისა და განსხვავების შესახებ; რამდენად ნაცნობია მათთვის ზემოხსენებული მწერლების რომელიმე ნაწარმოები; იხსენებენ და მსჯელობენ ამ ნაწარმოებების შესახებ და სხვა. | |
| **ხანგრძლივობა** | 2 გაკვეთილი | |
| **საგაკვეთილო მენეჯმენტი** | • გაკვეთილის სოციალური ფორმა: ინდივიდუალური;<br>• მასწავლებელი წინასწარ მოიძიებს ბიოგრაფიულ ტექსტებს და ამზადებს სამუშაო ფურცლებს. | |
| **შეფასება** | • **განმავითარებელი შეფასების** შემთხვევაში მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეამოწმოს ამა თუ იმ მოსწავლის წაკითხულის გაგების უნარი, რაც დაეხმარება მას ხარვეზების გამოსასწორებლად შემდგომი სამუშაოების დაგეგმვისას.<br>• მოცემული აქტივობის **განმსაზღვრელი შეფასებისათვის** გამოდგება სამუშაო ფურცლები, რომლითაც უნდა განისაზღვროს წაკითხული ტექსტის გაგების ხარისხი. ხოლო რაც შეეხება დისკუსიაში მონაწილეობას, სასურველია მასწავლებელმა განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მისცეს რეკომენდაციები კლასს. | |
| **მეთოდიკური რეკომენდაციები** | • მართებული ორიენტაციის მიზნით, მასწავლებელი ცალკეულ მოსწავლეს წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებებთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს.<br>• მასწავლებელი ზრუნავს დისკუსიაში მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ და ცდილობს შესაბამისი კითხვების დასმით რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩართოს ბიოგრაფიული ტექსტების საერთო განხილვაში.<br>• სასურველია, საშინაო დავალების სახით მოსწავლეებს დაევალოთ საყვარელი მწერლის ბიოგრაფიული მონაცემების მოძიება (ინტერნეტ-სივრცეში; ენციკლოპედიაში) და წერილობით მომზადება. | |

# 8. თემატური ერთეულების დასკვნითი ნაწილები: "პროექტი" და "წავიკითხოთ და გავიაზროთ"

**წავიკითხოთ და გავიაზროთ**

სახელმძღვანელოს მოცემული რუბრიკა ნაცნობ თემატიკაზე აგებულ უცხო ტექსტებთან მუშაობას ემსახურება.

**პროექტი**

სახელმძღვანელოს თემატური ერთეულების ფინალური ნაწილი არაერთ საკომუნიკაციო შედეგზე ორიენტირებული პროექტის განხორციელებაში მდგომარეობს. პროექტის განხორციელება არა მარტო საკომუნიკაციო უნარ—ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ სწავლის უნარების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საწინდარია. პროექტი ხშირად კომპლექსურ ჯგუფურ სამუშაოს გულისხმობს. ის შესაძლებელია განხორციელდეს ცალკეული მოსწავლის მიერაც, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროექტი, თავისი არსით, გუნდური მუშაობისათვის ხელსაყრელი დავალებაა, რაც მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისათვისაა მნიშვნელოვანი.

გთავაზობთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მეთოდიკურ ორიენტირებსა და კრიტერიუმებს, აგრეთვე შეფასების რუბრიკის ნიმუშს:

1. შეარჩიეთ პროექტის თემა/სათაური: მაგალითად, სახელმძღვანელოს ერთ—ერთი მონაკვეთიდან **"არქიტექტურა",**
2. გამოკვეთეთ პროექტის მიზანი, მაგალითად: **ილუსტრირებული პრეზენტაციის შედგენა,**
3. დაასაბუთეთ კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ამა თუ იმ მიმართულების შედეგები, ინდიკატორები),
4. დაადგინეთ პროექტის ხანგრძლივობა (მოცულობიდან გამომდინარე 2, 3, ან მეტი გაკვეთილი),
5. მიუთითეთ რესურსები: სახელმძღვანელო, ვებ-გვერდები, ნაბეჭდი მასალები (მაგ. ბიბლიოთეკიდან), მათ შორის სხვა დისციპლინებიდან (მაგ. ხელოვნება),
6. აღწერეთ პროექტის მსვლელობა (აუხსენით მოსწავლეებს საჭირო აქტივობათა თანამიმდევრობა),
7. დააჯგუფეთ პროექტში მონაწილე მოსწავლეები, მაგალითად: შეადგინეთ 4 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფები,
8. დანიშნეთ ჯგუფების პასუხისმგებელი პირები, ან თავად მოახდინეთ ჯგუფური სამუშაოს განაწილება,
9. შეადგინეთ პროექტის შეფასების რუბრიკა და გააცანით ის მოსწავლეებს.

**პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის ნიმუში**

| კრიტერიუმები | 1—4 დაბალი | 5—6 საშუალო | 7—8 კარგი | 9—10 საუკეთესო |
|---|---|---|---|---|
| თემასთან შესაბამისობა | | | | |
| პრეზენტაციის უნარი (გაბმულად ლაპარაკი) | | | | |
| ენობრივი გამართულობა | | | | |
| ვიზუალური მხარე | | | | |

## პირველი ნაბიჯები

გვ. 4

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. წინა საფეხურზე განვლილ მასალაზე დაყრდნობით მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს თემაზე „ბავშვთა უფლებები“. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს, კითხულობენ „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ შექმნის ისტორიას და ზემოხსენებული დოკუმენტის მნიშვნელოვან მუხლებს (იხილეთ ჩარჩოში ჩასმული ტექსტები). წაკითხულ მასალაზე დაყრდნობით ისინი აკავშირებენ ილუსტრაციებს ტექსტების შესაბამის პუნქტებთან.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 4 № 1: ტექსტებში აღწერილ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ დავალების 1—9 შეკითხვებს.

გვ. 4 № 2, 3: კონტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშოები.

პირველი ნაბიჯები

### პირველი ნაბიჯები

ჩვენი უფლებები

1. **დააკვირდი სურათებს და აღწერე. მოძებნე და დააკავშირე სურათები შესაბამის მუხლებთან.**




ბავშვთა უფლებების კონვენცია

**მუხლი 1.** ყველა ადამიანი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

**მუხლი 12.** ბავშვს შეუძლია, გამოთქვას თავისი აზრი ისეთ საკითხებზე, რომლებიც მას ეხება.

**მუხლი 13.** ბავშვს აქვს აზრის გამოხატვისა და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო.

**მუხლი 28.** ბავშვს უფლება და ვალდებულება აქვს, უფასოდ მიიღოს განათლება.

**მუხლი 30.** სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების შესაბამისად.

**მუხლი 31.** ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

- 1949 წლის ნოემბერს დაარსდა
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 1950 წლიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამ დღეს პირველ ივნისს აღნიშნავს.
- 1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია.
- კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან.
- ამ კონვენციას მსოფლიოს 193 ქვეყანა აღიარებს.
- საქართველო მას 1994 წელს შეუერთდა.





4



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 14

**2. უპასუხე შეკითხვებს წერილის მიხედვით.**

ა. ვინ არიან თამუნა და სოფო ერთმანეთისათვის?

ბ. საიდან ჩანს, რომ სოფოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ძველ კლასელებთან?

გ. რით არის ის დაკავებული?

დ. რატომ გაუჭირდა მას ახალს კოლაში?

ე. რატომ ფიქრობს, რომ ის ზედმეტია?

ვ. უნდა თუ არა მას სკოლაში სიარული და რატომ?

ზ. რას სთხოვს სოფო თამუნას?

**3. წარმოიდგინე, რომ სოფო შენ გწერს წერილს. რას ურჩევ მას? უპასუხე სამუშაო რვეულში.**

**4. გაეცანი წერილის პასუხს და შეადარე შენს რჩევებს. შეაფასე თამუნას რჩევები.**

გამარჯობა, ჩემო სოფო!

I. ძალიან გამიხარდა შენი წერილის მიღება. მარტო მე კი არა, ყველას ძალიან მოენატრე.

II. ყოველ დღე შენზე ვლაპარაკობთ, ათას რამეს ვიხსენებთ. ყველა იმას ამბობს, სოფო ყველაზე კეთილი, მეგობრული და ხალისიანი იყოო. მე ვამაყობ, რომ შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ.

III. ძალიან ვწუხვარ, რომ ახალ კლასში ჯერ ვერ ააწყვე ურთიერთობები, მაგრამ ასე ძალიან ნუ განიცდი. ისინი ხომ ჯერ არ გიცნობენ?! აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება.

IV. ყურადღებას ნუ მიაქცევ იმ გოგონებს. რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. შეეცადე, ისეთი იყო, როგორიც ხარ.

V. დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება!

გკოცნი, შენი თამუნა.

VI. P.S. მინდა გაგახარო. შენმა პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა. მასწავლებელმა თქვა, ამ პროექტს აუცილებლად სოფოსთან ერთად განვახორციელებთო.

**5. შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს სოფო? დაასაბუთე შენი მოსაზრება.**

- დაუჯეროს თამუნას და ყურადღება არ მიაქციოს გოგონებს.
- არ დაუჯეროს მას და მაინც დაელაპარაკოს გოგონებს.

გამარჯობა, თამუნა!

I. როგორ ხარ? რა ხდება ჩვენს კლასში? როგორ არიან ბავშვები? ყველანი ძალიან მომენატრეთ. სულ თქვენზე ვფიქრობ. რა კარგი იყო, ერთად რომ ვიყავით!

II. ხატვა დავიწყე, მუსიკაზე ისევ ვაპირებ სიარულს. ამბობენ, რომ აქ კარგი მუსიკალური სკოლაა. ცურვით კი ველარ ვცურავ. აქ საცურაო აუზი არ არის. ახლა ბევრი თავისუფალი დრო მაქვს და ამიტომ ბევრს ვკითხულობ. შენ რომ მირჩიე, ის ორი წიგნი უკვე დავამთავრე. ძალიან მომეწონა.

III. პირველი კვირა ძალიან გამიჭირდა ახალ სკოლაში. ჯერ კიდევ ვერ შევეგუე კლასელებს. ასე მგონია, ზედმეტი ვარ. სკოლაში სიარული აღარ მინდა. თავს მარტოდ ვგრძნობ. გაკვეთილებიც აღარ მაინტერესებს. ორი გოგო განსაკუთრებით ცუდად მიყურებს. ვგრძნობ, რომ არ მოვწონვარ. რომ დამინახავენ, ცხვირს მაღლა სწევენ და რაღაცას ჩურჩულებენ. არ ვიცი, რა დავუშავე. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ დაველაპარაკო და, თუ საჭირო იქნება, კარგადაც ვეჩხუბო.

IV. თამო, შენ რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

სოფო

**პირობით-შედეგობითი წინადადება**

პირობა | თუ | , | (მაშინ) | შედეგი

*თუ გვანცა დაუჯერებს თამუნას, (მაშინ) ყველაფერი კარგად იქნება.*

**უპასუხე შეკითხვას.**
რა შემთხვევაში იქნება ყველაფერი კარგად?

**დაასახელე,** რომელია პირობა და რომელი – შედეგი?

**წინადადების სტრუქტურა**

I. პირობა + შედეგი

II. შედეგი + პირობა

**წაიკითხე და დაასახელე, სად არის პირობა წინადადებაში.**

ა. თუ მალე ისწავლი გაკვეთილებს, ეზოში ჩახვალ.
ბ. ეზოში მაშინ ჩახვალ, თუ მალე ისწავლი გაკვეთილებს.
გ. ზღვაში ვიბანავებთ, თუ წვიმა არ იქნება.

**რა არის გამოტოვებული პირველ და მესამე წინადადებებში?**



## გვ. 5

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები ეცნობიან პერსონაჟის — სოფოს წერილს და პასუხობენ ა—ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 5 № 4: მოსწავლეები ასრულებენ წაკითხული წერილის გაგების შესამოწმებელ დეტალურ დავალებას (I-VII პუნქტები).

გვ. 6 № 1, 2, 3: კონტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშოები.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ასრულებენ წერის საკომუნიკაციო უნარზე ორიენტირებულ დავალებას მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 6 № 4: მოსწავლეები წერენ პასუხს სოფოს: ყურადღებას ამახვილებენ როგორც წერილის ფორმალურ მხარეზე, ისე შინაარსზე.

გვ. 7 № 5, 6: მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყვილეები ებმებიან თანაშეფასების პროცესში და ასწორებენ ერთმანეთის ნაწერებს.

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან პასუხს სოფოს წერილზე (თამუნას წერილს) და ადარებენ მას საკუთარ ვერსიებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 7 № 7: მოსწავლეები ასრულებენ წაკითხული წერილის გაგების შესამოწმებელ დეტალურ დავალებას (I-IV პუნქტები).

გვ. 8—9: კონტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშოები.

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები მსჯელობენ თამუნას რჩევების მართებულობის შესახებ.

## გვ. 6

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები ეცნობიან პერსონაჟების სქემაში-მოყვანილ მოსაზრებებს და პასუხობენ დავალების შეკითხვებს.
2. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და მეწყვილეებთან ერთად აყალიბებენ არგუმენტებით საკუთარ გამყარებულ პოზიციებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკულ ცნობარს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 10—16: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული კომბინირებული ენობრივი ტიპის დავალებები.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. შესრულებული დავალებების შედეგად მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ პოზიციებს საკითხთან დაკავშირებით და პასუხობენ I-III პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
5. დავალებაში ფორმულირებულ შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები გაბმულად საუბრობენ.



პირველი ნაბიჯები

**1. გაეცანი თეონასა და სანდროს მოსაზრებებს და შეაფასე მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები.**

***წიგნია უფრო მნიშვნელოვანი თუ კომპიუტერი?***

დისკუსიის საგანი

თეონას პოზიცია

მე ვფიქრობ, რომ წიგნს ვერაფერი შეცვლის.

არგუმენტი

წიგნიდან ისეთი ინფორმაციის გაგება შეგიძლია, რომელსაც კომპიუტერში ვერ ნახავ.

სანდროს პოზიცია

ჩემი აზრით, კომპიუტერი წიგნზე მნიშვნელოვანია.

არგუმენტი

კომპიუტერის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. მას წიგნთან შედარებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლია.

როგორ ფიქრობ:

- *დამაჯერებელია თუ არა ეს არგუმენტი?*
- *საკმარისია თუ არა ის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად? რატომ ფიქრობ ასე? შენი აზრით, საჭიროა თუ არა მისი გამყარება მაგალითებით?*

**2. დისკუსიის საგანთან დაკავშირებით ჩამოაყალიბე შენი პოზიცია მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. მოიყვანე არგუმენტები და გაამყარე პირადი გამოცდილებით. შეადარეთ თქვენი პოზიციები და არგუმენტები ერთმანეთს.**

**3. გაეცანი გრამატიკას. წაიკითხე მოცემული წინადადებები და შეადარე ისინი ერთმანეთს.**

**4. გაეცანი მოცემულ დავალებებს, მოიფიქრე და დააფიქსირე შენი პოზიცია.**

I. რას იზამდი, კომპიუტერი რომ არ არსებობდეს?

II. გადაწყვიტე შენი საყვარელი მწერლის ახალი ნაწარმოებების წაკითხვა. რომელს აირჩევდი – წიგნს თუ ინტერნეტს, რატომ?

III. შენ რომ პროგრამისტი იყო, რა ტიპის საიტს შექმნიდი, ვისთვის და რატომ?

**5. რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ცხოვრებაში წარმატებული იყო? როგორ უნდა მოიქცე? ყოველთვის ისე იქცევი თუ არა, როგორც ამბობ?**

მომავალში შესასრულებელი მოქმედება

I. გამოხატავს **ფაქტს**:

**რას გავაკეთებ?** (მყოფადი)

ა. *მე რომ დიდი ვიქნები, ბევრს ვიმოგზაურებ.*
ბ. *რომ გავიზრდები, კოსმოსში გავფრინდები.*

II. გამოხატავს **სურვილს / ოცნებას / ვარაუდს:**

**რას გავაკეთებდი?** (ხოლმეობითი)

ა. *მე რომ დიდი ვიყო, ბევრს ვიმოგზაურებდი.*
ბ. *რომ შემეძლოს, კოსმოსში გავფრინდებოდი.*

ზმნისწინი + უწყვეტელი = ხოლმეობითს

**შე**ვქმნი**დი**, **და**ვწერ**დი**, **გა**ვაგზავნი**დი**...

**და**ვჯდებო**დი**, **და**ვეხმარებო**დი**...

6

**6. წაიკითხე მოცემული ორი ტექსტი და შეადარე ერთმანეთს. დაასახელე, რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის.**
**შეასრულე დავალებები რვეულში.**

**I.** „პირდაპირ დაუჯერებელი რაღაც მოხდა. ლამარა ალუღიშვილმა, იმ დიმიტრი ალუღიშვილის შვილიშვილმა, რომელ–თანაც თავის დროზე ნიკო ფიროსმანს დუქანი ჰქონდა, მითხრა, ჩვენ ჯგუფური ფოტოსურათი გვქონდა, იქ ნიკოც იყოო. ჰოდა, ეძება, ეძება მთელ წელიწადს და ერთ დღესაც მირეკავს, თენგიზ, დავიღუპეთო. რა მოხდა-მეთქი. ვიპოვე ის ფოტოსურათი და ფუჭდებაო. რატომ-მეთქი. ჩემს ძმას რაღაც სითხე აქვს და ის დაექცაო.

საჩქაროდ ტაქსით გავვარდი. მივირბინე იმათთან და ჩემი თვალით ვუყურე, როგორ ქრებოდა ფიროსმანის შესანიშნავი პორტრეტი“.

**თენგიზ მირზაშვილი**

**II.** ერთხელ დიმიტრი ალუღიშვილის შვილიშვილმა, ლამარა ალუღიშვილმა, მხატვარ თენგიზ მირზაშვილს უთხრა, რომ მათ ჯგუფური ფოტოსურათი ჰქონდათ ნიკოსთან ერთად გადაღებული.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ლამარა ალუღიშვილმა თენგიზ მირზაშვილს დაურეკა:

– თენგიზ, დავიღუპეთ!

– რა მოხდა? – ჰკითხა თენგიზმა.

– ვიპოვე ის ფოტოსურათი და ფუჭდება, – უთხრა ქალბატონმა ლამარამ მხატვარს.

– რატომ? – ჰკითხა მირზაშვილმა.

– ჩემს ძმას რაღაც სითხე აქვს და ის დაექცა.

თენგიზ მირზაშვილმა სასწრაფოდ მიირბინა მათთან და საკუთარი თვალით ნახა, როგორ ქრებოდა ფიროსმანის შესანიშნავი პორტრეტი.

**სხვისი ნათქვამის გადმოცემა**

| ციტირება | პარაფრაზირება |
| --- | --- |
| გამეორებულია სიტყვასიტყვით. | გადმოცემულია ნათქვამის აზრი. |

ა. რა ფორმით შეიძლება გადმოვცეთ სხვისი ნათქვამი?

ბ. განმარტე, როგორ გესმის:
- სიტყვასიტყვით გადმოცემა?
- ნათქვამის აზრის გადმოცემა?

**წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რომელია სიტყვასიტყვით ნათქვამი და რომელი – არა?**

1. – ეს რა არის? – იკითხა ლადომ.
2. ლადომ იკითხა, (თუ) რა იყო ეს.
3. ნიკომ თქვა, ეს სალებავებიაო.
4. ეს სალებავებია, – თქვა ნიკომ.
5. დაჯექი-მეთქი! – ვუბრძანე მე.
6. მას დაჯდომა ვუბრძანე.

**დაუბრუნდი წინადადებებს და უპასუხე:**

- რომელი ნათქვამია წარმოდგენილი დიალოგის სახით?
- წაიკითხე, რომელ ნათქვამს ერთვის **-ო** და **-მეთქი** ნაწილაკები?
- დააკვირდი და დაასახელე, მე-3 და მე-5 წინადადებებში რომელი პირია მთქმელი?

**წაიკითხე და დაასახელე, რომელ ნაწილაკზეა საუბარი:** -ო-სა **თუ** -მეთქი-ზე**?**

ა. ის დაერთვის III პირის ნათქვამს.
ბ. ის აღნიშნავს I პირის ნათქვამის გამეორებას.

7

## გვ. 7

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში წარმოდგენილ ორ ტექსტს და ადარებენ ერთმანეთს.

მოსწავლის რვეული

გვ. 17 № 4: სრულდება ორი ტექსტიდან ამოკრეფილი ინფორმაციის დახარისხებაზე აგებული სავარჯიშო.

გვ. 17 № 5, 6: სრულდება ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 18 № 1, 2: გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით (მოსწავლის წიგნი, გვ. 7), სრულდება ენობრივი სავარჯიშოები.

გვ. 8

**მოსწავლის წიგნი**

1. წინა საფეხურზე განვლილ მასალაზე დაყრდნობით, მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს თემაზე „მავნე ჩვევები და ნებისყოფა“ . მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში წარმოდგენილ ჩამონათვალს და თემასთან დაკავშირებით პასუხობენ ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 19 № 1; მოსწავლეები ასრულებენ საკომუნიკაციო ტიპის დავალების ინტრუქციას და ახარისხებენ მავნე ჩვევების ჩამონათვალს.

გვ. 19 № 2, 3, 4; გვ. 20 № 1: სრულდება ენობრივი ტიპის დავალებების სერია.

**მოსწავლის წიგნი**

2. კლასი იყოფა წყვილებად. მეწყვილეებთან ერთად მოსწავლეები ადგენენ მავნე ჩვევების სიას პირველ დავალებაში წარმოდგენილი კრიტერიუმების (შეკითხვების) მიხედვით.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 20—21 № 3, 4, 5: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული კომბინირებული ლექსიკურ—გრამატიკული ტიპის დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და პუნქტების მიხედვით აღწერენ საკომუნიკაციო სიტუაციას.
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს (I-III ქვეთავებს), პასუხობენ ა—ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს და ადარებენ ტექსტში მოყვანილ ინფორმაციას საკუთარ მოსაზრებებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 22 № 1, 2: სრულდება საკომუნიკაციო ტიპის დავალებები.

გვ. 23—26: სრულდება ენობრივ დავალებათა სერია.





## მავნე ჩვევები და ნებისყოფა

1. **რას არის ჩვევა? რას შეიძლება ვუწოდოთ მავნე ჩვევა? გაეცანი მოზარდებში გავრცელებულ მავნე ჩვევებს და დაასახელე, რომელია მათ შორის:**
   ა. ყველაზე მავნე?
   ბ. ყველაზე გავრცელებული?
   გ. ჯანმრთელობისათვის საზიანო?
   დ. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო?
2. **მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად, კიდევ რა მავნე ჩვევები არსებობს და დაასახელე პირველ დავალებაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.**
3. **მოუსმინე ბავშვებს და აღწერე საკომუნიკაციო სიტუაცია.**
   - სად არიან და რას აკეთებენ ისინი?
   - ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის?
   - ვინ არის დათო?
   - რატომ დაიწყო ბექამ მოწევა?
   - კიდევ რამ შეიძლება უბიძგოს მოზარდს ამ მავნე ჩვევისაკენ? ჩამოთვალე მიზეზები.
4. **გაეცანი ინფორმაციას და შეადარე შენ მიერ ჩამოთვლილ მიზეზებს. უპასუხე შეკითხვებს.**

**მავნე ჩვევები**

1. პირადი ნივთების აქეთ-იქით მიყრა.
2. სიგარეტის მოწევა
3. ფრჩხილების კვნეტა
4. ზედმეტი კვება
5. კომპიუტერსა და ტელევიზორზე მიჯაჭვულობა
6. მუდმივად საღეჭი რეზინის ღეჭვა
7. სიზარმაცე
8. ტყუილების თქმა
9. მუდმივად ყველგან დაგვიანება
10. ხმამაღალი საუბარი
11. ტელეფონზე ჭორაობა
12. უცენზურო სიტყვების ხმარება

I. თამბაქოს მოწევის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად მკვლევარები ცნობისმოყვარეობას ასახელებენ. სკოლისა და სხვა სასწავლებლების უფროსკლასელთა და უმცროსკლასელთა გამოკითხვით დადგინდა, რომ გამოკვლეულთა 25%-მა თამბაქოს მოწევა სწორედ ცნობისმოყვარეობის გამო დაიწყო.

II. არსებობს სხვა მიზეზებიც. ზოგი მოწევას მშობლის, უფროსი მეგობრის ან სათაყვანებელი პირის მიბაძვით იწყებს. ზოგი სიგარეტის მოწევით ამტკიცებს, რომ უკვე დიდი და დამოუკიდებელია. მოზარდების უმეტესობა კი ამას ამხანაგის შეთავაზების შემდეგ აკეთებს.

III. უმრავლესობამ იცის თამბაქოს მავნებლობის შესახებ, მაგრამ ის ფიქრობს, რომ ეს საშიშროება მას არ ემუქრება.

ა. რის შესახებ არის ტექსტში საუბარი?
ბ. რა არის I აბზაცის მთავარი თემა?
გ. რომელ აბზაცშია ნახსენები მოწევის დაწყების სხვა მიზეზები?
დ. რას ეხება III აბზაცი?
ე. ვინ იყვნენ კვლევის ობიექტები?
ვ. რომელია სიგარეტის მოწევის უმთავრესი მიზეზი?
ზ. შენი აზრით, როგორ ნაწილდება სხვა მიზეზები დარჩენილი 75%-ის შემთხვევაში?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

5. **მოისმინე დიალოგი და დაასახელე, რა არის სოფოს პრობლემა და როგორია მაკას პოზიცია?**

სოფოს პრობლემა

ა. სურვილი არ აქვს, რომ უარი თქვას ჭამაზე;
ბ. სურვილი აქვს, მაგრამ არაფერს აკეთებს ამისათვის;
გ. სურვილი აქვს, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნის.

მაკას პოზიცია

ა. სოფომ მონდომებასთან ერთად ნებისყოფაც უნდა გამოიმუშავოს!
ბ. ნებისყოფა აუცილებელი არ არის, მთავარია მონდომება.

6. **უპასუხე მოცემულ შეკითხვებს და იმსჯელეთ კლასელებთან ერთად მათ შესახებ. გამოკვეთე შენი პოზიცია და დაასაბუთე სათანადო არგუმენტებით.**

I. აქვთ თუ არა შენს თანატოლებს მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლების სურვილი? თუ არ აქვთ, დაასახელე, რა არის ამის მიზეზი. რეალურია თუ არა ეს მიზეზი, შენი აზრით?

II. რატომ უჭირთ შენს თანატოლებს მავნე ჩვევებისაგან თავის დაღწევა? შენ როგორ ფიქრობ, ეს მართლა რთულია?

III. რა არის ნებისყოფა? წაიკითხე და დაასახელე სწორი ვარიანტი:

*ა. გადაწყვეტილების, სურვილის არქონა;*
*ბ. გადაწყვეტილების, სურვილის ქონა;*
*გ. გ. გადაწყვეტილების განხორციელების უნარი.*

IV. რა არის საჭირო იმისათვის, რომ შენი გადაწყვეტილება განახორციელო?

7. **დაუბრუნდი დიალოგს. წაიკითხე ნაწყვეტი დიალოგიდან და მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად: რა უნდა გააკეთოს სოფომ იმისათვის, რომ ნებისყოფა გამოიმუშავოს? გააცანით თქვენი ვერსიები ერთმანეთს და იმსჯელეთ.**

– სოფო, მოკლედ, თავი უნდა დაანებო უზომოდ ჭამას. ვერ ხედავ, როგორ გასუქდი? არ გინდა, რომ ლამაზად გამოიყურებოდე? ჯანმრთელობისთვისაც ცუდია.
– ვიცი, არც მე მომწონს, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ.
– იმიტომ, რომ ნებისყოფა არ გაქვს.
– მართალი ხარ, ნებისყოფა მართლა არ მაქვს.
– ჰოდა, მართალი თუ ვარ, **დამიჯერე** და ნებისყოფა გამოიმუშავე.
– ეგ როგორ?
– მე **გასწავლი**, რაც უნდა გააკეთო.
– მართლა **მასწავლი**?
– რა თქმა უნდა, **გასწავლი**.

ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲐ

| S O | S O |
|---|---|
| ის მე | მე მას |
| მიკეთებს<br>მასწავლის<br>მიჯერებს | ვუკეთებ<br>ვასწავლი<br>ვუჯერებ |
| **S O** | **S O** |
| შენ მე | მე შენ |
| მიკეთებ<br>მასწავლი<br>მიჯერებ | გიკეთებ<br>გასწავლი<br>გიჯერებ |

9

## გვ. 9

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ისმენენ დიალოგს და ასახელებენ პერონაჟების — მაკას და სოფოს პრობლემას.
6. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს და მსჯელობენ პრობლემაზე თანაკლასელებთან ერთად I-IV პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 26 № 1: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

გვ. 26 № 2 კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფები ცხრილის მიხედვით ამზადებენ კონკრეტულ რჩევებს პერსონაჟებისათვის.

**მოსწავლის წიგნი**

7. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყვილეები კითხულობენ ნაწყვეტს დიალოგიდან და წერილობით აყალიბებენ პრობლემის გადაჭრის გზებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 26 № 4: ტესტის მეშვეობით მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარ ნებისყოფას.

გვ. 27 № 5: მეწყვილეებთან ერთად მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარ მავნე ჩვევებს.

გვ. 28 № 1, 2: მოსწავლეები ასრულებენ წერით საკომუნიკაციო ტიპის აქტივობებს თემასთან დაკავშირებით.

გვ. 10

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ისმენენ ინტერვიუს და ასრულებენ დავალების I-III პუნქტებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 29 № 3: შეკითხვების პაკეტზე დაყრდნობით, მოსწავლეები განსაზღვრავენ ამა თუ იმ რესპონდენტს.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები ეცნობიან სიტუაციებს (I-III) და ქვემოთ მოყვანილ
3. რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 29 № 4; გვ. 30 № 1: მოსწავლეები იყოფიან წყვილებად, განსაზღვრავენ ამოცანას და ამის შემდეგ ერთმანეთს ართმევენ ინტერვიუს.



პირველი ნაბიჯები

1. მოისმინე ინტერვიუ და უპასუხე შეკითხვებს.

I. ვინ არის რესპონდენტი?
ა. **პირველწყარო,** ანუ ადამიანი, რომელიც უშუალოდ ფლობს ინფორმაციას.
ბ. **მეორეული წყარო,** ანუ ადამიანი, რომელსაც ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული.

II. რა არის ინტერვიუს თემა?
III. შენი აზრით, მოემზადა თუ არა ამ ინტერვიუსათვის ჟურნალისტი წინასწარ? საიდან ჩანს?
დაასაბუთე პასუხი.

2. **გაეცანი მოცემულ სიტუაციებს, შეარჩიე ერთ-ერთი და მოამზადე ინტერვიუ. მომზადებული ინტერვიუ ჩაწერე რვეულში და გააცანი კლასელებს. ყურადღება მიაქციე მოცემულ რეკომენდაციებს.**

**სიტუაცია I:** სკოლის ეზოში თამაშისას ერთ-ერთი უმცროსკლასელი დაშავდა. ამ ინციდენტს შენი კლასელიც შეესწრო.

**სიტუაცია II.** შენს სოფელში / ქალაქში ჩამოვიდა პოპულარული მომღერალი, რომელმაც შენი სკოლა დაამთავრა.

**სიტუაცია III.** მალე შენს სკოლაში მეთორმეტე კლასელებისათვის გამოსაშვები ზეიმი მოეწყობა.



10

**3. გამოიყენე შენი ინტერვიუ და დაწერე საგაზეთო სტატია რვეულში.**

**სტატიის დაწერამდე** კიდევ ერთხელ გაეცანი ინტერვიუს და ჩაინიშნე, რომელი პასუხია:

ა. მნიშვნელოვანი / მთავარი
ბ. უმნიშვნელო / მეორეხარისხოვანი
გ. საინტერესო / უინტერესო
დ. რომელ პასუხს სჭირდება მეტი დაზუსტება სტატიისათვის?






## გვ. 11

**მოსწავლის წიგნი**

4. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები გამოკვეთენ საგაზეთო სტატიის შექმნისათვის აუცილებელ პარამეტრებს (ა—დ პუნქტები) და ეცნობიან ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 31 № 1: სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სქემასა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ წერით საკომუნიკაციო ტიპის დავალებას და ქმნიან სტატიას ინტერვიუზე დაყრდნობით (100—110 სიტყვა).

## გვ. 12

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს.
2. მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ ცხოვრებას 4—5 წლის წინ და ადარებენ ახლანდელ რეალობას.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 32 № 1, 2, 3: სრულდება თემასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ტიპის აქტივობები.

გვ. 33 № 4, 5, 6, 7; გვ. 34 № 1: სრულდება ლექსიკის ათვისებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და აკავშირებენ პერსონაჟების მოსაზრებებს (ა—დ პუნქტები) შესაბამის ილუსტრაციასთან.
4. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—ე).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 35 № 7, 8; გვ. 36 № 1: სრულდება ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ დავალებათა სერია.

გვ. 37 № 3, 4, 5, 6: სრულდება ენობრივი სავარჯიშოები.



### მეშვიდე თავი

1. 🎧 **მოისმინე, რას ამბობს ნიკას დედა და უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.**
   - მოგისმენია თუ არა უფროსი თაობისაგან მსგავსი განცხადებები შენი ან შენი თანატოლების მისამართით?
   - მართალს ამბობენ თუ არა ისინი?
   - არის თუ არა მსგავსება ან განსხვავება შენსა და ნიკას შორის?

2. **გაიხსენე, როგორი იყავი 4-5 წლის წინ და ისაუბრე, როგორი ხარ ახლა. რა შეიცვალა შენში? შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

3. 🎧 **მოისმინე, რას ფიქრობენ ისინი შვილებისა და მშობლების ურთიერთობების შესახებ და ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დააკავშირე შესაბამის ადრესატებთან.**
   ა. მას სერიოზული პრობლემა აქვს მშობლებთან.
   ბ. მას კონფლიქტები არასოდეს ჰქონია მშობლებთან.
   გ. ისინი ერთად აგვარებენ პრობლემებს.
   დ. ის დარწმუნებულია, რომ მშობლებმა უკეთ იციან ყველაფერი.


გურამი


მანანა


ლიკა


ნიკა

4. **დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რატომ ფიქრობს ნიკა, რომ მშობლებს მისი არ ესმით?
   ბ. პროტესტის ნიშნად რას აკეთებს ნიკა ხშირად?
   გ. მისაღებია თუ არა შენთვის პროტესტის ამგვარი ფორმა?
   დ. აღიარებს თუ არა ნიკა, რომ ის ხშირად არასწორად იქცევა? საიდან ჩანს?
   ე. შენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პრობლემები მოგვარდეს?

აირჩიე და დაასახელე შენთვის მისაღები ყველა ვარიანტი:

1. *ნიკამ მეცადინეობა უნდა დაიწყოს.*
2. *მან ნაკლები დრო უნდა გაატაროს ქუჩაში.*
3. *მშობლებმა ცოტა ხნით თავი უნდა დაანებონ ნიკას.*
4. *მათ ერთმანეთს უნდა მოუსმინონ და გაუგონ.*
5. *თავისუფალი დრო ერთად უნდა გაატარონ.*
6. *ერთმანეთს უნდა დაეხმარონ.*
7. *წყნარად და მშვიდად უნდა გაარკვიონ სიტუაცია.*
8. *ერთმანეთს ბოდიში უნდა მოუხადონ.*
9. *ერთმანეთს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ.*
10. *მშობლები უნდა დაინტერესდნენ ნიკას ცხოვრებით.*


პირველი ნაბიჯები

**5. გაეცანი ფორუმზე დათოსა და სანდროს გამოხმაურებებს და უპასუხე ქვემოთ დასმულ შეკითხვებს.**

გამოგზავნილია: 12 Mar 2008, 23:43 #8809534 ბარათი · პროფილი · პირადი მიმოწერა

დათო

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მშობლები ბავშვობაში ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ. არ უნდათ, რომ გაიხსენონ, თორემ ასეა. დარწმუნებული ვარ, მათაც **უჩხუბიათ** და **უკამათიათ** მშობლებთან, სკოლაშიც **დაუგვიანიათ** და გაკვეთილებიც **გაუცდენიათ**, დავალებებიც **არ შეუსრულებიათ** და მასწავლებლებიც **გაუბრაზებიათ**, საათობით **უთამაშიათ** და გვიანობამდეც **არ დაუძინიათ**.

გამოგზავნილია: 13 Mar 2008, 01:03 #8810707 ბარათი · პროფილი · პირადი მიმოწერა · ელფოსტა

სანდრო

ამასწინათ ერთი ფილმი ვნახე მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე. ფილმის მთავარი გმირი ჩვენხელაა. მშობლებთან კამათის გამო სახლიდან გარბის. მერე აღმოჩნდება, რომ თურმე მამამისიც **გაქცეულა** სახლიდან მის ასაკში. ისიც მეგობართან **წასულა**, როგორც მისი შვილი. ფაქტობრივად, ისტორიები მეორდება. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად მთავრდება. ისინი ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ხდებიან. ძალიან მაგარი ფილმია.

გამოგზავნილია: 13 Mar 2008, 06:28 #8812378 ბარათი · პროფილი · პირადი მიმოწერა · ელფოსტა

ა. რაშია დათო დარწმუნებული? როგორ ფიქრობ – რატომ?

ბ. ეთანხმები თუ არა მას?

გ. *„ისტორიები მეორდება“*, – ამბობს სანდრო. რისი თქმა უნდა მას ამით?

**6. გაეცანი დავალების პირობას და დაწერე რვეულში შენი პოზიცია.**

*ზოგიერთი შენს თანატოლს მიაჩნია, რომ შეუძლებელია მშობლებთან მეგობრობა. ზოგი კი ფიქრობს, რომ ისინი საუკეთესო მეგობრები არიან.*

- შენ რომელი თანატოლის პოზიციას ეთანხმები და რატომ?
- დაასახელე არგუმენტები და მოიტანე სათანადო მაგალითები, რომლებიც შენს მოსაზრებას გაამყარებს.

შესრულებული მოქმედების შედეგი

**I თურმეობითი**

(რა მიქნია, რა გამიკეთებია?)

| ე.წ. ზოგადი წარსული | უნახავი მოქმედება (თურმე) |
|---|---|
| აჩვენებს მხოლოდ შედეგს ისე, რომ არ აინტერესებს კონკრეტული დრო. | აჩვენებს შედეგს ისეთი მოქმედებისას, რომელიც მთქმელს თავად არ შეუსრულებია და არც დასწრებია მას. |

**წაიკითხე მოცემული წინადადებები და დაასახელე, როგორი მოქმედების შედეგზე საუბრობენ.**

ა. ადრეც არაერთხელ მითქვამს ეს.

ბ. დათო რეზოსთან დღეს ორ საათზე მისულა.

გ. გამოდის, თითქოს მე დამიწერია ეს წერილი.

დ. მე ხშირად წავსულვარ სკოლაში მანქანით.

ე. მე ახლა გავიგე, არადა, ორი დღის წინ ჩამოსულა ელენე სოფლიდან.

**როგორი მოქმედების შედეგს გამოხატავს მე-5 დავალებაში მოცემული ხაზგასმული ზმნა?**

13

გვ. 13

<u>**მოსწავლის წიგნი**</u>

5. მოსწავლეები ეცნობიან პერსონაჟების — დათოს და სანდროს გამოხმაურებებს ფორუმზე და პასუხობენ ა—გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვას.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 38 № 1, 2, 3; გვ. 39 № 4, 5: გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით (მოსწავლის წიგნი, გვ. 13), სრულდება ენობრივი დავალებების სერია.

გვ. 39 № 6: მეწყვილესთან ერთად, ფორუმის გამოხმაურებებზე დაყრდნობით, სრულდება საკომუნიკაციო ტიპის დავალება.

<u>**მოსწავლის წიგნი**</u>

6. დავალების პირობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები აყალიბებენ პოზიციებს და მსჯელობენ თემაზე (მოსწავლის რვეული, გვ. 40).

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 40—44: სრულდება საკომუნიკაციო და ენობრივ ამოცანებზე ორიენტირებული დავალებების სერია.

გვ. 14

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები ეცნობიან ჟან-პოლ სარტრის გამონათქვამს და ა—გ პუნქტების შეკითხვებზე დაყრდნობით, მსჯელობენ თემაზე.
2. შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ ბავშვობის ოცნებებზე და არჩევანის გაკეთების თავისუფლებაზე.
3. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 3) და პასუხობენ ა—ვ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს, შემდეგ კი ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 44 №1,2, 3: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული ენობრივი სავარჯიშოები.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები პაუხობენ შეკითხვებს ა. და ბ. საკუთარი მიზნების/არჩევანის შესახებ.

პირველი ნაბიჯები

„ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში აკეთებს არჩევანს, რადგან არჩევანის არგაკეთებაც არჩევანია".
ჟან–პოლ სარტრი

**1. გაეცანი ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის, ჟან-პოლ სარტრის სიტყვებს და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.**

ა. რა შემთხვევაში აკეთებენ ან არ აკეთებენ ადამიანები არჩევანს?
ბ. რთულია თუ არა არჩევანის გაკეთება და რატომ?
გ. ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა გადაწყვეტილება შენ მაგივრად სხვას მიუღია? რა იყო ამის მიზეზი?



**2. წაიკითხე და შეასრულე მოცემული მითითებები.**

*ბავშვობაში ყველას უოცნებია მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე:*
*„კოსმონავტი გამოვალ", „მძღოლი ვიქნები", „ლამაზ სახლებს ავაშენებ"...*

- შენ რაზე ოცნებობდი ბავშვობაში და რაზე ფიქრობ ახლა?
- რის გაკეთებას აპირებ სკოლის დამთავრების შემდეგ?
- წაიკითხე და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.

ა. რას ნიშნავს პროფესიის არჩევა?
ბ. არის თუ არა ეს რთული და რატომ?
გ. რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა პროფესიის არჩევისას?
დ. ხარ თუ არა შენ თავისუფალი ამ არჩევანში?

**3. 🎧 მოისმინე ბავშვების რეპლიკები და უპასუხე შეკითხვებს. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ა. რის შესახებ საუბრობენ ისინი?
ბ. ვინ აპირებს, რომ მშობლების რჩევა გაითვალისწინოს?
გ. რატომ არის არჩევანის გაკეთება რთული, ზურას აზრით?
დ. ვინ ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს?
ე. რა არის მთავარი ზაზასთვის?
ვ. შენ ვის მოსაზრებას ეთანხმები და რატომ?



**4. წაიკითხე და უპასუხე შენ შესახებ. დაასაბუთე შენი პასუხი.**

ა. რის მიხედვით ირჩევ პროფესიას და რატომ?
ბ. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიო?

14

**5. გაეცანი პროფესიული კოლეჯის რეკლამას და დაასახელე, რომელ პროფესიებს სთავაზობს ის მოსწავლეებს. უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.**

ა. რა ჰქვია კოლეჯს?
ბ. როგორ გესმის სიტყვა „მრავალპროფილიანი“?
გ. სად მდებარეობს კოლეჯი?
დ. როგორ შეგიძლია, გაიგო დამატებითი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ?
ე. რა არის ამ რეკლამის მიზანი?
ვ. ვინ არიან ამ რეკლამის მომხმარებლები?

**6. გაეცანი სამოტივაციო წერილის სტრუქტურასა და რეკომენდაციებს. წაიკითხე მოცემული წერილი და დაასახელე, რა არ შეესაბამება სამოტივაციო წერილის ფორმატს.**

მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრი

გიწვევთ სასწავლოებლად 2012–2013 სასწ. წელს შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:

პროფესიული კოლეჯი **„ოსტატი“**

- ექთნის თანაშემწე
- კბილის ტექნიკოსი
- მკერავ-მოდელიერი
- ავტოშემკეთებელი
- ტურიზმის სპეციალისტი

წულუკიძის ქ. №21, II სართული
ტელ. 599 64 53 35 / 2 74 40 50
www. ostatiprof.edu.ge

სამოტივაციო წერილი

20 აგვისტო, 2011 წ.
ბახტაძე ლელა

1997 წ., ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №5
ტელ. 593 78 23 49 / 2 34 24 64
ელფოსტა: baxtadzel@yahoo. com

პროფესიულ კოლეჯ „ოსტატის“ ხელმძღვანელს, ბატონ გურამ ბერიძეს

ბატონო გურამ,

დავამთავრე თბილისის №94-ე საჯარო სკოლის საბაზო საფეხური. მსურს, სწავლა გავაგრძელო თქვენს კოლეჯში ტურიზმის მიმართულებით.

გარდა იმისა, რომ მომწონს ეს სფერო, მიმაჩნია, რომ შემიძლია ამ სფეროში ბევრი რამის გაკეთება. კარგად ვიცნობ ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მშობლიური ენის გარდა, ვფლობ რუსულსა და ინგლისურ ენებს.

ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, რომ ვისწავლო თქვენს კოლეჯში.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.

პატივისცემით, ლელა ბახტაძე

სამოტივაციო წერილის სტრუქტურა

1. **წერილის გაგზავნის თარიღი;**
2. **პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია;**
3. **იმ ადამიანის მონაცემები, ვის სახელზეც აგზავნი წერილს;**
4. **მიმართვა;**
5. **I აბზაცში: საკუთარი თავის წარდგენა და მოკლე ინფორმაცია შენი განათლების შესახებ;**
6. **II აბზაცში: ინფორმაცია შენი ძლიერი მხარეების, მიღწევებისა და გამოცდილებების შესახებ;**
7. **III აბზაცში: იმედის გამოთქმა და მადლობის გადახდა.**
8. **ხელმოწერა.**

რეკომენდაციები:

1. **წერილის დაწერამდე კარგად მოიფიქრე: რისთვის გინდა ის, რასაც ითხოვ? რისი გაკეთება შეგიძლია ამ სფეროში?**
2. **დაწერე მოკლედ და თქვი მთავარი.**
3. **წერილში არ უნდა იყოს ხვეწნა.**
4. **ახსენი, რატომ გინდა და დაასაბუთე სათანადო არგუმენტებით.**



## გვ. 15

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ეცნობიან მრავალპროფილანის სასწავლო ცენტრის რეკლამას და პასუხობენ შეკითხვებს (ა—ვ პუნქტები).
6. მოსწავლეები ეცნობიან სამოტივაციო წერილის სტრუქტურას (მარჯვენა ჩარჩო) და ადარებენ მას პერსონაჟის — ლელა ბახტაძის სამოტივაციო წერილს, არსებული ფორმატის შეუსაბამო პუნქტების გამოვლენის მიზნით.

მოსწავლის რვეული

გვ. 45 № 1, 2, 3: სრულდება წაკითხული ტექსტის (სამოტივაციო წერილის)

გაგების შესამოწმებელი დეტალური სავარჯიშოები.

გვ. 45 № 4: სრულდება ენობრივი სავარჯიშო.

გვ. 46 № 1: მოსწავლეები თავიდან ეცნობიან სამოტივაციო წერილის ნიმუშს და მათთვის სასურველი სამომავლო პროფესიის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ სამოტივაციო წერილებს.

## გვ. 16

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან განცხადების ნიმუშებს, შემდეგ კი ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 47 № 2: მოსწავლეები განასხვავებენ სამი განცხადების შესაბამის სამ განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციას (ა, ბ, გ).

გვ. 47 № 3, 4: სრულდება ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები ეცნობიან განცხადების ფორმას და განასხვავებენ სამ განცხადებას ა. და ბ. ტიპების მიხედვით.
3. მოსწავლეები ხელმეორედ კითხულობენ განცხადებებს და პოულობენ არასწორ ვარიანტს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 48 № 5: მოსწავლეები სწორი ფორმით წერენ მოსწავლის რვეულში არასწორად წარმოდგენილ განცხადებას.

გვ. 48 № 6: საკომუნიკაციო სიტუაციების მიხედვით (I, II, III) მოსწავლეები წერენ სამ განსხვავებულ განცხადებას.

---



**1. წაიკითხე მოცემული განცხადებები და შეასრულე დავალებები რვეულში.**

თბილისის მოსწავლეთა სასახლის დირექტორს
თბილისის მე-2 საჯარო სკოლის IX კლასის
მოსწავლე ლია რეზოს ასულ ბერიძის

**განცხადება**

ვარ ჩვენი სკოლის „მკითხველთა თეატრის" აქტიური წევრი. ძალიან მიყვარს მხატვრული კითხვა და, როგორც ამბობენ, მაქვს მსახიობობის ნიჭიც. ხშირად ვმონაწილეობ სასკოლო სპექტაკლებში. სკოლის დამთავრების შემდეგ მსურს, სწავლა გავაგრძელო თეატრალურ ინსტიტუტში.

გთხოვთ, ჩამრიცხოთ თქვენთან არსებული დრამატული წრის წევრად.

**ლია ბერიძე**

25 სექტემბერი, 2012 წ.
ჩემი მისამართია: თბილისი, ფიროსმანის ქ. №15, ტ. 577 64 09 57

**განცხადება**

პარასკევს, 28 დეკემბერს, 14 საათზე, სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართება საახალწლო ზეიმი.

**სკოლის დირექცია**

**განცხადება**

გამარჯობა, ბატონო დირექტორო. 2-დან 15 თებერვლის ჩათვლით ვიმყოფებოდი ტურნირზე, რის გამოც გავაცდინე სკოლა.

გთხოვთ, გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატიოდ.

მომავალ შეხვედრამდე,

**გელა რაზმაძე**

**2. გაეცანი მარჯვნივ მოცემულ ინფორმაციას. დაუბრუნდი განცხადებებს და დაასახელე, რომელი განცხადება რა ტიპისაა.**

**3. ერთ-ერთ განცხადებაში დარღვეულია განცხადების ფორმა და შინაარსი. დაასახელე, რომელია ეს განცხადება და მიუთითე, რა არის იქ არასწორი. სწორად გადაწერე განცხადება რვეულში და წაიკითხე.**

**განცხადების ტიპები**

ა. რაიმე ცნობის მაუწყებელი
ბ. თხოვნის შემცველი

**განცხადების ფორმა**




16

პირველი ნაბიჯები

4. **იცი თუ არა, რას ნიშნავს CV, რის შესახებ შეიცავს ის ინფორმაციას და რისთვის არის აუცილებელი? წაიკითხე და დაასახელე სწორი ვარიანტი. მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი.**

   ა. CV არის ლათინური სიტყვების "curriculum vitae"-ს პირველი ასოები და ნიშნავს:
      1. სამუშაო გამოცდილებას;
      2. ცხოვრების გზას;
      3. ცოდნას და უნარებს.

   ბ. CV აუცილებელია (დაასახელე ყველა სწორი ვარიანტი):
      1. სკოლის ატესტატის მისაღებად;
      2. პროექტში მონაწილეობის მისაღებად;
      3. სამსახურში წარსადგენად;
      4. გაზეთში გამოსაქვეყნებლად;
      5. ჯილდოს გადაცემისას.

5. **გაეცანი რეზიუმეს (CV), რომელიც საბამ კონკრეტული პროექტისათვის დაწერა და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**CV** (რეზიუმე)

პირადი მონაცემები:

**სახელი და გვარი:** საბა გოცირიძე

**დაბადების თარიღი:** 1998 წ. 7 აპრილი

**მისამართი:** თბილისი, ბათუმის ქ. №10

**ტელეფონი:** 577 65 33 95 / 2 34 28 67

**ელფოსტა:** gociridzes@yahoo. com

განათლება:

2012 წ. თბილისის მე-4 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

2010 წ. მაისი: დავამთავრე ხელოვნების სკოლა ფერწერის განხრით.

2010 წ. მარტი: პირველი პერსონალური გამოფენა.

2009 წ. დეკემბერი: სასკოლო საახალწლო ზეიმის მხატვარ-დეკორატორი.

2008 წ. აპრილი: ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადის გამარჯვებული (ისტორია).

2008 წ. სასკოლო ინიციატივების პროგრამის მონაწილე.

2007 წ. მარტი: „მხიარული სტარტების" მონაწილე.

ინტერესები:

ხატვა, ფეხბურთი და მოგზაურობა.

**CV–ს სტრუქტურა**

1. **პირადი ინფორმაცია:**
   ა. სახელი და გვარი;
   ბ. დაბადების თარიღი;
   გ. მისამართი;
   დ. ტელეფონი / ელფოსტა.
2. **განათლება:**
   *(იწყებ უახლესი მოვლენებით და მიჰყვები ქრონოლოგიურად წარსულისკენ).*
   ა. საგანმანათლებლო მიღწევები – კონკურსები, ოლიმპიადები, ტურები, შეჯიბრებები...
   ბ. წრეები, შემოქმედებითი სკოლები და სხვა.
3. **ინტერესები.**

რეკომენდაციები:

ა. უნდა იყოს: მოკლე, ლაკონური და სწორად აგებული.
ბ. არ უნდა იყოს ამბის თხრობა.
გ. წერე სიმართლე, ნუ გააზვიადებ შენს მიღწევებს.
დ. მოერიდე სუსტი მხარეების დასახელებას, თუკი ამას არ გთხოვენ.

6. **შეადგინე შენი CV და გააცანი კლასელებს.**

17

## გვ. 17

### მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს/იხსენებენ განვლილ მასალას რეზიუმესთან (CV-სთან) დაკავშირებით და ამოწმებენ თავიანთ ვერსიებს დავალების ა. და ბ. პუნქტებზე დაყრდნობით.
5. მოსწავლეები ეცნობიან პერსონაჟის — საბა გოცირიძის რეზიუმეს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 49 № 7: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალება.

გვ. 49 № 8: საკომუნიკაციო სიტუაციის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები წერენ განცხადებას საბას სახელით.

გვ. 50 № 1, 2: მოსწავლეები ებმებიან თანაშეფასების პროცესში და ერთმანეთის ნაწერებს ამუშავებენ.

### მოსწავლის წიგნი

6. მოსწავლეები ქმნიან თავიანთ რეზიუმეებს და აცნობენ მათ მასწავლებელსა და თანაკლასელებს.

### მოსწავლის რვეული

გვ. 50 № 3 რეზიუმე იწერება მოსწავლის რვეულში წარმოდგენილი რეზიუმეს სტრუქტურის მიხედვით.

გვ. 18

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან საქართველოს რუკას და განსაზღვრავენ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეტანილი ინფორმაციის მნიშვნელობას.
2. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ამოიცნობენ ამა თუ იმ რეგიონს.
3. მოსწავლეები იხსენებენ საქართველოს გეოგრაფიულ მონაცემებს, მდებარეობას, შემდეგ კითხულობენ ჩარჩოში მოყვანილ ტექსტს და ამოწმებენ თავიანთ ვერსიებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 51 № 4, 5; გვ. 52 № 1, 2, 3: დავალებები სრულდება რუკაზე, ინფორმაციულ ცნობარზე და მოსასმენ ტექსტზე დაყრდნობით.

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები მსჯელობენ საქართველოს როლის შესახებ კავკასიის რეგიონში.

პირველი ნაბიჯები

ეს ჩვენი საქართველოა!

1. **დააკვირდი საქართველოს რუკას და მიუთითე, რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას. გამოიყენე ქვემოთ მოცემული ცხრილი და დააკავშირე კუთხე და იქ მოსახლე ერთმანეთთან.**




2. **მოისმინე ტექსტები და დაასახელე, საქართველოს რომელ კუთხეზეა საუბარი. მიუთითე რუკაზე და დაასახელე, რა ჰქვია ამ რეგიონში მოსახლე ქართველს.**

3. **გაიხსენე, სად მდებარეობს საქართველო და რომელი სახელმწიფოები ესაზღვრება მას. წაიკითხე და შეამოწმე შენი ვერსია.**

საქართველო კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთიდან – თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – აზერბაიჯანი.

საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან. სწორედ მასზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი – ძველი აბრეშუმის გზა.

| რეგიონი | წარმომავლობა | |
|---|---|---|
| მესხეთი | მესხი | მესხური |
| იმერეთი | იმერელი | იმერული |
| კახეთი | კახელი | კახური |
| სვანეთი | სვანი | სვანური |
| თუშეთი | თუში | თუშური |
| ხევსურეთი | ხევსური | ხევსურული |
| ქართლი | ქართლელი | ქართლური |
| აჭარა | აჭარელი | აჭარული |
| გურია | გურული | გურული |
| რაჭა | რაჭველი | რაჭული |
| სამეგრელო | მეგრელი | მეგრული |

4. **დაასახელე საქართველოს როლი და მნიშვნელობა კავკასიის რეგიონში.**

18

საქართველო მათი სახლია!

**5. დააკვირდი რუკას. წაიკითხე საქართველოს რეგიონები, გაიხსენე და კიდევ ერთხელ დაასახელე, რას უწოდებენ იქ მოსახლე ქართველებს?**

**6. საქართველოს რომელ რეგიონებშია განფენილი საქართველოს არაქართველი მოსახლეობა? დააკონკრეტე, ვინ სად ცხოვრობს. ისაუბრე შენი რეგიონის შესახებ.**



**7. რა იცი საქართველოში მცხოვრები არაქართველების ისტორიის, კულტურის, ტრადიციისა და ადათ-წესების შესახებ? ისაუბრე შენს რეგიონში (ქალაქში, სოფელში) მოსახლე არაქართველების შესახებ.**

**8. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დააკავშირე 🎧 შესაბამის ეთნიკურ ჯგუფთან. <u>მოისმინე</u> და შეამოწმე.**

- ა. **კლოჯი** – ასე უწოდებენ ისინი თავიანთეროვნულ დღესასწაულს, რომელსაც მარტში აღნიშნავენ.
- ბ. **გიულეში** მათი ტრადიციული ორთაბრძოლაა.
- გ. **ხანუკას** ისინი 25 დეკემბერს აღნიშნავენ და ის 8 დღე გრძელდება.
- დ. **აბიქა** – ასე უწოდებენ ისინი შავ ლუდს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.
- ე. **ხაბე** მათი ტრადიციული კერძია.
- ვ. **სუფსარქისობის** დღეს გასათხოვარი გოგონები მარილიან კვერებს აცხობენ და მიირთმევენ.

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით:

ქართველები – 83,8 %
აზერბაიჯანელები – 6,5 %
სომხები – 5,7 %
რუსები – 1,5 %
ოსები – 0,9 %
იეზიდები – 0,4 %
ბერძნები – 0, 3 %
ქისტები – 0,2 %
უკრაინელები – 0,2 %
აფხაზები – 0,1 %

19

გვ. 19

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

5. მოსწავლეები ეცნობიან რუკას და იხსენებენ განვლილ მასალას საქართველოს კუთხეების შესახებ.
6. მოსწავლეები ასახელებენ რეგიონებს, სადაც საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.
7. მოსწავლეები ეცნობიან ა—ვ პუნქტებში მოყვანილ ინფორმაციას შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით. ვერსიების გადამოწმება ხდება მოსასმენი ტექსტის მეშვეობით.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 52—54: სრულდება საკომუნიკაციო ტიპის დავალებები რუკაზე, ინფორმაციულ ცნობარზე და მოსასმენ ტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 20

## თემა 1
## ეს ჩემი ცხოვრებაა!

1. ყველაფერი ჩემ შესახებ

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობან დავალების პირობას და ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით, ფოტოებზე დაკვირვების შედეგად გამოთქვამენ ვარაუდებს ოთხი პერსონაჟის შესახებ.
2. (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 1) მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს. მათ საშუალება ეძლევათ,შეადარონ თავიანთი ვარაუდები მოსმენილ ტექსტში აღწერილ სინამდვილეს (ტექსტის მოსმენა ხდება ერჯერადად).
3. სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო: მოსწავლეები მოსმენილი ტექსტის მიხედვით მიაკუთვნებენ ა—კ პუნქტს ამა თუ იმ პერსონაჟს.
4. (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 1) კლასი ხელმეორედ ისმენს ტექსტს და ამოწმებს შესრულებული დავალების სისწორეს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 55 № 1: მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყვილეები ავსებენ კითხვარს მოსასმენი ტექსტის ერთ—ერთი პერსონაჟის, ვაჟას მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

გვ. 55 № 2: ენობრივი ცნობარის გათვალისწინებით (მოსწავლის წიგნი, გვ. 20), სრულდება გრამატიკული სავარჯიშო, სადაც მოსწავლეები ამა თუ იმ ნაცვალსახელს საკუთარი სახელით ანაცვლებენ.

**მოსწავლის წიგნი**

5. კლასი კვლავ წყვილებადაა დაყოფილი. მოსწავლის რვეულში წარმოდგენილის მსგავსად, მოსწავლეები ქმნიან კითხვარს, სადაც შეაქვთ ინფორმაცია თავიანთი მეწყვილეების შესახებ.



## ეს ჩემი ცხოვრებაა!

### 1. ყველაფერი ჩემ შესახებ

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • ჩემი უბანი<br>• საჯარო დოკუმენტები<br>• ახალგაზრდა ქართველი მსახიობის ცხოვრებიდან<br>• მერილ სტრიპის ბიოგრაფიული შტრიხები | • ნაცვალსახელების (პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი) წარმოება და ფუნქციები<br>• კითხვითი სიტყვები |

1. **დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათზე გამოსახული ადამიანების შესახებ: შენი აზრით, ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის? სადაურები არიან, სად ცხოვრობენ და რას საქმიანობენ? რა მოსწონთ და რა აინტერესებთ და, პირიქით, რა სძულთ და რას ვერ იტანენ? დაასაბუთე შენი პასუხი, რატომ ფიქრობ ასე.**
2. 🎧 **მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა.**
3. **წაიკითხე და დაასახელე, ვინ არის.**
   - ა. ის ორი წელია, ქალაქში ცხოვრობს.
   - ბ. მას უნდა, რომ მამის კვალს გაჰყვეს.
   - გ. ის ძალიან ჭკვიანია, მაგრამ – ზარმაცი.
   - დ. ის გატაცებულია მუსიკით.
   - ე. მას სამი დედმამიშვილი ჰყავს.
   - ვ. მან მეცხრე კლასის დამთავრების შემდეგ კოლეჯში განაგრძო სწავლა.
   - ზ. მას ძალიან ეშინია ობობისა.
   - თ. თავისუფალ დროს ის ყოველთვის ოჯახის წევრებთან ერთად ატარებს.
   - ი. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ სხვები მასზე.
   - კ. მას არასოდეს ჰქონია პრობლემები მშობლებთან.
4. 🎧 **თავიდან მოისმინე ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები. შეასრულე დავალებები რვეულში.**
5. **იცნობ თუ არა შენს მეწყვილეს კარგად? რა არ იცი მის შესახებ ისეთი, რისი გაგებაც გაინტერესებს? მოამზადე კითხვარი და ჩაინიშნე მისი პასუხები რვეულში.**



ვაჟა



სოსო



ეკა



მარი

7. დააკვირდი სურათს და ისაუბრე მის შესახებ.



8. სწრაფად ჩაიკითხე მოცემული ნაწერების დასაწყისები და დააკავშირე სურათთან.

9. წაიკითხე ნაწერები სრულად და შეასრულე მარჯვენა სვეტში მოცემული დავალებები.

**1**

სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, ქალაქის ძველ უბანში დგას. ეს სახლი ჩემმა დიდმა პაპამ და მისმა ძმამ ააშენეს. ამ ორი ძმის შთამომავლები დღემდე ერთად ვცხოვრობთ ამ სახლში.

პატარა, ქვებით მოკირწყლულ ქუჩაზე მხოლოდ საკუთარი სახლები დგას. ქუჩის ორივე მხარეს ჭადრის ხეებია დარგული. ზაფხულში საღამოობით მთელი უბანი გარეთ არის გამოსული.

გარდა იმისა, რომ ჩვენი უბანი ძალიან ლამაზია, კიდევ იმით არის განსაკუთრებული, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს.

**2**

მე სოფელ ხევთუბანში ვცხოვრობ. ჩემი სოფელი შუა ქართლში, გორის რაიონში, დაბლობ ადგილზეა გაშენებული. სოფელში მდინარე მეჯუდა ჩამოედინება. სოფლის შესახებ ერთი საინტერესო ლეგენდა არსებობს. წინათ სოფლის მაგივრად ტყე და გაუვალი ჭაობი ყოფილა. ერთხელ სოფლის ერთ-ერთ მცხოვრებს ნადირობისას წყარო უპოვია, ტყე გაუჩეხავს და წყალთან ახლოს, ხევში, დასახლებულა. ასე გაჩნდა სოფელი ხევთუბანი.

ეს ხევი ჩემს სოფელს შუაზე ჰყოფს. სხვათაშორისს, ჩვენს სოფელში ვაჟა-ფშაველას ძმა – ლუკა რაზიკაშვილი ცხოვრობდა.

**წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის ტექსტთან.**

ა. ლალის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი უკრაინელია. ის ლალის მეზობლად ცხოვრობს.
ბ. დათო ხევგალმა ცხოვრობს.
გ. ლევანის სახლი მდინარიდან არც ისე შორსაა.
დ. ყველაზე ძველი ჭადრის ხე ნიკოს სახლის წინ დგას.

**დაუბრუნდი პირველ ტექსტს. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე ნაწერის მიხედვით.**

საიდან ჩანს, რომ:
ა. ლალი ბიძაშვილებთან ერთად ცხოვრობს.
ბ. სახლი ძველი აშენებულია.
გ. ლალის უბანში კორპუსები არ დგას.
დ. უბანი გამწვანებულია.

**დაუბრუნდი მეორე ნაწერს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელი სიტყვებიდან მოდის სოფლის სახელწოდება?
ბ. ვინ იყო სოფელ ხევთუბნის პირველი მოსახლე?
გ. რა აკავშირებს ვაჟა-ფშაველას ხევთუბანთან?

**წაიკითხე მოცემული ტექსტი და დააკავშირე მეორე ტექსტთან. დაასახელე, რით ჰგავს ის მას და რითი განსხვავდება მისგან.**

*ერთხელ ერთი გლეხი სანადიროდ წავიდა. ნადირობისას მან ტყეში ერთი წყარო იპოვა. წყარო ხევში მიედინებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხმა ტყე გაჩეხა და წყალთან ახლოს დასახლდა. მოგვიანებით მასთან ახლოს დასახლდნენ მისი ძმები, ნათესავები და სხვა გლეხებიც.*

10. მოამზადე მასალა შენი უბნის შესახებ. მოიძიე, არსებობს თუ არა რაიმე ლეგენდა ან გადმოცემა, დაურთე მასალას და გააცანი კლასელებს.



## გვ. 21

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და აღწერენ მას.
2. ისინი ზედაპირულად ეცნობიან (გაცნობითი კითხვა) № 1 და № 2 ტექსტებს და აკავშირებენ მათ ილუსტრაციასთან.
3. მოსწავლეები გულდასმით კითხულობენ ტექსტებს და ასრულებენ მარჯვენა სვეტში მოყვანილ წაკითხულის გაგების შესამოწმებელ სავარჯიშოს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 56, № 1: მოსწავლეები ავსებენ კითხვარს №1 და № 2 ტექსტების მიხედვით.

გვ. 56, № 2: მოსწავლეები კითხვულობენ განმარტებებს, აღწრერენ მათ და მიუსადაგებენ შესატყვისებს თავიანთ მშობლიურ ენაზე.

გვ. 56, № 3: წაკითხული ტექსტების მიხედვით, მოსწავლეები ასრულებენ ლექსიკურ სავარჯიშოს.

**მოსწავლის წიგნი**

4. ამ დავალების შესრულება სასურველია საშინაო დავალების სახით. მოსწავლეებს ევალებათ, მოიძიონ რაიმე გადმოცემა, ლეგენდა ან ამბავი საკუთარი უბნის, სოფლის, ქალაქის შესახებ. სასურველია ნაწერის გაფორმება ილუსტრაციებით.

## გვ. 22

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრირებულ საბუთებს. მასწავლებლის მითითებით, ისინი ასახელებენ ოთხივე საბუთის ტიპს, ამა თუ იმ მონაცემს, კუთვნილებასა და დანიშნულებას, შემდეგ კი ასრულებენ მოსწავლის რვეულში წარმოდგენილ დავალებებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 57 № 4, 5, 6; გვ. 58 № 1: სრულდება ენობრივი ტიპის დავლებები.

გვ. 58 № 2, 3; გვ. 59 № 4, 5: სრულდება წაკითხულის (მოსწავლის წიგნი, გვ. 22 № 1) გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

გვ. 59 № 6 მოსასმენი დავალების (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 3) მეშვეობით მოსწავლეები ამოწმებენ შესრულებული ენობრივი დავალების სისწორეს.

**მოსწავლის წიგნი**

2. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. 22—ე გვერდზე წარმოდგენილი ილუსტრაციების მიხედვით, მეწყვილეები ამზადებენ დიალოგებს და კლასის წინაშე გაითამაშებენ სიმულაციურ სიტუაციებს.
3. მოსწავლეები ისმენენ დიალოგს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 2) და ასახელებენ განსხვავავებს მათ მიერ შექმნილ სკეტჩებსა და მოსმენილს შორის.
4. მოსწავლეები აკვირდებიან 23—ე გვერდზე წარმოდგენილ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდებს აღწერილი სიტუაციების შესახებ.

თემა 1

1. დააკვირდი მოცემულ ბარათებს და შეასრულე დავალებები რვეულში.




2. დააკვირდი სურათებს და ისაუბრე მათ შესახებ. შენი აზრით, სად იმყოფება ეკა და რისთვის? შეადგინე სავარაუდო დიალოგები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს.





3. 🎧 მოისმინე დიალოგები და დაასახელე, რომელი დიალოგების საკომუნიკაციო სიტუაცი-ებია აღწერილი მოცემულ სურათებზე. შეადარე ეს დიალოგები შენი და შენი მეწყვილის დიალოგებს. დაასახელე, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.
4. დააკვირდი სურათებს (გვ.23) და ისაუბრე მათ შესახებ – სად არის ეკა კონკრეტულ სიტუაციაში, ვისთან ერთად და რას აკეთებს?

22 ეს ჩემი ცხოვრებაა!

**5. გაეცანი შეკითხვებს და დაასახელე, სურათებზე მოცემული სიტუაციებიდან რომლებში შეგვიძლია ეს შეკითხვები გამოვიყენოთ და რომლებში – არა. დაასახელე შეკითხვები, რომლებიც არცერთ სიტუაციას არ მიესადაგება.**

ა. რომელი სკოლიდან გადმოხვედი?
ბ. შენც ექვს ნომერს ელოდები?
გ. გუშინ საღამოს სად იყავი?
დ. შეიძლება, დავჯდე?
ე. ამ გაჩერებასთან ჩავდივართ?
ვ. ესეც ხომ არ ავიღოთ?
ზ. აქ არ მომწონს. გინდა, სხვაგან წავიდეთ?
თ. შენ მზად გაქვს დავალება?
ი. კმაყოფილი ხარ მოგზაურობით?
კ. არ გინდა, ფეხით წავიდეთ?
ლ. მალე დაირეკება ზარი?
მ. იაფია ეგ სალათა?
ნ. ეს ტრანსპორტი არ გაწყობს?
ო. შეიძლება, გადააწოდოთ ჩემი ბილეთი?
პ. თქვენ ამ ბიჭის შემდეგ ხართ?
ჟ. გინდა, ეს შევუკვეთოთ?
რ. ამის შემდეგ რა გვაქვს?



**6. დაუბრუნდი სურათებს. შენი აზრით, რის შესახებ საუბრობენ ეკა და მისი მეგობარი კონკრეტულ შემთხვევაში?**

**🎧 მოისმინე დიალოგები და შეამოწმე შენი ვარაუდი. დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**



**7. გაიხსენე დიალოგები და შეასრულე დავალებები.**

ა. დაუბრუნდი მეხუთე დავალებაში მოცემულ შეკითხვებს და დაასახელე, რომელი მათგანი გამოიყენეს დიალოგებში.

ბ. გაიხსენე და დააკავშირე კონკრეტული შეკითხვა კონკრეტულ დიალოგთან.

გ. მიუთითე, ვინ სვამს კონკრეტულ შეკითხვას.

დ. გაიხსენე, რას პასუხობს კონკრეტულ შეკითხვაზე თანამოსაუბრე და დაასახელე.

8. **🎧 თავიდან მოისმინე დიალოგები და შეამოწმე, სწორად გახსოვს თუ არა.**






## გვ. 23

### <u>მოსწავლის წიგნი</u>

5. მოსწავლეები ეცნობიან ჩამოთვლილ ა—რ პუნქტებს და ასახელებენ სამ ილუსტრირებულ სიტუაციაში გამოსადეგ შეკითხვებს.
6. ისინი უბრუნდებიან ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდებს შინაარსის (სასაუბრო თემის) შესახებ. მასწავლებელი კლასს ასმენინებს დიალოგებს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 4). მოსმენილი დიალოგების მეშვეობით მოსწავლეები ამოწმებენ თავიანთი ვარაუდების სისწორეს.
7. მოსწავლეები ასრულებენ მოსმენილ ტექსტზე დაფუძნებულ დავალებას.
8. მოსწავლეები ხელმეორედ უსმენენ დიალოგებს შესრულებული დავალების სიზუსტის შესამოწმებლად.

### <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 59. № 7: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

გვ. 24

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. პირის ნაცვალსახელების გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, ა—ზ პუნქტებში გამუქებული სიტყვები შეცვალონ შესაბამისი პირის ნაცვალსახელით.
2. მოსწავლეები კითხულობენ წინადადებებს და ასახელებენ ამა თუ იმ გამუქებული ნაცვალსახელის ბრუნვას.
3. III სუბიექტური და ობიექტური პირების ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა—ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
4. კითხვის ნიშნების ნაცვლად მოსწავლეები ასახელებენ შესაბამისი პირის ნაცვალსახელებს.



პირის ნაცვალსახელები
(ახლავს ზმნას)

| სახელობითი (ვინ?) | მოთხრობითი (ვინ?) | მიცემითი (ვის?) |
|---|---|---|
| მე<br>შენ<br>ის (კაცი) | მე<br>შენ<br>მან (კაცმა) | მე<br>შენ<br>მას (კაცს) |
| ჩვენ<br>თქვენ<br>ისინი (კაცები) | ჩვენ<br>თქვენ<br>მათ (კაცებმა) | ჩვენ<br>თქვენ<br>მათ (კაცებს) |

| ჩვენ | თქვენ |
|---|---|
| მე და შენ<br>მე და თქვენ<br>მე და ის<br>მე და ისინი<br>მე და მას<br>მე და მათ | შენ და ის<br>შენ და ისინი<br>შენ და მას<br>შენ და მათ |

III სუბიექტური (S) და ობიექტური (O) პირები

ვინიანი ზმნა (1):

| | |
|---|---|
| **აწმყო** (რას შვრება?) | ის წერს მას |
| **წყვეტილი** (რა ქნა?) | მან დაწერა ის |
| **თურმეობითი** (რა უქნია?) | მას დაუწერია ის |

ვინიანი ზმნა (2):

| | |
|---|---|
| **აწმყო** | ის ეხმარება მას |
| **წყვეტილი** | ის დაეხმარა მას |
| **I თურმეობითი** | ის დახმარებია მას |

მანიანი ზმნა:

| | |
|---|---|
| **აწმყო** | მას ჰყავს ის |
| **უწყვეტელი** | მას ჰყავდა ის |
| **I თურმეობითი** | მას ჰყოლია ის |

1. **წაიკითხე წინადადებები და ხაზგასმული სიტყვები შეცვალე შესაბამისი პირის ნაცვალსახელებით.**
   ა. **მე და დათო** კინოში ვიყავით.
   ბ. **მხატვარმა** მოაწყო გამოფენა.
   გ. **მე და ჩემს დას** მოგვწონს ეს ფილმი.
   დ. **ბიჭები** მიდიან მთაში.
   ე. სახლი **პაპაჩემმა და მისმა ძმამ** ააშენეს.
   ვ. რატომ არ მოგწონთ **შენ და შენს ძმას** ეს ფილმი?
   ზ. იქ მარტო **ეკა და მარი** იყვნენ.
   თ. რატომ იჩხუბეთ **შენ და გიორგიმ** გუშინ?
2. **წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რომელ ბრუნვაში დგას გამუქებული ნაცვალსახელები.**
   ა. **მე** და მას ერთნაირი ხასიათი გვაქვს.
   ბ. **მე** უარი ვუთხარი მას.
   გ. **შენ** ძალიან ნიჭიერი ხარ.
   დ. **მათ** არ წაუკითხავთ ეს წიგნი.
3. **დააკვირდი ვინიანი და მანიანი ზმნების ცხრილებს და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რომელი ზმნის სუბიექტი იცვლის ბრუნვის ფორმას?
   ბ. რომელი ზმნების სუბიექტები არ იცვლიან ბრუნვის ფორმას?
   გ. რომელი ზმნის სუბიექტს აქვს მოთხრობითი ბრუნვა?
   დ. რომელი ზმნის სუბიექტი დგას მხოლოდ:
      1. სახელობითში?
      2. მიცემითში?
   ე. რომელი ზმნების ობიექტებია ბრუნვაუცვლელი?
   ვ. რომელ ბრუნვაში დგას:
      1. მანიანი ზმნის ობიექტი?
      2. ვინიანი 2-ის ობიექტი?
   ზ. რომელ მწკრივში დგას ვინიანი 1-ის სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში?
4. **წაიკითხე წინადადებები და კითხვის ნიშნების ნაცვლად დაასახელე შესაბამისი პირის ნაცვალსახელები.**

ეს ჩემი მეგობარია. -?- ჰქვია ბაია. -?- ჩემზე ერთი წლით უფროსია. -?- გუშინ მე ლამაზი ჩანთა მაჩუქა. -?- ძალიან ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს -?-.

5. **დააკვირდი ჩვენებით ნაცვალსახელებს და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რომელი პირია ეს/ეგ/ის (იგი) ნაცვალსახელები?
   ბ. რით განსხვავდება ეს/ეგ/ის (იგი) ნაცვალსახელები ერთმანეთისაგან?
   გ. რით განსხვავდება ჩვენებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებისაგან?
   დ. რომელი ბრუნვები ჰგავს ერთმანეთს და რით? რა აქვთ მათ საერთო?
   ე. რით განსხვავდება სახელობითი ბრუნვა დანარჩენი ბრუნვებისაგან?

6. **წაიკითხე და დაასახელე, რომელი ნაცვალსახელია – პირის თუ ჩვენებითი?**
   ა. **ის** გუშინ ძალიან გვიან მოვიდა.
   ბ. **ეს** ბიჭი ძალიან ჭკვიანია.
   გ. **ეგ** ბევრს ლაპარაკობს.
   დ. **ის** ჰყვებოდა **ამ** ამბავს.
   ე. **ამან** დაალაგა **ის** ოთახი.
   ვ. **იმის** დაწერილია **ეს** წერილი.
   ზ. **მაგას** ჰკითხე **ამის** შესახებ.
   თ. **ამით** შეიძლება, **ეს** ვჭამო?

7. **წაიკითხე წინადადებები და ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად დაასახელე შესაბამისი ნაცვალსახელები.**
   **მიუთითე, რომელი ნაცვალსახელია – პირის, ჩვენებითი თუ კუთვნილებითი?**
   ა. მიხარია, ბავშვებს რომ ვუყვარვარ.
   ბ. შეიძლება, ამ ბურთით რომ ვითამაშოთ?
   გ. ეს იმ ბავშვებს უნდა ჰკითხო.
   დ. ეს ველოსიპედი დედამ ჩემს ძმას უყიდა.
   ე. ჩემი ძმის ველოსიპედი სამბორბლიანია.
   ვ. ეს სახლი იმ გოგოსია.
   ზ. ესენი ფეხბურთელების მაისურებია.

8. **მოძებნე შეცდომები და დაასახელე. მიუთითე სწორი ფორმა.**

ჩემს ბიძაშვილებს თავისი ძველი კომპიუტერი აღარ მოსწონთ. მას უნდა, რომ ახალი იყიდონ, ზუსტად ეგეთი, როგორიც გიას აქვს. გიას კი მისი კომპიუტერი არ მოსწონს, მას ჩემნაირი მოსწონს.

### ჩვენებითი ნაცვალსახელები

*(ახლავს სახელს)*

| | ეს | ეგ | ის (იგი) |
|---|---|---|---|
| მიუთითებს: | Iპ.-თან მყოფს | IIპ.-თან მყოფს | I-II პ.-ისაგან შორს მყოფს |
| **სახელობითი** | ეს | ეგ | ის (იგი) |
| **მოთხრობითი** | ამან | მაგან | იმან (მან) |
| **მიცემითი** | ამას | მაგას | იმას (მას) |
| **ნათესაობითი** | ამის | მაგის | იმის (მის) |
| **მოქმედებითი** | ამით | მაგით | იმით (მით) |

**მრავლობითი რიცხვი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სახ.** | ესენი | ეგენი | ისინი |
| **მოთხ.** **მიც.** **ნათ.** | ამათ | მაგათ | იმათ (მათ) |

*ჩვენებითი ნაცვალსახელებია აგრეთვე:*

ასეთი / ისეთი / ეგეთი

ამნაირი / იმნაირი / მაგნაირი

ამისთანა / იმისთანა / მაგისთანა

ამდენი / იმდენი / მაგდენი

### კუთვნილებითი ნაცვალსახელები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მხ.** | ჩემი | შენი | მისი (ამისი, იმისი) |
| **მრ.** | ჩვენი | თქვენი | მათი (ამათი, იმათი) |

**თავისი / მისი (იმისი)**

*თავიანთი / მათი (იმათი)*

| | |
|---|---|
| **თავისი** | გამოხატავს მოქმედი პირის კუთვნილებას |
| **მისი (იმისი)** | გამოხატავს სხვის კუთვნილებას |

*ეს გიას ძმის ჩანთაა. გიას თავისი ჩანთა არ მოსწონს, მას ძმის (მისი) ჩანთა მოსწონს.*

*ნანამ და ლიამ წიგნები გაცვალეს. ნანამ ლიას თავისი წიგნი მისცა, თვითონ კი მისი წიგნი აიღო.*



გვ. 25

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

5. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, უპასუხონ ჩვენებით ნაცვალსახელთან დაკავშირებულ (ა—ე) შეკითხვებს.
6. მოსწავლეებს ევალებათ, განასხვაონ ა—თ პუნქტებში წარმოდგენილი პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები.
7. ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები განასხვავებენ პირის, ჩვენებით და კუთვნილებით ნაცვალსახელებს.
8. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ასახელებენ და ცვლიან კუთვნილებითი ნაცვალსახელების მცდარ ფორმებს.

გვ. 26

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ინტერვიუს პოპულარულ მსახიობთან და ტელეწამყვანთან რ. მაყაშვილთან და ასრულებენ ლექსიკურ—გრამატიკული ტიპის სავარჯიშოებს მოსწავლის რვეულში.
2. მოსწავლეები კითხულობენ მსახიობის მოგონებებს და იყენებენ მათ მოსწავლის რვეულში წარმოდგენილი დავალებების შესასრულებლად.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 60, № 1, 2, 3; გვ. 61, № 4, 5, 6, 7, 8, 9; გვ. 62, № 1: სრულდება ენობრივი სავარჯიშოები მოსწავლის წიგნში წარმოდგენილ ინტერვიუს და მოგონებების მიხედვით.

თემა 1

**1. გაეცანი ინტერვიუს და შეასრულე დავალებები რვეულში.**



*1988 წ. 27 ოქტომბერი*
*თბილისი*
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*
*სატელევიზიო შოუს – „ცეკვავენ ვარსკვლავები“ – მეორე სეზონის გამარჯვებული*
*საყვარელი ადამიანი – დედა*
*საყვარელი წიგნი – „თამაში ჭვავის ყანაში“*

**– რას აფასებ ადამიანში?**

– ბევრ რამეს, მაგრამ მთავარი მაინც გულახდილობაა.

**– როგორი ადამიანები არ გიყვარს?**

– ყალბი, ბოროტი და ამბიციური.

**– რამდენი წლის იყავი, მსახიობობა რომ დაიწყე?**

– ბავშვობიდან ვთამაშობ სპექტაკლებში. შემდეგ იყო თეატრალური ინსტიტუტი.

**– შენი საყვარელი როლი...**

– ტრაგიკული სარა კეინი სპექტაკლში „ფსიქოზი 4:48“.

**– გიყვარს კლუბებში სიარული?**

– ისე რა, მაგრამ ცეკვა მიყვარს. ყველგან შემიძლია ვიცეკვო, ქუჩაშიც კი.

**– ვინ ხარ ჰოროსკოპით?**

– მორიელი.

**– რომელია შენი საყვარელი მსახიობი?**

– გამორჩეულად მერილ სტრიპი და დასტინ ჰოფმანი მიყვარს.

**– როგორი იყავი ბავშვობაში?**

– ძალიან ცელქი და სასაცილო. ახლაც ასეთი ვარ.

**– თვლი, რომ წარმატებული ხარ?**

– არა, ალბათ, ჯერ არა. ისე, ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ქუჩაში ბავშვები მოდიან და მეხუტებიან.

**– რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება?**

– „ოსკარის“ აღება.

**2. წაიკითხე ფრაგმენტები მოგონებებიდან და დააკავშირე ინტერვიუსთან.**

*I. „ამას წინათ გოგონები კაფეში ვისხედით. შემოვარდა ერთი, დამინახა, მომვარდა, ძალიან მიყვარხარო და დაიწყო ტირილი. ვუთხარი, არ გაბედო, თორემ მეც ვიტირებ-მეთქი. მიხარია, მათ რომ ვუყვარვარ. ისინი ხომ ყველაზე გულწრფელები და გულახდილები არიან!“*

*II. „ყველაფერი უცნაურად მოხდა. მეოთხე კურსზე ვიყავით მე და ჩემი და, როცა დაგვირეკეს. სიხარულისაგან ვკიოდი, ვღრიალებდი, ოთახიდან ოთახში დავრბოდი. ნინუცა გავალვიძე, არ დაიჯერა... ბუფეტში ვერ შევდიოდით, გვერიდებოდა, მსახიობებისა გვრცხვენოდა“.*

*III. „ერთხელ მდინარე არაგვმა წაიღო. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდა. უცებ ფეხი აუცურდა და დინებამ წაიღო. კიდევ კარგი, რომ დიდი ბიჭები იდგნენ წყალში, ეცნენ და ამოიყვანეს. სულ ასეთი რამეები ემართებოდა. მახსოვს, ბორჯომში ვისვენებდით. ერთ დღესაც გაქრა. ბევრი ვეძებეთ და ბოლოს მივაგენით – უზარმაზარი კარადის ქვეშ იყო მოყოლილი“.*

*IV. „ეს სპექტაკლი ბევრი რამის გაანალიზებაში დამეხმარა. ადრინდელისაგან განსხვავებით, ახლა ყველაფერზე ბევრს ვფიქრობ. ფიქრს შორს მიჰყავხარ. მართალია, სპექტაკლი მძიმეა, მაგრამ სტიმულს გაძლევს, გეხმარება. მელოდიასავითაა – ისმენ და ბოლომდე მიჰყვები“.*

*V. „მისთვის პოპულარობა მთავარი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის კეთებაა“.*

**3. დაუბრუნდი მოგონებებს და დაასახელე, რომელი მათგანი ეკუთვნის მსახიობის დედას? რაგაძლევს ამის თქმის საფუძველს?**

26 ეს ჩემი ცხოვრებაა!

**4. მოძებნე შესაბამისი ინფორმაცია ტექსტში და წაიკითხე.**

საიდან, ჩანს, რომ:

ა. მერილ სტრიპი წარმატებული მსახიობია?
ბ. ის სხვადასხვა ეროვნების ადამიანების შთამომავალია?
გ. მერილ სტრიპი არ იყო დედისერთა?
დ. მას მხოლოდ ფილმებში არ იღებდნენ?
ე. მერილ სტრიპს ბავშვობაში სხვა პროფესია აინტერესებდა?



*ამერიკელი მსახიობი მერილ სტრიპი ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს, „ოსკარის“, ლაურეატია. პირველი ოსკარი მან 1979 წელს მიიღო ფილმისათვის „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, რომელშიც ის დასტინ ჰოფმანთან ერთად მთავარ როლს ასრულებს. მერილ სტრიპს სულ 2 ოსკარი, 8 ოქროს გლობუსი, კინომსახიობთა გილდიის 2 პრემია და ბრიტანული კინოაკადემიის 1 ჯილდო აქვს მიღებული.*

*მერილ სტრიპი 1949 წლის 22 ივნისს ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ სამიტში დაიბადა. მამამისი ფარმაცევტულ კომპანიაში მუშაობდა, დედა კი მხატვარი იყო. დედის მხრიდან მისი წინაპრები შვედური, ირლანდიური და ინგლისური წარმომავლობისანი იყვნენ, ხოლო მამის ოჯახს გერმანული ფესვები ჰქონდა. სტრიპის წინაპრები იყვნენ, ასევე, ესპანელი ებრაელებიც, თუმცა თავად მერილი ებრაელი არ არის.*

*მერილ სტრიპი უფროსი შვილი იყო. ის საოცრად ნიჭიერი, თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო. მშობლებს მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ოჯახში ყველა ძალიან კარგად მღეროდა. მერილი ერთხანს საოპერო მომღერლობაზეც კი ფიქრობდა, თუმცა მაინც დრამატულმა ხელოვნებამ გადაძალა. მისი ნიჭის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ პედაგოგები. ის ყველასგან გამოირჩეოდა.*

*იელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1975 წელს, მერილი ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. თავბრუდამხვევი წარმატება უცებ მოვიდა და ახალგაზრდა მერილი თეატრის ვარსკვლავიდან კინოვარსკვლავად იქცა.*

*ჰოლივუდში მერილ სტრიპს ერთგულების ნიჭით დაჯილდოებული ქალი შეარქვეს. 1978 წლის 15 სექტემბერს მან ნიჭიერ და ელეგანტურ მოქანდაკეზე, დონ ჰამერზე იქორწინა. მათ ოთხი შვილი შეეძინათ. ერთ-ერთი დედის გზას გაჰყვა და პროფესიად მსახიობობა აირჩია.*

**5. დააკვირდი და უპასუხე: რა აქვთ საერთო ცალკეულ უჯრაში მოცემულ სიტყვებს? რა ფუნქცია აქვს პირველ უჯრაში მოცემულ სიტყვებს? რის შესახებ იძლევა ინფორმაციას მეორე უჯრაში მოცემული სიტყვები?**

| | |
|---|---|
| *ვინ რა სად როგორი რომელი რამდენი როდის როგორ სადაური ვის რას ვისზე რაზე რისთვის ვისთან ერთად რის გამო* | *არის იყო მიიღო ასრულებს დაიბადა მუშაობდა იყვნენ ჰქონდა მღეროდა ფიქრობდა მალავდნენ გადავიდა მოვიდა შეარქვეს იქორწინა აირჩია* |

**6. გამოიყენე ცხრილში მოცემული მასალა და მეწყვილესთან ერთად შეადგინე კითხვები ტექსტის გარშემო. იმუშავე რვეულში. წაიკითხე და შეადარე სხვების შეკითხვებს.**

**ნიმუში:** *რომელი ფილმისთვის მიიღო მერილ სტრიპმა პირველი ოსკარი?*

**7. გამოიყენე შენი შეკითხვები, ჩასვი ზმნები შესაბამის პირსა და რიცხვში, შეადგინე ინტერვიუ მერილ სტრიპთან და წაიკითხე.**



## გვ. 27

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. მოსწავლეები ეცნობიან ავტობიოგრაფიულ ტექსტს გამოჩენილი ამერიკელი მსახიობის, მერილ სტრიპის შესახებ და წაკითხულის გაგების შესამოწმებლად პასუხობენ ა—ე შეკითხვებს.

<u>მოსწავლის რვეული</u>

ტექსტზე დაყრდნობით სრულდება კითხვის საკომუნიკაციო უნარზე ორიენტრებული დავალებები: გვ. 62, № 2; გვ. 63. № 5, 6; გვ. 64, № 1, 2, 3.

სრულდება გრამატიკული ტიპის სავარჯიშოთა სერია: გვ. 63, № 4, 7.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები აკვირდებიან და აკავშირებენ უჯრედებში მოყვანილ კითხვით სიტყვებსა და ზმნებს.
5. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყილეები მუშაობენ რვეულებში: სვამენ კითხვებს ტექსტის ირგვლივ და ადარებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.
6. შედგენილი კითხვების მეშვეობით მოსწავლეები ადგენენ ინტერვიუს მერილ სტრიპთან და თავიანთ ნამუშევარს წარუდგენენ კლასს.

გვ. 28

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და აღწერენ მათ სვეტში მოცემულ შეკითხვებზე დაყრდნობით.

მოსწავლის რვეული

გვ. 65—66 № 4 (I, II, II, IV, V): მოსწავლის რვეულში წარმოდგენილი სამი ილუსტრაციის მიხედვით სრულდება კომბინირებული დავალება. მასწავლებელი კლასს ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილ ენობრივ ცნობარზე.

თემა 1

## 2. სტრესი და ბიორიტმი

**თემატური ცნობარი**

- ყოველდღიური ცხოვრების ბიორიტმი
- ახალგაზრდა ქართველი მსახიობის ცხოვრების რიტმი
- სტრესი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები
- ადამიანთა ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპები
- ჰოროსკოპი და ადამიანთა ფსიქოტიპები

**ენობრივი ცნობარი**

- ზედსართავი სახელის წარმოება და ფუნქციები
- II კავშირებითი (წარმოება და ფუნქციები)

**1. დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ სვეტში მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.**





- რა არის ფოტოებზე აღბეჭდილი? აღწერე ისინი დეტალურად.
- მიუთითე, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.
- რის შესახებ იძლევა ეს ფოტოები ინფორმაციას? მაგალითად:
  - ა. რა ხდება, ზოგადად, ქალაქის ქუჩებში;
  - ბ. როგორ გადაადგილდებიან დიდსა და პატარა ქალაქებში;
  - გ. როგორია ყოველდღიური ცხოვრების რიტმი განსხვავებულ დასახლებულ პუნქტებში და ა.შ.
- ფიქრობ თუ არა, რომ განსხვავებულია ყოველდღიური ცხოვრების რიტმი დიდსა და პატარა ქალაქებში? თავიდან დააკვირდი ფოტოებს და ისე უპასუხე შეკითხვას.
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე, რაში ჩანს ეს განსხვავება.
- რა ხდება იმ ქალაქში, სადაც შენ ცხოვრობ (ან რომლის ახლოსაც ცხოვრობ)?

28 ეს ჩემი ცხოვრებაა!



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 38

**2. დააკვირდი სურათს და ისაუბრე მის შესახებ. როგორია ნახატზე მოცემული პერსონაჟის ყოველდღიური ცხოვრების ბიორიტმი? საიდან ჩანს ეს?**



**3. გაიხსენე რუსკა მაყაშვილი: ვინ არის, როგორია და რას საქმიანობს? როგორ ფიქრობ, მისი ხასიათიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, როგორი იქნება მისი ჩვეულებრივი ცხოვრების ბიორიტმი? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე შენი პოზიცია.**

**4. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსია.**



„...თუ რეპეტიცია მაქვს, დილით ერთი საათით ადრე ვდგები და გავრბივარ. 24 საათის განმავლობაში თუ რვა საათი არ დავიძინე, საშინლად ვარ. კარგად გამოძინების შემთხვევაში, დილით შხაპს ვიღებ, ვიცვამ და ყოველგვარი საუზმის – ყავა-ჩაის გარეშე გავრბივარ თეატრში რეპეტიციაზე, რომელიც სამის ნახევრამდე გრძელდება. ამის შემდეგ პირდაპირ სერიალის გადაღებაზე მივდივარ, იქიდან ისევ თეატრში ვბრუნდები. მთელი დღე გადარბენაზე ვარ. ამიტომ ჩემი გადაადგილების საშუალება ტაქსია.

...დღე მთავრდება ტელევიზორის ფონზე დაძინებით. ასეთი რეჟიმის გამო წიგნისთვის ვერ ვიცლი. სამაგიეროდ,ძალიან ბევრს ვკითხულობ ზაფხულში. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში მთელი წლის მარაგს ვიღებ, რადგან აქტიური მუშაობის დროს კითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება ჩემთვის.“

**5. წაიკითხე, მოცემული ფრაზებიდან რომელი შეესაბამება ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრების რიტმს?**

*მთელი დღე დაკავებული ვარ.* *სულ ვჩქარობ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვასწრებ.*
*ბევრი თავისუფალი დრო მაქვს.* *ერთი საქმიდან მეორემდე დიდი შუალედი მაქვს.*
*არ მიყვარს ეს დღე, გადატვირთული გრაფიკი მაქვს.* *არსად არ მეჩქარება.*
*საცობების გამო ყველგან ვიგვიანებ.* *სულ გზაში ვარ.*

**6. როგორია შენი ყოველდღიური ცხოვრების რიტმი? გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე შენ შესახებ.**



## გვ. 29

### მოსწავლის წიგნი

2. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები აღწერენ პერსონაჟის ბიორიტმს.
3. მასწავლებელი ახსენებს კლასს ინტერვიუს რ. მაყაშვილთან. მისი საქმიანობიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, კლასში იმართება დისკუსია მსახიობის ბიორიტმთან დაკავშირებით.
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გადაამოწმონ მათი მოსაზრებები.

### მოსწავლის რვეული

გვ. 66. № 1: სავარჯიშო სრულდება წინა ქვეთავზე დაყრდნობით.

გვ. 67—68, № 2 (ა, ბ, გ ) სრულდება ლექსიკის ათვისებასა და განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალება.

გვ. 69, №2, გვ. 70, № 1, 2; გვ. 71, № 3, 4, 5, 6; გვ. 72, № 1, 2, 3. სრულდება სავარჯიშოების სერია.

### მოსწავლის წიგნი

5. დავალება სრულდება უჯრედში მოცემული ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით.
6. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ თავიანთი ბიორიტმის შესახებ.

## გვ. 30

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და მსჯელობენ მათ შესახებ.
2. მოსწავლები ეცნობიან უჯრედში მოყვანილ ინფორმაციას სკულპტურისა და მოქანდაკის შესახებ და პასუხობენ ა—დ შეკითხვებს, რაშიც მათ სტრესის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ეხმარებათ.
3. მოსწავლეები კითხულობენ შეკითხვებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს სტრესის მიზეზების შესახებ.
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს (გვ. 31) და პასუხობენ № 3 დავალებაში მოყვანილ შეკითხვებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 72, № 1: მოსწავლეები მუშაობენ წყვილში. ერთად ავსებენ კითხვარს და აცნობენ მას თანაკლასელებს.

გვ. 72 № 2, 3: სრულდება ლექსიკურ—გრამატიკული სავარჯიშოები.



**1. დააკვირდი ფოტოებს. პირველ ფოტოზე გამოსახულია სკულპტურა შორიდან, მეორეზე კი ახლოდან ჩანს სკულპტურის დეტალი.**

**დააკვირდი მეორე ფოტოს და დაასახელე, რა არის, შენი აზრით, მასზე გამოსახული?**

**როგორ ფიქრობ, რას გამოხატავს ეს სკულპტურა?**







**2. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და თავიდან დააკვირდი ფოტოებს. იმსჯელეთ მოქადაკის გადაწყვეტილების შესახებ ქვემოთ მოცემული კითხვების დახმარებით.**

კუბელმა მოქანდაკემ, იოან კაპოტემ, შექმნა სკულპტურა, რომელიც წარმოადგენს 17-ტონიან ბლოკებს შორის მოთავსებულ ადამიანის დაკრეჭილ კბილებს. სკულპტურა გამოხატავს სტრესს.

მოქანდაკის აზრით, სტრესის სიმბოლო სწორედ ეს კბილებია.

ა. რატომ აირჩია კუბელმა მოქანდაკემ მაინცდამაინც კბილები?
ბ. რის ასოციაციას იწვევს დაკრეჭილი კბილები?
გ. გამოიყენე მოცემული სიტყვები და დაასახელე, სტრესის რომელი გამოვლინება აირჩია სკულპტურის ავტორმა?

*დეპრესია, შფოთვა, საკუთარ თავში ჩაკეტვა, აგრესია, მეხსიერების დაკარგვა, შოკი, წონასწორობის დაკარგვა, გაღიზიანება, სიბრაზე, უძილობა, უმადობა, დისკომფორტი.*

დ. ეთანხმები თუ არა მის გადაწყვეტილებას? შენ თავად რა ფორმით გამოხატავდი სტრესს?

**3. გაეცანი მოცემულ შეკითხვებს და ისაუბრე მათ შესახებ.**

- რა არის სტრესი?
- რა შეიძლება გახდეს სტრესის მიზეზი?
- რა ხდება სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში?
- რას იწვევს სტრესი?
- ხვდები თუ არა ყოველდღიურ ცხოვრებაში სტრესულ სიტუაციებს და სად?
- დაუბრუნდი 28-ე გვერდზე მოცემულ ფოტოებს. სად უფრო მეტია სტრესული სიტუაციებია და რატომ?

**4. წაიკითხე 31-ე გვერდზე მოცემული ტექსტი, მოძებნე მესამე დავალებაში მოცემულ შეკითხვებზე პასუხები და დაასახელე. შეასრულე დავალებები რვეულში.**

„სტრესი“ ინგლისური სიტყვაა და დაძაბვას, დაჭიმულობას ნიშნავს. ეს ტერმინი 1936 წელს შემოიღო კანადელმა ფიზიოლოგმა ჰანს სელიემ. მისი განმარტებით, სტრესი არის ორგანიზმის პასუხი წაყენებულ მოთხოვნაზე.

სტრესი მთელი თავისი მრავალფეროვნებით (ემოციური, ფსიქოლოგიური, პირადული, ფიზიკური და ა.შ.) დიდი ქალაქებისა და, ზოგადად, 21-ე საუკუნის ყველაზე „გავრცელებული სენია“.

სტრესის დროს სისხლში დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა. ხანმოკლე სტრესი ადამიანისათვის უვნებელია, მეტიც, მოვალეობების უკეთ შესრულებაშიც კი უწყობს ხელს. ხანგრძლივ სტრესს კი შეუძლია მძიმე დაავადებების გამოწვევა ორგანიზმის გამოფიტვის გამო.

სტრესის მიზეზი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სიტუაცია, რომელზეც ადამიანი ემოციურად რეაგირებს. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს: ოჯახური კონფლიქტები, ახლობელი ადამიანის დაკარგვა, მუდმივად დაძაბული გარემო, კრიზისული სიტუაციები, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, გონებრივი გადატვირთვა, მუდმივი წარუმატებლობა, ახლობლებთან მუდმივი უთანხმოება, კონფლიქტები და სხვა.

ნეგატიური სტრესფაქტორები განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის იმ მოზარდებს, რომლებიც ამ ასაკში ისედაც მაღალი მგრძნობელობითა და ემოციურობით გამოირჩევიან. მოზარდს შეიძლება ჰქონდეს მკვეთრი რეაქციები, როდესაც აკრიტიკებენ, რჩევას აძლევენ, აღნიშნავენ მის ნაკლს და უზღუდავენ თავისუფლებას. ეს კი იწვევს სტრესს, დეპრესიას, მომატებულ აგრესიას, შფოთვას, მეხსიერების დაქვეითებასა და სხვა. შესაბამისად, ისინი ხდებიან გულჩათხრობილები, დეპრესიულები, საკუთარ თავში ჩაკეტილები ან, პირიქით, აგრესიულები, უხეშები და სხვა.







**5. დააკვირდი მოცემულ სურათებს და აღწერე შესაბამისი სიტუაციები.**

- რა ხდება თითოეულ სურათზე? დაასახელე, ვინ რას აკეთებს? აღწერე მათი ემოციები.
- არიან თუ არა ეს ადამიანები სტრესულ სიტუაციებში? საიდან ჩანს ეს?
- რა არის მათი სტრესის მიზეზი?
- ვინ რა ფორმით რეაგირებს სტრესულ სიტუაციაში? შენ როგორ მოიქცეოდი კონკრეტულ შემთხვევაში?



## გვ. 31

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და აღწერენ თითოეულ სტრესის გამომწვევ სიტუაციას.

## მოსწავლის რვეული

გვ. 74 № 1, 2: სრულდება გრამატიკული სავარჯიშოები.

გვ. 74 № 3: სრულდება დავალება წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით (მოსწავლის წიგნი, გვ. 31 ). მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები იყენებენ ძიებითი კითხვის ტექნიკას და ამოკრეფენ ტექსტიდან მიზნობრივ ინფორმაციას.

გვ. 75, 4: დავალება სრულდება იმავე ტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 32

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, უპასუხონ ზედსართავ სახელთან დაკავშირებულ შეკითხვებს (ა—დ).
2. მოსწავლეები ეცნობიან წარმოქმნილ ზედსართავ სახელებს და ასახელებენ მათ მაწარმოებელ სიტყვებს.
3. მოსწავლეები შეკითხვას უსვამენ ხაზგასმულ ზედსართავ სახელებს.
4. მეორე გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით მოსწავლეებს ევალებათ, უპასუხონ სახელის მრავლობითობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს (ა—ვ).
5. სავარჯიშო სრულდება მეორე გრამატიკული ცნობარის მიხედვით.



### ზედსართავი სახელები

**აღნიშნავს** *საგნის ნიშან-თვისებას, იძლევა დამატებით ინფორმაციას მის შესახებ:*

*როგორი / რომელი / რანაირი? – მაღალი, კეთილი, შავი, უცხო, აგრესიული...*

*სადაური? – თბილისელი, ქართული, აქაური, ქალაქელი...*

*როდინდელი? – დღევანდელი, გუშინდელი...*

| | |
|---|---|
| პირველადი, ძირეული | დიდი, პატარა, კარგი, ცუდი, მაღალი, წითელი, ნაზი, მკაცრი, ცელქი... |
| სხვა სახელისაგან წარმოქმნილი | ქუდიანი, ჩვენიანი, ხუთოსანი, ჩვენებური, აქაური, უყურო, გუშინდელი, აშენებული, ორმაგი, დაწერილი, მშვენიერი, გულადი... |

### სახელის მრავლობითობა

| | -ებიანი მრავლობითი | -ნართანიანი მრავლობითი |
|---|---|---|
| ბავშვ-ი<br>წიგნ-ი<br>ხე<br>წყარო<br>მთა | ბავშვ-ებ-ი<br>წიგნ-ებ-ი<br>ხე-ებ-ი<br>წყარო-ებ-ი<br>მთ-ებ-ი | ბავშვ-ნ-ი<br>წიგნ-ნ-ი<br>ხე-ნ-ი<br>წყარო-ნ-ი<br>მთა-ნ-ი |

| | | |
|---|---|---|
| **სახელობითი:** | *დედ-ებ-ი* | *დედა-ნ-ი* |
| **მოთხრობითი:** | *დედ-ებ-მა* | *დედა-თ-ა* |
| **მიცემითი:** | *დედ-ებ-ს* | *დედა-თ-ა* |
| **ნათესაობითი:** | *დედ-ებ-ის* | *დედა-თ-ა* |
| **წოდებითი:** | *დედ-ებ-ო* | *დედა-ნ-ო* |

**დაიმახსოვრე!**

**მრავლობითის ფორმა არ აქვს:**

1. *საკუთარ სახელებს (ნინო, თბილისი, საქართველო, მტკვარი...)*
2. *ნივთიერებათა სახელებს (თოვლი, თაფლი, ლობიო... ასევე: ხილი, მტვერი, ჰაერი...)*
3. *მოქმედების სახელებს (წერა, კითხვა, დგომა...)*

**მხოლოდ ნართანიანი გამოიყენება:**

1. *მყარ გამოთქმებში: ბავშვთა სახლი, მშობელთა კრება...*
2. *რაოდენობით რიცხვით სახელებთან: ორნი, სამნი, ათნი, ორმოცდაათნი...*

**1. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელ სიტყვებს უწოდებენ ზედსართავ სახელებს?
ბ. რისთვის გამოიყენება ზედსართავი სახელები?
გ. რის შესახებ იძლევა ისინი ინფორმაციას?
დ. რით განსხვავდება წარმოქმნილი ზედსართავი სახელები პირველადი ზედსართავებისაგან?

**2. წაიკითხე მარცხნივ მოცემული წარმოქმნილი ზედსართავი სახელები და დაასახელე, რომელი სიტყვიდან არის ისინი მიღებული?**

**ნიმუში:** ქუდიანი: მიღებულია სიტყვიდან „ქუდი“.

**3. დაუსვი ხაზგასმულ ზედსართავ სახელებს შეკითხვები.**

ა. გუშინდელი გადაცემა ძალიან საინტერესო იყო.
ბ. მე აქაური არ ვარ, სოხუმელი ვარ.
გ. ის მაღალი კაცი მამაჩემია.
დ. მე ეს უყურო ჩანთა უფრო მომწონს.
ე. ეს სახლი ახალი აშენებულია.

**4. დააკვირდი მეორე ცხრილს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რამდენი მრავლობითის ფორმა არსებობს ქართულში?
ბ. რომელი მრავლობითის ნიშანია **–ნ**?
გ. რომელ ბრუნვებში აქვს სახელს **–ნ** ნიშანი?
დ. რომელ მრავლობითში აქვს სახელს ერთნაირი ფორმა? დაასახელე ეს ბრუნვები.
ე. რომელი სახელები ვერ აწარმოებენ მრავლობითს?
ვ. რომელ მრავლობითს იყენებს რაოდენობითი რიცხვითი სახელი?

**5. მოძებნე და გაასწორე მცდარი ფორმები.**

**ა.** ხვალ მშობლების კრებაა. **ბ.** დათვებს უყვართ თაფლი. **გ.** თოვლებით დაიფარა მთები. **დ.** უდედმამო ბავშვები ბავშვების სახლებში ცხოვრობენ. **ე.** მე მარტო ეს კითხვები მაქვს. **ვ.** ხვალ სკოლაში საკონტროლო წერები გვაქვს. **ზ.** კლასში მარტო ათები არიან.

6. **დააკვირდი ვინიანი ზმნების უღლებას II კავშირებითში და შეასრულე დავალებები.**
   ა. რა ნიშნები აქვს ვინიან 1-ს II კავშირებითში?
   ბ. დაასახელე II კავშირებითის მწკრივის ნიშნები ვინიან 2-ის ზმნებთან.
   გ. რა აქვთ მათ საერთო და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან ამ თვალსაზრისით?
   დ. დაუბრუნდი ვინიანი 1-ის ზმნებს.
      1. წყვეტილისა და II კავშირებითის რომელი პირის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს?
      2. რა არის ეს **–ა** და **–ო** ცალკეულ შემთხვევაში?
      3. რა ცვლილებას განიცდის ზმნა „დავჭერი“ II კავშირებითში?
   ე. დაუბრუნდი ვინიან 2-ის ზმნებს. რომელ ზმნებთან იკარგება მწკრივის ნიშანი და კონკრეტულად – სად?

7. **დააკვირდი მანიანი ზმნების უღლებას II კავშირებითში და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რა არის II კავშირებითის მწკრივის ნიშნები?
   ბ. რომელ ვინიან ზმნებს აქვს ანალოგიური ნიშნები?

8. **წაიკითხე და დაასახელე, რას გამოხატავს ხაზგასმული ზმნები – *ფაქტს, რჩევას, ბრძანებას, აუცილებელ მოქმედებას, ვარაუდს, სურვილს?* მიუთითე, რა ტიპის ზმნაა და რომელი მწკრივია?**
   ა. ალარ მცივა, უკვე გავთბი.
   ბ. ეს არ უნდა ეწყინოს გიორგის!
   გ. მანანამ ყვითელი ფოთლები შეაგროვა.
   დ. შესაძლებელია, მან მოახერხოს და წავიდეს!
   ე. მე შემიყვარდა წვნიანი.
   ვ. ეს შენობა, სასურველია, აშენდეს!
   ზ. არ წახვიდე, არ გირჩევ იქ წასვლას!
   თ. ჩვენ ძალიან შეგვეშინდა დიდი ძაღლის.

II კავშირებითი

**ის გამოხატავს:**

1. *აუცილებლობას (უნდა + ...)*
2. *შესაძლებლობას (შეგიძლია + ...)*
3. *რჩევას (გირჩევ + ...)*
4. *სურვილს (მინდა + ...)*

*წყვეტილი: მე დავჭერი ის / მან დაჭრა ის*
*მე გავიგე ის / მან გაიგო ის*

| ვინიანი ზმნა (1) | | | |
|---|---|---|---|
| -ა | | -ო | |
| მე | უნდა დავჭრა ის | მე | უნდა გავიგო ის |
| შენ | უნდა დაჭრა ის | შენ | უნდა გაიგო ის |
| მან | უნდა დაჭრას ის | მან | უნდა გაიგოს ის |
| ჩვენ | უნდა დავჭრათ ის | ჩვენ | უნდა გავიგოთ ის |
| თქვენ | უნდა დაჭრათ ის | თქვენ | უნდა გაიგოთ ის |
| მათ | უნდა დაჭრან ის | მათ | უნდა გაიგონ ის |

*წყვეტილი: მე დავრჩი / ის დარჩა*
*მე დავეხმარე მას / ის დაეხმარა მას*

| ვინიანი ზმნა (2) | | | |
|---|---|---|---|
| -ე | | -ო | |
| მე | უნდა დავრჩე | მე | უნდა დავეხმარო მას |
| შენ | უნდა დარჩე | შენ | უნდა დაეხმარო მას |
| ის | უნდა დარჩეს | ის | უნდა დაეხმაროს მას |
| ჩვენ | უნდა დავრჩეთ | ჩვენ | უნდა დავეხმაროთ მას |
| თქვენ | უნდა დარჩეთ | თქვენ | უნდა დაეხმაროთ მას |
| ისინი | უნდა დარჩნენ | ისინი | უნდა დაეხმარონ მას |

*წყვეტილი: მე მომეწონა ის / მას მოეწონა ის*
*მე შემეშინდა / მას შეეშინდა*

| **მანიანი ზმნა** | | | |
|---|---|---|---|
| -ო | | -ე | |
| მე | უნდა მომეწონოს ის | მე | უნდა შემეშინდეს |
| შენ | უნდა მოგეწონოს ის | შენ | უნდა შეგეშინდეს |
| მას | უნდა მოეწონოს ის | მას | უნდა შეეშინდეს |
| ჩვენ | უნდა მოგვეწონოს ის | ჩვენ | უნდა შეგვეშინდეს |
| თქვენ | უნდა მოგეწონოთ ის | თქვენ | უნდა შეგეშინდეთ |
| მათ | უნდა მოეწონოთ ის | მათ | უნდა შეეშინდეთ |



გვ. 33

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

6. სავარჯიშო სრულდება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, რომელიც ვინიანი ზმნების II კავშირებით კილოს ეხება. მოსწავლეები აკვირდებიან ცნობარს და პასუხობენ ა—ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
7. მოსწავლეები აკვირდებიან ცნობარს და პასუხობენ ა—ბ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
8. მოსწავლეები ასახელებენ ა—თ პუნქტებში მოყვანილი ზმნების სხვადასხვა მახასიათებელს.

## გვ. 34

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ჰიპოკრატეს მიერ ჩამოყალიბებულ ოთხ ძირითად ფსიქოლოგიურ ტიპს და ილუსტრაციებზე დაკვირვებით მსჯელობენ მათ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.
2. მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები უბრუნდებიან ილუსტრაციებს და ახასიათებენ თითოეული ფსიქოტიპის ქცევას, გარეგნობასა და სხვა პარამეტრებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 73, № 4, 5: დავალებები სრულდება ილუსტრაციაზე გამოხატული ემოციების საფუძველზე, უჯრედში მოცემული ლექსიკური ერთეულების დახმარებით.

გვ. 75, № 5, 6, 7, 8; გვ. 76, № 1, 2, 3; გვ. 79, № 2: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებათა სერია.

გვ. 76, № 4: მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის I-IV პუნქტებ,: შემდეგ კი ასათაურებენ მათ ჰიპოკრატეს ფსიქოტიპების აღწერილობის მიხედვით.

გვ. 77, № 5 : წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ავსებენ ცხრილს.

გვ. 77, № 6: უჯრედში მოყვანილი სამეტყველო ფუნქციების მეშვეობით მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს თავიანთი ფსიქოტიპების შესახებ და უზიარებენ მათ თანაკლასელებს.

გვ. 77, № 7: მოსწავლეები ავსებენ დავალების ა—დ პუნქტებს საკუთარი ფსიქო—ტიპის მიხედვით.

გვ. 78, № 1: კლასი იყოფა წყვილებად. სრულდება დავალების I-V პუნქტები.

გვ. 79—80, № 3: მხატვარ—კარიკატურისტის, ჰ. ბიდსტრუპის ნახატის მიხედვით, სრულდება დავალების ა— ზ პუნქტები.

თემა 1

1. **ტემპერამენტის მიხედვით, ძველმა ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ ადამიანთა ოთხი ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპი გამოყო: *ქოლერიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი.***

   **დააკვირდი სურათებს, აღწერე და შეადარე ისინი ერთმანეთს – ვინ რით ჰგავს ერთმანეთს და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?**



სანგვინიკი — მელანქოლიკი — ქოლერიკი — ფლეგმატიკი

2. **დაუბრუნდი სურათებს. შენი აზრით, რაში მჟღავნდება თითოეული მათგანის ფსიქოლოგიური ტიპი – მის ქცევაში, საუბარში, გარეგნობაში და სხვა?**

3. **წაიკითხე ტექსტი და თავიდან გაეცი პასუხი დასმულ შეკითხვას. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ჰიპოკრატეს მიხედვით, სანგვინიკები არიან „ტანადნი, ახოვანნი, გარეგნულად მშვენიერნი, ვაჟკაცნი, თავაზიანნი, ხალისიანნი, ალერსიანნი“, თუმცა მოკლებულნი არიან ამტანობასა და შრომის სიყვარულს.

მელანქოლიკები სანგვინიკების საპირისპირო ტიპები არიან. მათ ახასიათებთ ნაღვლიანობა, მელანქოლია, სევდა და მწუხარება.

ქოლერიკები „ხორცით ძლიერნი, ხმელ-ხმელნი, კარგად გამონაკვთული ტანით, ენერგიულნი და მხნენი, ქცევით ამაყნი, ქედმაღალნი, გულცივნი, მეომრული სულის მქონე, ნიჭიერი და ხელოვნების მოყვარული“ ადამიანები არიან.

ფლეგმატიკები ქოლერიკთა საპირისპირონი არიან, კერძოდ: „მოდუნებულნი, ძილისკენ მიდრეკილნი, არაგონებამახვილნი, შრომასა და ხელოვნებაში მოუქნელნი“.

ეს ოთხი ტიპი განსხვავებულად აღიქვამს სტრესულ სიტუაციებს და მათ მიმართ განსხვავებულ რეაქციებსაც ავლენს. ჰიპოკრატეს აზრით, სტრესი შედარებით ნაკლებად ერევა სანგვინიკებსა და ქოლერიკებს. შესაბამიად, მათთვის უცხოა დეპრესიული მდგომარეობა, რასაც ვერ ვიტყვით მელანქოლიკებსა და ფლეგმატიკებზე. სტრესით გამოწვეული ფსიქო-ემოციური მოშლილობით დაავადებულთა დიდ ნაწილს სწორედ ასეთი ტემპერამენტის მქონე ადამიანები წარმოადგენენ.

აუცილებელი არ არის, რომ ადამიანი ერთ კონკრეტულ ტიპს ეკუთვნოდეს.

4. **დაუბრუნდი 31-ე გვერდზე მოცემულ ფოტოებს. როგორ მოიქცეოდნენ კონკრეტულ სიტუაციაში ქოლერიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი?**

5. **ვინ ხარ შენ – სანგვინიკი, მელანქოლიკი, ქოლერიკი თუ ფლეგმატიკი? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე შესაბამისი მაგალითით. შენ როგორ მოიქცეოდი წიგნის 31-ე გვერდზე მოცემულ მსგავს სიტუაციებში?**

34 ეს ჩემი ცხოვრებაა!

**6. რა არის ჰოროსკოპი და რა იცი მის შესახებ? ისაუბრე მოცემული შეკითხვების მიხედვით.**

ა. რას ნიშნავს სიტყვა „ჰოროსკოპი“?
ბ. რისთვის იყენებენ მას?
გ. გჯერა თუ არა ჰოროსკოპების?
დ. მიგაჩნია თუ არა, რომ ზოდიაქოს ნიშანი გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათსა და მიდრეკილებებზე? დაასაბუთე პირადი გამოცდილებიდან.
ე. ხშირად ემთხვევა თუ არა ის, რაც კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ წერია?

**7. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია მეწყვილესთან ერთად და განსაზღვრე კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ შემავალი ადამიანის ფსიქოტიპი. შეასრულე დავალებები რვეულში.**




1. ***ვერძი*** *არამდგრადი, მოუსვენარი ადამიანია. ცდილობს, ცხოვრებაში ყველაფერი მოასწროს, ამიტომ ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებს. თუ რამე არ გამოსდის, ბრაზობს და წონასწორობას კარგავს.*
2. ***კუროს*** *მშვიდი ხასიათი აქვს, მომთმენი და წყნარი ადამიანია. საქმეს აუჩქარებლად აკეთებს. ემოციების მართვა კარგად ეხერხება. ამიტომ დაძაბულობა მასში ნელ-ნელა გროვდება.*
3. ***ტყუპების*** *ნიშნის ქვეშ დაბადებულს ძალიან ცოტა სჭირდება წონასწორობის დასაკარგად. ამიტომ სულ მცირე წვრილმანიც კი საკმარისია, რომ საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგოს.*
4. ***კირჩხიბი*** *ვერ იტანს, როცა აჩქარებენ. როგორც წესი, დრო არასოდეს ჰყოფნის. ამის გამო რაღაც არ გამოსდის და დაძაბულია.*
5. ***ლომი*** *ძალიან მომთხოვნია. როცა ვიღაც ისე არ იქცევა, როგორც მას მოსწონს, დიდი ხნით განაწყენდება, შემდეგ კი ფეთქდება.*
6. ***ქალწული*** *იმდენად შრომისმოყვარეა, რომ ძალიან უჭირს მოდუნება. უნდა, რომ ყველაფერი იდეალურად იყოს და, თუ ეს არ გამოსდის, საკმაოდ ღრმა სტრესს განიცდის.*
7. ***სასწორს*** *უჭირს გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ მუდმივად ორჭოფობს. ამასთანავე, ცდილობს, ყველასთან მართალი იყოს. ითრგუნება, როცა უსამართლობას ხედავს.*
8. ***მორიელი*** *ისწრაფვის დიდებისაკენ. სურს, ერთპიროვნული მმართველი იყოს. თუ ამას ვერ ახერხებს, ნერვიულობს. ბრაზობს იმაზეც, რომ სხვები საქმეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც მას მოსწონს.*
9. ***მშვილდოსანი*** *ცდილობს, მიუღწეველს მიაღწიოს და, როცა ამას ვერ ახერხებს, განიცდის. ძალიან გულღია და სამართლიანია. ხშირად ამბობს იმას, რაც სხვების განაწყენებას იწვევს.*
10. ***თხის რქა*** *ამბიციური ადამიანია. შეუძლია პრობლემებზე კონცენტრირება. ხასიათი უფუჭდება, როცა პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებს.*
11. ***მერწყული*** *არაპროგნოზირებადი ხასიათის ადამიანია. წუთიერი განწყობის მიხედვით მოქმედებს. არ შეუძლია ცხოვრებისა და საქმის დაგეგმვა, რის გამოც ხშირად ვარდება სტრესულ მდგომარეობაში.*
12. ***თევზებს*** *ადვილად სწყინს. მას ახლობლების პრობლემები გულთან ახლოს მიაქვს და ცდილობს, ყველას დაეხმაროს.*

**8. დაუბრუნდი წინა დავალებას და თავიდან წაიკითხე შენი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ მოცემული ინფორმაცია. მიუთითე, დაემთხვა თუ არა შენს ხასიათს ის, რაც წერია? გაამყარე შენი პასუხი კონკრეტული მაგალითებით.**



**მოსწავლის წიგნი**

4. დავალება სრულდება 31—ე გვერდზე წარმოდგენილი ილუსტრაციების მიხედვით.
5. მოსწავლეები ასაბუთებენ საკუთარ ფსიქო—ტიპს და აღწერენ, თუ როგორ მოიქცეოდნენ 31—ე გვერდზე წარმოდგენილ ილუსტრაციებზე აღწერილ სიტუაციებში.

## გვ. 35

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები ეცნობიან და პასუხობენ ა—ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს ჰოროსკოპის შესახებ.
7. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ზოდიაქოს 12 ნიშნის შესახებ და საუბრობენ მათ ფსიქოტიპებზე. სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებათა სერია მოსწავლის რვეულში.
8. მოსწავლეები პოულობენ ტექსტში ზოდიაქოს საკუთარ ნიშანს და მსჯელობენ, თუ რამდენად დაემთხვა მათ ხასიათს ესა თუ ის მახასიათებელი.

მოსწავლის რვეული

გვ. 81, № 1: წაკითხული ტექსტის მიხედვით მოსწავლეები პასუხობენ ა—დ შეკითხვებს.

გვ. 81—82, № 2: ტექსტის მიხედვით ხდება ცხრილის შევსება ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის მახასიათებლებისა და მისთვის განკუთვნილი რჩევების შესახებ.

გვ. 83, № 1, 2; გვ. 84, № 1: სრულდება მოცემულ თემაზე აგებული ენობრივი ტიპის სავარჯიშოები.

გვ. 84, № 2, გვ. 85, № 3: სრულდება თემასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ტიპის დავალებები.

გვ. 36

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ენობრივ ცნობარს. შემდეგ აკვირდებიან ილუსტრაციაზე გამოსახულ გამოჩენილ მუსიკოსებს და პასუხობენ ა—გ პუნქტებში მითითებულ შეკითხვებს.

თემა 1

3. არაორდინალური ადამიანები

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
| --- | --- |
| • „ბითლები“ და „ბითლზ-ორეულები“<br>• ინდირა განდი და მარგარეტ ტეტჩერი<br>• გენიოსი თუ შეშლი-ლი (სალვადორ დალის შესახებ)? | • არსებითი სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები |

**1. ჯერ უპასუხე მოცემულ შეკითხვებს და შემდეგ ისაუბრე ფოტოზე გამოსახული ადამიანების შესახებ: იცი თუ არა, ვინ არიან ისინი? შენი აზრით, არიან თუ არა ისინი არაორდინალურები? დაასაბუთე პასუხი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე, რით არიან არაორდინალურები.**

**ა. რას ნიშნავს სიტყვა „არაორდინალური“?**
1. უჩვეულო, განსაკუთრებული
2. უხეში, უზრდელი
3. სასაცილო

**ბ. რით განსხვავდებიან არაორდინალური ადამიანები სხვებისაგან?**
1. ქცევის წესით
2. ჩაცმის სტილით
3. საუბრის მანერით
4. აზროვნებით

**გ. იცნობ თუ არაორდინალურ ადამიანებს? ისაუბრე მათ შესახებ: ვინ არიან და რით არ ჰგვანან ისინი სხვებს?**



36 ეს ჩემი ცხოვრებაა!

**2. წაიკითხე პირველი ტექსტის I აბზაცი და დაასახელე, ვინ იყვნენ „ბითლები“? რომელი სიტყვა (ან სიტყვები) დაგეხმარა სწორი პასუხის მოძებნაში?**

**3. სწრაფად ჩაიკითხე პირველი ტექსტი და უპასუხე შეკითხვას – იყვნენ თუ არა „ბითლები“ არაორდინალურები? დაასაბუთე პასუხი ტექსტის მიხედვით.**

**4. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. საიდან იყვნენ „ბითლები“?
ბ. რამდენი წევრისგან შედგებოდა ჯგუფი?
გ. საიდან ჩანს, რომ ახალგაზრდები მათ-ბაძავდნენ?
დ. კონკრეტულად რაში ბაძავდნენ ისინი „ბითლებს“?

1

„ბითლებმა“, იმავე ხოჭოებმა, მთელი მსოფლიო დაიპყრეს და შეაღწიეს აბსოლუტურად ყველგან, სადაც რადიომიმღები იდგა. მათ პოპულარობას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი გასცდნენ მუსიკალურ და კულტურულ ჩარჩოებს და სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენად იქცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ბითლზი“ მხოლოდ 10 წელი არსებობდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სამუდამოდ შეეცვალა გემოვნება, თაობების იდეოლოგია და, რაღა თქმა უნდა, მუსიკის, ცხოვრებისა და აზროვნების სტილი.

ლივერპულელი ოთხეული 60-70-იანი წლების თაობას ცხოვრების წესისა და ქცევის ნორმების, მეტყველების, მიხვრა-მოხვრისა და ჩაცმის სტილის დამდგენად მოევლინა.

**5. მოისმინე და მიუთითე, მოცემული ინფორმაციიდან რომელია არასწორი. დაასახელე, რა არის შეცდომა და გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში.**

ა. „ბითლები“ ჯონ ლენონის ინიციატივით შეიქმნა.
ბ. ჯგუფი, საბოლოოდ, 1957 წელს ჩამოყალიბდა.
გ. ყველაზე ბოლოს „ბითლებში“ ჯორჯ ჰარისონი მივიდა.
დ. ჰარისონი და მაკკარტნი ერთ კლასში სწავლობდნენ და მეგობრობდნენ კიდეც.
ე. პოლ მაკკარტნიმ ჯონ ლენონი სკოლაში სწავლის პერიოდში გაიცნო.
ვ. ჯონ ლენონს კითხვა არ უყვარდა და სწავლაც უჭირდა.
ზ. ჯონ ლენონი საკუთარ ნახატებს თავისსავე ჟურნალში აქვეყნებდა.

**6. შენი აზრით, რამდენად პოპულარულები იყვნენ და არიან დღესაც „ბითლები“ საქართველოში? გსმენია თუ არა მათზე უფროსი თაობისაგან და რა? შენ თუ უსმენ „ბითლებს“ და მოგწონს თუ არა მათი მუსიკა?**

**7. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე დავალებები რვეულში.**

2

XX საუკუნის 70-იან წლებში ლივერპულში სათავე დაედო ტრადიციულ კონკურსს, რომელზეც საუკეთესო „ბითლზ-ორეულები“ გამოდიოდნენ. ამ ფესტივალის გრან პრის ყოველთვის ინგლისურენოვანი ქვეყნების ჯგუფები იღებდნენ. ტრადიცია დაირღვა 1989 წელს, როცა „ბითლზის“ საუკეთესო გარეგნული და მუსიკალური მიბაძვისათვის მთავარი ჯილდო თბილისურ ჯგუფს, „ბლიცს“ მიენიჭა.

ფესტივალი ათ დღეს გრძელდებოდა. ჟიურის წევრებს შორის იყვნენ ჯონ ლენონის ბიძა, ჩარლზ ლენონი და „ბითლზის“ ყოფილი წევრი პიტ ბესტი, რომელიც ჯგუფში რინგო სტარის მისვლამდე უკრავდა.

გრან პრის მფლობელებს, ჯილდოსთან ერთად, ლივერპულის საპატიო მოქალაქის ტიტულებიც უბოძეს.

ჯგუფის წევრებს მუდმივად შეუძლიათ გამოიყენონ ის შეღავათები, რომლებითაც ლივერპულის საპატიო მოქალაქეები სარგებლობენ – არ გადაიხადონ დღგ, მიიღონ უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება და ადვოკატის დახმარება.



## გვ. 37

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

2. მოსწავლეები ეცნობიან №1 ტექსტს და ასრულებენ წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებებს: პირველ აბზაცზე დაყრდნობით, ასახელებენ საკოვანძო სიტყვას/სიტყვებს.
3. გაცნობითი კითხვის ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეები გამოკვეთენ სიტყვის „არაორდინალური“ დეფინიციას მუსიკალურ ჯგუფთან მიმართებაში.
4. მოსწავლეები პასუხობენ ა—დ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.
5. (იხ. მოსასმენი ტექსტი № 5) მოსასმენი ტექსტის საფუძველზე მოსწავლეები დავალების ა—ზ პუნქტებიდან გამოყოფენ მცდარ და სწორ ვერსიებს.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 86, № 1, 2, 3: სრულდება წაკითხულის გაგებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

6. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს ჯგუფის „ბითლზი“ პოპულარობის შესახებ საქართველოში.
7. მოსწავლეები ეცნობიან № 2 ტექსტს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 86, № 4: სრულდება წაკითხულის გაგებაზე ორიენტირებული დავალება.

## გვ. 38

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ფოტოებს (გვ. 38 და 39) და ირჩევენ ა—გ პასუხებიდან ერთ—ერთს.
2. მოსწავლეები ეცნობიან ფოტოს ქვეშ მოცემულ უჯრედებს და ინდირა განდის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს.
3. ტექსტის გაცნობითი წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეები ასრულებენ წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალებების სერიას (№4, 5, 6).
4. სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 87, № 5, 6, 7: დავალებები წაკითხულის გაგების შემოწმებას ემსახურება და მოითხოვს ტექსტის ხელმეორედ, ყურადღებით წაკითხვას.

თემა 1

1. **დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, ვინ არიან ეს ქალბატონები?**

   ა. ცნობილი მსახიობები ბ. მეცნიერები გ. წარმატებული პოლიტიკოსები

2. **გაეცანი ფოტოების ქვეშ მოცემულ ინფორმაციებს და შეამოწმე შენი ვერსიები.**



ინდირა პრიადარშინი განდი (1917 წ. 19 ნოემბერი – 1984 წ. 31 ოქტომბერი), ინდოეთის პრემიერ-მინისტრი 1966-1977 და 1980-1984 წლებში, მის მკვლელობამდე.

I. ინდირა განდი, რომელსაც მეტოქეებმა „სულელი თოჯინა“ შეარქვეს, მდიდარ და გავლენიან ოჯახში დაიბადა. მან არ იცოდა, რა იყო სილატაკე და შიმშილი, ვინაიდან პრემიერმინისტრ ჯავარჰარლალ ნერუს ოჯახი ინდური საზოგადოების ყველაზე მაღალ და მდიდარ კასტას მიეკუთვნებოდა, თუმცა მორწმუნე მშობლებმა ინდირას ასწავლეს, რომ სიმდიდრე ცხოვრებაში მთავარი არ იყო.

ინდირა განდი წყნარი და გამჭრიახი გოგონა იყო. პატარაობიდანვე განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მამასთან. მას მოსწონდა, როგორ მუშაობდა მამა და სტუმრებთან მის ყველა შეხვედრასაც ესწრებოდა.

„ბავშვობიდანვე ჩემი საყვარელი გართობა მაგიდაზე აძრომა და შინაურების წინაშე სიტყვის წარმოთქმა იყო. ყველა ჩემი თამაში პოლიტიკას უკავშირდებოდა. ჟანა დ'არკივით მუდამ საბრძოლველად შემართული ვიყავი“.

II. ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ინდირა განდიმ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. „ამ ცხოვრებაში ჩემთვის გამოყოფილ ყოველ დღეს ხალხის სამსახურს დავუთმობ“, – თქვა და შეასრულა კიდეც.

მტკიცე ხასიათის მქონე ძალაუფლებისმოყვარე ინდირა განდი საოცრად თბილი და მზრუნველი დედა იყო. შვილების აღზრდას არავის ანდობდა და მხოლოდ თვითონ ზრუნავდა მათზე. მოგვიანებით ის წერდა: „...მინდა, მთელი დრო შვილებს მივუძღვნა, ვაგრძნობინო მათ დედობრივი სითბო და მზრუნველობა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესანიშნავი საშუალებაა მათი საუკეთესო ადამიანებად ქცევისა“.

III. 1984 წლის 31 ოქტომბერს, ჟურნალისტებთან შეხვედრამდე, განდი დიდხანს არჩევდა სამოსს და ვერც კი იფიქრებდა, რომ ეს დღე უკანასკნელი აღმოჩნდებოდა მისთვის. ზაფრანისფერი კაბის შერჩევისას მან ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მოიხსნა. ინდირა განდი საკუთარ კაბინეტში მისი დაცვის ორმა წევრმა მოკლა.

დაბალი ტანის ქალბატონი, ნაადრევად გაჭაღარავებული თმითა და სარიზე დამაგრებული ვარდისფერი ყვავილით, დღემდე ასოცირდება გამძლეობასა და სიბრძნესთან.

3. **სწრაფად ჩაიკითხე ტექსტი და მოცემული თემები დააკავშირე შესაბამის მონაკვეთებთან.**
   - ა. ხალხის სამსახურში
   - ბ. მოულოდნელი ტრაგედია
   - გ. ბავშვობის წლები
4. **დაუბრუნდი თითოეულ მონაკვეთს. წაიკითხე გულდასმით, გამოყავი შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დაასახელე. ახსენი, რით არის ის მნიშვნელოვანი.**
5. **როდის შეარქვეს ინდირა განდის„სულელი თოჯინა“? დაასაბუთე შენი პოზიცია.**
   - ა. ბავშვობაში
   - ბ. სტუდენტობაში
   - გ. პოლიტიკური მოღვაწეობისას
6. **არის თუ არა ინდირა განდი განსაკუთრებული ადამიანი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**
7. **შეასრულე დავალებები რვეულში.**

38 ეს ჩემი ცხოვრებაა!

მას უამრავი მეტსახელი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ერთი – „რკინის ლედი“ – შერჩა. მტკიცე და უდრეკი ხასიათის მქონე მარგარეტ ტეტჩერი უკან არასოდეს იხევდა: „მე არ გადავუხვევ ჩემს კურსს, თქვენ თვითონ შეცვალეთ კურსი. ლედი უკან არ იხევს!“ ცოტა სამკაული, ნაცრისფერი ან მუქი ლურჯი კოსტიუმები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ძალაუფლებით სავსე მზერა – სწორედ ასეთი დაამახსოვრდა მსოფლიოს „რკინის ლედი“.

მარგარეტ ჰილდა რობერტსი პატარა ქალაქ გრეტჰემში დაიბადა. ქალაქი, რომელიც ცენტრალურ ინგლისში მდებარეობდა, მხოლოდ იმით იყო ცნობილი, რომ იგი სერ ისააკ ნიუტონის სამშობლოდ ითვლებოდა.

ოჯახი, რომელშიც მარგარეტი დაიბადა, მდიდარი არ ყოფილა. მარგარეტის მამას, ალფრედს, სასურსათო მაღაზია ჰქონდა. დედა, ბეატრისი კი, მკერავი იყო. რობერტსების ოჯახი ღრმად მორწმუნე იყო. სახლში მკაცრ დისციპლინას იცავდნენ. მარგარეტის მშობლები არ ეწეოდნენ. სახლში არ იყო ალკოჰოლური სასმელი. ბავშვებს ეკრძალებოდათ თანატოლებთან ერთად ცეკვებსა და სხვა გასართობ ღონისძიებებზე სიარული.

მარგარეტს მამის ზეგავლენით ჩამოუყალიბდა მტკიცე ხასიათი. ალფრედმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მას, რომ არ არსებობს ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა: „მე ამას ვერ შევძლებ“ ან „ეს ჩემთვის ძნელია“. „როდესაც 15 წლის ვიყავი, ნათლად გავაცნობიერე, რომ ყველაფრის მიღწევა შემეძლო, რასაც მოვისურვებდი. მთავარია, გამეგო, რა მინდოდა“.

მარგარეტი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსხვავებული აზროვნებით, ინტერესებითა და ქცევით. იყო, წარმატებული მოსწავლე. აქტიურად დადიოდა ცურვაზე, ჰოკეიზე, ფორტეპიანოზე... პატარაობიდანვე აინტერესებდა პოლიტიკა. მისი ერთადერთი მეგობარი მამა იყო. „ყველაფრისთვის მამაჩემის მადლიერი უნდა ვიყო. ეს უცნაური და საინტერესოა, რადგან სწორედ ის, რაც პატარა ქალაქის ერთ მოკრძალებულ ოჯახში ვისწავლე, გამარჯვებაში დამეხმარა “. პოლიტიკაში მარგარეტი ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩაერთო.

ბრწყინვალე პოლიტიკოსის გარდა, მარგარეტ ტეტჩერი ორი შვილის დედა და მშვენიერი დიასახლისი იყო. როგორც ამბობენ, მას არსოდეს ჰყოლია პირადი მზარეული და თითქმის ყოველ საღამოს თავად ამზადებდა ვახშამს.



მარგარეტ ტეტჩერი (1925 წ. 13 ოქტომბერი – 2013წ. 8 აპრილი), დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1979-90 წლებში.

1992 წლიდან ბარონესას ტიტულის მფლობელი და ლორდთა პალატის მუდმივი წევრი.

**8. წაიკითხე ტექსტი და დაფიქრდი, საერთო უფრო მეტი აქვთ ინდირა განდისა და მარგარეტ ტეტჩერს ერთმანეთთან თუ – განსხვავება?**
**მოძებნე განსხვავებები და დაასახელე. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**9. დაუბრუნდი მარგარეტისა და მამამისის ურთიერთობას და უპასუხე შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.**

ა. მიგაჩნია თუ არა, რომ მამა ზედმეტად მკაცრი იყო?
ბ. მიუხედავად სიმკაცრისა, უჭირდათ თუ არა შვილებს მასთან ურთიერთობა?
გ. როგორ ფიქრობ, რომ არა მამა, მიაღწევდა მარგარეტ ტეტჩერი ასეთ წარმატებას?
დ. ამ ურთიერთობებიდან შენ რომელს მიიჩნევ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ?

**10. რის გამო შეარქვეს მარგარეტ ტეტჩერს „რკინის ლედი“ და როდის? დაასაბუთე ტექსტის მიხედვით.**

ა. ბავშვობაში
ბ. სტუდენტობაში
გ. პოლიტიკური მოღვაწეობისას

**11. არის თუ არა მარგარეტ ტეტჩერი განსაკუთრებული ადამიანი და რით? ისაუბრე მის შესახებ. დაასაბუთე შენი პოზიცია.**



## გვ. 39

**მოსწავლის წიგნი**

5. ფოტოს ქვეშ განთავსებული მოკლე ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს მარგარეტ ტეტჩერის შესახებ.
6. ტექსტის ყურადღებით, დეტალურად წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ორ პოლიტიკოსს — ი. განდისა და მ. ტეტჩერს შორის.

მოსწავლის რვეული

გვ. 87—88, № 8: მოსწავლეები ავსებენ ცხრილს ინდირა განდისა და მარგარეტ ტეტჩერის ბიოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

**მოსწავლის წიგნი**

7. სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოს ა—დ პუნქტები.
8. მოსწავლეები, ტექსტის მიხედვით, ასახელებენ პოლიტიკოსისათვის „რკინის ლედის“ მეტსახელის შერქმევის პერიოდს.
9. მოსწავლეები მსჯელობენ პოლიტიკოსის შესახებ: აყალიბებენ და ასაბუთებენ საკუთარ პოზიციას, შეხედულებებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 88, № 2: ცხრილის მეშვეობით, მოსწავლეები ადარებენ ორი პოლიტიკოსი ქალბატონის მსგავსებებსა და განსხვავებებს.

გვ. 40

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით (I, II, III), მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ე პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით.
2. მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკული ცნობარის IV პუნქტს და პასუხობენ ა—ბ შეკითხვებს არსებითი სახელის კუმშვის, კვეცისა და კუმშვა—კვეცის შესახებ.



### არსებითი სახელის ბრუნება

I.

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი | ძაღლ-ი | ძაღლ**ებ**ი | ძაღლნი |
| მოთხრობითი | ძაღლ-მა | ძაღლ**ებ**მა | ძაღლთა |
| მიცემითი | ძაღლ-ს | ძაღლ**ებ**ს | ძაღლთა |
| ნათესაობითი | ძაღლ-ის | ძაღლ**ებ**ის | ძაღლთა |
| მოქმედებითი | ძაღლ-ით | ძაღლ**ებ**ით | -------- |
| ვითარებითი | ძაღლ-ად | ძაღლ**ებ**ად | -------- |
| წოდებითი | ძაღლ-ო | ძაღლ**ებ**ო | ძაღლნო |

II.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | ძმა | ძმ**ებ**ი | დღე | დღე**ებ**ი |
| მოთხ. | ძმამ | ძმ**ებ**მა | დღემ | დღე**ებ**მა |
| მიც. | ძმას | ძმ**ებ**ს | დღეს | დღე**ებ**ს |
| ნათ. | ძმის | ძმ**ებ**ის | დღის | დღე**ებ**ის |
| მოქმ. | ძმით | ძმ**ებ**ით | დღით | დღე**ებ**ით |
| ვით. | ძმად | ძმ**ებ**ად | დღედ | დღე**ებ**ად |
| წოდ. | ძმაო | ძმ**ებ**ო | დღეო | დღე**ებ**ო |

III.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | წყარო | წყარო**ებ**ი | ყრუ | ყრუ**ებ**ი |
| მოთხ. | წყარომ | წყარო**ებ**მა | ყრუმ | ყრუ**ებ**მა |
| მიც. | წყაროს | წყარო**ებ**ს | ყრუს | ყრუ**ებ**ს |
| ნათ. | წყაროსი | წყარო**ებ**ის | ყრუსი | ყრუ**ებ**ის |
| მოქმ. | წყაროთი | წყარო**ებ**ით | ყრუთი | ყრუ**ებ**ით |
| ვით. | წყაროდ | წყარო**ებ**ად | ყრუდ | ყრუ**ებ**ად |
| წოდ. | წყაროვ | წყარო**ებ**ო | ყრუვ | ყრუ**ებ**ო |

IV.

| | |
|---|---|
| **კუმშვა** | -ალ- /-ელ- / -ოლ- / -ამ- / -ან- / -ენ- / -ონ- / -არ- / -ერ- |
| | მწერალი – მწერლის, მხატვარი – მხატვრის, მოედანი – მოედნის, სოფელი – სოფლის, კალამი – კალმის, ლიმონი – ლიმნის ... |
| **კვეცა** | -ა /-ე: ძმა-ძმის... მზე — მზის .... |
| **კუმშვა-კვეცა** | პეპელა — პეპლის; ქვეყანა – ქვეყნის; ფანჯარა – ფანჯრის; მოყვარე – მოყვრის; ქარხანა – ქარხნის. |

1. **გამოიყენე მოცემული ცხრილები და შეასრულე დავალებები.**

   ა. რამდენი ბრუნვაა ქართულში? წაიკითხე ეს ბრუნვები.

   ბ. რა იცვლება სახელის ბრუნებისას?
      1. სახელის ფორმა
      2. სახელის შინაარსი
      3. სახელის ფორმაც და შინაარსიც

   გ. დააკვირდი I ცხრილს და უპასუხე შეკითხვებს.
      1. რაზე მთავრდება სახელის ფუძე - ხმოვანსა თუ თანხმოვანზე?
      2. იცვლება თუ არა სახელის ფუძე რომელიმე ბრუნვაში?

   დ. დააკვირდი II და III ცხრილებს და უპასუხე შეკითხვებს.
      1. შეადარე II და III ცხრილები ბრუნვის ნიშნების თვალსაზრისით. დაასახელე, რომელ ბრუნვებშია მსგავსება და რომელში – განსხვავება? მიუთითე ეს განსხვავებები.
      2. რომელ ხმოვნებზე მთავრდება ამ ცხრილში შემავალი სახელები?
      3. იცვლება თუ არა მათი ფუძე მხოლობით რიცხვში? დაასახელე, კონკრეტულად რა ხდება და რომელ ბრუნვებში?
      4. შეადარე მათი მრავლობითის ფორმები. დაასახელე, რა განსხვავებაა მათ შორის?

   ე. შეადარე II და III ცხრილები ერთმანეთს. მოძებნე მსგავსება და განსხვავება მათ შორის და დაასახელე.

2. **გაეცანი IV ცხრილში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს წინა ცხრილებზე დაყრდნობით.**

   ა. რომელ ბრუნვებში იკარგება ხმოვანი?

   ბ. გადაიყვანე მრავლობით რიცხვში და მიუთითე, რა ხდება მრავლობითში?

**3. დაასახელე, რომელ ბრუნვაში დგას ხაზგასმული სიტყვები და მიუთითე მათი ფუნქცია – რას გამოხატავს ისინი?**

ა. ის კაცი ესპანელი იყო.
ბ. დალის ერთი უმცროსი და ჰყავდა.
გ. ლიას ძალიან ეშინოდა ობობისა.
დ. მას უნდა, რომ მამის კვალს გაჰყვეს.
ე. მე არასოდეს მქონია პრობლემები.
ვ. ჩემი სახლი ქალაქის ძველ უბანში დგას.
ზ. მე წვრილი ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე ვცხოვრობ.
თ. ჩემს სახლთან დიდი ჭადრის ხე დგას.
ი. მამაჩემი სანადიროდ წავიდა.
კ. გლეხებმა ტყე გაჩეხეს.
ლ. მე მოგზაურობით კმაყოფილი ვარ.
მ. გუშინ დილით სად იყავი?
ნ. მე საღამოს სახლში ვიყავი.
ო. ის სიცივის გამო კანკალებს.
პ. მამამ ფეხბურთის ბურთი მომიტანა.
ჟ. სკოლაში ყოველთვის მეტროთი მივდივარ.
რ. გიორგი, მომეცი ეს წიგნი!

**4. დაუბრუნდი წინა დავალებაში ხაზგასმულ სიტყვებს და დააკავშირე წინა გვერდზე მოცემულ ცხრილებთან. დაასახელე ბრუნვა, ბრუნვის ნიშანი და ფუძე.**

**ნიმუში:** კაცი = დგას სახელობით ბრუნვაში, ბრუნვის ნიშანია -ი, ფუძეა კაც.

**5. მოძებნე შეცდომები და დაასახელე. გაასწორე მცდარი ფორმები ზეპირად და სწორად გადაწერე წინადადებები რვეულში.**

ა. ნიკა ატამის ხეზე მოკალათდა და სასაცილო ამბავის მოყოლა დაიწყო.
ბ. გოგონა თავისი ახალი ტანსაცმელით უკმაყოფილო იყო დიდი და უხეში ჯიბეს გამო.
გ. ლელამ ლიმონის ნამცხვარი და ყურძენის წვენი იყიდა.
დ. ლიამ ჭიამაიას ხატვა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლოს მინდორის პეპელის ხატვა დაიწყო.

ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები

| | |
|---|---|
| **სახელობითი** -ი / 0 | **გადმოიცემა:**<br>1. ქვემდებარე (S)<br>2. პირდაპირი დამატება (O)<br>3. შედგენილი შემასმენლის (ზმნის) სახელადი ნაწილი (მაგ., *ექიმი იყო*) |
| **მოთხრობითი** -მა / -მ | ეს არის **ქვემდებარის (S) ბრუნვა** |
| **მიცემითი** -ს | **უთანდებულო ფორმით გმოიხატავს:**<br>1. ქვემდებარეს (S)<br>2. პირდაპირ დამატებას (O)<br>3. ირიბ დამატებას (O)<br>4. შედგენილი შემასმენლის (ზმნის სახელად ნაწილს (მაგ., *საინტერესოს ხდის*)<br>5. დროის გარემოებას (მაგ., *საღამოს დაიწყება*) |
| **ნათესაობითი** -ის | **უთანდებულო ფორმა გამოხატავს:**<br>1. უბრალო დამატებას რამდენიმე ზმნასთან (მაგ., *ეშინია, რცხვენია...* რის?)<br>2. უბრალო დამატებას საწყისთან (მაგ., *ბურთის თამაში...*)<br>3. მასალას (რისგან?), კუთვნილებას (ვისი / რისი?), დანიშნულებას (რისი?)<br>**თანდებულიანი ფორმა გამოხატავს:**<br>1. ადგილს (მაგ., *სახლისკენ, სახლის წინ...*)<br>2. დროს (მაგ., *ორი წუთის წინ,შემდეგ...*)<br>3. მიზეზს (რის გამო?)<br>4. მიზანს (რისთვის?) |
| **მოქმედებითი** -ით | **გამოხატავს:**<br>1. მოქმედების იარაღს, ინსტრუმენტს (რით ვაკეთებ?)<br>2. ქონა-ყოლას, თანაობას (*დედა შვილებით*);<br>3. მიზეზს (*ტკივილით შეწუხებული*);<br>4. ვითარებას (*ყურადღებით უსმენს*) |
| **ვითარებითი** -ად / -დ | **გამოხატავს:**<br>1. თანაობას (*შვილებიანად მოვიდა*);<br>2. ვითარებას (*ქალაქად იქცა; უარესად გახდა; შავად შეღება*);<br>3. ადგილს, დროს (*მინდვრად; ძველად...*)<br>4. მიზანს (*სათამაშოდ წავიდა...*) |
| **წოდებითი** -ო / -ვ / 0 | **გამოხატავს მიმართვას**<br>*ძმაო! გიორგი! წყაროვ!...* |



გვ. 41

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ შეასრულონ დავალების ა—რ პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას ბრუნვათა ძირითადი ფუნქციების შესახებ.
4. წინა დავალებაში ხაზგასმულ არსებით სახელებს მოსწავლეები უკავშირებენ 40—ე გვერდზე წარმოდგენილ ცნობარს და ასახელებენ არსებითი სახელების ბრუნვას, ბრუნვის ნიშანსა და ფუძეს.
5. მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ არსებითი სახელების მცდარ ფორმებს.

## გვ. 42

### მოსწავლის წიგნი

1. მოსწავლეები ეცნობიან სალვადორ დალის ცნობილ გამონათქვამს, აკვირდებიან ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდებს მხატვრის პროფესიის შესახებ.
2. მოსწავლეები მსჯელობენ მხატვრის ფსიქოტიპზე და ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს.
3. ტექსტის გაცნობითი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ № 1 დავალებაში წარმოდგენილ შეკითხვებს.
4. ტექსტის ძიებითი წაკითხვის შემდეგ სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 89, № 4: მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ასრულებენ წაკითხულ ტექსტზე დაფუძნებულ საკომუნიკაციო ტიპის დავალებას სალვადორ დალის ბიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით.

გვ. 89, № 5: მოსწავლეები, ნიმუშის მიხედვით, სვამენ შეკითხვებს სალვადორ დალის შესახებ.

გვ. 90, № 1: მოსწავლეები მეწყვილეებთან ერთად პასუხობენ ერთმანეთის შეკითხვებს.

გვ. 90, № 2 (I-V); სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებების სერია.

თემა 1

### გენიოსი თუ შეშლილი?

„დიდი მადლობა ჩემს მტრებს. რომ არა ისინი, მე ვერ გავხდებოდი ის, ვინც ახლა ვარ!" – სალვადორ დალი

1. **სალვადორ დალი ამბობდა:** *„6 წლის ასაკში ვოცნებობდი, გავმხდარიყავი მზარეული, 7 წლისა ვოცნებობდი, ვყოფილიყავი ნაპოლეონი. ჩემი ამბიციები თანდათან იზრდება. ახლა მე მინდა ვიყო სალვადორ დალი."* **დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, ვინ იყო, შენი აზრით, ის პროფესიით? რატომ ფიქრობ ასე?**
2. **ისაუბრე სალვადორ დალის ფსიქოტიპზე – რომელი იყო ის: ქოლერიკი, სანგვინიკი,- ფლეგმატიკი თუ მელანქოლიკი? დაასაბუთე შენი პოზიცია ფოტოებზე დაყრდნობით.**





3. **სწრაფად ჩაიკითხე ტექსტი და თავიდან უპასუხე პირველ დავალებაში მოცემულ შეკითხვებს.**
4. **თავიდან წაიკითხე ტექსტი გულდასმით და შეასრულე დავალებები რვეულში.**

ესპანელი მხატვარი და ფერმწერი სალვადორ დალი 1904 წლის 11 მაისს ესპანეთში, კატალონიის პატარა ქალაქ ფიგერასში, დაიბადა. მამამისი მეტად პატივსაცემი ნოტარიუსი იყო. სალვადორს დედა, დეიდები და ბებია ზრდიდნენ. დალის ერთი უმცროსი და ჰყავდა, ანა-მარია, რომელიც მისი ბავშვობის საუკეთესო მეგობარი იყო. სალვადორი ძალიან განათლებული ბავშვი იყო. აინტერესებდა ფსიქოლოგია, ფილოსოფია და პოლიტიკა. კლასელები მასთან არ მეგობრობდნენ, მეტისმეტად თავდაჯერებულად და ამაყად მიაჩნდათ. მართალია, მორიდებული ბავშვი იყო, თუმცა თავისი საქციელით ახლობლების შეძრწუნება ბავშვობაშივე შეეძლო. პედაგოგებიც უჩიოდნენ, რადგან პრინციპულად არ პასუხობდა კითხვებს – ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო.

ხატვა 4 წლისამ დაიწყო, თუმცა ხატვის ნიჭთან ერთად მას წერის ნიჭიც აღმოაჩნდა. წერდა ლექსებს. 15 წლის ასაკში ის მეგობრებთან ერთად ჟურნალს გამოსცემდა. მოგვიანებით სალვადორ დალიმ წიგნების წერაც დაიწყო. გამოსცა ავტობიოგრაფიული რომანი „სალვადორ დალის საიდუმლო ცხოვრება" და „ერთი გენიოსის დღიური". მან ძალები კინემატოგრაფიაშიც მოსინჯა. წერდა სცენარებს, ეხმარებოდა ლუის ბუნუელს უკვე კლასიკად ქცეული ფილმების გადაღებაში („ანდალუზიური ნაგაზი" – 1929წ. და „ოქროს საუკუნე" – 1930წ.), თანამშრომლობდა ალფრედ ჰიჩკოკთან.

სალვადორ დალი 1989 წლის 23 იანვარს გულის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია ფიგერასში, საკუთარი სახლის ეზოში. თავისი ქონება და ნახატები მან ესპანეთს დაუტოვა.

42 ეს ჩემი ცხოვრებაა!

*„ჩემსა და გიჟს შორის ს ის განსხვავებაა, რომ მე გიჟი არ ვარ!"*

სალვადორ დალი

**5. ტექსტის წაკითხვამდე გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე დასმულ შეკითხვებს.**

*გარშემომყოფნი სალვადორ დალის შეშლილად მიიჩნევდნენ.*

**შენი აზრით:**

ა. რა უნდა ყოფილიყო ამგვარი შეფასების საფუძველი?
ბ. ხომ არ ფიქრობ, რომ ეს შეფასება გაზვიადებულია? რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს? თუ – არა, დაასაბუთე, რატომ.
გ. დაუბრუნდი ფოტოებს. იქნებოდა თუ არა სალვადორ დალი არაორდინალური პიროვნება? რატომ ფიქრობ ასე?
დ. შენი აზრით, რით უნდა გამოემჟღავნებინა მას თავისი არაორდინალურობა – ქცევით, გარეგნობით, ჩაცმის სტილით, აზროვნებით თუ სხვა რამით?

**6. წაიკითხე მარჯვნივ მოცემული ტექსტი და შეადარე შენს ვერსიებს. თავიდან უპასუხე წინა დავალებაში მოცემულ შეკითხვებს და დაასაბუთე კონკრეტული მაგალითებით.**

**7. შეასრულე რვეულში მოცემული დავალებები.**



სალვადორ დალის ერთხელ ასეთი რამ უთქვამს: „ყოველ დილას აღუწერელი ბედნიერების შეგრძნება მაღვიძებს მხოლოდ იმის გამო, რომ სალვადორ დალი ვარ. მართლაც, უსაზღვროდ სასიამოვნოა, იყო სალვადორ დალი. როგორც კი გამოვფხიზლდები, საკუთარ თავს აღფრთოვანებით ვეკითხები: ნეტავ, დღეს რა შესანიშნავი რამეების გაკეთებას აპირებს ეს სალვადორ დალი?"

ამ ექსცენტრულ ესპანელ მხატვარს, მართლაც, გასაოცარი იდეები მოსდიოდა თავში. ის სიცოცხლის ბოლომდე განაცვიფრებდა საზოგადოებას თავისი ექსტრავაგანტური საქციელითა და გამონათქვამებით. დიდი ხალისით აკეთებდა ყველაფერს, რაც კი თავში მოუვიდოდა.

დალის შეეძლო, დარბაზში, სადაც მეტად პატივსაცემი სტუმრები ელოდნენ, საკუთარ წარმომადგენლად ცხენი ან აქლემი შეეშვა. ზოგჯერ თავიდან ფეხებამდე მწვანე ფერის სამოსს იცვამდა, მწვანე ფერის ღია „კადილაკში" ჯდებოდა, გვერდით იმავე ფერის სამოსში გამოწყობილ მეუღლეს, გალას, ჩაისვამდა და ქუჩაში მოძრაობას აჩერებდა.

ის ხშირად დადიოდა პარიზის ცნობილ სასტუმრო „მაურისში". პერსონალი მხატვრის წასვლის შემდეგ მასზე დაუჯერებელ ისტორიებს ჰყვებოდა. როგორც წესი, მთელ სართულს იკავებდა იმის გამო, რომ სასტუმროს დერეფანში ველოსიპედით სეირნობა უყვარდა.

ერთხელ თავისსავე პატივსაცემად მოწყობილ მეჯლისზე დალი თურმე დამპალი ქაშაყით გამოცხადდა. ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო ერთი დღე-ღამით იქირავა და შიგ თხის არვე შერეკა; ზღვის ვარსკვლავი საღებავში ამოავლო და სახატავ ტილოზე საჯაროდ დასვა, რითაც ამბობდა, რომ შეკრებილი საზოგადოება შედევრის დაბადებას ესწრებოდა.

შთაგონებისათვის მხატვარს ზოგჯერ ბუზები სჭირდებოდა. სასტუმროს პერსონალი მათ ბაღში იჭერდა, მხატვარი კი თითოეულს 5 ფრანკად ყიდულობდა. საკუთარი ნომრის კედლების მოხატვა ჩვევად ჰქონდა და, როდესაც სასტუმროს ტოვებდა, მთელ სართულს არემონტებდნენ, კედლებს კი თავიდან ღებავდნენ.

სალვადორ დალი საკუთარ თავს დიდ პროვოკატორს ეძახდა და ამბობდა, რომ დედის მუცელშივე პროვოკატორი იყო.



## გვ. 43

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

5. მოსწავლეები ეცნობიან სალვადორ დალის კიდევ ერთ ცნობილ გამონათქვამს და ა—დ პუნქტებზე დაყრდნობით, მსჯელობენ მხატვრის სულიერი მდგომარეობის შესახებ.
6. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და იქ მოყვანილ ფაქტებს ადარებენ საკუთარ მოსაზრებებს. შემდეგ, მასწავლებლის მითითებით, ისინი უბრუნდებიან წინა დავალებაში მოყვანილ შეკითხვებს და ასაბუთებენ, ამყარებენ საკუთარ მოსაზრებებს.
7. სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 91, № 3 (ა—ლ), 4; გვ. 92, №1, 2, 3, 4: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებების სერია.

**გვ. 44**

წაკითხულის გააზრება

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

მასწავლებლის კომენტარები



## წაკითხულის გააზრება

**წაიკითხე ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

### მუსიკა სტრესების წინააღმდეგ

თუ ცუდ ხასიათზე ხართ, მძიმე დღე გქონდათ სამუშაოზე და გრძნობთ, რომ დასვენება გჭირდებათ, თუ ნერვიულობთ რაღაცაზე ან, უბრალოდ, მოწყენილი ხართ, მაშინ გირჩევთ, მოუსმინოთ წყნარ და არააგრესიულ მუსიკას. ეს გაგათავისუფლებთ სტრესული ემოციებისაგან, დაღლილობის, ღელვისა და დისკომფორტის შეგრძნებისაგან. არ გინდათ მუსიკის მოსმენა? მაშინ შეგიძლიათ, უბრალოდ, წაიმღეროთ საყვარელი მელოდია ან დაუკრათ თქვენთვის ნაცნობ მუსიკალურ ინსტრუმენტზე - ესეც კარგი საშუალებაა განტვირთვისათვის.

ერთ საუკუნეზე მეტია, მეცნიერები სისტემატურად ატარებენ ექსპერიმენტებს, რათა გამოიკვლიონ მუსიკის ზეგავლენა ადამიანზე. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მუსიკას შეუძლია შეამციროს სტრესის ჰორმონის, ადრენალინის, რაოდენობა; გავლენა მოახდინოს გულის მუშაობის რიტმზე, კუნთების აქტივობაზე, სისხლის წნევაზე. ზოგიერთი ნეირომეცნიერი მიიჩნევს, რომ მუსიკა ააქტიურებს ტვინის მუშაობასაც. მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომ თუკი მოსწავლეები IQ ტესტის ჩაბარებამდე მოუსმენენ მოცარტის მუსიკას, უკეთეს შედეგებს მიიღებენ ტესტირებაში. ამ მოვლენას "მოცარტის ეფექტს" უწოდებენ.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, მუსიკის დამამშვიდებელ ეფექტს, ძირითადად, რიტმი განაპირობებს. ამის მიზეზია ის, რომ დაბადებამდე, დედის მუცელში ყოფნისას, ბავშვს მუდმივად ესმის დედის გულის მუშაობის რიტმი. ამდენად, როდესაც ვუსმენთ მშვიდი, წყნარი რიტმის მუსიკას, ჩვენ ასოციაციურად ვაკავშირებთ მას უსაფრთხო, მშვიდ და დაცულ გარემოსთან, რომელიც დაბადებამდე გვქონდა დედის სხეულში.

მუსიკის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: არ არსებობს მუსიკა, რომელიც მოსაწონი იქნება ყველასათვის. ადამიანებს განსხვავებული მუსიკალური გემოვნება აქვთ, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეარჩიოს ისეთი მუსიკა, რომლის მოსმენის დროსაც თავს ყველაზე კომფორტულად იგრძნობს. მუსიკის შესარჩევად შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტერნეტრესურსები, რომლებიც უამრავ მუსიკალურ ნაწარმოებს გვთავაზობენ სტრესების მოსახსნელად თუ დასასვენებლად, კონცენტრაციისა თუ მედიტაციისათვის, მაგრამ გახსოვდეთ: თუკი თქვენ არ მოგწონთ მუსიკა, რომელსაც უსმენთ, არ დაატანოთ თავს ძალა მის მოსასმენად - ეს დამატებითი სტრესი იქნება თქვენთვის.

იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტი მიიღოთ მუსიკის მოსმენით, დაიცავით შემდეგი წესები:

1. მიიღეთ 20-წუთიანი "ბგერითი აბაზანა". ამისათვის დაწექით მოსვენებულ, მოხერხებულ პოზაში და მოუსმინეთ მუსიკას 20 წუთის განმავლობაში. ამ დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ ყურსასმენებიც - ასე უკეთ შეძლებთ მუსიკაზე კონცენტრირებას.
2. დასამშვიდებლად აირჩიეთ მუსიკა, რომლის რიტმი უფრო დაბალია, ვიდრე გულის ბუნებრივი რიტმი (საშუალოდ, 72 დარტყმა 1 წუთში). იმ შემთხვევაში, თუ სტიმულისა და ენერგიის მომატება გსურთ, მოუსმინეთ მუსიკას, რომლის რიტმი გულის რიტმზე უფრო მაღალია.
3. დაძაბულ, სტრესულ სიტუაციაში კარგი იქნება, თუ მოუსმენთ კარგად ნაცნობ მუსიკას (მაგ., ბავშვობისდროინდელ საყვარელ სიმღერებს). ამგვარი მუსიკის მოსმენა, როგორც წესი, კარგ განწყობაზე აყენებს ყველას.
4. მოუსმინეთ მუსიკას ფეხით სიარულის და/ან სეირნობის დროს. შეუსაბამეთ თქვენი სუნთქვის რიტმი მუსიკას - ამოისუნთქეთ და ჩაისუნთქეთ მუსიკის რიტმის შესაბამისად. გახსოვდეთ: ვარჯიშისა (მაგ., სწრაფი სიარულის) და მუსიკის კომბინირება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სტრესის მოსახსნელად.

**1. რა მიმართებაა პირველ და მეორე აბზაცებს შორის?**

ა) მეორე აბზაცი ასაბუთებს პირველ აბზაცში გამოთქმულ აზრს;
ბ) მეორე აბზაცი შეაჯამებს პირველ აბზაცში გამოთქმულ აზრს;
გ) მეორე აბზაცი უარყოფს პირველ აბზაცში გამოთქმულ აზრს;
დ) მეორე აბზაცი ავითარებს პირველ აბზაცში გამოთქმულ აზრს.

**2. მეორე აბზაცში ვკითხულობთ: "ერთ საუკუნეზე მეტია, მეცნიერები სისტემატურად ატარებენ ექსპერიმენტებს, რათა გამოიკვლიონ მუსიკის ზეგავლენა ადამიანზე". რაზე მიგვითითებს წინადადების მეორე ნაწილი?**

ა) შედეგზე; ბ) მიზეზზე; გ) შესაძლებლობაზე; დ) მიზანზე.

გვ. 45

წაკითხულის გააზრება

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

მასწავლებლის კომენტარები



**3. რომელი დებულებაა მართებული (უპასუხეთ მეორე აბზაცის საფუძველზე)?**

ა) მოცარტის მუსიკის მოსმენა ააქტიურებს კუნთების მუშაობას;
ბ) მოცარტის მუსიკის მოსმენა დაბლა წევს სისხლის წნევას;
გ) მოცარტის მუსიკის მოსმენა ამაღლებს ინტელექტის კოეფიციენტს;
დ) მოცარტის მუსიკის მოსმენა ამცირებს სტრესის ჰორმონებს.

4. III **აბზაცში სიტყვები „როგორც წესი“ გამოხატავს, რომ გამოთქმული აზრი**:

ა) უმრავლეს/უმეტეს შემთხვევაში სწორია;
ბ) უმრავლეს/უმეტეს შემთხვევაში არასწორია;
გ) არ ითვალისწინებს წესებს;
დ) ითვალისწინებს წესებს.

**5. მესამე აბზაცში ვკითხულობთ, როგორი მოსაზრება აქვს მეცნიერთა ნაწილს. ეს ნიშნავს, რომ:**

ა) ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ეთანხმება ყველა მეცნიერი;
ბ) ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ყველა მეცნიერი;
გ) ყველა მეცნიერი ეთანხმება ამ მოსაზრების ერთ ნაწილს;
დ) არც ერთი მეცნიერი არ ეთანხმება ამ მოსაზრების ერთ ნაწილს.

**6. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი წინადადებების შესავსებად.**

არ შეიძლება არსებობდეს ყველასათვის მოსაწონი მუსიკა, (1)------ ყველა ადამიანს განსხვავებული მუსიკალური გემოვნება აქვს. თავი რომ კომფორტულად ვიგრძნოთ, (2) --------- უნდა შევარჩიოთ მუსიკა, რომელიც შეესაბამება ჩვენს პირად გემოვნებას.

ა) რათა/ამისათვის; გ) რადგან/ამიტომაც;
ბ) რადგან/ ამისათვის; დ) როცა/ამიტომაც.

**7. ”ბგერითი აბაზანა” ნიშნავს მუსიკის მოსმენას:**

ა) დაწოლილ მდგომარეობაში;
ბ) ყურსასმენების გამოყენებით;
გ) მაქსიმალური კონცენტრაციით;
დ) 20 წუთის განმავლობაში.

**8. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი ასახავს მართებულად ჩამონათვლის პუნქტებს შორის არსებულ მიმართებას?**

ა) II- III პუნქტებში შეჯამებულია I პუნქტში მოცემული ინფორმაცია;
ბ) III-IV პუნქტებში მოცემულია I- II პუნქტებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია;
გ) II- III პუნქტებში მოცემულია I პუნქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია;
დ) III-IV პუნქტებში შეჯამებულია I- II პუნქტებში მოცემული ინფორმაცია.

**9. „კარგ განწყობაზე ყოფნა“ იგივეა, რაც:**

ა) კარგად გართობა;
ბ) კარგ პირობებში ყოფნა;
გ) კარგად დასვენება;
დ) კარგ ხასიათზე ყოფნა.

10. **ტექსტის მთავარი მიზანია, გაგვაცნოს**:

ა) რა გავლენას ახდენს მუსიკა ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე;
ბ) რა გავლენას ახდენს მუსიკა ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე;
გ) რა გავლენას ახდენს მუსიკა ადამიანის კონცენტრაციის უნარზე;
დ) რა გავლენას ახდენს მუსიკა ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე.

გვ. 46

## თემა 2
## მოდა და სტილი

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და მსჯელობენ მათ შესახებ: ასახელებენ ფოტოებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას; ასაბუთებენ მოსაზრებებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 93 № 5: მოსწავლეები ეცნობიან დავალების ა—რ პუნქტებს და მონიშნავენ მათთვის მნიშვნელოვან ერთეულებს.

თემა 2

### მოდა და სტილი

#### 1. ზღაპრული ჰოლივუდი

**თემატური ცნობარი**

- ძველი და ახალი ჰოლივუდი
- წითელ ხალიჩაზე
- ოსკარი და ოქროს ჟოლო
- ოდრი ჰეპბერნი (მე-20 ს-ის ელეგანტურობის ეტალონი)

**ენობრივი ცნობარი**

- მოქმედების შესრულების დრო და გამოხატვის ფორმები (მწკრივები, დროის ზმნიზედები, სახელები და საწყისები, შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები)
- ვინიანი და მანიანი ზმნები

**1. დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ.**

- *რით განსხვავდება პირველი ფოტო დანარჩენი ორისაგან?*
- *რა არის თითოეული ფოტოს მთავარი სათქმელი? რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს?*
- *დააკავშირე მეორე და მესამე ფოტოები ერთმანეთთან.*








46 მოდა და სტილი

2. მოუსმინე ბავშვებს. რის შესახებ საუბრობენ ისინი? დაასახელე, ვინ რას ამბობს კონკრეტულად. შეასრულე დავალებები რვეულში.

3. რა არის შენთვის „ჰოლივუდი“?

4. მოძებნე პასუხები ტექსტში და წაიკითხე.

ა. რა არის ჰოლივუდი?
ბ. რა იყო ჰოლივუდის ადგილას 1870 წელს?
გ. ვინ იყვნენ მისი მაცხოვრებლები?
დ. რა მოხდა 1886 წლიდან?
ე. რატომ აღმოჩნდა ჰოლივუდი ლოს ანჯელესის დაქვემდებარებაში?
ვ. როდის გადაიღეს პირველი ჰოლივუდური ფილმი?
ზ. რა მოჰყვა ფილმის გადაღებას?
თ. რა არის ბევერლი ჰილზი?
ი. რით არის დიდების ხეივანი გამორჩეული?
კ. ვისი სახელობისაა ტროტუარზე გახსნილი ვარსკვლავები?
ლ. როდის გაიხსნა პირველი ვარსკვლავი და ვისი სახელობისაა ის?

5. დაუბრუნდი ტექსტს. ჩამოაყალიბე თითოეული აბზაცის ძირითადი აზრი და გამოყავი კონკრეტული საკითხები მეწყვილესთან ერთად. გააცანით სხვებს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო და იმსჯელეთ მათ შესახებ.

6. ქვემოთ მოცემულია მასალა, რომელიც წარმოადგენს ტექსტის თითოეული აბზაცის ძირითად სათქმელს და კონკრეტულ საკითხებს. გაეცანი მას და შეადარე შენი და შენი მეწყვილის მიერ წინა დავალებაში შესრულებულ სამუშაოს. რა დაემთხვა და რა – არა?

I. ჰოლივუდი – ვარსკვლავების უბანი ლოს ანჯელესში.
II. ჰოლივუდი XIX ს-ის ბოლომდე (ა. 1870 წლამდე. ბ. 1870 წლიდან).
III. დამოუკიდებლობის პირველი წლები (ა. პრობლემები ბ. პრობლემებიდან გამოსავალი).
IV. კინემატოგრაფიის ისტორია ჰოლივუდში (ა. პირველი ფილმი. ბ. ჰოლივუდის ქუჩებში. გ. ბევერლი ჰილზი).
V. ვარსკვლავები დიდების ხეივანში (ა. 2500 ვარსკვლავი. ბ. პირველი ვარსკვლავი).

I. ჰოლივუდი არის ლოს ანჯელესის უბანი, სადაც ძირითადად, ჰოლივუდის ვარსკვლავები ცხოვრობენ.

II. მისი ისტორია დიდი ხნის წინ დაიწყო. 1870 წლამდე აქ სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. ამ ადგილებში ძირძველი ამერიკელები, ადგილობრივი ინდიელები, ცხოვრობდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ჰოლივუდი 2 დიდ რანჩოდ იყო გაყოფილი და მხოლოდ 1886 წელს გააერთიანეს. მალე ამ რანჩოს ქუჩები ბულვარად და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებად იქცა, ხოლო ფერმერები ნელ-ნელა მეცენატები გახდნენ და ეკლესიების, სკოლებისა და ბიბლიოთეკების შენება დაიწყეს.

III. XX საუკუნის დასაწყისში ჰოლივუდი დანარჩენ ტერიტორიებს გამოეყო და დამოუკიდებლად ცხოვრება დაიწყო, მაგრამ წყლის პრობლემისა და არხების უქონლობის გამო ცალკე დიდხანს ვერ გაძლო და ლოს ანჯელესის დაქვემდებარებაში გადავიდა.

IV. ჰოლივუდის ისტორია კინემატოგრაფს პირველად 1911 წელს დაუკავშირდა, როდესაც ძველ ტავერნაში პირველი პატარა ჰოლივუდური ფილმი გადაიღეს. მალე ეს ადგილი მსოფლიოში ყველაზე საოცნებო ქალაქად იქცა. მისი ქუჩები კინოსტუდიებითა და პავილიონებით გაივსო. 20-30-იან წლებში ჰოლივუდში რესტორნებისა და ღამის კლუბების გახსნა დაიწყო. როცა მსახიობები საცხოვრებლად ბევერლი ჰილზში გადავიდნენ, ეს ადგილი ვარსკვლავთა ერთ დიდ ქუჩად გადაიქცა.

V. დიდების ხეივანი ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია ჰოლივუდში. ეს არის ტროტუარი 2500-ზე მეტი ხუთქიმიანი ვარსკვლავით, რომლებზეც, ძირითადად, სახელგანთქმულ ადამიანთა სახელებია ამოტვიფრული. პირველი ვარსკვლავი, რომელიც 1960 წლის 9 თებერვალს გაიხსნა, ოსკაროსან ჯოან ვუდვარდის სახელობისაა.

7. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე ჰოლივუდის შესახებ.



## გვ. 47

### მოსწავლის წიგნი

2. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს ჰოლივუდის შესახებ (იხ. მოსასმენი ტექსტი № 1), ხოლო მოსმენილის გაგების შესამოწმებლად ასრულებენ დავალებებს მოსწავლის ვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 93 № 6: მოსმენილი მასალის საფუძველზე, მოსწავლეები უბრუნდებიან № 5 დავალებას და მონიშნავენ პერსონაჟების მიერ დასახელებულ პუნქტებს.

გვ. 93 № 7: მოსწავლეები ადარებენ თავიანთ მოსაზრებებს მოსასმენი ტექსტის პერსონაჟების მიერ დასახელებულ პუნქტებს და ასახელებენ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

### მოსწავლის წიგნი

3. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს ჰოლივუდის შესახებ.
4. შემდეგ ისინი ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ ა—ლ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.

### მოსწავლის რვეული

გვ. 93 № 8, 9; გვ. 94 № 1, 2, 3, 4: სრულდება წაკითხულის გააზრებისათვის საჭირო დავალებათა სერია.

### მოსწავლის წიგნი

5. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყვილეები აყალიბებენ ტექსტის ცალკეული აბზაცის (I-V) ძირითად აზრს და აცნობენ მოსაზრებებს თანაკლასელებს.
6. მეწყვილეები ადარებენ საკუთარ ნამუშევარს ტექსტის აბზაცების ძირითად პუნქტებს.
7. სასურველია, მოცემული აქტივობა შესრულდეს საშინაო დავალების სახით. მოსწავლეები ამზადებენ მცირე ილუსტრირებულ პრეზენტაციებს თემასთან დაკავშირებით.

გვ. 48

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. ილუსტრაციებზე დაკვირვების საფუძველზე, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.
2. ა—დ პუნქტებიდან ისინი ირჩევენ მათთვის მისაღებ ვარიანტს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს „ოსკარისა“ და „ოქროს ჟოლოს“ პრემიების შესახებ და აყალიბებენ მოსაზრებებს მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ.

თემა 2

წითელი ხალიჩაზე



**1. დააკვირდი ფოტოს და უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.**

- რა მოვლენაა მასზე აღბეჭდილი და ვინ არიან ეს ადამიანები?
- რას აკეთებენ ვარსკვლავები უშუალოდ წითელ ხალიჩაზე?
- რა სურთ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს და რა აინტერესებთ უბრალო ადამიანებს?
- თავიდან დააკვირდი ამ ადამიანებს და ისაუბრე მათი ემოციების შესახებ.

**2. შენ რა შემთხვევაში გაივლიდი წითელ ხალიჩაზე? რას გააკეთებდი იქ? აირჩიე შენთვის სასურველი ვარიანტი და ისე უპასუხე შეკითხვებს.**

*ა. ვარსკვლავი* *ბ. ჟურნალისტი* *გ. ფოტორეპორტიორი* *დ. მაყურებელი*

**3. შენი აზრით, რა მსგავსება-განსხვავება არსებობს „ოსკარსა“ და „ოქროს ჟოლოს“ შორის? გაეცანი მოცემულ ტექსტს და შეამოწმე შენი ვერსია.**

„ოსკარი“ ამერიკის კინოაკადემიის ყოველწლიური პრემია და ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა. მას კინოაკადემიის წევრთა ფარული გამოკითხვით ანიჭებენ. ოსკარების გადაცემის ცერემონიას ათობით ქვეყანა პირდაპირი ეთერით უყურებს.

„ოსკარის“ ცერემონიის დროს საზოგადოება მის წითელ ხალიჩას არანაკლები ინტერესით ელოდება ხოლმე. წითელი ხალიჩა მოდის ერთგვარი პრესტიჟული ჩვენებაცაა, სადაც ტოპ-მოდელები ვარსკვლავები არიან. ისინი ხალიჩაზე ცნობილი დიზაინერების სამოსსა და აქსესუარებში ბრწყინავენ.

ვიდრე მსახიობები „ოსკარის“ ცერემონიაზე თავიანთ გამარჯვებას იზეიმებენ, ერთი დღით ადრე მათ უსიამოვნო ცერემონიის გადატანა უწევთ. ეს ანტიოსკარად წოდებული „ოქროს ჟოლოა“, რომელიც სანტა მონიკაში ყოველწლიურად ტარდება. ის გასული წლის ყველაზე ცუდ ფილმებს, მსახიობებსა და რეჟისორებს ავლენს. ამ ცერემონიას არცერთი ნომინანტი არ ესწრება და ჟიურის წევრები პრიზებს თავად უგზავნიან „გამარჯვებულებს“ სახლებში. „ოქროს ჟოლოს“ ლაურეატებს შორის საკმაოდ ბევრი წარმატებული სახეა. ყველაზე მეტი ჟოლო კარიერის განმავლობაში სილვესტერ სტალონეს აქვს მიღებული.

48 მოდა და სტილი

**4. წაიკითხე და დაასახელე, მოცემული ინფორმაციიდან რა არის, შენი აზრით, არაწორი.**
**🎧 მოისმინე და შეამოწმე. გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში და შეასრულე იქ მოცემული დავალებები.**

1

პირველი ოსკარი 1929 წლის 16 მაისს გადასცეს. ამ ცერემონიას სულ 4 წუთი დასჭირდა. სტატუეტი მიიღო ფილმმა „ცირკი“. სპეციალური ჯილდო მიიღო ჩარლი ჩაპლინმაც. პირველ ცერემონიას 250 ადამიანი ესწრებოდა და ბილეთი 100 დოლარი ღირდა.

2004 წლამდე „ოსკარის“ გადაცემის ცერემონია მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში ტარდებოდა. მას 1953 წლამდე რადიოთი გადასცემდნენ.

რაც შეეხება „ოქროს ჟოლოს“, ის 1981 წელს ამერიკელმა კინოკრიტიკოსმა, ჯონ უილსონმა, დააწესა. ნომინანტების სიას ცნობილი სახეები საჯაროდ ადგენენ და თავიანთ არჩევანს ცერემონიაზე ღიად აცხადებენ.





**5. დააკვირდი ფოტოზე გამოსახულ მეორე სტატუეტს. წაიკითხე მორე ტექსტის I აბზაცი, მოძებნე ხაზგასმული სიტყვები ფოტოზე და მიუთითე. არის თუ არა ფიგურა მთლიანად ოქროსი? დაასაბუთე პასუხი ტექსტის მიხედვით.**

**6. გაეცანი მოცემულ შეკითხვებს, მოძებნე პასუხები ტექსტში და დაასახელე.**

ა. როდის დაერქვა სტატუეტს „ოსკარი“ და რა ვერსიები არსებობს სახელის დარქმევასთან დაკავშირებით?
ბ. ვინ არიან ამ ვერსიის ავტორები და რას საქმიანობენ ისინი?
გ. სინამდვილეში, როგორ მიიღო სტატუეტმა ეს სახელი?
დ. ამ ვერსიებიდან რომელია შენთვის ყველაზე მეტად მისაღები და რატომ? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

2

34 სმ-ის სიმაღლის სტატუეტი 3.85 კგ-ს იწონის. ოქროს წყალში ამოვლებულ მამაკაცის ფიგურას ორივე ხელში მახვილი უკავია და ფილმის ბობინაზე დგას, რომელიც შავი მარმარილოს პოსტამენტზეა მოთავსებული.

1931 წლამდე ქანდაკებას, უბრალოდ, „სტატუეტი“ ეწოდებოდა. ოსკარის სახელთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, კინოაკადემიის მდივანმა, მარგარეტ ჰერიკმა, დაინახა თუ არა ის, წამოიძახა: „იგი ძალიან წააგავს ჩემს ბიძას – ოსკარს!“ მეორე ვერსიის თანახმად კი სტატუეტს ჟურნალისტმა, სიდნეი სკოლსკიმ, დაარქვა თავისი ბიძის სახელი. ამ ვერსიების წინააღმდეგ გამოვიდა ოსკარის ორგზის მფლობელი, ცნობილი მსახიობი ბეტ დევისი: „მონაჩმახი და სისულელეა. ფიგურას სახელი დაერქვა ჩემი პირველი მეუღლის, ჰარმონ ოსკარ ნელსონის პატივსაცემად. გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ ნურავის მონაჭორს. ეს ყველაზე კარგად მე ვიცი იმიტომ, რომ ამ დროს იქ ვიმყოფებოდი“, – განაცხადა მსახიობმა. დღემდე სიმართლე გარკვეული არ არის.



## გვ. 49

### მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები ეცნობიან № 1 ტექსტს და გამოთქვამენ მოსაზრებებს ამა თუ იმ ინფორმაციის სისწორის შესახებ. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 2).

### მოსწავლის რვეული

გვ. 95 № 5, 6 (I, II, III): სრულდება მოსმენილი ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 96 № 5 (IV, V): სრულდება ენობრივი ტიპის დავალებების სერია.

### მოსწავლის წიგნი

5. № 2 ილუსტრაციისა და № 2 ტექსტის პირველი აბზაცის ხაზგასმული სიტყვების საფუძველზე, მოსწავლეები ასახელებენ „ოსკარის“ სტატუეტის მახასიათებლებს.
6. თექსტთის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ ისინი პასუხობენ ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

### მოსწავლის რვეული

გვ, 96 № 1, 2; გვ. 97 № 3, 4, 5; გვ. 98 № 1: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 50

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. I გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ი პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას მოქმედების შესრულების დროსთან დაკავშირებით.
2. II გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ზ პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას დროის გამოხატვასთან დაკავშირებით.
3. III გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ე პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას მოქმედების დროსთან დაკავშირებით.

თემა 2

### მოქმედების შესრულების დრო

I.

| | |
|---|---|
| ახლანდელი | ხდება თქმის დროს. |
| წარსული | ხდებოდა ან უკვე მოხდა თქმამდე. |
| მომავალი | მოხდება თქმის შემდეგ. |
| ზოგადი დრო | მოქმედება, რომელიც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია საგნისთვის ან მოვლენისთვის. |
| | მოქმედება, რომელსაც ადამიანი ჩვეულებრივ ასრულებს. |

II.

| დროის გამოხატვა: | |
|---|---|
| ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმები | წერს, წერდა, დაწერა, უნდა დაწეროს, არ დაუწერია... |
| დროის ზმნიზედები | ახლა, წელან, წუხელ, უწინ, გუშინ, შარშან, ხვალ, ზეგ, ჯერ, შემდეგ, გვიან, მალე ... |
| სახელები და საწყისები | ორშაბათს, ზაფხულში, მთელ ზაფხულს, დილით, გაღვიძებისთანავე, პირველად, ორ საათზე, წასვლის წინ ... |
| შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები | რთული წინადადება, რომელშიც გამოხატულია მასში მოცემულ ამბებსა თუ მოვლენებს შორის დროითი მიმართება. გამოიყენება შესაბამისი წევრ-კავშირები: *როდესაც, როცა (მაშინ – როდესაც / როცა); მანამ – სანამ; როგორც კი (– მაშინვე)* ... |

III.

არსებობს ზმნები, რომელთა ერთი კონკრეტული ფორმა სხვადასხვა დროს გამოხატავს. თუ რომელ დროს გამოხატავს, ამაზე კონტექსტი მიუთითებს, მაგალითად:

| | |
|---|---|
| **ასწავლის** | დედას არ სცალია, ჩემს ძმას ასწავლის. |
| | დედა აუცილებლად ასწავლის ამას ჩემს ძმას. |
| **ათამაშებს** | ნახე, როგორ კარგად ათამაშებს თავის პატარა დას! |
| | ჯერ იმეცადინებს და შემდეგ ათამაშებს თავის დას. |

1. **წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე პირველ ცხრილთან. მიუთითე, ცალკეულ წინადადებაში კონკრეტული მოქმედების დრო.**
   ა. დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს.
   ბ. სოფელში აუცილებლად უნდა წავიდე.
   გ. თევზი ცურავს, ნიანგი მიწაზე დახოხავს, კურდღელი კი დახტის.
   დ. დედაჩემი სკოლაში ასწავლის.
   ე. შარშან ზღვაზე დავისვენე.
   ვ. ჩემი ძმა კარგად ხატავს, მე კი ლექსებს ვწერ.
   ზ. ბიძაჩემი საავადმყოფოში მუშაობს.
   თ. მე გაღვიძებისთანავე ვდგები და ვვარჯიშობ.
   ი. დათო ყოველთვის არ უნდა აგვიანებდეს სკოლაში.
2. **წაიკითხე წინადადებები და მიუთითე, რით არის გამოხატული კონკრეტული დრო ცალკეულ შემთხვევაში. დაასახელე ყველა ენობრივი გამოხატულება.**
   ა. მამა დილით ადრე წავიდა სამსახურში.
   ბ. წუხელ ძლიერი ქარი ქროდა.
   გ. მე მაშინ მოვალ, როცა შენ მეტყვი.
   დ. როგორც კი წვიმა დაიწყო, მაშინვე სახლში წავედი.
   ე. დათომ ეს დავალება აუცილებლად უნდა დაწეროს.
   ვ. ლიას წასვლის წინ ველაპარაკე.
   ზ. ჯერ ზაზა დაიწყებს, შემდეგ შენ გააგრძელებ.
3. **წაიკითხე წინადადებები და კონტექსტის მიხედვით განსაზღვრე მოქმედების დრო. მიუთითე, რა დაგეხმარა სწორი პასუხის მიღებაში.**
   ა. დათო კომპიუტერთან ზის, ნანა კი თავის პატარა დას ამეცადინებს.
   ბ. ცოტას დავისვენებ და მერე ვათამაშებ.
   გ. ჩემი ძმა შემპირდა, რომ აუცილებლად მავარჯიშებს.
   დ. უკვე ნახევარი საათია, რაც მამა უფროს შვილს ავარჯიშებს.
   ე. ის თავის ნებაზე ათამაშებს თავის უფროს დას.

50 მოდა და სტილი

**4. წაიკითხე და დაასახელე, რომელ წინადადებაშია საუბარი ახლანდელ დროზე. მიუთითე, რა მიანიშნებს ამაზე.**

ა. გიორგი დიდხანს იჯდა კომპიუტერთან.
ბ. ის საათობით არ უნდა იჯდეს კომპიუტერთან!
გ. გიორგი, უკვე ორი საათია, კომპიუტერთან ზის.
დ. მე მგონი, ის ახლა კომპიუტერთან ზის.
ე. ჩემი აზრით, ის ახლა კომპიუტერთან უნდა იჯდეს.
ვ. გიორგი, ამდენ ხანს კომპიუტერთან არ უნდა იჯდე!

**5. გაეცანი აწმყოს კავშირებითის ფუნქციებს და მის ქვემოთ მოცემულ წინადადებებს.**

**დააკავშირე წინადადებები შესაბამის ფუნქციებთან. დაასახელე, რა არის გადმოცემული ცალკეულ წინადადებაში.**

**მიუთითე, რომელი სიტყვა (ან სიტყვები) აძლიერებს ამ შინაარსს.**

**6. დააკვირდი მეორე ცხრილს და შეასრულე დავალებები.**

ა. *დაასახელე, რომელი პირისა და რიცხვის ფორმებითაა წარმოდგენილი ზმნები?*
ბ. *დაასახელე I სუბიექტური პირის ნიშნები **ვ**ინიან და **მ**ანიან ზმნებში.*
გ. *გადაიყვანე მოცემული ფორმები III პირში ნიმუშის მიხედვით.*

**ნიმუში:** *მე ვხატავ – ის ხატავს*

დ. *რომელი ვინიანი ზმნების ფორმები ჰგავს მანიანი ზმნების I თურმეობითს? დაასახელე, რით ჰგავს ეს ფორმები ერთმანეთს.*
ე. რა არის ამ ზმნების I სუბიექტური პირის ნიშანი I თურმეობითში?
ვ. დააკვირდი **ვ**ინიანი 2-ის ზმნების I თურმეობითს. რით განსხვავდება ისინი დანარჩენი ზმნების I თურმეობითის ფორმებისაგან?

| | |
|---|---|
| აწმყო<br>რას შვრება? | გამოხატავს ფაქტს. მიუთითებს, რომ თქმის მომენტში ხდება მოქმედება:<br>*ახლა ის **თამაშობს,** მე კი წიგნს **ვკითხულობ.*** |
| აწმყოს კავშირებითი<br>რას (უნდა) შვრებოდეს? | გამოხატავს მთქმელის აზრს, ვარაუდს, სურვილს ისეთი მოქმედების შესახებ, რომელიც თქმის დროს:<br>ა) სრულდება, ბ) უნდა სრულდებოდეს, მაგრამ არ სრულდება, გ) როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე, ან დ) უნდა, რომ შესრულდეს.<br>*მე მგონი, გია ახლა ეზოში უნდა **თამაშობდეს.***<br>*ჩემი აზრით, დათო ახლა არ უნდა **თამაშობდეს** და უნდა კითხულობდეს.*<br>*შენ ასე გვიან არ უნდა **მიდიოდე.***<br>*მაკა, ამ დროს უნდა **იძინებდე!***<br>*ის ახლა უნდა **მეცადინეობდეს!***<br>*ზაზა გვიანობამდე არ უნდა **ერთობოდეს!***<br>*ნეტა, ზღვაზე **ვისვენებდე!*** |
| I თურმეობითი<br>რა უქნია? | ასახავს მოქმედების შედეგს აწმყოში, აწმყოს ვითარებას:<br>*ის ლექსები ანას ახლაც წიგნაკში **უწერია.*** |

| | ვინიანი ზმნები | მანიანი ზმნები |
|---|---|---|
| | ვინიანი 1 | |
| აწმყო<br>აწმყოს კავშ.<br>I თურმეობ. | ვხატავ<br>ვხატავდე<br>დამიხატავს | მაქვს<br>მქონდეს<br>მქონია |
| აწმყო<br>აწმყოს კავშ.<br>I თურმეობ. | ვცხოვრობ<br>ვცხოვრობდე<br>მიცხოვრია | მომწონს<br>მომწონდეს<br>მომწონებია |
| | ვინიანი 2 | |
| აწმყო<br>აწმყოს კავშ.<br>I თურმეობ. | მივდივარ<br>მივდიოდე<br>წავსულვარ | მეშინია<br>მეშინოდეს<br>შემშინებია |
| აწმყო<br>აწმყოს კავშ.<br>I თურმეობ. | ვეხმარები<br>ვეხმარებოდე<br>დავხმარებივარ | მიჭირს<br>მიჭირდეს<br>გამჭირვებია |



გვ. 51

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ვ პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას აწმყო დროის წარმოებასთან დაკავშირებით.
5. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ გაეცნონ აწმყოს კავშირებითის ფუნქციებს.
6. ჩრამატიკული ცნობარის მეორე ცხრილზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—გ პუნქტები.

## გვ. 52

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლები აკვირდებიან ილუსტრაციებს და ირჩევენ მოცემული შეკითხვების პასუხებიდან (ა—დ) მათთვის მისაღებ თითო ვარიანტს.
2. ვერსიების გადასამოწმებლად მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ოდრი ჰეპბერნის შესახებ (გვ. 53) და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 98 № 2 ტექსტის პირველ აბზაცზე დაყრდნობით, სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

**მოსწავლის წიგნი**

3. წაკითხული ტექსტის ცალკეულ აბზაცზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

თემა 2

მე–20 საუკუნის ელეგანტურობის ეტალონი

**1. დააკვირდი ფოტოებს და უპასუხე შეკითხვებს. დაასაბუთე შენი პოზიცია ფოტოებზე დაყრდნობით.**

ა. ვინ იყო ოდრი ჰეპბერნი? დაასახელე ყველა სწორი ვარიანტი.
   1. მოდელი
   2. მსახიობი
   3. ბალერინა
   4. სამხედრო ექიმი
   5. საზოგადო მოღვაწე

ბ. რა იყო მისი ბავშვობის ოცნება?
   1. ჰოლივუდის ვარსკვლავობა
   2. მოგზაურობა
   3. მოდელობა
   4. ბალერინობა
   5. საზოგადო მოღვაწეობა

გ. როგორი ბავშვობა ჰქონდა ოდრის? დაასახელე ყველა სწორი ვარიანტი.
   1. უზრუნველი
   2. მშფოთვარე
   3. მძიმე
   4. ლაღი
   5. მშვიდი

დ. რა იყო მისი უკანასკნელი გატაცება?
   1. ფოტოგრაფობა
   2. მოგზაურობა
   3. ქველმოქმედება
   4. რეჟისორობა
   5. დიზაინერობა







**2. მოძებნე პასუხები 53-ე გვერდზე მოცემულ ტექსტში და შეამოწმე. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**3. დაუბრუნდი ტექსტს, მოძებნე სათანადო ინფორმაცია და დაასახელე.**

ა. ჩამოთვალე, კონკრეტულად რა ქმნის ოდრის სტილს?

ბ. დაასახელე მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მისი დეპრესია.

გ. დაახასიათე ოდრი ჰეპბერნი III და IV აბზაცების მიხედვით. რა იყო შენთვის მოულოდნელი და გასაოცარი, რატომ?

დ. რა იყო ოდრი ჰეპბერნის უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი გატაცება?

52 მოდა და სტილი

თემა 2







**I.** *ქალბატონი დიდი სათვალით, შლაპით, გრძელი ხელთათმანებით, დაბალძირიანი ფეხსაცმლითა და მოკლე კაბით – ასეთი იყო ოდრი ჰეპბერნი, რომელიც 50-60-იანი წლების რეტრო სტილის ფუძემდებლად აღიარეს. „ნებისმიერს შეუძლია, ოდრის შესახედაობა ჰქონდეს, თუ თმას მოკლედ შეიჭრის, მზის დიდ სათვალეს გაიკეთებს და პატარა, შავ კაბას ჩაიცვამს“, – ამბობდა თავად ოდრი.*

**II.** *დაიბადა 1929 წ. 4 მაისს ბრიუსელში (ბელგია). მამა – ინგლისელ-ირლანდიელი ბანკირი, დედა კი ფრანგ და ინგლისელ მეფეთა შთამომავალი, ჰოლანდიელი არისტოკრატი იყო. დედა ძალიან მკაცრი ჰყავდა, მამა კი – თბილი და მოსიყვარულე. მშობლების დაშორების შემდეგ ოდრი დედასთან ერთად ნიდერლანდებში ცხოვრობდა. სწავლობდა კერძო სკოლაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა მისი ბიძა და ბიძაშვილი დახვრიტეს, ძმას კი საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი. უჭმელობის გამო გოგონას ჯანმრთელობა შეერყა. ის საათობით იწვა საწოლში და კითხულობდა, რათა შიმშილის გრძნობას მორეოდა. ვარაუდობენ, რომ დეპრესია, რომლითაც ოდრი მომდევნო წლებში იტანჯებოდა, სწორედ ამ მძიმე წლების შედეგი იყო.*

**III.** *ოდრი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თავმდაბლობით, კეთილი გულითა და ენამახვილობით. იყო უზომოდ ნიჭიერი და შრომისმოყვარე. ის თავისუფლად საუბრობდა ინგლისურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. განსაკუთრებით უყვარდა ცეკვა. ბავშვობიდან ოცნებობდა ბალერინობაზე, თუმცა უშედეგოდ – საცხოვრებლად ლონდონში გადასული ოდრი ზედმეტი სიმაღლის გამო დაიწუნეს. ოდრი ნიდერლანდებში, დაბრუნდა.*

**IV.** *მიუხედავად ბალეტში წარუმატებლობისა, მან პოპულარობას კინოში მიაღწია. „რომაულმა არდადეგებმა“ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ოდრი ჰეპბერნს ოსკარი მოუტანა.*

**V.** *1980-იანი წლებიდან ოდრიმ მსახიობობას თავი დაანება და საქველმოქმედო საქმიანობა დაიწყო, რაც მის გატაცებადაც იქცა. იყო წევრი უამრავი ორგანიზაციისა, რომლებიც აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას ეხმარებოდნენ. კეთილი ნების ელჩმა დარჩენილი ცხოვრება ღარიბ ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებს მიუძღვნა, ამიტომაც ის ბევრს მოგზაურობდა. დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით იმ სიკეთისათვის, რომელსაც იუნისეფთან თანამშრომლობით გასცემდა.*

*გარდაიცვალა 1993 წ. 20 იანვარს შვეიცარიაში, სადაც ის ბოლო პერიოდში ცხოვრობდა.*

მოდა და სტილი 53

## გვ. 53

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 99 № 3, 4, 5; გვ. 100 № 1: სრულდება ტექსტის გაგების შესამოწმებელი მრავალმხრივი დავალებების სერია.

გვ. 100 № 2: ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშო.

გვ. 100 № 3: მოსწავლეები თემის ირგვლივ საუბრობენ გაბმულად. შესაძლებელია ილუსტრირებული პრეზენტაციის მომზადება (სასურველია, საშინაო დავალების სახით).



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 63

## გვ. 54

**მოსწავლის წიგნი**

1. ილუსტრაციაზე დაკვირვების საფუძველზე, მოსწავლეები საუბრობენ პერსონაჟების ჩაცმულობისა და სტილის შესახებ, გამოთქვამენ მოსაზრებებს ამა თუ იმ პერსონაჟის გემოვნების, უგემოვნობის, შეუსაბამო ჩაცმულობისა და სხვ. შესახებ.
2. მოსწავლეები მსჯელობენ მოდის შესახებ უჯრედში მოცემულ შეკითხვებზე დაყრდნობით.
3. მასწავლებლის დავალებით, საშინაო დავალების სახით, მოსწავლეები საოჯახო ალბომებში მოიძიებენ ძველ ფოტოებს და საუბრობენ მათი ოჯახის წევრების, ნათესავების ჩაცმულობაზე, ძველი დროის მოდის ტენდენციებზე.

## გვ. 55

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან ა—ე პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს და ასაბუთებენ საკუთარ არგუმენტებს.
5. მასწავლებელი კლასს ასმენინებს ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 3). მოსმენილის საფუძველზე, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 101 № 4, 5: მოსწავლის წიგნის № 5 დავალებაზე დაყრდნობით მოსწავლეები ასრულებენ მოსმენილის გაგების შესამოწმებელ სავარჯიშოებს.

გვ. 102 № 1, 2, 3, 4, გვ. 103 № 5: სრულდება ენობრივი დავალებების სერია.

გვ. 103 № 6: მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად: მეწყვილეები პასუხობენ შეკითხვებს და განასხვავებენ ბიჭებისა და გოგონების ჩაცმულობის სტილს.

**მოსწავლის წიგნი**

თემა 2

### 2. მოდა საზღვრებზარეშე

**თემატური ცნობარი**

- როგორ გამოვიყურებით
- რა არის მოდა?
- აქსესუარები და მათი ისტორია
- კოკო შანელი

**ენობრივი ცნობარი**

- წარსული დროის გამოხატვა ზმნური ფორმით
- მანიანი ზმნები წარსულში
- ვინიანი ზმნები წარსულში

**1. დააკვირდი სურათზე გამოსახულ ადამიანებს და ისაუბრე მათი ჩაცმულობის შესახებ. შეადარე ისინი ერთმანეთს. ვინ არის, შენი აზრით, უგემოვნოდ, გემოვნებით, შეუსაბამოდ და ა.შ. ჩაცმული? დააკონკრეტე, რას გულისხმობ.**




**2. იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.**

- რა არის მოდა და ახდენს თუ არა ის გავლენას შენზე?
- რის შესახებ ამბობენ ხოლმე: „მოდურია“ ან „მოდიდან გასულია“?
- რას ნიშნავს „მოდურად ჩაცმული“ და რა არის დღეს მოდაში?
- ხშირად იცვლება თუ არა მოდა და რა იწვევს მის ცვლილებას?
- მეორდება თუ არა მოდა და არის თუ არა დღეს მოდაში ის, რასაც შენი მშობლები იცვამდნენ, იკეთებდნენ, უსმენდნენ და ა.შ.

**3. მოიძიე საოჯახო ფოტოალბომში ძველი ფოტოები და ისაუბრე მათ შესახებ წინა დავალების გათვალისწინებით.**

54 მოდა და სტილი

**4. წაიკითხე და უპასუხე შეკითხვებს. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული არგუმენტებით.**

ა. რას ნიშნავს „სტილი“ და რა კავშირი აქვს მას მოდასთან?
ბ. არსებობს თუ არა განსხვავება მოდასა და სტილს შორის და რაში გამოიხატება ეს განსხვავება?
გ. რა განსაზღვრავს სტილს?
დ. ნიშნავს თუ არა საკუთარი სტილის ქონა არაორდინალურობას?
ე. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს სტილი არაორდინალური?

**5. მოისმინე, რას ამბობენ ბავშვები და იმსჯელე მათი პოზიციების შესახებ.**

- *როგორ ესმის თითოეულს „მოდა“ და „მოდურად ჩაცმა“?*
- *როგორ უყურებენ ისინი მოდის ცვლილებას? ვის როგორი სტილი მოსწონს და რატომ?*
- *ვის აქვს საკუთარი სტილი და რაში გამოიხატება ეს?*
- *როგორ აფასებენ ისინი თავიანთი თანატოლების ჩაცმულობას, რა მოსწონთ, რა – არა და რატომ?*

**6. ისაუბრე შენ შესახებ:**

- *ჩაცმის როგორი სტილი მოგწონს და რატომ?*
- *შენ თუ გაქვს საკუთარი სტილი და რაში გამოიხატება ეს?*

**7. თავიდან დააკვირდი სურათს (გვ. 54) და მიუთითე, ვისზე შეგიძლია თქვა, რომ აქვს საკუთარი სტილი? არის არაორდინალური? დააკონკრეტე, რას გულისხმობ.**

**8. წაიკითხე ტექსტი გულდასმით. გამოიყენე მოცემული შეკითხვები და ისაუბრე მოდისა და სტილის შესახებ ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით.**

ა. რა არის მოდა და რა გავლენას ახდენს ის ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე?
ბ. რა არის მოდის მთავარი პრინციპი?
გ. რა არის სტილი და რით განსხვავდება ის მოდისგან?
დ. ვინ იყო კოკო შანელი და რა შექმნა მან?
ე. რაში გამოიხატება სტილის ინდივიდუალურობა?

*„მოდა არქიტექტურასავითაა – აქ ყველაფერი დამოკიდებულია პროპორციებზე!“* – კოკო შანელი.

მოდა ხელოვნების ის დარგია, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ის არასოდეს ჩერდება ერთ ადგილზე, მუდმივად იცვლება – შემოდის ახალი, ან ბრუნდება ძველი. მოდა არ არის მხოლოდ ტანსაცმელი, ის ცხოვრების სტილია.

მოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში განაპირობებს მისთვის დამახასიათებელ სტილს, ჩაცმის მანერას, იდეებს, ქცევებს, ეტიკეტს, ხელოვნებას და ა.შ. მისი მთავარი პრინციპი სიახლისაკენ სწრაფვაა.

„მოდა გადადის მოდიდან, სტილი – არასოდეს“, – ამბობდა კოკო შანელი, რომელმაც საკუთარი განუმეორებელი სტილის შექმნით ნამდვილი რევოლუცია მოახდინა XX საუკუნის 20-იანი წლების მოდაში.

სტილი – ეს არის უნარი, მოდურ ნივთებს შორის აირჩიო ისეთი რამ, რაც გარკვეულად შეესაბამება შენს ფიგურას, გარეგნობას, ცხოვრების წესს, ინტერესებსა და ჩვევებს. არჩევანის მნიშვნელოვანი პირობაა, იგრძნო თავი თავისუფლად და კომფორტულად და, ამავე დროს, კარგად გამოხატო შენი ინდივიდუალობა.

სტილი ინდივიდუალურობის პირველი ნიშანია, რომელიც ბევრს ამბობს ადამიანის პიროვნებაზე. ჩვენი სტილი და მოდურობა ჩვენს ტანსაცმელში, ფეხსაცმელში, თმის ვარცხნილობაში, მაკიაჟსა და იმ აქსესუარებში გამოიხატება, რომლებსაც ყოველდღიურად ვიყენებთ.



6. მოსწავლეები მსჯელობენ საკუთარ სტილზე, გემოვნებაზე.
7. მოსწავლეები უბრუნდებიან (მოსწავლის წიგნის) 54—ე გვერდზე მოცემულ ილუსტრაციას და მსჯელობენ პერსონაჟებზე, მათ გემოვნებაზე და სხვ.
8. კლასი ეცნობა ტექსტს მოდისა და სტილის შესახებ და პასუხობს ა—ე პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.

## მოსწავლის რვეული

გვ. 103—105 № 7 (I-IV) სრულდება კომბინირებული ტიპის სავარჯიშო.

გვ. 105 № 1 (ა—ვ პუნქტები): მოსწავლეები უბრუნდებიან მოსასმენ ტექსტს და ადარებენ ერთმანეთს პერსონაჟების (სოფოს, რეზოს, მაკას და გაგას) რეპლიკებს/მოსაზრებებს.

გვ. 106 № 1: მოსწავლეები ასრულებენ წერით საკომუნიკაციო დავალებას და აღწერენ საკუთარ დილას (საშუალოდ 150 სიტყვა).

გვ. 106 № 2: მოსწავლეები მუშაობენ წყვილში და ავსებენ მოცემულ ცხრილს.

გვ. 107 № 3: წინა დავალებაში შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, მეწყვილეები თანაკლასელებს აცნობენ მოსაზრებებს. სამეტყველო აქტივობის შესრულებამდე მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს წარმოდგენილ სამეტყველო ფუნქციებზე, რომელთა გამოყენება სასურველია მეტყველებისას.

გვ. 107—108 № 5 (I-IV)სრულდება მორიგი წერითი სამეტყველო აქტივობა. მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა პოზიციის გამოხატვა, მსჯელობა, დასაბუთება.

## გვ. 56

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციას და ასახელებენ მათთვის სასურველ/გამოსადეგ და არასასურველ/გამოუსადეგარ ნივთებს/აქსესუარებს.
2. ა—გ პუნქტებზე დაყრდნობით, მოსწავლეები განჭვრეტენ ტექსტების შინაარსს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტებს და ასახელებენ, თუ რომელ კონკრეტულ ილუსტრაციაზე წარმოდგენილ ნივთს/აქსესუარს უკავშირდება ესა თუ ის ტექსტი.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 108 № 2: წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები ავსებენ ცხრილს.

თემა 2

1. **დააკვირდი მოცემულ ნივთებს და დაასახელე, ამ აქსესუარებიდან რომელი მოგწონს ან არ მოგწონს; რომელს სად, როდის და რა ინტენსივობით იყენებ; რომელს არ იყენებ და რატომ?**
2. **როგორ ფიქრობ, რის შესახებ იქნება საუბარი ტექსტებში? დაასახელე სწორი ვარიანტი. წაიკითხე ტექსტების დასაწყისები და შეამოწმე შენი ვარაუდი.**
   ა. ცნობილი ადამიანები და აქსესუარები;
   ბ. აქსესუარების შექმნის ისტორია;
   გ. ყველაზე უცნაური აქსესუარები მსოფლიოში.
3. **გაეცანი ტექსტებს და დაასახელე, რომელ ნივთზე, აქსესუარზეა საუბარი კონკრეტულ შემთხვევაში.**




მისი ისტორია 4000 წლის წინ დაიწყო. მას მესოპოტამიელები ხის ხერქისგან, წყლისა და ზეთისაგან ამზადებდნენ.

1000 წლის შემდეგ მისი დამზადება დაიწყეს ეგვიპტელებმა, რომლებიც მას ოქროზე მეტად აფასებდნენ. ალექსანდრე მაკედონელის წყალობით, მან საბერძნეთი დაიპყრო.

დღეს ის ალკოჰოლის ხსნარისა და სურნელოვანი ზეთების ნაზავია. ამ ტექნოლოგიით ის პირველად 1370 წელს უნგრეთის დედოფლის, ელიზაბეტისთვის შექმნეს, თუმცა, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვისაც ის დღემდე ყველაზე პოპულარულ აქსესუარად ითვლება.

XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ის იმდენად მაღალი და წვრილი იყო, რომ ქალები მხოლოდ ჯოხების საშუალებით გადაადგილდებოდნენ. ამავე პერიოდში შეიქმნა განთქმული წითელი ქუსლი, რომლის ტარების უფლება მხოლოდ მეფის საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონდათ. ლუი XIV-ის გავლენით, საფრანგეთის სამეფო კარის დიდგვაროვანი მამაკაცებისათვის ის შეუცვლელი გახდა.

აღმოსავლეთში მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა. მას ამზადებდნენ ფოთლებისა და ფარშევანგის ბუმბულისაგან. მაღალი წრის წარმომადგენლისთვის ეს ნივთი დიდი ზომისა იყო და მას მსახური დაატარებდა. რომში ამ ნივთს ძვლის სახელურს უკეთებდნენ.

მოგვიანებით ზომასთან ერთად შეიცვალა მისი ფორმაც. ის გახდა მომრგვალებული და, ამავე დროს, იკეცებოდა კიდეც. პირველად მას მხოლოდ მამაკაცები იყენებდნენ, მოგვიანებით კი ის მარტო ქალის აქსესუარი გახდა.

56 მოდა და სტილი




მასზე საავტორო უფლება ჩინეთს ეკუთვნის. ერთმა ჩვეულებრივმა ხურომ ჩვ. წ-აღ-მდე მე-10 ს-ში თავისი ცოლისთვის დაამზადა „სახურავი, რომელიც სულ მის ზემოთაა". იგი ფუფუნების საგანი გახდა და ხელმისაწვდომი მხოლოდ მაღალი საზოგადოებისათვის იყო.

გარდა ჩინეთისა, მისი კულტი აფრიკულ სახელმწიფოებშიც არსებობდა. ის, გვირგვინთან ერთად, ხელისუფლებისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო. დროთა განმავლობაში კი ფუფუნების საგნიდან პოპულარულ აქსესუარად იქცა.

შუა საუკუნეებში მისი გამოყენებისათვის, ადვილი შესაძლებელი იყო, ქალი ჯადოქრობაში დაედანაშაულებინათ და დიდ კოცონზე დაეწვათ. ლუდოვიკო XVI-ის კარზე მას მამაკაცებიც ხმარობდნენ, რათა სახის ეს ნაწილი უფრო გამოკვეთილი ჰქონოდათ და წვერ-ულვაშში კარგად გამოჩენილიყო.

მისი ისტორია მამაკაცის სამოსის ჯიბით დაიწყო. დროთა განმავლობაში ჯიბე ქამარზე მისამაგრებელ, ოქროს მონეტების სატარებელ ქისად გადაიქცა. ზომის მომატების შემდეგ ის დაიხვეწა და, როგორც აქსესუარი, XVII ს-ში ქალის გარდერობში მოხვდა.

ადრე მას მხოლოდ მამაკაცები იყენებდნენ. პირველად ის ჩინელმა მეომრებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 260 წელს გამოიყენეს. ჩინეთის იმპერატორ ცინ შიხუანდის უზარმაზარ სამარხში აღმოჩენილ 7500-ვე მეომარს ის ყელზე ეკეთა. მას იყენებდნენ ლეგიონერებიც ძველ რომში სიცივისაგან დასაცავად. XIX ს-ში შეიცვალა მისი ფუნქცია და საფრანგეთში მისი ტარება უკვე ცხვირის დამალვის მიზნით დაიწყეს.

**4. თავიდან წაიკითხე ტექსტები გულდასმით და შეასრულე დავალებები რვეულში.**



გვ. 57

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები თავიდან კითხულობენ ტექსტებს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 109 № 3: სრულდება კომბინირებული (საკომუნიკაცო და ენობრივ უნარებზე ორიენტირებული ) ტიპის დავალება.

გვ. 109 №1, გვ. 110 № 1, 2; გვ. 111 № 6, 7: სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშოები.

გვ. 110 № 3, გვ. 111 № 4, 5: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებათა სერია.

## გვ. 58

### მოსწავლის წიგნი

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეებს ევალებათ, შეასრულონ დავალების ა—ე პუნქტები, სადაც ისინი იმეორებენ განვლილ მასალას წარსული დროის ზმნური ფორმისთ გამოხატვის შესახებ.
2. მოსწავლეები კითხულობენ ა—ი პუნქტებში წარმოდგენილ წინადადებებს და გამოკვეთენ ხაზგასმული ზმნების მიერ გამოხატულ შინაარსს.
3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები უთითებენ ა—თ პუნქტებში ხაზგასმული ზმნების მწკრივს; ასახელებენ სუბიექტს, მის პირსა და რიცხვს და შესაბამის ნიშნებს.
4. გრამატიკულ ცნობარში წარმოდგენილი ნიმუშის მისედვით, მოსწავლეებს გადაჰყავთ მითითებული ზმნები მესამე პირში.

თემა 2

**წარსული დროის გამოხატვა ზმნური ფორმით**

წარსულში შესრულებულ მოქმედებას, შესაძლოა განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს.

| | |
|---|---|
| უწყვეტელი<br>რას ვშვრებოდი? | *ვწერდი, ვამბობდი, მივდიოდი...*<br>მიუთითებს მხოლოდ დაუსრულებელ, უწყვეტ მოქმედებაზე, მოქმედების პროცესზე. |
| წყვეტილი<br>რა ვქენი? | *დავწერე (ვწერე), ვთქვი, წავედი, ვიტირე...*<br>*არ დავწერე, ვერ დავწერე...*<br>გამოხატავს დასრულებულ (ან დაუსრულებელ) მოქმედებას; მიუთითებს მოქმედების შედეგზე. |
| I თურმეობითი<br>რა მიქნია? | *დამიწერია, მითქვამს, წავსულვარ, შემშინებია...*<br>ა. მიუთითებს მოქმედების შედეგზე.<br>ბ. მიუთითებს უნახავ მოქმედებაზე. |

**მანიანი ზმნები წარსულში**

| | | |
|---|---|---|
| უწყვეტელი<br>წყვეტილი<br>I თურმეობ. | მქონდა<br>-------------<br>მქონია | ჩვქონდა<br>-------------<br>გვქონია |
| უწყვეტელი<br>წყვეტილი<br>I თურმეობ. | მომწონდა<br>მომეწონა<br>მომწონებია | მოგვწონდა<br>მოგვეწონა<br>მოგვწონებია |
| უწყვეტელი<br>წყვეტილი<br>I თურმეობ. | მეშინოდა<br>შემეშინდა<br>შემშინებია | გვეშინოდა<br>შეგვეშინდა<br>შეგვშინებია |
| უწყვეტელი<br>წყვეტილი<br>I თურმეობ. | მიჭირდა<br>გამიჭირდა<br>გამჭირვებია | გვიჭირდა<br>გაგვიჭირდა<br>გაგვჭირვებია |

**უწყვეტელი** = აწმყოს + -დ (/ -ოდ)
მომწონ-ს მომწონ-დ-ა
მეშინ-ია მეშინ-ოდ-ა

1. **უპასუხე შეკითხვებს I ცხრილზე დაყრდნობით.**
   ა. რა აქვს საერთო უწყვეტელსა და წყვეტილს?
   ბ. რა განსხვავებაა მათ შორის?
   გ. რა აქვს საერთო წყვეტილსა და I თურმეობითს?
   დ. რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან?
   ე. კიდევ რას გამოხატავს I თურმეობითი?
2. **წაიკითხე მოცემული წინადადებები და დააკონკრეტე ზმნით გამოხატული მოქმედების შინაარსი. რაზე მიუთითებს ხაზგასმული ზმნა ცალკეულ შემთხვევაში?**
   ა. გუშინ ძალიან ბევრი ვიკითხე.
   ბ. „მერი პოპინსი" ბავშვობაში წავიკითხე.
   გ. ჩემს ძმასაც წაუკითხავს ეს წიგნი.
   დ. ამ წიგნს ერთი კვირის წინ ვკითხულობდი, მაგრამ ვერ დავამთავრე.
   ე. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ წავედი.
   ვ. გიორგი გუშინ წასულა სოფელში.
   ზ. ეს წერილი დღეს არ დამიწერია.
   თ. ჩვენ ერთად ვუყურებდით ამ ფილმს.
   ი. ლიამ მთელი დღე წერა ეს დავალება.
3. **წაიკითხე და მიუთითე, რომელ მწკრივშია ხაზგასმული ზმნები. მიუთითე სუბიექტი, დაასახელე, რომელ პირსა და რიცხვშია ის და მიუთითე შესაბამისი ნიშნები.**
   ა. მე და ლიას ძალიან მოგვეწონა ეს ფილმი.
   ბ. ჩემს ძმას არ გასჭირვებია ამ დავალების შესრულება.
   გ. შეგეშინდა დიდი ძაღლისა?
   დ. ბიჭებს არ შეშინებიათ სიბნელისა.
   ე. გუშინ საკონტროლო წერა გვქონდა მათემატიკაში.
   ვ. მას კლასელთან პრობლემა არ ჰქონია.
   ზ. დედაჩემს არ მოეწონა ჩემი საქციელი.
   თ. ბავშვებს გაუჭირდათ მთაზე ასვლა.
4. **გადაიყვანე მოცემული ფორმები III პირში ნიმუშის მიხედვით. იმუშავე რვეულში.**

   **ნიმუში:** *მე მქონდა – მას ჰქონდა*

58 მოდა და სტილი



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 68

5. **დააკვირდი ვინიანი 1-ის ზმნების ცხრილს და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. *რომელი პირის ფორმებშია წარმოდგენილი მოცემული ზმნები?*
   ბ. *რომელ მწკრივებში აქვს I სუბიექტურ პირს* **ვ-** *ნიშანი?*
   გ. *რა არის I სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები I თურმეობითში?*
   დ. *რომელ სავრცობს იყენებენ ეს ზმნები უწყვეტელში?*
6. **გადაიყვანე ცხრილში მოცემული ფორმები III პირში ნიმუშის მიხედვით. იმუშავე რვეულში.**

   **ნიმუში:** *მე ვცხოვრობდი – ის ცხოვრობდა*
7. **დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რომელ ბრუნვაში დგას ვინიანი 1-ის ზმნების სუბიექტი:
      1. *უწყვეტელში?*
      2. *წყვეტილში?*
      3. *I თურმეობითში?*

   ბ. შეადარე ვინიანი 1-ის ზმნების სუბიექტები მანიანი ზმნების სუბიექტებს. დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.
8. **დააკვირდი ვინიანი 2-ის ზმნების ცხრილს და შეასრულე მე-5 და მე-6 დავალებებში მოცემული ინსტრუქციები. იმუშავე რვეულში.**
9. **დაუბრუნდი ვინიანი 2-ის ზმნებს და მათი სუბიექტები შეადარე ვინიანი 1-ის ზმნების სუბიექტებს.**
   **დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.**

ვინიანი ზმნები წარსულში

ვინიანი 1

| | აწმყო **ის** (მას **მას**) | წყვეტილი **მან** (მას **ის**) |
|---|---|---|
| უწყვეტელი | ვცხოვრობდი | ვცხოვრობდით |
| წყვეტილი | ვიცხოვრე | ვიცხოვრეთ |
| I თურმეობ. | მიცხოვრია | გვიცხოვრია |
| უწყვეტელი | ვაშენებდი | ვაშენებდით |
| წყვეტილი | ავაშენე | ავაშენეთ |
| I თურმეობ. | ამიშენებია | აგვიშენებია |
| უწყვეტელი | ვჭრიდი | ვჭრიდით |
| წყვეტილი | დავჭერი | დავჭერით |
| I თურმეობ. | დამიჭრია | დაგვიჭრია |
| უწყვეტელი | ვხატავდი | ვხატავდით |
| წყვეტილი | დავხატე | დავხატეთ |
| I თურმეობ. | დამიხატავს | დაგვიხატავს |

**უწყვეტელი** = აწმყო + -დ (/-ოდ)
დავრბივარ (დავრბ-ოდ-ი, ვირბინე),
ვტირი (ვტირ-ოდ-ი, ვიტირე)...

ვინიანი 2

| | აწმყო **ის** (მას) | წყვეტილი **ის** (მას) |
|---|---|---|
| უწყვეტელი | მივდიოდი | მივდიოდით |
| წყვეტილი | წავედი | წავედით |
| I თურმეობ. | წავსულვარ | წავსულვართ |
| უწყვეტელი | ვეხმარებოდი | ვეხმარებოდით |
| წყვეტილი | დავეხმარე | დავეხმარეთ |
| I თურმეობ. | დავხმარებივარ | დავხმარებივართ |
| უწყვეტელი | ვიკარგებოდი | ვიკარგებოდით |
| წყვეტილი | დავიკარგე | დავიკარგეთ |
| I თურმეობ. | დავკარგულვარ | დავკარგულვართ |
| უწყვეტელი | ვთბებოდი | ვთბებოდით |
| წყვეტილი | გავთბი | გავთბით |
| I თურმეობ. | გავმთბარვარ | გავმთბარვართ |

**უწყვეტელი** = აწმყო + -ოდ



გვ. 59

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

5. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს ვინიანი 1 ზმნების შესახებ.
6. გრამატიკულ ცნობარში წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით, მოსწავლეებს გადაჰყავთ მითითებული ზმნები მესამე პირში.
7. მოსწავლეები უბრუნდებიან წინა დავალებას და პასუხობენ ა და ბ შეკითხვებს.
8. № 2 გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ №5 და №6 დავალებათა ინსტრუქციებს.
9. მოსწავლეები უბრუნდებიან ვინიანი 2 —ის ზმნების სუბიექტს და ადარებენ მას ვინიანი 1—ის სუბიექტს.

გვ. 60

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად. ჯგუფები ამზადებენ პასუხებს ა—თ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ წინა დავალებების შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.

მოსწავლის რვეული

გვ. 113 № 7, 8, 9; გვ. 114 № 2: სრულდება ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

გვ. 114 № 1: კონტექსტზე დაყრდნობით, სრულდება ენობრივი ტიპის დავალება.



**1. დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ სავარაუდო პასუხები მოცემულ შეკითხვებზე. დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.**

ა. რა იცი კოკო შანელის შესახებ?
ბ. რატომ უწოდებენ მას მე-20 ს-ის მოდის რეფორმატორს?
გ. რით შევიდა ის მოდის ისტორიაში?
დ. რატომ შეცვალა მან მოდა?
ე. გარდა ჩაცმის საკუთარი სტილისა, კიდევ რა უკავშირდება კოკო შანელის სახელს?
ვ. რა ურთიერთობა ჰქონდა მას ცნობილ ადამიანებსა და ჰოლივუდის ვარსკვლავებთან?
ზ. შენი აზრით, ჰქონდა თუ არა მას გამორჩეული დამოკიდებულება ფერებთან და, თუ ჰქონდა, რომელ ფერებს ანიჭებდა უპირატესობას?
თ. დაასრულე კოკო შანელის ფრაზა:

*„მსოფლიოში საუკეთესო ფერია ის, ...“*



**2. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და თავიდან უპასუხე პირველი დავალების შეკითხვებს. რა დაემთხვა და რა – არა წინა პასუხებს შორის? შეასრულე დავალებები რვეულში.**

*„იმისათვის, რომ იყო ელეგანტური, სულაც არაა აუცილებელი, ახალი კაბა გეცვას; იმისათვის, რომ იყო შეუცვლელი, იყავი ყოველთვის განსხვავებული!“*

კოკო შანელი

კოკო შანელმა პირველმა უარყო კორსეტი, ჩაიცვა შარვალი და შალის ნაქსოვი სვიტერი; პირველმა გამოიყენა ტრიკოტაჟი და იაფფასიანი სამკაული გაიკეთა; მოკლედ შეიჭრა თმა და მზით გარუჯული გამოჩნდა საზოგადოებაში. ყოველდღიურად ვიწრო ჯინსებსა და კლასიკურ სვიტერში გამოწყობილი დადიოდა, განიერ შარვლებს კი წვეულებებსა და საღამოებზე იცვამდა. ის იშვიათად ჩნდებოდა საზოგადოებაში მძივების, ბროშების, შლაპებისა და ბერეტების გარეშე. მაშინაც კი, როდესაც მას მამაკაცის უბრალო თეთრი პერანგი ეცვა, აუცილებლად რაიმე თვალისმომჭრელი სამკაული ეკეთა.

„მაქმანებით, ფუშფუშებით, ბუმბულებითა და მსგავსი სისულელეებით გაწყობილი ქალის სამოსი განსაკუთრებით არ მიხდებოდა. თუ არ გიხდება ის, რასაც ყველა ატარებს, განა ეს არ გაძლევს იმის საფუძველს, რომ მოდა შეცვალო? ვინაიდან იმის შესაძლებლობა არ მქონდა, რომ ძვირფასი სამოსი მეტარებინა, სხვები მივაჩვიე, ეტარებინათ ის, რაც მე მიხდებოდა!“ – ამბობდა მოგვიანებით. მან ქალი მოხერხებულ შარვალში გამოაწყო და მას ქალურისა და მამაკაცურის შეხამება ასწავლა.

კოკო შანელმა შექმნა ყველასთვის ცნობილი სუნამო – შანელი №5, რომელიც დღესაც გამოირჩევა თავისი სურნელით.

ის მეგობრობდა ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: პიკასო, მოდილიანი, უინსტონ ჩერჩილი, გრეტა გარბო და სხვ. 50-60-იან წლებში კოკო შანელი ჰოლივუდის ვარსკვლავებთან თანამშრომლობდა. მისი თაყვანისმცემლები იყვნენ ოდრი ჰეპბერნი და ელიზაბეტ ტეილორი.

ძალიან უყვარდა კითხვა. ოთახის კედლები წიგნის თაროებით ჰქონდა სავსე. წიგნებს წასაკითხად ვყიდულობ და არა – იმიჯის შესაქმნელადო, ამბობდა.

განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა ფერებთან. კოკო შანელს მიაჩნდა, რომ „მსოფლიოში საუკეთესო ფერია ის, რომელიც შენ გიხდება!“ თავად მხოლოდ სამ ფერს – შავს, თეთრსა და კრემისფერს – ანიჭებდა უპირატესობას.





Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 70

**3. როგორ ფიქრობ, რით დაიწყო და როგორ მიაღწია ამ ყველაფერს კოკო შანელმა? მოძებნე მოცემულ შეკითხვებზე პასუხები ტექსტში და დაასახელე.**

ა. როგორ ოჯახში დაიბადა კოკო შანელი, ვინ იყვნენ და რას საქმიანობდნენ მისი მშობლები?
ბ. როგორი ბავშვობა ჰქონდა შანელს, სად გაიზარდა და რატომ?
გ. რა როლი ითამაშა თავშესაფარმა მის ცხოვრებაში და როგორ აისახა ეს ყველაფერი მის შემოქმედებაზე?
დ. რა იყო მისი ნამდვილი სახელი და რატომ შეერქვა „კოკო“?
ე. რაზე ოცნებობდა ის ბავშვობაში და როგორ აღმოჩნდა მოდის ინდუსტრიაში?

სიცოცხლით სავსე, თუმცა ყოველთვის უცნაური და იდუმალი კოკო შანელი დაიბადა 1883 წლის 19 აგვისტოს ბაზრის მოვაჭრის ოჯახში. მამამისი წინდებით ვაჭრობდა, დედა – ბოსტნეულით. ბაზარი, სადაც მისი მშობლები ვაჭრობდნენ, სადა და უბრალო იყო. სოფლის სახლებიც სადად და კოპწიად გამოიყურებოდა. ეს უბრალოება, ფორმების სისადავე და მოკრძალებული ფერთა გამა შემდგომში მის შემოქმედებაზე აისახა.

დედამისი ხშირად ავადმყოფობდა და მალევე გარდაიცვალა. მამამ უარი თქვა შვილების აღზრდაზე და კოკო თავის და-ძმებთან ერთად ობოლ ბავშვთა თავშესაფარში მიაბარეს. „თორმეტი წლისას ყველაფერი წამართვეს. ისეთი განცდა მქონდა, რომ მოვკვდი“, – წერდა მოგვიანებით.

დაწესებულება, რომელშიც კოკო გაიზარდა, ძალიან მკაცრი იყო. ეს სიმკაცრე აისახებოდა როგორც შენობის არქიტექტურაზე, ისე აღსაზრდელების ტანისამოსზე. ამ ტანისამოსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო მოკლე, შავი კაბა. მოგვიანებით კოკო შანელმა ეს კაბა მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში დანერგა და მოდური და აქტუალური გახადა.

კოკო შანელმა ბავშვთა სახლში სხვა გოგონებთან ერთად კერვა შეისწავლა. 18 წლის ასაკში, როცა ბავშვთა სახლიდან წამოვიდა, ქალაქ მულენში ტანსაცმლის პატარა მაღაზიაში დაიწყო მუშაობა – ხალათებსა და წინსაფრებს კერავდა, სამოსს ჯიბეებს აკერებდა.

კოკოს, რომელსაც სინამდვილეში გაბრიელი ერქვა, თავდაპირველად – მსახიობობა, შემდეგ კი კაბარეს მომღერლობა სურდა. მაღაზიაში მუშაობის პერიოდში თავისუფალ დროს კაბარეში მღეროდა. სწორედ მისი საყვარელი სიმღერის გამო შეარქვეს „კოკო“.

კოკო შანელმა ცარიელი ჯიბით დაიწყო და სიკვდილის შემდეგ 260 მილიონი ფრანკი დატოვა. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ის პარიზის სასტუმრო „რიცში“ ცხოვრობდა, სადაც 1971 წლის 10 იანვარს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.





**4. თავიდან წაიკითხე გულდასმით კოკო შანელის ცხოვრების ეპიზოდები და შეასრულე დავალებები რვეულში.**



გვ. 61

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. გაცნობითი კითხვის ტექნიკის გამოყენებით, მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ ა—ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
4. მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 114 № 2: მასწავლებელი სთავაზობს მოსწვალეებს მოიძიონ ინფორმაცია კოკო შანელის ტექსტში ნახსენები მეგობრების შესახებ (დავალების შესრულება შესაძლებელია მცირე ილუსტრირებული პროექტის სახითაც).

გვ. 114—115 №, 3, 4, 5: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დეტალური დავალებები.

## გვ. 62

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და გრამატიკულ ცნობარებს. ამის შემდეგ ისინი გამოთქვამენ აზრს ა—ვ პუნქტებში მოყვანილი მოსაზრებების შესახებ.
2. მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს სილამაზის სტანდარტთან დაკავშირებით; კონკრეტულ პოზიციას ასაბუთებენ მაგალითებით.
3. 62—63 გვერდებზე წარმოდგენილ ილუსტრაციებზე დაკვირვების შედეგად მოსწავლეები ამყარებენ თავიანთ მოსაზრებებს და აკავშირებენ ილუსტრაციებს წინა დავალებასთან.

თემა 2

### 3. სილამაზე და მისი სტანდარტები

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • სილამაზის აღქმა სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში<br>• ჯოკონდას საიდუმლო<br>• ფოტოთი დაჭერილი წამები<br>• შარბათ გულას ისტორია | • მოქმედების მრავალგზისობა<br>• ვინიანი ზმნები სავრცობიან მწკრივებში |

**1. რა არის „სილამაზე“ და არის თუ არა სილამაზის აღქმა სუბიექტური? გაეცანი მოცემულ მოსაზრებებს და გამოხატე შენი პოზიცია: რომელს ეთანხმები და რომელს – არა; რატომ?**

ა. ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენო.
ბ. სილამაზე ყველა ადამიანში ერთნაირ ემოციას იწვევს.
გ. „სილამაზე მაყურებლის თვალებშია!“ (მარგარეტ ვოლფ ჰუნგერდორფი)
დ. სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს!
ე. ქალის სილამაზის ფორმულა დროთა განმავლობაში იცვლება.
ვ. სილამაზე ყველა ეპოქასა და ყველა კულტურაში უნივერსალურია.

**2. არსებობს თუ არა სილამაზის სტანდარტები? ვინ ადგენს ან რა განსაზღვრავს ამ სტანდარტებს? დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით.**

**3. დააკვირდი 62-63-ე გვერდებზე მოცემულ ფოტოებს და დააკავშირე მეორე დავალებასთან. ასაბუთებს თუ არა ეს ფოტოები წინა დავალებაში გამოთქმულ შენს პოზიციას?**



62 მოდა და სტილი

# თემა 2. მოდა და სტილი

თემა 2








**4. დაუბრუნდი ფოტოებს და აღწერე ისინი. მეწყვილესთან ერთად განსაზღვრე, სილამაზის რა სტანდარტები არსებობს (ან არსებობდა) კონკრეტულ შემთხვევაში.**

**5. წაიკითხე მარჯვნივ მოცემული ინფორმაცია. დაემთხვა თუ არა შენი და შენი მეწყვილის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს ის, რაც წაიკითხე? დააკავშირე ტექსტის ინფორმაცია პირველ დავალებაში მოცემულ მოსაზრებებთან.**

**6. წაიკითხე განმარტება, მოძებნე შესაბამისი სიტყვა ტექსტში და დაასახელე, რა არის.**

ა. ფართო, დრეკადი სარტყელი, რომელსაც ქალები წელზე იკრავენ კაბის ქვეშ.
ბ. სხვისი ან ხელოვნური თმისაგან გაკეთებული თავსაბურავი.
გ. ბამბის თეთრი ქსოვილის მსგავსი.
დ. ძალიან შავი
ე. ოვალური ფორმის ნაჭუჭიანი ნაყოფის მსგავსი.
ვ. ვერცხლისფერი რბილი მეტალი.
ზ. სისხლისმწოველი ჭია, რომელსაც სისხლის გამოსაშვებად იყენებენ.

**7. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**8. დაიყავით ჯგუფებად და ისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე:**

ა. სილამაზის როგორი სტანდარტებია დღეს?
ბ. რა მოგწონს და რა – არა დღევანდელ სტანდარტებში და რატომ?

არა მარტო ყველა დროსა და ეპოქას, არამედ სხვადასხვა კულტურასაც სილამაზის განსაზღვრის თავისი სტანდარტები აქვს.

ძველ ეგვიპტეში სილამაზის ეტალონად მიიჩნეოდა გრძელფეხება, მაღალი და გამხდარი ქალი მოგრძო სახით, შავი, გრძელი, დაწნული თმით (ხშირად მას პარიკი ცვლიდა), დიდი ტუჩებითა და მწვანე, ნუშისებრი თვალებით.

შუა საუკუნეების ევროპაში ავადმყოფურად ფერმკრთალი და გუგებგაფართოებული ქალები იყვნენ მოდაში. ამის მისაღწევად ისინი თვალებში სპეციალური მცენარის წვენს იწვეთებდნენ, სითეთრის მისაღწევად კი კორსეტებს მეტისმეტად იჭერდნენ და წურბელებსაც წარამარა ისვამდნენ სხეულზე. ევროპელი ლამაზმანები მრავალსართულიან, ცხიმშეზელილ პარიკებს ხმარობდნენ, წარბებს იპარსავდნენ და მის ადგილას თაგვის ტყავის ზოლებს იკრავდნენ.

ფერწასული ქალები მოსწონდათ იაპონიასა და ჩინეთშიც. მიტკალივით სახე, კუნაპეტი შავი თმა და შავი ლაქით შეღებილი კბილები სილამაზის ეტალონად მიიჩნეოდა.

სილამაზის უცნაური სტანდარტები ჰქონდათ და ზოგან დღესაც აქვთ აფრიკელებს. ზოგიერთ ტომში დღესაც ლამაზ ქალად მიიჩნევა ის, ვისაც მაღალი ყელი აქვს. ამიტომ ბავშვობიდანვე მათ რბილი ლითონის რგოლებს უკეთებენ. წლებთან ერთად რგოლების რაოდენობაც თანდათან მატულობს. ამგვარად, ყელის სიმაღლე 50 სმ-საც კი აღწევს. ამის გამო კისრის კუნთები იმდენად დუნდება, რომ ადამიანს რგოლის გარეშე თავის დაჭერა აღარ შეუძლია.

მოდა და სტილი 63

გვ. 63

**მოსწავლის წიგნი**

4. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა წყვილებად. ამა თუ იმ ილუსტრაციის მეშვეობით მეწყვილეები ერთად აყალიბებენ სილამაზის აღწერილ სტანდარტებს.
5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ადარებენ წაკითხულ ინფორმაციას მეწყვილეებთან ერთად ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს.
6. მოსწავლეები ეცნობიან დავალების ა—ზ პუნქტებს და პოულობენ ტექსტში აღწერილობის შესაბამის სიტყვებს.
7. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 116 № 1, 2, 3, 4: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებათა სერია.

გვ. 117 № 5: სრულდება გრამატიკული სავარჯიშო.

**მოსწავლის წიგნი**

8. მოსწავლეები მუშაობენ წყვილად და საუბრობენ თემაზე „სილამაზის სტანდარტები“ ა და ბ პუქტებზე დაყრდნობით.

გვ. 64

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი სვამს კითხვებს ლეონარდო და ვინჩის ცნობილი შედევრის შესახებ. შემდეგ ყოფს კლასს წყვილებად და ავალებს მოსწავლეებს, გაეცნონ ტექსტს. წაკითხულ ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა—გ პუნქტები.
2. მოსწავლეები უსმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 6) და ასრულებენ საკომუნიკაციო ტიპის დავალებებს მოსწავლის რვეულში.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს ტექსტის ირგვლივ ( ა—ე პუნქტები).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 117 № 6: მოსმენილი ტექსტის მიხედვით მოსწავლეები ა—თ პუნ ქტებიდან ირჩევენ სწორ ვარიანტს.

გვ. 117 № 7: მოსწავლეები თავიდან უსმენენ ტექსტს შესრულებული დავალების გადამოწმების მიზნით.

გვ. 117—118 № 8: სრულდება კომბინირებული ტიპის დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

4. მუსიკალური ჩანართის თანხლებით, მოსწავლეები აკვირდებიან მონა ლიზას პირტრეტს და გამოხატავენ თავიანთ ემოციებს (ა—ბ პუქტები), რაშიც მათ უჯრედებში მოყვანილი ლექსიკური ერთეულები ეხმარებათ.

მოსწავლის რვეული

გვ. 118 № 5: მაწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია ლეონარდო და ვინჩის შესახებ (დავალების შესრულება შესაძლებელია მცირე მასშტაბის პროექტის სახითაც).

თემა 2

1. **დააკვირდი სურათს. იცი თუ არა, ვინ არის სურათზე გამოსახული, ვის ეკუთვნის ეს ნახატი და სად ინახება ის დღეს?**
   **გაეცანი მოცემულ ტესტს მეწყვილესთან ერთად, ჩაინიშნეთ თქვენი პასუხები, გააცანით თანაკლასელებს და შემდეგ იმსჯელეთ მათ შესახებ.**
   ა. ნახატზე გამოსახულია:
      1. ვენერა მილოსელი
      2. მონა ლიზა (იგივე ჯოკონდა)
      3. მადონა
   ბ. ნახატის ავტორია:
      1. ლეონარდო და ვინჩი
      2. სანდრო ბოტიჩელი
      3. რაფაელი
   გ. ნახატი ინახება:
      1. ერმიტაჟში (პეტერბურგი)
      2. ხელოვნების სამეფო აკადემიაში (ლონდონი)
      3. ლუვრში (პარიზი)



2. 🎧 **მოისმინე და შეამოწმე თქვენი ვერსია. შეასრულე დავალებები რვეულში.**
3. **წაიკითხე მარჯვნივ მოცემული ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რას ამბობენ თვითმხილველები ჯოკონდას შესახებ?
   ბ. რა შემთხვევაში მოქმედებს ნახატი ცუდად მნახველზე?
   გ. რა დაემართა სტენდალს?
   დ. რა დაემართა მხატვარს სურათის დასრულების შემდეგ?
   ე. რას ჰყვებიან ლუვრის თანამშრომლები?
4. 🎧 **მოუსმინე მუსიკას და დააკვირდი ნახატს. გამოიყენე მოცემული სიტყვები და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. შენში რა ემოციას იწვევს ნახატი?

   ალფრთოვანებას, შიშს, გაოცებას, იდუმალებას, სიმშვიდეს, სევდას, სიხარულს, მწუხარებას...

   ბ. კონკრეტულად რა იწვევს ამ ემოციას?

   გამოხედვა, თვალები, ღიმილი...

ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ უცნაური ფაქტები უკავშირდება. თვითმხილველები ამბობენ, რომ ნახატი ცუდად მოქმედებს იმ ადამიანებზე, რომლებიც დიდხანს აკვირდებიან მას. ასეთი რამ პირველად სტენდალს დაემართა.

ლუვრში სეირნობის დროს სტენდალი ჯოკონდას პირისპირ გაჩერდა. ცნობილი მწერალი დიდხანს ტკბებოდა ლეონარდო და ვინჩის გენიალური ნახატით. მოულოდნელად სტენდალი გულწასული დაეცა ნახატის წინ. დღეისთვის ასამდე ასეთი ფაქტია დადასტურებული.

როგორც ამბობენ, ნახატი ისევე იწვევს მნახველის ალფრთოვანებას, როგორც შიშს. ცნობილია, რომ მხატვარი სურათზე მუშაობის შემდეგ ძალიან დასუსტდა და მელანქოლიამ შეიპყრო.

სხვათა შორის, ლუვრის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ხანგრძლივი შესვენებების დროს „ჯოკონდა“ ფერმკრთალდება, თითქოს მოიწყინაო, მაგრამ, როდესაც ხალხი შემოდის, ის პირვანდელ მდგომარეობას იბრუნებს. სალებავები უფრო მკვეთრად ჩანს ისევე, როგორც მისი მომაჯადოებელი ღიმილი.

64 მოდა და სტილი

**5. თავიდან დააკვირდი სურათს და დაასახელე, რა იმალება, შენი აზრით, ჯოკონდას ღიმილში? 🎧 მოისმინე და შეადარე შენს ვერსიას. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**6. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

დანაშაული  გამოძიება  ეჭვი  ქურდობა  ასლი  ტყვიაგაუმტარი

ა. დარწმუნების უქონლობა, უნდობლობა;
ბ. სხვისი რამის მალულად, ფარულად მითვისება; იგივეა, რაც მოპარვა;
გ. კანონსაწინააღმდეგო მოქმედება;
დ. რაღაცის პირი; ორიგინალის მსგავსი;
ე. ის, რაც ტყვიას არ ატარებს; იგივეა, რაც ჯავშანი.
ვ. ჩადენილი დანაშაულის გამორკვევა, გამოკვლევა.

**7. გამოიყენე წინა დავალება და მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე. თქვენი აზრით:**

ა. ცდილობდნენ თუ არა ჯოკონდას მოპარვას და როდის?
ბ. ჰქონდა თუ არა კავშირი ნახატის ასლს ქურდობასთან?
გ. მოიპარეს თუ არა საბოლოოდ ნახატი და რა მოიპარეს – მისი ასლი თუ თავად ორიგინალი?
დ. არსებობდა თუ არა ეჭვები ამასთან დაკავშირებით? თუ არსებობდა, ვის რა ეჭვი ჰქონდა, შენი აზრით?

1. ქურდს ეჭვი ჰქონდა, რომ ლუვრში დაცული ნახატი ორიგინალი არ იყო;
2. ნახატის მფლობელს ეჭვი ჰქონდა, რომ აპირებდნენ ნახატის მოპარვას და ამიტომ ნახატს ჯავშანი გაუკეთა;
3. პოლიციელს ეჭვი ჰქონდა, ვინ აპირებდა დანაშაულის ჩადენას ან ვინ ჩაიდინა დანაშაული;
4. არანაირი ეჭვი არ არსებობდა.

**8. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები.**

**9. წაიკითხე მოცემული ტექსტი და შეამოწმე თქვენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა?**

**10. შეასრულე დავალებები რვეულში.**

1911 წლის 21 აგვისტოს ლუვრში ადგილი, სადაც „მონა ლიზა" ეკიდა, ცარიელი დახვდათ. პოლიციამ გამოძიება დაიწყო, მაგრამ – უშედეგოდ. ეჭვი ორ ადამიანზე ჰქონდათ – პოეტ გიიომ აპოლინერსა და მხატვარ პაბლო პიკასოზე, თუმცა ეს ეჭვები უსაფუძვლო აღმოჩნდა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ნახატი იტალიელმა სარკეების ოსტატმა ვინჩენცო პერუჯიამ მოიპარა, თუმცა მოპარვის მიზეზი გაურკვეველი დარჩა. ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდნენ, თითქოს პერუჯიას ნახატის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სურდა, არადა, ლეონარდო და ვინჩიმ, როგორც ცნობილია, საკუთარი ხელით ჩაიტანა ის საფრანგეთში.

პერუჯიას 2 წლის განმავლობაში ჰქონდა ეს ნახატი. 1913 წელს მან ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უფიცის გალერეის (ფლორენცია) დირექტორს მის ყიდვას სთავაზობდა. როგორც გაირკვა, პერუჯია ორიგინალის მიყიდვას არ აპირებდა. მას გამზადებული ჰქონდა ასლი, რომლის ორიგინალად გასაღებასაც აპირებდა.

გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება ფრანგი სამართალდამცავების ყურამდე მივიდა. 1913 წელს პერუჯია დააპატიმრეს და მცირე სასჯელი შეუფარდეს.

„მონა ლიზა" ლუვრში 1914 წელს დააბრუნეს. ამის შემდეგ მისი მოპარვა აღარავის უცდია, თუმცა მრავლად იყო ვანდალიზმის ფაქტები.

1956 წელს ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა ნახატს მჟავა შეასხა. საბედნიეროდ, „მონა ლიზას" მხოლოდ კუთხე დაუზიანდა. ამავე წელს ერთმა ბოლივიელმა დამთვალიერებელმა მას ქვა ესროლა. ვანდალიზმის ბოლო შემთხვევა 2009 წელს გამოვლინდა, როცა რუსმა დამთვალიერებელმა ნახატის დაზიანება სცადა.

ამგვარი ფაქტების გამო ლუვრის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ნახატი ტყვიაგაუმტარ მინაში ჩაესვა.



გვ. 65

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 7) ჯოკონდას ღიმილის შესახებ და აკვირდებიან ილუსტრაციას.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 118 № 1, 2, 3, 4: სრულდება სავარჯიშოთა სერია მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები ეცნობიან ა—ვ პუნქტებში მოყვანილ განმარტებებს და აკავშირებენ მათ უჯრედში მოყვანილ სიტყვებთან.
7. მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და აკავშირებენ ა—დ პუქტებში მოყვანილ ვერსიებს 1—4 —თან.
8. მეწყვილეები ერთმანეთს აცნობენ ვერსიებს.
9. საკუთარი ვერსიების გადასამოწმებლად მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს.
10. სრულდება დავალებათა სერია მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 119 № 6, 7, 8: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული ლექსიკური ტიპის დავალებები.

გვ. 119—120 № 9 (I-V): სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დეტალური დავალება.

გვ. 66

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვების ა—ლ პუნქტებს მოქმედების მრავალგზისობასთან დაკავშირებით.
2. სრულდება დავალება წინა სავარჯიშოში განხილულ მასალასთან დაკავშირებით.
3. მოსწავლეები უბრუნდებიან პირველი დავალების პუნქტებს და პასუხობენ შეკითხვებს (ა—გ).

თემა 2

### მოქმედების მრავალგზისობა

ეს არის დროში არაერთხელ განმეორებული მოქმედება. თუ იგულისხმება ჩვეული მოქმედება, ამ შემთხვევაში, იკარგება დროის გაგება.

| აწმყოში | **განმეორებული მოქმედება** |
|---|---|
| **აწმყო** რას შვრება? | რას შვრება ხოლმე? – *ის უყურებს **ხოლმე** ამ გადაცემას.* |
| **აწმყოს კავშირებითი** რას შვრებოდეს? | რას (უნდა) შვრებოდეს ხოლმე? – *სულ ამას უნდა აკეთებდეს ხოლმე?* |

| წარსულში | **განმეორებული მოქმედება** |
|---|---|
| **უწყვეტელი** რას შვრებოდა? | რას შვრებოდა ხოლმე? – *ის წერდა ხოლმე ამ წერილებს. პატარა რომ იყო, სკამზე ადიოდა და იქიდან ხტებოდა ხოლმე.* |
| **ხოლმეობითი** რას იზამდა? | რას იზამდა ხოლმე? – *პატარა რომ იყო, აიღებდა და გადააგდებდა ხოლმე.* |

| მომავალში | **განმეორებული მოქმედება** |
|---|---|
| **აწმყოს კავშირებითი** რას შვრებოდეს? | რას (უნდა) შვრებოდეს ხოლმე? – *ადრე უნდა დგებოდეს ხოლმე.* |
| **მყოფადი** რას იზამს? | რას იზამს ხოლმე? – *აქ მოიტანს **ხოლმე** და ჭამს. ასე იცის, აიღებს **ხოლმე** და მე მაძლევს.* |
| **მყოფადის კავშირებითი** რას იზამდეს? | რას იზამდეს ხოლმე? – *კარგი იქნება, ხშირად რომ წაიკითხავდეს ხოლმე ამას!* |
| **II კავშირებითი** რა უნდა ქნას? | რა უნდა ქნას ხოლმე? – *უნდა წეროს/დაწეროს **ხოლმე**. შეუძლია, გვიან დაიძინოს **ხოლმე**.* |
| **ხოლმეობითი** რას იზამდა? | რას იზამდა ხოლმე? – *რომ შეეძლოს, აუცილებლად წავიდოდა, იყიდდა და გაუგზავნიდა ხოლმე.* |

**1. წაიკითხე წინადადებები და შეადარე ისინი ერთმანეთს. რა განსხვავებაა მათ შორის? დააკონკრეტე ცალკეული წინადადების შინაარსი.**

ა. გიორგი მიდის ზოოპარკში.
ბ. გიორგი მიდის ხოლმე ზოოპარკში.
გ. გიორგი დადის ზოოპარკში.
დ. როგორც ვიცი, ახლა უნდა მეცადინეობდეს.
ე. ბევრს უნდა მეცადინეობდეს.
ვ. კარგი იქნება, თავისით რომ იმეცადინებდეს ხოლმე.
ზ. თავისით უნდა იმეცადინოს ხოლმე!
თ. ანა აუცილებლად წავა და დაიძინებს.
ი. ანა ადრიანად წავიდოდა და დაიძინებდა ხოლმე.
კ. ანა რომ მარტო იყოს, წავიდოდა და დაიძინებდა.
ლ. ანა რომ მარტო იყო, მიდიოდა და იძინებდა.

**2. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელი მწკრივები ვერ გამოხატავენ მრავალგზის მოქმედებას ხოლმე ნაწილაკის გარეშე?
ბ. რომელ მწკრივებს შეუძლია მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა ხოლმე ნაწილაკის გარეშეც?

**3. დაუბრუნდი პირველ დავალებაში მოცემულ წინადადებებს და შეასრულე მითითებები.**

ა. დაასახელე, რომელ მწკრივებში დგას მოცემული ზმნები ცალკეულ შემთხვევაში?
ბ. მიუთითე, რომელი ზმნა რომელი ტიპისაა– ვინიანი 1, ვინიანი 2 თუ მანიანი?
გ. დაასახელე მოცემული ზმნების სუბი–ექტები. დაასახელე, რომელ ბრუნვაში დგას; დააკონკრეტე, რომელი პირია და მიუთითე შესაბამისი ნიშანი.

66 მოდა და სტილი

1. **დაასახელე სწორი ვარიანტი.**
   ა. დათო ხშირად --?-- სკოლას.
   *(აცდენდა / გააცდინა)*
   ბ. ის ყოველთვის ადრე --?--.
   *(გაიღვიძა / იღვიძებდა)*
   გ. როცა პატარა ვიყავი, იშვიათად --?– ტელევიზორს.
   *(ვუყურე / ვუყურებდი)*
2. **წაიკითხე და დაასახელე, რომელი მწკრივია.**

   *წარსულის ამბების გადმოცემისას, სიხშირის გამომხატველ სიტყვებთან ვიყენებთ:*

   ა. წყვეტილს (რა ვქენი?)
   ბ. უწყვეტელს (რას ვშვრებოდი?)
3. **წაიკითხე და დაასახელე სწორი ფორმა კონტექსტის მიხედვით. დაასახელე, რა დაგეხმარა სწორი ფორმის მოძებნაში.**
   ა. კოკო შანელის დედა ხშირად --?--. (ავადმყოფობა)
   ბ. მისი მშობლები ბაზარში --?--. (ვაჭრობა)
   გ. მარაო პირველად მამაკაცებმა --?--. (გამოყენება)
   დ. პირველი ოსკარის ცერემონიაზე ჯილდო --?–ჩარლი ჩაპლინმაც. (მიღება)
   ე. თავისუფალ დროს ის კაბარეში --?--. (სიმღერა)
4. **დაუბრუნდი მარჯვნივ მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. როგორ აწარმოებენ უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითს:
      1. ვინიანი 1 ზმნები?
      2. ვინიანი 2 ზმნები?
   ბ. რომელი მწკრივი მიიღება:
      1. უწყვეტელზე ზმნისწინის დართვით?
      2. აწმყოს კავშირებითზე ზმნისწინის დართვით?

### ვინიანი ზმნები სავრცობიან მწკრივებში

გარკვეულ მწკრივებში ზმნები დაირთავენ **–დ** ან **–ოდ** სავრცობს.

I.

| | |
|---|---|
| **ვინიანი (1)** | -დ: ვწერ**დ**ი, დავწერ**დ**ი, ვწერ**დ**ე, დავწერ**დ**ე...<br>-ოდ: ვტირ**ოდ**ი, ვტირ**ოდ**ე,<br>(-**დ**): ვიტირებ**დ**ი, ვიტირებ**დ**ე... |
| **ვინიანი (2)** | -ოდ: ვთბებ**ოდ**ი, გავთბებ**ოდ**ი, ვთბებ**ოდ**ე, გავთბებ**ოდ**ე...<br>მივდი**ოდ**ი, წავიდ**ოდ**ი,<br>მივდი**ოდ**ე, წავიდ**ოდ**ე... |

II. მწკრივთა წარმოება:

**უწყვეტელი** = აწმყოს + → -დი/-და (ვინიანი 1); → -ოდი/-ოდა (ვინიანი 2)

| **მე** | **ჩვენ** | **ის** | **ისინი** |
|---|---|---|---|
| ვწერდი/ | ვწერდით; | წერდა / | წერდნენ |
| ვთბებოდი/ | ვთბებოდით; | თბებოდა/ | თბებოდნენ |

**აწმყოს კავშირ** = აწმყოს + → -დე/-დეს (ვინიანი 1); → -ოდე/-ოდეს (ვინიანი 2)

| **მე** | **ჩვენ** | **ის** | **ისინი** |
|---|---|---|---|
| ვწერდე/ | ვწერდეთ; | წერდეს / | წერდნენ |
| ვთბებოდე/ | ვთბებოდეთ; | თბებოდეს/ | თბებოდნენ |

**ხოლმეობითი** = ზმნისწინს + უწყვეტელი

ვწერდი → **და-**ვწერდი
ვთბებოდი → **გა-**ვთბებოდი

**მყოფადის კავშირებითი** = ზმნისწინს + აწმყოს კავშირებითი

ვწერდე → **და-**ვწერდე
ვთბებოდე → **გა-**ვთბებოდე



გვ. 67

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—გ) ვინიანი ზმნების სავრცობებთან დაკავშირებით.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასახელებენ მწკრივებს.
3. გრამატიკული ცნობარის დახმარებით, მოსწავლეები ასრულებენ დავალების ა—ე პუნქტებს.
4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—ბ).

გვ. 68

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა წყვილებად. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და ასახელებენ მსგავსებებსა და განსხვავებებს. მეწყვილესთან ერთად ისინი ასათაურებენ ყოველ ილუსტრაციას.
2. მოსწავლეები ამზადებენ და ასაბუთებენ პასუხებს ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე.
3. მოსწავლეები მოიძიებენ საინტერესო ფოტოებს და წარადგენენ მათ თანაკლასელების წინაშე (დავალების შესრულება სასურველია ილუსტრირებული, გუნდური ან ინდივიდუალური პროექტის სახით).

თემა 2

*„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!" — გოეთე, „ფაუსტი"*

1. **დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? როგორ ფიქრობ, შეაჩერეს თუ არა ფოტოგრაფებმა მშვენიერი წამები ამ ფოტოებით? რატომ ფიქრობ ასე?**
   **დაასათაურე მეწყვილესთან ერთად ისინი და გააცანი კლასელებს. იმსჯელეთ თქვენი გადაწყვეტილებების შესახებ.**



2. **იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.**
   ა. რისთვის იღებენ ადამიანები ფოტოებს?
   ბ. განსხვავდება თუ არა არაპროფესიონალის მიერ გადაღებული ფოტო პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოსაგან? პასუხი დაასაბუთე.
   გ. წაიკითხე და თქვი, ეთანხმები თუ არა ქვემოთ მოცემულ აზრს? ახსენი, რატომ ეთანხმები ან რატომ არ ეთანხმები მას: *„აუცილებელი არ არის, იყო პროფესიონალი ფოტოგრაფი. მთავარია, იყო ზუსტად იმ დროს და ზუსტად იმ ადგილას".*
   დ. დაუბრუნდი მეორე და მესამე შეკითხვაზე გაცემულ პასუხებს. არის თუ არა სხვაობა მათ შორის?



3. **მოიძიე შესაბამისი ფოტოები და წარუდგინე კლასელებს. ისაუბრე მათ შესახებ: რა არის მათზე გამოსახული? რით არის ისინი მშვენიერი და რა წამი დაიჭირა ფოტოგრაფმა გადაღებისას?**





4. დააკვირდი მოცემულ ფოტოებს და შეადარე ისინი ერთმანეთს. შენი აზრით, ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის? დაასაბუთე პასუხი, რატომ ფიქრობ ასე.

ა. დედა-შვილი ბ. დები გ. ის ერთი და იგივე პიროვნებაა.

5. 🎧 მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. თავიდან დააკვირდი ფოტოებს (გულას გამოხედვას, მის ტანსაცმელს...). რა შეიცვალა და რა – არა ამ წლების განმავლობაში?



6. გაიხსენე, სად და რა ვითარებაში ნახა სტივ მაკკარიმ შარბათ გულა. შენი აზრით, სად და რა ვითარებაში ნახა ფოტოგრაფმა ის 17 წლის შემდეგ? რატომ ფიქრობ ასე? წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეამოწმე შენი ვერსია.

„მე დავინახე მისი სულიერი ჭრილობები, მისი ტკივილით აღსავსე სამყარო, როდესაც ადამიანი იძულებულია, დატოვოს სამშობლო და იცხოვროს ლტოლვილთა ბანაკში“, – იხსენებს სტივ მაკკარი გულასთან პირველ შეხვედრას. დაფლეთილ თავსაფარში გახვეული პატარა ქალი უჩვეულო ფერის, ნაცრისფერი თვალებით პირდაპირ სულში უყურებდა მას.

17 წლის შემდეგ მაკკარიმ, როცა ბოლოსდაბოლოს პაკისტანის საზღვართან, თავისი მშობლიური სოფლის მახლობლად, მიაგნო გულას, იგივე მზერა დაინახა უკვე 30 წლის ქალის თვალებში.

როცა გულამ თავის ფოტოს დახედა, უკმაყოფილო დარჩა, გაცვეთილ თავსაბურავში რომ იყო აღბეჭდილი. მას კარგად ახსოვდა, როგორ დაეწვა შალი ღუმელზე. ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე თვეში შარბათ გულა გათხოვილა და ოთხი შვილი შესძენია, რომელთაგან ერთ-ერთი დაღუპვია.

„ავღანელი ლტოლვილი გოგონა“ სტივ მაკკარის ფოტოხელოვნების შედევრად აღიარეს და ის ჟურნალ National Geographic-ის საუკეთესო ტოპ ასეულში შევიდა.

7. დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვას: რამ დაანახა სტივ მაკკარის შარბათ გულას ტკივილით აღსავსე სამყარო?

შეასრულე დავალებები რვეულში.



## გვ. 69

**მოსწავლის წიგნი**

4. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ცნობილ ფოტოს და გამოთქვამენ ვარაუდს პერსონაჟის შესახებ (ა—გ).
5. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს შარბათ გულას შესახებ (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 8) და მსჯელობენ ილუსტრაციის პერსონაჟის გარეგნობაზე.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 120 № 1: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალება.

გვ. 121 № 2: ნიმუშის მიხედვით სრულდება წარსულში განვლილი მასალის (მე—9 კლასის სახელმძღვანელო) გამეორება სადაურობისა და წარმომავლობის შესახებ.

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასახელებენ ფოტოგრაფისა და ილუსტრაციის გმირის შეხვედრის ვითარებას. საკუთარი ვერსიის სიზუსტის გადასამოწმებლად მოსწავლეები ეცნობიან საკითხავ ტექსტს.
7. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ძიებითი კითხვის ტექნიკაზე დაყრდნობით პასუხობენ შეკითხვას.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 121 № 3: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალება.

გვ. 70
**წაკითხულის გააზრება**

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

მასწავლებლის კომენტარები



## წაკითხულის გააზრება

**წაიკითხე ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ისეთი სახელი, რომელიც ლეონარდოს "მონა ლიზამ" მოიხვეჭა, ხელოვნების ნაწარმოებისათვის მთლად უნაკლო სიკეთე როდია. მის ხილვას საფოსტო ბარათებსა და თვით რეკლამებზე იმდენად შევეჩვიეთ, რომ გვიჭირს მას სხვა თვალით შევხედოთ - როგორც რეალური მამაკაცის მიერ შექმნილ სისხლით ხორცამდე რეალური ქალის პორტრეტს. მაგრამ მოდი, დავივიწყოთ ყველაფერი, რაც ამ სურათზე ვიცით ან გვგონია, რომ ვიცით და იგი ისე დავინახოთ, ვითომ პირველად ვხედავდეთ. უპირველესად ის გაგვაკვირვებს, თუ რა გამაოგნებლად ცოცხალი ჩანს ლიზა. ქალი თითქოს, მართლაც, ჩვენ გვიყურებს და რაღაცაზე ფიქრობს. ცოცხალი არსებასავით, ის თითქოს ჩვენ თვალწინ იცვლება და მასთან ყოველი მიბრუნებისას ცოტათი სხვანაირად გამოიყურება...

შეგვიძლია ზოგ რამეს მივხვდეთ „მონა ლიზას" ზემოქმედების საიდუმლოს შესახებ... ვისაც კი სახის დახატვა თუ დაჯღაბნა უცდია, იცის, რომ რასაც სახის გამომეტყველებას ვუწოდებთ, ძირითადად ორი ნაკვთით განისაზღვრება: ტუჩების კუთხეებითა და თვალების უპეებით. ლეონარდომ განზრახ სწორედ ეს ადგილები არ გამოკვეთა; მათ მსუბუქი ჩრდილი გადაავლო. ამიტომაა, რომ ვერასოდეს ვიტყვით დაბეჯითებით, რა განწყობით შემოგვცქერის მონა ლიზა. მისი გამომეტყველება თითქოს მუდამ ხელიდან გვისხლტება. რასაკვირველია, ამ ეფექტს მხოლოდ ბუნდოვანება არ იწვევს, მის მიღმა ბევრი რამ არის. ლეონარდომ მეტად თამამი რამ გააკეთა. ამგვარ რისკზე წასვლა მხოლოდ მასავით დახელოვნებულ ფერმწერს თუ შეეძლო.

თუ სურათს ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მარცხნივ ჰორიზონტი თითქოს უფრო დაბალია, ვიდრე მარჯვენა მხარეს. ამიტომ, როცა სურათს მარცხენა მხარეს დავაცქერდებით, ქალის ფიგურა უფრო მაღალი ან ამართული გვეჩვენება, ვიდრე მარჯვნივ ყურებისას. მზერის გადანაცვლების დროს თითქოს მისი სახეც იცვლება, რადგან არც მისი ორი ნახევარია ზუსტად ერთნაირი. მაგრამ ყველა ამ რთული ხერხის გამოყენებით ლეონარდოს შეიძლება ოსტატური მეფოკუსეობის ნიმუში გამოსვლოდა და არა – ხელოვნების დიადი ქმნილება, თუკი ზუსტად ვერ გათვლიდა, რამდენად შორს შეეძლო წასულიყო და თუკი ვერ დააბალანსებდა ბუნებისაგან გადახვევას ცოცხალი სხეულის თითქმის სასწაულებრივი გამოსახვით.

შეხედეთ, როგორ არის მოდელირებული ხელები ანდა სახელოების წვრილ-წვრილი ნაოჭები. ლეონარდოს არ გაუჭირდებოდა, დაკვირვებოდა ბუნებას თავისი წინამორბედი მხატვრებივით, მაგრამ იგი ბუნების ერთგული მსახური აღარ იყო. ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ხალხი შიშით შეჰყურებდა პორტრეტებს, რადგან ფიქრობდა, რომ მსგავსების შენარჩუნებით მხატვარს რაღაცნაირად შეეძლო გამოსახული პირის სულიც უკვდავი გაეხადა. ახლა დიდმა მეცნიერმა ლეონარდომ პირველი პორტრეტისტების ოცნებები და შიშები სინამდვილედ აქცია. მან იცოდა ჯადო, რომელიც მისი ჯადოსნური ფუნჯით დატანილ ფერებს სიცოცხლეს შთაბერავდა.

*ფრაგმენტი ერნსტ გომბრიხის წიგნიდან „ხელოვნების ამბავი".*

**1. ტექსტის დასაწყისში ვკითხულობთ: „ისეთი სახელი, რომელიც ლეონარდოს „მონა ლიზამ" მოიხვეჭა, ხელოვნების ნაწარმოებისათვის მთლად უნაკლო სიკეთე როდია". ეს ნიშნავს, რომ „მონა ლიზას" პოპულარობა:**

ა) მთლიანობაში უარყოფითი მოვლენაა, რომელსაც გარკვეული დადებითი მხარეები აქვს;
ბ) მთლიანობაში დადებითი მოვლენაა, რომელსაც გარკვეული უარყოფითი მხარეები აქვს;
გ) მთლიანად ნეგატიური მოვლენაა;
დ) მთლიანად პოზიტიური მოვლენაა.

**2. I აბზაცის მიხედვით, რა არის ტექსტის ძირითადი ამოცანა?**

ა) „მონა ლიზაში"რეალური ქალის დანახვა;
ბ) „მონა ლიზას"პოპულარობის არსში გარკვევა;
გ) „მონა ლიზას" ახლებური თვალით დანახვა;
დ) „მონა ლიზას" მხატვრის პიროვნებაში გარკვევა.

**3. რა არ შეიძლება დავასკვნათ II-III აბზაცების საფუძველზე?**

ა) რაც უფრო ბუნდოვნადაა გამოსახული სახე, მით უფრო ოსტატურია ნამუშევარი;
ბ) რაც უფრო ცოცხლადაა გამოსახული სახე, მით უფრო ოსტატურია ნამუშევარი;
გ) რაც უფრო ნაკლები ჩრდილია გადავლებული ნაკვთებზე, მით უფრო გამოკვეთილია სახე;
დ) რაც უფრო ყურადღებით დავაკვირდებით ნამუშევარს, მით უფრო კარგად დავინახავთ დეტალებს.

**4. ქვემოთ მოყვანილი წინადადებებიდან, რომლებიც III აბზაცში გვხვდება, რომელი ასახავს მიზეზშედეგობრივ კავშირს?**

ა) როცა სურათს მარცხენა მხარეს დავაცქერდებით, ქალის ფიგურა უფრო მაღალი ან ამართული გვეჩვენება, ვიდრე მარჯვნივ ყურებისას;
ბ) მზერის გადანაცვლების დროს თითქოს ქალის სახეც იცვლება, რადგან არც მისი ორი ნახევარია ზუსტად ერთნაირი;
გ) თუ სურათს ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მარცხნივ ჰორიზონტი თითქოს უფრო დაბალია, ვიდრე მარჯვენა მხარეს;
დ) ყველა ამ რთული ხერხის გამოყენებით ლეონარდოს შეიძლება ოსტატური მეფოკუსეობის ნიმუში გამოსვლოდა და არა – ხელოვნების დიადი ქმნილება.

**5. რა უმთავრესი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ III აბზაცის საფუძველზე?**

ა) სურათის მარჯვენა და მარცხენა ნახევარი ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა;
ბ) ქალის ფიგურა მარცხენა მხარეს უფრო მაღალი ჩანს;
გ) ჰორიზონტი მარცხენა მხარეს უფრო დაბალი ჩანს;
დ) სურათის მარჯვენა და მარცხენა ნახევარი ერთმანეთს საერთოდ არ ემთხვევა.

**6. რომელი დასკვნაა მართებული ? (უპასუხეთ II-IV აბზაცების მიხედვით)**

ა) მხატვარი არასოდეს იცავს ბალანსს ბუნებისაგან გადახვევის შემთხვევაში;
ბ) მხატვარი უმეტესად იცავს ბალანსს ბუნებისაგან გადახვევის შემთხვევაში;
გ) მხატვარი ყოველთვის იცავს ბალანსს ბუნებისაგან გადახვევის შემთხვევაში;
დ) მხატვარი ზოგჯერ იცავს ბალანსს ბუნებისაგან გადახვევის შემთხვევაში.

**7. „პორტრეტისტი“ნიშნავს (უპასუხეთ IV აბზაცის მიხედვით):**

ა) პირს, რომელიც პორტრეტს უყურებს;
ბ) ადრეული ეპოქის მხატვარს, რომელიც ქმნიდა პორტრეტებს;
გ) ნებისმიერი ეპოქის მხატვარს, რომელიც ქმნის პორტრეტებს;
დ) პირს, რომელიც გამოსახულია პორტრეტზე.

**8. რა მიმართებაა ტექსტის აბზაცებს შორის?**

ა) II - III აბზაცებში დაკონკრეტებულია I აბზაცში მოცემული ინფორმაცია;
ბ) IV აბზაცში უარყოფილია I - III აბზაცებში მოცემული ინფორმაცია;
გ) IV აბზაცში მოცემული ინფორმაცია ეჭვქვეშ აყენებს II აბზაცში მოცემულ ინფორმაციას;
დ) III აბზაცში განზოგადებულია II აბზაცში მოცემული ინფორმაცია.

**9. ტექსტის მიხედვით, რა იყო ლეონარდოს უმთავრესი ამოცანა?**

ა) ადამიანის ცვალებადი გამომეტყველების ასახვა;
ბ) ადამიანის უკვდავი სულის ასახვა;
გ) ადამიანის ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახვა;
დ) ადამიანის მშვენიერი სხეულის ასახვა.

**10. ტექსტის მიხედვით, რა არ შეიძლება იყოს მიზანი იმ მხატვრისა, რომელიც ბუნების ერთგული მსახურია?**

ა) ჰარმონიის დაცვა რეალობისა და საგნების ასახვის დროს;
ბ) ბუნდოვანების ეფექტის მიღწევა რეალობისა და საგნების ასახვის დროს;
გ) მაქსიმალური მსგავსების მიღწევა რეალობისა და საგნების ასახვის დროს;
დ) სიმეტრიულობის დაცვა რეალობისა და საგნების ასახვის დროს.



გვ. 71
**წაკითხულის გააზრება**

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

მასწავლებლის კომენტარები

გვ. 72

## თემა 3
## არქიტექტურა

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ენობრივ ცნობარებს. ამის შემდეგ ისინი აკვირდებიან ილუსტრაციებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს შეკითხვებზე (ა—გ პუნქტები) დაყრდნობით.

თემა 3

## არქიტექტურა

### 1. უძველესი საცხოვრებლები

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • ადამიანთა პირველი დასახლებები<br>• სხვადასხვა ხალხის საცხოვრებელი (ვიგვამი, იგლუ, იურთი)<br>• ძველი და ახალი ცივილიზაციების შერწყმა<br>• პიგმეები | • მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა |

**1. დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ.**

ა. რა არის აღბეჭდილი ფოტოებზე?
ბ. დააკავშირე ისინი ერთმანეთთან. მოძებნე მათ შორის მსგავსება და განსხვავება და დაასახელე.
გ. შენი აზრით, რა არის თითოეული ფოტოსათვის მნიშვნელოვანი დეტალი?



72 არქიტექტურა

2. **დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ პასუხები მოცემულ შეკითხვებზე. გააცანით თქვენი ვერსიები კლასელებს და იმსჯელეთ მათ შესახებ.**
   - როგორი იყო ადამიანის უძველესი საცხოვრებელი და რით განსხვავდებოდა ის თანამედროვე საცხოვრებლისაგან?
   - ყოველთვის არსებობდა თუ არა სოფლები და ქალაქები?
   - სად და როგორ ვითარდებოდა თავდაპირველი ქალაქები?
   - რა შემთხვევაში გადაიქცეოდა ხოლმე სოფელი ქალაქად?
   - რის მიხედვით ენიჭებოდა დასახლებულ პუნქტს ქალაქის სტატუსი და ვინ ანიჭებდა მას?

3. **წაიკითხე მოცემული ტექსტი, მოძებნე პასუხები წინა დავალების შეკითხვებზე და დაასახელე. შეადარეთ თქვენი ვერსიები. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ადამიანთა პირველ დასახლებებს, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს აშენებული ქოხებისაგან შედგებოდა, ხის ბოძები, ქვის გალავნები ან სხვა თავდაცვითი ნაგებობები ჰქონდა გარშემორტყმული.

გლეხის საცხოვრებელი პრიმიტიულად აშენებული პატარა ნაგებობა იყო, რომელსაც უზარმაზარი სხვენი ჰქონდა და ჩალით ან ხით იყო გადახურული. სახლს სხვადასხვა მასალისაგან აშენებდნენ. ფანჯრის მოვალეობას ოთხკუთხა ჭრილები ასრულებდა.

სოფელი, რომელიც სავაჭრო გზასთან ახლოს მდებარეობდა, თანდათან იზრდებოდა, მდიდრდებოდა და ქალაქად გადაიქცეოდა. ახალ დასახლებებში იქმნებოდა მოსახლეობის ფენა, რომელიც მიწის დამუშავების ნაცვლად უკვე სხვა საქმიანობას ეწეოდა: ვაჭრობდა, ხელოსნობდა და ა.შ. ქალაქს შიგნიდან ციხესიმაგრეები იცავდა, გარედან კი მტკიცე გალავანი ერტყა.

დასახლებულ პუნქტს ქალაქის სტატუსს ქალაქის მმართველი ანიჭებდა. მას უნდა ჰქონოდა ბაზრები, გალავნები, თხრილები, კოშკები და კარიბჭეები.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ თანდათან ქალაქის ინფრასტრუქტურის შეცვლა გამოიწვია. პატარა სახლების ნაცვლად ადამიანები ერთმანეთთან ახლოს ვიწრო და მაღალ სახლებს აგებდნენ, რომელთაც, ძირითადად, კრამიტით ხურავდნენ. კედლების ასაშენებლად ქვას იყენებდნენ. ქვის იყო იატაკიც.






გვ. 73

**მოსწავლის წიგნი**

2. კლასი იყოფა ჯგუფებად (4—5 მოსწავლე). ჯგუფებს ევალებათ მოცემულ შეკითხვებზე პასუხების მომზადება და კლასის წინაშე წარდგენა.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და წინა დავალების შეკითხვებს პასუხობენ ტექსტზე დაყრდნობით.

მოსწავლის რვეული

გვ. 124 № 1 (ა—კ), 2, 3: საკითხავ ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ლექსიკის ათვისებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

გვ. 125 № 4: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალება.

## გვ. 74

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და ასახელებენ ინდიელთა, ესკიმოსთა და მონღოლთა საცხოვრებლების მსგავსებებსა და განსხვავებებს.
2. მოსწავლეები ეცნობიან 75—ე გვერდზე განთავსებული ტექსტის პირველ წინადადებებს.
3. მოსწავლეები აკავშირებენ ტექსტის აბზაცებს სავარჯიშოს ა—ზ პუნქტებთან.
4. მოსწავლეები მსჯელობენ ადამიანის საცხოვრებლის მშენებლობის აუცილებელი პირობების შესახებ და ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 127 № 2, 3,4, 5: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოების სერია.



*„ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა"*
ინგლისური ანდაზა

**1. დააკვირდი მოცემულ ფოტოებს. რა განასხვავებს ამ საცხოვრებელ სახლებს ერთმანეთისაგან?**

**2. 75-ე გვერდზე მოცემულია სამი ინფორმაცია იურტას, იგლუსა და ვიგვამის შესახებ. წაიკითხე სამივე ტექსტის პირველი წინადადებები და დააკავშირე სურათებთან. მიუთითე, რომელია იურთი, იგლუ და ვიგვამი.**

**3. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია, მოძებნე ტექსტში და დააკავშირე შესაბამის საცხოვრებელთან.**

- ა. მას აშენებენ პირდაპირ მიწაზე ან დგამენ ხის მორებზე.
- ბ. ამ საცხოვრებელს სარკმელი კედლის ნაცვლად ჭერში აქვს გაკეთებული.
- გ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას მისი მობინადრენი მას შლიან და თან მიაქვთ.
- დ. ის წელიწადის ნებისმიერ დროს არის მოსახერხებელი.
- ე. მის გადასახურად, როგორც წესი, ტროპიკულ მცენარეებს იყენებენ.
- ვ. მიუხედავად ძლიერი ყინვისა, საცხოვრებელი საგანგებოდ არ თბება.
- ზ. მის სახურავს სხვადასხვა ფორმა აქვს.

**4. წაიკითხე და დაასახელე ყველა სწორი ვარიანტი. დაასაბუთე შენი პოზიცია ტექსტების მიხედვით.**

*რას ითვალისწინებდნენ ადამიანები საცხოვრებლის მშენებლობისას?*

- ა. გარემო პირობებს;
- ბ. საკუთარ სურვილს;
- გ. ტრადიციებს;
- დ. შესაძლებლობებს.



1. ინდიელთა საცხოვრებელი



2. ესკიმოსების საცხოვრებელი



3. მონღოლური საცხოვრებელი

**5. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და შენი პასუხი გაამყარე ტექსტზე დაყრდნობით.**

ა. იურთის კედლებს ორივე მხრიდან ცხვრის ტყავით ფარავდნენ.

ბ. მონღოლები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი ერთ ადგილას დიდხანს არ ცხოვრობდნენ.

გ. ესკიმოსები კარგი არქიტექტორები იყვნენ.

დ. ვიგვამს მცენარეების სახურავი აქვს.

ე. იგლუ ჰერმეტულად შეკრული საცხოვრებელია.

ვ. ინდიელთა ზოგიერთი ტომი დღემდე ვიგვამებში ცხოვრობს.

ზ. ინდიელთა უმეტესობა ადათ-წესების დაცვაზე უარს ამბობს.

**6. ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტები თავიდან და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**7. წაიკითხე და დაასახელე, მოცემული საკითხებიდან რის შესახებ იძლევა ცალკეული ტექსტი ინფორმაციას?**
**მოიტანე შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.**

ა. კონკრეტული მახასიათებლები (*ფერი, ფორმა, ზომა, ტემპერატურა*)

ბ. შენობის არქიტექტურა (მაგ., *რა ტიპის კონსტრუქციაა, როგორ იწყობა ის და ა.შ.*)

გ. სამშენებლო მასალები და მათი კონკრეტული დანიშნულება.

დ. საცხოვრებლის დადებითი მხარეები.

**8. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე ამ საცხოვრებლების შესახებ.**

**9. აირჩიე ქვეყანა, მოიძიე მსგავსი ინფორმაცია იქ მცხოვრებთა უძველესი საცხოვრებლების შესახებ და წარმოადგინე.**

ა) **იურთი** მომრგვალო, კარვის მსგავსი კონსტრუქციაა. მისი შიდა კედლები მორთულია ლერწმის ჭილოფებით, გარეთა კედლებს კი რამდენიმე შრედ მატყლის ქეჩები აქვს შემოკრული. იურთები მსუბუქი სატარებელი და ადვილად ასაწყობია; ამავე დროს, ისინი გამძლე და მოსახერხებელია როგორც ცივ ზამთარში, ისე ცხელ ზაფხულში.

იურთები მონაცრისფრო-მოყავისფრო ან ქათქათა თეთრი ფერისაა იმისდა მიხედვით, რა ფერისაა მატყლი.

ზოგ იურთს შედარებით ბრტყელი სახურავი აქვს, ზოგს კი – უფრო დაქანებული და მომრგვალებული.

ბ) **იგლუ** თოვლის ბლოკებისაგან შენდება და გუმბათისებრ კონსტრუქციას წარმოადგენს. როგორც წესი, იგლუს დიამეტრი 3-4 მეტრია, სიმაღლე კი 2 მეტრამდეა.

თოვლი კარგი თბოიზოლატორია, ამიტომ იგლუს სპეციალურად არ ათბობენ. როცა გარეთ ჰაერის ტემპერატურა -40 -45 გრადუსია, შიგნით ტემპერატურა, შესაძლოა, -7-დან +26 გრადუსამდე მერყეობდეს.

იგლუს ჭერში ღია ხვრელს ტოვებენ ვენტილაციისა და განათებისათვის. ხანდახან კი თოვლის ბლოკებთან ერთად სამშენებლო მასალად ყინულსაც იყენებენ, რომ იგლუში სინათლემ შეაღწიოს.

უნიკალურია იგლუს არქიტექტურა. მისი ბლოკები სპირალურად ლაგდება ისე, რომ კედლები თავისუფლად იტანს სახურავის სიმძიმეს, ხოლო ვენტილაცია თოვლს გადნობის საშუალებას არ აძლევს.

იგლუში დასაძინებელი ადგილები ამაღლებულ ადგილზეა, ვინაიდან თბილი ჰაერი ზემოთ ადის, ცივი კი ქვემოთ ჩადის.

გ) **ვიგვამი** ხის ტოტებისა ან ლერწმისაგან აგებული გუმბათისებური ქოხია. ადგილობრივების ენაზე ვიგვამი „ნაგებობას“ ნიშნავს.

დღესაც ბევრი ადგილობრივი მოსახლე ერთგულად მიჰყვება მამა-პაპის ტრადიციებს. მაგალითად, ამაზონის ჯუნგლების მკვიდრნი თავიანთ სახლებს, ტრადიციულად, ხის ბოძებისაგან აგებენ, რომლებსაც პალმის ფოთლებითა და სხვა წყალგაუმტარი მცენარეებით ხურავენ. ხშირად სახლს ხის მორებზე, ანუ ხიმინჯებზე, დგამენ, რაც მას ყოველწლიური წყალდიდობების დროს იცავს.



გვ. 75

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები უფრო დეტალურად ეცნობიან ტექსტს და სავარჯიშოს ა—დ პუნქტებს უკავშირებენ ამა თუ იმ მონაკვეთს.
6. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ კითხვაზე ორიენტირებულ საკომუნიკაციო ტიპის დავალებებს მოსწავლის რვეულში.
7. მოსწავლეები აკავშირებენ დავალების ა—დ პუნქტებს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთებთან.
8. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტში აღწერილი ამა თუ იმ საცხოვრებლის შესახებ.
9. შაშინაო დავალების სახით, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია მსგავსი საცხოვრებლების შესახებ მსოფლიოში და ილუსტრირებული პროექტის სახით წარმოადგინონ კლასში.

გვ. 76

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—ვ) მსაზღვრელ—საზღვრულთან დაკავშირებით.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები უთითებენ მსაზღვრელ—საზღვრულის ბრუნვას თითოეულ წინადადებაში (ა—თ პუნქტები).



მსაზღვრელ–საზღვრულის ურთიერთობა

**პირველი ტიპი**

I.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | ორი | ჩანთა |
| **მოთხ.** | ორმა | ჩანთამ |
| **მიც.** | ორ | ჩანთას |
| **ნათ.** | ორი | ჩანთის |
| **მოქმ.** | ორი | ჩანთით |
| **ვით.** | ორ | ჩანთად |
| **წოდ.** | -------- | ------------ |

II.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | დამწიფებული | ატამი / ატმები |
| **მოთხ.** | დამწიფებულმა | ატამმა / ატმებმა |
| **მიც.** | დამწიფებულ | ატამს / ატმებს |
| **ნათ.** | დამწიფებული | ატმის / ატმების |
| **მოქმ.** | დამწიფებული | ატმით / ატმებით |
| **ვით.** | დამწიფებულ | ატმად / ატმებად |
| **წოდ.** | დამწიფებულო | ატამო / ატმებო |

III.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | ჩემი | წიგნი / წიგნები |
| **მოთხ.** | ჩემმა | წიგნმა / წიგნებმა |
| **მიც.** | ჩემს | წიგნს / წიგნებს |
| **ნათ.** | ჩემი | წიგნის / წიგნების |
| **მოქმ.** | ჩემი | წიგნით / წიგნებით |
| **ვით.** | ჩემს | წიგნად / წიგნებად |
| **წოდ.** | ჩემო | წიგნო / წიგნებო |

IV.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | პატარა | კატა / კატები |
| **მოთხ.** | პატარა | კატამ / კატებმა |
| **მიც.** | პატარა | კატას / კატებს |
| **ნათ.** | პატარა | კატის / კატების |
| **მოქმ.** | პატარა | კატით / კატებით |
| **ვით.** | პატარა | კატად / კატებად |
| **წოდ.** | პატარა | კატავ / კატებო |

**1. დააკვირდი ცხრილებს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელია მსაზღვრელი და რომელი – საზღვრული?

ბ. რომელ მსაზღვრელ-საზღვრულს არ აქვს მრავლობითი რიცხვი და რატომ? ყურადღება მიაქციე მსაზღვრელს და ისე უპასუხე შეკითხვას.

გ. როგორი მსაზღვრელი არ იცვლება (ანუ არ იბრუნვის)? დაასახელე სწორი ვარიანტი.

1. რომელიც მთავრდება თანხმოვანზე (ანუ თანხმოვანფუძიანი);
2. რომელიც მთავრდება ხმოვანზე (ანუ ხმოვანფუძიანი).

დ. რომელ ბრუნვებში არ დაირთავს მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს? უპასუხე I და II ცხრილებზე დაყრდნობით.

ე. რომელ მსაზღვრელს აქვს მიცემითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშნები? დაასახელე ეს ნიშნები.

ვ. დაუბრუნდი მსაზღვრელებს და დაუსვი კითხვები. დაასახელე, რა ჰქვია და მიუთითე, რის შესახებ იძლევა ისინი ინფორმაციას?

**ნიმუში:** *ორი* – რამდენი? არის რიცხვითი სახელი. მიუთითებს რაოდენობაზე.

**2. წაიკითხე წინადადებები და მიუთითე, რომელ ბრუნვაში დგას ხაზგასმული მსაზღვრელ-საზღვრული.**

ა. **ზოგ იურთს** შედარებით **ბრტყელი სახურავი** აქვს.

ბ. იგლუში **დასაძინებელი ადგილები** ამაღლებულ ადგილზეა.

გ. მათი ფაცხები **მწვანე გორაკებს** ჰგავს.

დ. ისინი ხშირად იცვლიან **საცხოვრებელ ადგილს.**

ე. პიგმეები **დაწნული ბადით** ნადირობენ.

ვ. ლუდვიგ II-მ **უმშვენიერესი სასახლეების** აშენება დაიწყო.

ზ. **ახალგაზრდა მეფემ** ბავარია მუზეუმად აქცია.

თ. სასახლე **რომანული სტილით** ააგეს.

**3. თვალი გადაავლე ცხრილში მოცემულ მსაზღვრელებს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელ ბრუნვაში დგას მოცემული მსაზღვრელები?

ბ. გაიხსენე, რა ხდება ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში? გამოიყენე ორივე გვერდზე მოცემული ცხრილები და დაასაბუთე შენი პასუხი მათზე დაყრდნობით.

გ. რა ფუნქცია აქვს ნათესაობითში მდგარ მსაზღვრელს? რის შესახებ გვაძლევს ის ინფორმაციას?

დ. რომელი იცვლება ყველა ბრუნვაში ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულში?

**4. შეადარე მსაზღვრელ-საზღვრულის ეს ორი ტიპი ერთმანეთს. გამოიყენე მოცემული შეკითხვები და დაასახელე მთავარი განსხვავებები მათ შორის.**

ა. რა არის გამოყენებული მსაზღვრელად:
   1. პირველ შემთხვევაში?
   2. მეორე შემთხვევაში?

ბ. რა ფორმით არის წარმოდგენილი მსაზღვრელი მოცემულ ბრუნვებში:
   1. პირველ შემთხვევაში?
   2. მეორე შემთხვევაში?

გ. რა ფუნქცია აქვს მსაზღვრელს, რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას:
   1. პირველ შემთხვევაში?
   2. მეორე შემთხვევაში?

**5. იპოვე, რომელ წინადადებებშია დაშვებული შეცდომები და დაასახელე. გაასწორე შეცდომები რვეულში.**

ა. გაგიჟებულს დადიანს ხმალზე წაუვლია ხელი.

ბ. სიყვარულის სასახლეს უცნაურ ისტორიას უკავშირებენ.

გ. ისინი ალმაშენებელის გამზირზე ცხოვრობდნენ.

დ. ჩემ ქუჩაზე გერმანელების აშენებულ სახლის რესტავრაცია მიმდინარეობს.

მსაზღვრელ–საზღვრულის ურთიერთობა

**მეორე ტიპი**

I.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | ხის | სახლი / სახლები |
| **მოთხ.** | ხის | სახლმა / სახლებმა |
| **მიც.** | ხის | სახლს / სახლებს |
| **ნათ.** | ხის | სახლის / სახლების |
| **მოქმ.** | ხის | სახლით / სახლებით |
| **ვით.** | ხის | სახლად / სახლებად |
| **წოდ.** | ხის | სახლო / სახლებო |

II.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | მეგობრის | ძმა / ძმები |
| **მოთხ.** | მეგობრის | ძმამ / ძმებმა |
| **მიც.** | მეგობრის | ძმას / ძმებს |
| **ნათ.** | მეგობრის | ძმის / ძმების |
| **მოქმ.** | მეგობრის | ძმით / ძმებით |
| **ვით.** | მეგობრის | ძმად / ძმებად |
| **წოდ.** | მეგობრის | ძმავ / ძმებო |

III.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | მხატვრების | ნახატები |
| **მოთხ.** | მხატვრების | ნახატებმა |
| **მიც.** | მხატვრების | ნახატებს |
| **ნათ.** | მხატვრების | ნახატების |
| **მოქმ.** | მხატვრების | ნახატებით |
| **ვით.** | მხატვრების | ნახატებად |
| **წოდ.** | მხატვრების | ნახატებო |

IV.

| | | |
|---|---|---|
| **სახ.** | წყაროს | წყალი |
| **მოთხ.** | წყაროს | წყალმა |
| **მიც.** | წყაროს | წყალს |
| **ნათ.** | წყაროს | წყლის |
| **მოქმ.** | წყაროს | წყლით |
| **ვით.** | წყაროს | წყლად |
| **წოდ.** | წყაროს | წყალო |



გვ. 77

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალების ა—დ პუნქტებს მსაზღვრელ—საზღვრულთან დაკავშირებით.
4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა—გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს მსაზღვრელ—საზღვრულის ორი ტიპის შესახებ და ასახელებენ მათ შორის განსხვავებებს.
5. მოსწავლეები პოულობენ შეცდომებს ა—დ პუნქტებში მოყვანილ წინადადებებში და ასწორებენ მათ.

გვ. 78

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები იყოფიან წყვილებად, მეწყვილეებთან ერთად აკვირდებიან ილუსტრაციას და პასუხობენ შეკითხვებს, შემდეგ ასათაურებენ ფოტოებს და ადარებენ სხვა წყვილების ვერსიებს.
2. მასწავლებელთან ერთად კლასი განიხილავს ინფორმაციას პიგმეების შესახებ. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა—ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

თემა 3

**1. ყურადღებით დააკვირდი ფოტოს, მოიფიქრე პასუხები ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი პოზიციები.**



- რა არის ფოტოზე უცნაური და არაბუნებრივი? საიდან ჩანს?
- თავად ამ ადამიანებისთვის თუ არის ეს გარემო, შენი აზრით, მოულოდნელი და უჩვეულო? საიდან ჩანს?
- დაასახელე, რა კონტრასტებს ხედავ ფოტოზე?
- როგორ ფიქრობ, რეალურია თუ არა ეს ფოტო?
- შენი აზრით, რატომ აღმოჩნდნენ ეს ადამიანები მეგაპოლისში?
- რისი თქმა უნდა ამ ფოტოთი ავტორს?
- რას ფიქრობენ და რას გამოხატავენ თავად ეს ადამიანები?
- დაასათაურე ფოტო მეწყვილესთან ერთად და შეადარე სხვების ვერსიებს.

**2. გსმენია თუ არა რამე პიგმეების შესახებ? ვინ არიან და სად ცხოვრობენ ისინი? დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე მათი საცხოვრებლის შესახებ.**



ა. როგორი ფორმა აქვს და რა ზომისაა?
ბ. რას იყენებენ სამშენებლო მასალად და როგორ აგებენ?
გ. დააკვირდი საცხოვრებლის შიდა მოწყობილობას – აქვთ თუ არა საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი და ა.შ.
დ. დააკვირდი მათ სხეულებს და ჩაცმულობას, რით განსხვავდებიან ისინი სხვა ტომებისაგან?
ე. საიდან აქვთ მათ ეს თანამედროვე ტანსაცმელი?

78 არქიტექტურა

**3. სწრაფად ჩაიკითხე ტექსტი, მოძებნე წინა დავალების შეკითხვებზე პასუხები და დაასახელე. მიუთითე, რა დაემთხვა და რა – არა. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**4. დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა სიმაღლისაა ყველაზე მაღალი პიგმეი?

ბ. სად ითვლებიან ისინი აბორიგენებად და რატომ?

გ. საიდან ჩანს, რომ მათ მიერ აშენებული ფაცხები საიმედოა?

დ. რას საქმიანობენ მამაკაცები, ქალები და ბავშვები?

ე. რას აკეთებენ პიგმეები თავისუფალ დროს?

ვ. რითი იკვებებიან ისინი?

**5. წაიკითხე და დაასახელე სწორი ინფორმაცია. გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში.**

ა. პიგმეები ადგილობრივ ტომებთან ერთად ცხოვრობენ.

ბ. მათ ცუდი დამოკიდებულება აქვთ სხვა აფრიკელ ტომებთან.

გ. პიგმეები ტრადიციების მოყვარულები არიან.

დ. ისინი ტყის განაპირას სახლობენ.

ე. სანადიროდ მამაკაცებთან ერთად ბავშვებიც დადიან.

ვ. ნანადირევს ყველა თანაბრად იყოფს.

**6. რის შესახებ იძლევა ტექსტი ინფორმაციას? დაასახელე ყველა სწორი ვარიანტი და გაამყარე შენი პოზიცია ტექსტის მიხედვით.**

საცხოვრებელი გარემო; კულტურა; განათლება; ტრადიციები; ყოფითი დეტალები; საქმიანობა; ცხოვრების წესი; ისტორია; ურთიერთობები სხვა ხალხებთან.

აფრიკის კონტინენტზე, ტყეთა სიღრმეში, სადაც მაღალი ხეები იზრდება და ყველაზე დიდი ცხოველები — სპილოები – ბინადრობენ, დედამიწის ყველაზე პატარა ადამიანები — პიგმეები ცხოვრობენ. მამაკაცის სიმაღლე 145 სმ-ს არ აღემატება, ქალისა კი გაცილებით ნაკლებია.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პიგმეები მდინარე კონგოს აუზში სხვა ხალხებზე გაცილებით ადრე დასახლდნენ, ამიტომაც ამ ადგილის აბორიგენებად ისინი პიგმეებს მიიჩნევენ.

პიგმეები განცალკევებულად ცხოვრობენ, თუმცა მეზობელ ხალხებთან სამეურნეო კავშირი აქვთ. მათი სოფლები ტყის სიღრმეშია. ისინი ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. მათი საცხოვრებლები პალმის ფოთლებით აშენებული ფაცხებია, რომლებიც მწვანე გორაკებს ჰგვანან. ფაცხები გამძლეა, მყარადაა შეკრული და მშვენიერი თავშესაფარია ტროპიკული წვიმების დროს.

ფაცხებს ქალები აშენებენ. ისინი მიწაში ტოტებს არჭობენ, ზედა ნაწილებს ლიანებით კრავენ და თაღს ქმნიან. თაღებზე აწყობენ პალმების დიდ ფოთლებს და ამაგრებენ. ასეთი საცხოვრებლის აშენებას ისინი 2-3 საათს ანდომებენ.

ავეჯსა და ჭურჭელს პიგმეები მხოლოდ მცენარეული მასალისგან — ხის ფოთლებისა და ქერქისაგან ამზადებენ. ძირითადად, ისინი "ერთჯერადი" დანიშნულებისაა.

პიგმეების ძირითადი საქმიანობა ნადირობა და შემგროვებლობაა. ყველაზე დიდ ცხოველებზე სანადიროდ მამაკაცები პრიმიტიული იარაღით მიდიან. პიგმეები ლიანებისგან ბადეებს წნავენ. ბადის სიგრძე ცხრა მეტრამდეა, სიგანე კი – ერთ მეტრამდე. ნადირობის დაწყებამდე ბავშვები შორს მიდიან და ყვირილითა და ხმაურით ნადირის გამოდევნას იწყებენ. გამოქცეული ნადირი, საბოლოოდ, ბადეში იხლართება. ამის შემდეგ მონადირეებს ცხოველები ბადიდან გამოჰყავთ, ლიანებით ფეხებს უკრავენ და შინ მიჰყავთ. ნადირობის შემდეგ მამაკაცები ისვენებენ, ქალები კი საჭმელს ამზადებენ. ნანადირევი მთელი თემის საკუთრებაა.

პიგმეებს სჯერათ ჯადოქრობისა. ისინი თაყვანს სცემენ სულებს. უყვართ მუსიკა და ცეკვა-თამაში, ადიდებენ წინაპრებსა და მითიურ გმირებს.



გვ. 79

## მოსწავლის წიგნი

3. ტექსტის გაცნობითი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ წინა სავარჯიშოს შეკითხვებს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

## 📖 მოსწავლის რვეული

გვ. 128 № 3, 4: სრულდება საკითხავი ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

გვ. 128 № 5, 6, გვ. 129 № 7, 8, 10, 11: ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ლექსიკის ათვისებაზე ორიენტირებული დავალებები.

## მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები დეტალურად ეცნობიან ტექსტს პიგმეების შესახებ და პასუხობენ ა—ვ შეკითხვებს.
5. სრულდება ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული ( ე.წ. „სწორია/მცდარია") საკომუნიკაციო ტიპის დავალება.

## 📖 მოსწავლის რვეული

გვ. 129 № 8: ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ ა—ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

## მოსწავლის წიგნი

6. მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის შესახებ.

გვ. 80

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან უჯრედში მოცემულ გამონათქვამებს. ისინი ასახელებენ თავიანთ ქალაქში/რეგიონში არსებულ არქიტექტურულ ძეგლებს.
2. ილუსტრაციებზე დაკვირვების შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ და მოკლედ აღწერენ ამა თუ იმ არქიტექტურულ ძეგლს.
3. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.

თემა 3

## 2. რას გვიამბობენ შენობები

**თემატური ცნობარი**

- არქიტექტურული ძეგლი – ქვეყნის, ქალაქის სიმბოლო
- არქიტექტურული სტილი
- ლუდვიგ II ბავარიელი
- ფრანკენშტაინის საიდუმლო

**ენობრივი ცნობარი**

- I თურმეობითი (წარმოება და ფუნქციები)
- II თურმეობითი (წარმოება და ფუნქციები)

**1. რა არის არქიტექტურა და რას საქმიანობენ არქიტექტორები? წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეამოწმე შენი ვერსია.**

**რა ითვლება არქიტექტურულ ძეგლად? დაასახელე, რომელი არქიტექტურული ძეგლები არსებობს შენს რეგიონში, ქალაქში...**

„არქიტექტურა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ვიწყებ ხელოსნობას“.

სიტყვა „არქიტექტორი“ კი მთავარ მშენებელს ნიშნავს. მისი ზუსტი შესატყვისია ქართული „ხუროთმოძღვარი“.





**2. დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, რომელი არქიტექტურული ძეგლებია მათზე გამოსახული. აღწერე ისინი თითო სიტყვით.**

**3. დაუბრუნდი ფოტოებზე გამოსახულ ძეგლებს. რის შესახებ იძლევა თითოეული მათგანი ინფორმაციას? იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.**

- ასახავენ თუ არა ისინი კონკრეტული ეპოქის მხატვრულ სტილს?
- გამოხატავენ თუ არა ისინი კონკრეტული დროის მოთხოვნებს?
- არის თუ არა კონკრეტული არქიტექტურული ძეგლი კონკრეტული ქვეყნის, ქალაქის სიმბოლო?
- რომელი არქიტექტურული ძეგლია, შენი აზრით, ეგვიპტის, ათენის, რომის, პარიზის, თბილისის სიმბოლო?
- ფოტოებზე გამოსახული ძეგლებიდან რომელია კონკრეტული ქვეყნის, ქალაქის სიმბოლო და დაასახელე, რომელი ქვეყანა, ქალაქია ის.





80 არქიტექტურა

**4. მოძებნე ქვემოთ მოცემულ ტექსტებში შესაბამისი ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელ არქიტექტურულ სტილზეა საუბარი პირველ, მეორე ტექსტში?
ბ. სად და როდის წარმოიშვა გოთიკური ხუროთმოძღვრება?
გ. აღწერე გოთიკური სტილის ნაგებობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.
დ. სად გავრცელდა პირველად მინის არქიტექტურა?
ე. რა არის ახალი, XXI საუკუნის არქიტექტურული სტილისათვის დამახასიათებელი?

**ა)** გოთიკა, როგორც მხატვრული სტილი, არქიტექტურაში მე-12 ს-ის საფრანგეთში წარმოიშვა, მთელ დასავლეთ ევროპაში კი ის გვიან შუა საუკუნეებში გავრცელდა. გოთიკური არქიტექტურული სტილი რომანული არქიტექტურიდან განვითარდა.

გოთიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია მაღალ, წვეტიან ნაგებობათა სიმსუბუქე, ისრისებური თაღები, ჩუქურთმებისა და სკულპტურული ქმნილებების სიუხვე, გამჭვირვალე და ფერადი ვიტრაჟები და სხვა.

ამ სტილით აშენებდნენ როგორც ტაძრებსა და ეკლესიებს, ისე წარჩინებულთა საცხოვრებლებსაც.

**ბ)** XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ახალი სტილი, რომელმაც უარი თქვა ისტორიულ მემკვიდრეობაზე – ორნამენტზე და, საერთოდ, ყველანაირ დეკორზე. დღეს არქიტექტურაში, ძირითადად, მსუბუქი კონსტრუქციები, ლითონი და მინა გამოიყენება.

პირველად ახალი სტილი ამერიკასა და ევროპაში გავრცელდა, იქიდან კი ყველგან მოიკიდა ფეხი. განსაკუთრებული ინტენსივობით მინის არქიტექტურამ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო განვითარება.

**5. წაიკითხე მოცემული განმარტებები, მოძებნე შესაბამისი სიტყვები ტექსტებში და დაასახელე.**

ა. რკალისებური გადახურვა, რომელიც აერთებს ნაგებობის კედლებს, საყრდენებს.
ბ. მხატვრული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების, ცხოველების ან მცენარეების გამოსახულებებისაგან. მას ორნამენტსაც უწოდებენ.

**6. დააკვირდი ფოტოებს და აღწერე ისინი. დაასახელე, რომელ არქიტექტურულ სტილს მიეკუთვნება თითოეული მათგანი? მიუთითე ამ სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და აღნიშნე, რა არის ან რა არ არის იმ ნიშნებიდან კონკრეტულ ფოტოზე.**







## გვ. 81

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის ა და ბ მონაკვეთებს და პასუხობენ შეკითხვებს.
5. მოსწავლეები უკავშირებენ დავალების ა და ბ პუნქტებს ტექსტის შესაბამის მონაკვეთებს.
6. ტექსტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები აღწერენ ილუსტრაციებზე ასახულ ორ განსხვავებულ არქიტექტურულ სტილს.

გვ. 82

## მოსწავლის წიგნი

1. მოსწავლეები აკვირდებიან ლუდვიგ II ბავარიელის ამსახველ ილუსტრაციას და ასახელებენ მის სავარაუდო ვინაობას (ა—გ პუნქტები).
2. მოსწავლეები უსმენენ ტექსტს და ამოწმებენ თავიანთ ვარაუდებს.
3. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. მეწყვილეები ერთად მუშაობენ დავალების ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე.
4. მეწყვილეები ეცნობიან ტექსტს და ხელახლა პასუხობენ წინა დავალების შეკითხვებს.
5. მოსწავლეები მსჯელობენ რ.ვაგნერის განცხადებაზე ლუდვიგ II ბავარიელის შესახებ.
6. მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებათა სერიას მოსწავლის რვეულში.

## მოსწავლის რვეული

გვ. 133 № 4 (I-IV): სრულდება ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული დავალება.

გვ. 134 № 1: მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად და ავალებს, ა—გ პუნქტების მიხედვით მოიძიონ ინფორმაცია და შექმნან ილუსტრირებული პოსტერები/პრეზენტაციები თემებზე: ბავარია, ბერლინი, ვერსალი, ვენა.

გვ. 134 № 2, 5; გვ. 135 № 11, 12: სრულდება საკითხავი ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

გვ. 134 № 4, 6; გვ. 135 № 7, 8, 9, 10: სრულდება ლექსიკის ათვისებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.



1. **დააკვირდი სურათს. ვინ იყო, შენი აზრით, ლუდვიგ II ბავარიელი? აირჩიე სწორი ვარიანტი და დაასახელე.**

   ა. მეფე ბ. კომპოზიტორი გ. პოეტი

2. **მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი. შეასრულე დავალებები რვეულში.**

3. **გაიხსენე, როგორ ახასიათებს ლუდვიგ II-ს რიჰარდ ვაგნერი და მოიფიქრე ქვემოთმოცემული შეკითხვების პასუხები. იმუშავე მეწყვილესთან ერთად. გააცანი თქვენი პასუხები კლასელებს და დაასაბუთე, რატომ ფიქრობთ ასე.**
   - ა. როგორი მეფე იქნებოდა „კეთილშობილი, ემოციური და განუმეორებელი“ ლუდვიგი?
   - ბ. უყვარდა თუ არა ის ხალხს და, თუ უყვარდა, რის გამო ან, თუ არ უყვარდა, რატომ?
   - გ. რა სურვილი და გატაცებები ჰქონდა, შენი აზრით, ემოციურ მეფეს?
   - დ. იქნებოდა თუ არა „ემოციური და განუმეორებელი“ მეფე არაორდინალური პიროვნება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე, რით შეიძლებოდა ყოფილიყო ის ასეთი.

4. **წაიკითხე მოცემული ტექსტი და შეამოწმე თქვენი ვერსიები. რა დაემთხვა და რა – არა. თავიდან უპასუხე წინა დავალების შეკითხვებს ტექსტის მიხედვით.**

5. **დაუბრუნდი ვაგნერის განცხადებას და დააკავშირე ლუდვიგ II ბავარიელის ცხოვრებასთან. ასრულდა თუ არა ვაგნერის სიტყვები?**

   *„ამ სასტიკ სამყაროში მისი სიცოცხლე, შესაძლოა, ისევე დაიკარგოს, როგორც ნაკადული – სილაში“.*

6. **დაუბრუნდი ტექსტს. თავიდან წაიკითხე გულდასმით და შეასრულე დავალებები რვეულში.**



ლუდვიგ II, ზოგადად, საინტერესო მონარქი გახლდათ – ხელოვნებისა და სილამაზის დიდი დამფასებელი იყო. არქიტექტურისა და მუსიკის სიყვარული ლუდვიგ ბავარიელს მამისაგან გადაეცა. როგორც ამბობენ, ის გაცილებით უკეთესი არქიტექტორი იყო, ვიდრე – მეფე. მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა – აეგო ისეთი სასახლეები, რომლებიც მშვენიერებით ვერსალს აჯობებდა. მართლაც, უმშვენიერესი სასახლეების აშენებით ლუდვიგმა ბავარია მუზეუმად აქცია. ამ ფანტასტიკურ ჩანაფიქრს მეფემ ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი მოახმარა. ცნობილია, რომ, როცა ერთ-ერთი სასახლისთვის მას სახსრები არ ეყო, მსახურებს ბერლინისა და ვენის ბანკების გაძარცვა დაავალა.

ლუდვიგი ბევრს არ უყვარდა. ბრალს ექსცენტრულობასა და მფლანგველობაში სდებდნენ. მეფის ექსცენტრული ბუნება მრჩევლებს ყელში ამოუვიდათ, ექიმებს გიჟად გამოაცხადებინეს და ბერგის ციხესიმაგრეში გამოკეტეს.

პოეტური სულის მქონე „ზღაპრების მეფე“, ლუდვიგ II, რომელსაც ვაგნერის ოპერები და განმარტოება უყვარდა, გამუდმებით გულჩათხრობილი და მდუმარე იყო, მთლიანად ზღაპრების სამყაროში ცხოვრობდა. უცნაურობების გამო მას „შეშლილ მეფესაც“ ეძახდნენ. სუფრას 4 კაცისთვის აშლევინებდა ხოლმე, რადგან წარმოსახვით სტუმრებთან ერთად უყვარდა ვახშმობა. მეფე, ძირითადად, ღამით ცხოვრობდა, დღისით კი ეძინა ხოლმე. როცა ლუდვიგის უცნაურობათა ამბავმა ბისმარკის ყურამდეც მიაღწია, გერმანიის იმპერიის დამაარსებელს უთქვამს, უფლისწული სრულიად საღად აზროვნებსო.

1886 წლის 13 ივნისს ლუდვიგ II სასახლის ახლოს, ტბაში, იპოვეს დამხრჩვალი იმ ექიმთან ერთად, რომელმაც ის შეშლილად გამოაცხადა.

**7. დააკვირდი ნოიშვანშტაინის სასახლის ფოტოს და ისაუბრე მის შესახებ.**

ა. აღწერე სასახლის არქიტექტურა.

ბ. აღწერე გარემო, სადაც ეს სასახლე დგას.

**8. წაიკითხე და დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციის სისწორე ტექსტზე დაყრდნობით. წაიკითხე შესაბამისი ადგილი, რომელიც შენს პასუხს გაამყარებს. გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში.**

ა. სასახლის აგება ლუდვიგ II-მ ვაგნერთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა.

ბ. სასახლის მშენებლობა მე-19 საუკუნის II ნახევარში დაიწყო.

გ. სასახლის აგება მეფის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა.

დ. სასახლის მშენებლობის დასრულებას ვერ მოესწრო რიჰარდ ვაგნერიც.

ე. სასახლის სახელი ვაგნერის შემოქმედებას უკავშირდება.

ვ. ვაგნერს ძალიან მოსწონდა სასახლე.

**9. რა კავშირი აქვს ნოიშვანშტაინის სასახლეს უოლტ დისნეისთან? თავიდან წაიკითხე ტექსტი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

1868 წლის 15 მაისს გერმანელი კომპოზიტორის, რიჰარდ ვაგნერისათვის მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ლუდვიგ II-ს ჩაფიქრებული ჰქონდა სასახლის აშენება შუა საუკუნეების გერმანული ციხესიმაგრეების სტილში.

ბავარიის ალპების ერთ-ერთ მთაზე ნოიშვანშტაინის სასახლის მშენებლობა დაიწყო. სასახლის საძირკველში პირველი ქვა 1869 წლის 5 სექტემბერს დაიდო. მეფე მის დასრულებას ვერ მოესწრო. სასახლის დამთავრებამდე გარდაიცვალა ვაგნერიც, რომელიც ერთხელაც არ ყოფილა სასახლეში მიუხედავად იმისა, რომ შიგნიდან ის მისი ოპერების სცენებით იყო მთლიანად მოხატული და სახელიც მისი ერთ-ერთი ოპერის პერსონაჟის პატივსაცემად დაერქვა. ნოიშვანშტაინი ქართულად „ახალი გედის ქვას“ ნიშნავს.

დღეს ნოიშვანშტაინის სასახლე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია გერმანიაში. რომანული სტილით აშენებულ ციხესიმაგრეს „ზღაპრულ სასახლესაც“ უწოდებენ. ნოიშვანშტაინის მიხედვით ააშენეს უოლტ დისნეის პარკში მძინარე მზეთუნახავის ციხესიმაგრე. სასახლის მოდელი გამოყენებულია ცნობილ მულტფილმ „მძინარე მზეთუნახავში“.





გვ. 83

__მოსწავლის წიგნი__

7. მოსწავლეები აკვირდებიან ნოიშვანშტაინის სასახლის ილუტრაციას და ასრულებენ დავალების ა. და ბ. პუნქტებს.
8. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ადასტურებენ/უარყოფენ დავალების ა—ვ პუნქტებში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეს ტექსტზე დაყრდნობით.
9. მოსწავლეები ასახელებენ ნოიშვანშტაინის სასახლის კავშირს გამოჩენილ ამერიკელ ანიმატორთან, უოლტ დისნეისთან.

გვ. 84

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა.და ბ. პუნქტებს I თურმეობითის შესახებ.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები აკავშირებენ ა—დ პუნქტებს შესაბამის ფუნქციებთან.
3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ადარებენ წინადადებებში ხაზგასმულ ზმნებს და პასუხობენ შეკითხვებს.



I თურმეობითი

**I. ფუნქციები:**

| | |
|---|---|
| ზოგადი აწმყო | ასახავს მოქმედების შედეგს აწმყოში, აწმყოს ვითარებას: *ის ლექსები ახლაც წიგნაკში უწერია.* |
| ზოგადი წარსული | გამოხატავს მოქმედების შე-დეგს წარსულში ისე, რომ არ აკონკრეტებს, როდის? *მე არაერთხელ მითქვამს ეს შენთვის.* |
| უნახავი მოქმედება (თურმე) | მიუთითებს ისეთი მოქმედების შედეგზე, რომელიც მთქმელს თავად არ შეუსრულებია და არც დასწრებია მისი შესრულების პროცესს: *წინა კვირას ყოფილა ის გადაცემა; გიას დაუხატავს ის ნახატი.* |
| შეუსრულებელი მოქმედება წარსულში | მთქმელი მიუთითებს მხოლოდ შედეგზე და არ გამოხატავს თავის პოზიციას, რატომ არ შეასრულა: *მე არ მინახავს ეს ფილმი; არ დამიწერია დავალება.* |

**II. წარმოება:**

ა. <u>ვინიანი (1) **S** (მას) O (ის)</u>
1. მე მიცხოვრია, მისეირნია ...
2. მე ის ამიშენებია, დამიჭრია ...
3. მე ის დამიხატავს, დამიბამს ...
4. მე მიტირია, მირბენია ...

ბ. <u>ვინიანი (2) **S** (ის) O(მას)</u>
1. მე გავზრდილვარ
   ის გაზრდილა
2. მე დავლაპარაკებივარ მას
   ის დამლაპარაკებია მე

გ. <u>მანიანი **S** (მას)O (ის)</u>
1. მე ის მყვარებია
2. მას მე ვყვარებივარ ...

**1. გაეცანი სვეტში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა ფუნქციები აქვს I თურმეობითს?

ბ. დაასახელე, რა აერთიანებს ამ ფუნქციებს ერთმანეთთან. რა აქვს მათ საერთო?

**2. წაიკითხე მოცემული წინადადებები და დააკავშირე შესაბამის ფუნქციებთან. დაასახელე, რას მიუთითებს ზმნით გამოხატული მოქმედება?**

ა. ნოიშვანშტაინი „მძინარე მზეთუნახავის“ შთაგონება გამხდარა.

ბ. ლუდვიგ ბავარიელი სასახლის დასრულებას არ მოსწრებია.

გ. მას ხშირად უვახშმია წარმოსახვით სტუმრებთან ერთად.

დ. მას არაერთხელ განუცხადებია მისთვის ამის შესახებ.

**3. შეადარე მოცემული წინადადებები ერთმანეთს. დაასახელე:**

- რომელ მწკრივში დგას ხაზგასმული ზმნები?
- რის შესახებ იძლევა ისინი ინფორმაციას?
- რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

ა. ნახე, რა <u>მიხატია</u> რვეულში?
ბ. ჯერ არ <u>დამიხატავს</u>, დრო არ მქონდა.
გ. წამოგიდგენია, გიას <u>დაუხატავს</u> ეს სურათი.
დ. ხშირად <u>დამიხატავს</u> ეს პეიზაჟი.

ა. ლიას ჩანთაში ფანქრები <u>უწყვია</u>.
ბ. ეს ფანქრები ლიას <u>ჩაუწყვია</u> ჩანთაში.

ა. ოთახში ქაღალდები <u>ყრია</u>.
ბ. მას არაერთხელ <u>დაუყრია</u> ქაღალდები ძირს.

**4. წაიკითხე მოცემული დიალოგები და შეასრულე დავალებები.**

- მოძებნე II თურმეობითის ფორმები და დაასახელე.
- მიუთითე, რა ფუნქციით არის ის გამოყენებული ცალკეულ შემთხვევაში?
- შეუწყვე მოცემულ ფორმებს პირები და მიუთითე, რომელია სუბიექტი. დაასახელე სუბიექტის ნიშანი.
- დაუბრუნდი დიალოგებში მოცემულ ზმნებს და მიუთითე, რომელი ტიპის ზმნებს მიეკუთვნება კონკრეტული ზმნა –ვინიან 1-ს, ვინიან 2-ს თუ მანიანს?

ა. – არ დაწერე დავალება?
– არა, უნდა დამეწერა?
– აბა, არ უნდა დაგეწერა?
– გუშინ კინოში ვიყავი და სულ დამავიწყდა დაწერა.
– არ უნდა დაგვიწყებოდა და კინოშიც არ უნდა წასულიყავი!

ბ. – ხვალისთვის რას შვრები, მოდიხარ დაბადების დღეზე?
– არ ვიცი, რაღაც არ ვარ ხასიათზე, თანაც, ხვალ ბევრი საქმე მაქვს.
– ისე, კარგი იქნებოდა, რომ წამოსულიყავი, კარგად გაერთობოდი!

გ. – ხელზე რა მოგივიდა?
– დავეცი და მეტკინა.
– ნახე, კაბაც გახეული გაქვს!
– ვიცი, რომ დავეცი, ეტყობა, მაშინ გამეხა!

**5. დააკვირდი სვეტში მოცემულ ვინიანი 1-ის, ვინიანი 2-ისა და მანიანი ზმნების წარმოებას და შეადარე ერთმანეთს.**
**დაასახელე, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.**

II თურმეობითი

**I. ფუნქციები:**

| | |
|---|---|
| წარსულში შესასრულებელი მოქმედება | გამოხატავს ამ მოქმედებასთან დამოკიდებულებას: *რატომ არ დაწერე? უნდა დაგეწერა ეს დავალება! შეგეძლო, არ გაგეკეთებინა! უნდა აეშენებინა ეს სახლი, მაგრამ არ ააშენა; გადაწყვიტა წასულიყო; უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვერ შეხვდა.* |
| წარსულში შესრულებული მოქმედება | ა. გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც უნებლიეთ, მოულოდნელად მოხდა: *წყალი მაგიდაზე დამექცა; გიას წაექცა ეს ჭიქა და გატყდა; არ მინდოდა, მაგრამ შემომეჭამა; წავიქეცი და კაბა გამეხა.* |
| | ბ. გამოხატავს მთქმელის სურვილის, ნების საწინააღმდეგო მოქმედებას: *არ უნდა წასულიყავი კინოში; არ უნდა დამეწერე ეს წერილი.* |
| მომავალში შესასრულებელი მოქმედება | გამოხატავს სათანადო დამოკიდებულებას: *რატომ არ მიდიხარ? კარგი იქნებოდა, რომ წასულიყავი! კარგი იქნებოდა, მეც რომ მიმეღო მონაწილეობა ხვალინდელ გამოფენაში!* |

**II. წარმოება:**

ა. ვინიანი (1) S (მას) O (ის)
1. მე (უნდა) მეცხოვრა, მესეირნა ...
2. მე ის (უნდა) ამეშენებინა, დამეჭრა ...
3. მე ის (უნდა) დამეხატა, დამება ...
4. მე (უნდა) მეტირა, მერბინა ...

ბ. ვინიანი (2) S (ის) O (მას)
1. მე (უნდა) გავზრდილიყავი
ის (უნდა) გაზრდილიყო
2. მე (უნდა) დავლაპარაკებ-**ოდ**-ი მას
ის (უნდა) დამლაპარაკებ-**ოდ**-ა მე

გ. მანიანი S (მას) O (ის)
1. მე ის (უნდა) მყვარებ-**ოდ**-ა
2. მას მე (უნდა) ვყვარებ-**ოდ**-ი ...



გვ. 85

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

4. მოსწავლეები კითხულობენ დიალოგებს (ა, ბ, გ) და გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, ასრულებენ დავალებებს II თურმეობითის შესახებ.
5. მოსწავლეები აკვირდებიან გრამატიკულ ცნობარს და ვინიანი 1—ის, ვინიანი 2—ის და მანიანი ზმნების წარმოებას ადარებენ ერთმანეთს.

## გვ. 86

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს ფრანკენშტაინის შესახებ (ა—გ პუნქტები).
2. მოსწავლეები ზედაპირულად ეცნობიან ტექსტს და უბრუნდებიან წინა დავალების ა—გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
3. მოსწავლეები საფუძვლიანად კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა—ვ პუნქტები).
4. ტექსტის ხელახალი წაკითხვის შემდეგ სრულდება დავალებების სერია მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 136 № 1, 2: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 136—137 № 3, 4, 5, 6: სრულდება გრამატიკული დავალებების სერია.

გვ. 138—139 № 1, 2, 3, 4, 5, 6; გვ. 140—14 № 1, 2, 3, 4: გრძელდება ენობრივი ტიპის დავალებების შესრულება.

თემა 3

### ფრანკენშტეინის საიდუმლო

1. **წაიკითხეთ და იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.**
   - ა. ვინ არის ფრანკენშტეინი და რა იცი მის შესახებ?
   - ბ. გინახავს თუ არა ფილმი ფრანკენშტეინზე?
   - გ. რეალური პიროვნება იყო თუ არა ის, შენი აზრით?
2. **სწრაფად ჩაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსია. თავიდან უპასუხე წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს.**
3. **დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.**
   - ა. ვინ იყვნენ ძმები გრიმები და რა უნდოდათ იმ სოფელში?
   - ბ. ვისგან გაიგეს გრიმებმა ფრანკენშტეინის შესახებ?
   - გ. როგორ მოიხსენიებდნენ სოფლის მაცხოვრებლები ფრანკენშტეინს?
   - დ. როგორი ამბები ხდებოდა, მათი აზრით, ციხესიმაგრეში?
   - ე. რა ჰქონდა ფრანკენშტეინს ციხესიმაგრეში მოწყობილი და რისთვის?
   - ვ. როდის დაატოვებინეს მას ციხესიმაგრე და რატომ?
4. **თავიდან წაიკითხე ტექსტი და შეასრულე დავალებები რვეულში.**



კადრი ფილმიდან „ფრანკენშტეინი“

ერთ მშვენიერ დღეს სახელგანთქმული ძმები გრიმები მომავალი ზღაპრების სიუჟეტების მოსაძებნად ფრანკენშტეინის ციხესიმაგრის ძირას მდებარე სოფელს ესტუმრნენ.

„იქ, ზემოთ, ფრანკენშტეინის ციხესიმაგრეში ,რაღაც უცნაური, საშინელი ამბები ხდება. მის პატრონს, ერთ გადარეულ პროფესორს, დაუჩემებია, მიცვალებულები უნდა გავაცოცხლოო. იპარავს უპატრონო გვამებს და თავისთან მიათრევს, ღამღამობით კი იქიდან უცნაური კვამლი ამოდის და შემზარავი ჭექა-ქუხილი ისმის – ეს წყეული პროფესორი რაღაც ექსპერიმენტებს ატარებს...“ – უამბეს სოფლელებმა ძმებს.

ეს „წყეული პროფესორი“ XVIII საუკუნის ცნობილი გერმანელი ექიმი, სწავლული, თეოლოგი და ალქიმიკოსი იოჰან კონრად დიპელ ფონ ფრანკენშტეინი იყო, რომელიც 1673 წელს სწორედ ამ ციხესიმაგრეში დაიბადა. უნივერსიტეტში სწავლისას დიპელმა გადაწყვიტა, უკვდავების საიდუმლო ამოეხსნა და ამ მიზნით მან მარადიული ახალგაზრდობის ელექსირის ძებნა დაიწყო. მოგვიანებით სწორედ ფრანკენშტეინის სასახლეში მოაწყო ლაბორატორია თავისი საზარელი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს საშინელმა აფეთქებამ ციხესიმაგრის ერთი კოშკი სანახევროდ ნანგრევებად აქცია. როცა ახლომახლო მაცხოვრებლებმა გაიგეს, რას საქმიანობდა მათი მეზობელი, სასწრაფოდ დაატოვებინეს იქაურობა.

იოჰან დიპელი 1734 წლის 25 აპრილს გარდაიცვალა.



ფრანკენშტეინის სასახლე

86 არქიტექტურა

**5. ქვემოთ მოცემულია ერთი ტექსტის ოთხი ეპიზოდი. წაიკითხე მოცემული ეპიზოდების დასაწყისები (გამუქებული სიტყვები) და დაალაგე თანამიმდევრულად ისე, რომ ერთი მთლიანი ტექსტი მიიღო.**

**6. დააკვირდი მეორე ფოტოს. ვინ არის მერი შელი და რა კავშირი ჰქონდა მას იოჰან კონრად დიპელთან (იმავე ფრანკენშტეინთან)? წაიკითხე აწყობილი ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსია.**

ა

**ერთ ასეთ საღამოს** ლორდმა ჯორჯ ბაირონმა მეგობრებს ერთგვარი ფანტასტიკური ლიტერატურული შეჯიბრების მოწყობა შესთავაზა.

ბ

**ასე დაიბადა საყოველთაოდ ცნობილი წიგნი** ფრანკენშტეინისა და მის მიერ შექმნილი მონსტრის შესახებ. მოგვიანებით კი წიგნის მიხედვით არაერთი ფილმი გადაიღეს.

გ

„**ზაფხული ნესტიანი და ცივი იყო.** გადაუღებელი წვიმა სახლიდან გასვლის საშუალებას არ გვაძლევდა“, – ასე იხსენებდა მოგვიანებით ინგლისელი მწერალი მერი შელი 1816 წლის ზაფხულს, რომელიც მეუღლესა და მეგობრებთან ერთად შვეიცარიაში, ჟენევის ტბასთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში, გაატარა. მეგობრების გართობის ძირითადი საშუალება შემოქმედებითი საქმიანობა, ტბაზე ნავით სეირნობა და ბუხართან ღამის საუბრები იყო.

დ

**მწერლები წერას შეუდგნენ**, თუმცა მერი შელის საინტერესო არაფერი გამოსდიოდა. გადაწყვიტა, თხზულება დილით სალ გონებაზე დაეწერა და დაიძინა. სიზმარში მან შეშლილი მეცნიერი იხილა, რომელიც რაღაც ნაწილებისაგან აწყობილ შემზარავ ფანტომს დასცქეროდა. უცებ ფანტომი გაცოცხლდა და მძიმე და მონოტონური მოძრაობა დაიწყო. საშინელი სანახაობა იყო – ამაზრზენი და გულისამრევი. მერი მიხვდა, რომ ის, რამაც მას შიშის ზარი დასცა, სხვებსაც არანაკლებ შეაშინებდა.



იოჰან კონრად დიპელი
(1673–1734)



მერი შელი
(1794–1851)

**7. უპასუხე შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ა. რას გულისხმობდა ბაირონი, როცა მეგობრებს ფანტასტიკური ლიტერატურული შეჯიბრების მოწყობას სთავაზობდა – რა უნდა გაეკეთებინათ მათ?
ბ. საბოლოოდ, რა მიიღო საზოგადოებამ ამ შეჯიბრების შედეგად?
გ. რა დაეხმარა მერი შელის სწორი ფაბულის შერჩევაში?



## გვ. 87

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის ა—დ ეპიზოდებს და ალაგებენ მათ თანმიმდევრულად.
6. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს და ტექსტზე დაყრდნობით აკავშირებენ ეპიზოდებთან.
7. ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ ა—გ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 140 № 4: სრულდება ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

გვ. 141 № 5, 6, 7; გვ. 141 №1: ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის დავალებები.

გვ. 88

**მოსწავლის წიგნი**

1. თემატური და ენობრივი ცნობარის გაცნობის შემდეგ, მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და ასახელებენ მსგავსებსა და განსხვავებებს.
2. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ასრულებენ დავალების კომბინირებულ პუნქტებს.
3. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები აკავშირებენ ა—ზ პუნქტებში წარმოდგენილ ინფორმაციას ილუტრაციებთან.

მოსწავლის რვეული

გვ. 143 № 2, 3: სრულდება მოსმენილი ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

თემა 3

## 3. ძველი და ახალი თბილისი

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
| --- | --- |
| • ნარიყალა და აბანოთუბანი<br>• ძველი თბილისური საცხოვრებელი (ბანი, ტერასა)<br>• ქართველი<br>• გერმანელები და გერმანული არქიტექტურა თბილისში<br>• სიყვარულის სასახლე – მითი და სინამდვილე | • მსაზღვრელ-საზღვრული (მსაზღვრელის რაოდენობა, ადგილი, ფუნქცია; ბრუნვა და რიცხვი) |

**1. დააკვირდი ორივე ფოტოს და შეადარე ისინი ერთმანეთს. მოძებნე და დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.**



**2. მოისმინე ტექსტები და შეასრულე მოცემული დავალებები.**

- დაასახელე, რა არის თითოეული ტექსტის მთავარი თემა.
- გაიხსენე, რას ამბობენ ისინი კონკრეტულად.
- წაიკითხე მოცემული თემები და დააკავშირე შესაბამის ინფორმაციებთან:
  1. *აბანოთუბანი;*
  2. *ნარიყალას ციხესიმაგრე;*
  3. *ციხის სახელის ეტიმოლოგია.*

ა. აქ იყო პირველი დასახლება.
ბ. შუა საუკუნეების ეკლესია დღეს უკვე აღდგენილია.
გ. დასახლება წავკისისწყლის ხეობის ბოლომდე და თაბორის მთის კალთის მცირე მონაკვეთზე ვრცელდება.
დ. სიტყვა „ნარიყალა“ სპარსულია და შიდა ციხეს ნიშნავს.
ე. 1827 წ. ციხის გალავნის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დაანგრია.
ვ. მონღოლები მას „ნარინ ქალას“, ანუ მცირე ციხეს, უწოდებდნენ.
ზ. აბანოების დიდ ნაწილს ირანული არქიტექტურის კვალი ატყვია.



**3. თავიდან წაიკითხე მოცემული ინფორმაციები და დააკავშირე შესაბამის სურათთან.**

88 არქიტექტურა

4. **წაიკითხე მოცემული განმარტებები. ხაზგასმული სიტყვებიდან რომელი ჩანს სურათზე? მოძებნე და მიუთითე.**
   ა. **ბანი** არის სახლის ან სხვა ნაგებობის დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი.
   ბ. **ტერასა** არის ფერდობზე კიბე-კიბე ბუნებრივად გაჩენილი ან ხელოვნურად გაკეთებული მიწის ნაკვეთი.
   გ. **მოკირწყვლა** ნიშნავს რამე ზედაპირის ქვით დაფარვას.

5. **უპასუხე შეკითხვებს ტექსტის მიხედვით.**
   ა. რა დანიშნულება ჰქონდა ბანიანი სახლის სახურავს?
   ბ. როგორ ადგილებზე, სად აშენებდნენ ბანიან სახლებს?
   გ. რა საერთო ჰქონდა სახლის ბანს და აივანს?
   დ. როგორი იყო ძველი თბილისის ეზოები და ქუჩები?
   ე. რა იყო თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული მახასიათებელი XIX ს-ის 40-იანი წლებიდან?

6. **დაასაბუთე მოცემული ინფორმაციის უზუსტობა ტექსტის მიხედვით.**
   ა. ძველ თბილისში იშვიათობას წარმოადგენდა ბანიანი სახლები.
   ბ. თბილისში არსებული ბანიანი სახლების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ფოტოებმა შემოგვინახა.
   გ. ძველ თბილისში ქალები იშვიათად სხდებოდნენ ბანზე.
   დ. აივნები თბილისში ევროპული სტილის შემოსვლის შემდეგ გაჩნდა.

7. **დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

8. **ისაუბრე ძველი თბილისის შესახებ ტექსტის მიხედვით.**

9. **როგორ ფიქრობ, ბანიანი სახლები მხოლოდ ძველი თბილისისათვის იყო დამახასიათებელი, თუ მთელ საქართველოში იყო გავრცელებული?**



მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისი უფრო აზიური ქალაქი იყო ნარიყალას ფერდზე მოფენილი სახლებით. ძირითადად, სამი ტიპის სახლი შენდებოდა – ბანიანი, დარბაზის ტიპისა და ე.წ. კოშკურა.

XVII ს-ის შუა წლებში თბილისში 900 ბანიანი სახლი იყო. ბანიანი სახლი ხალხურ არქიტექტურაში გავრცელებული სახლია მიწური სახურავით. ამავე დროს, წინა სახლის სახურავი მეორე სახლისთვის ეზოს წარმოადგენდა. ძველ თბილისში ქალებს ჩვეულე-ბად ჰქონდათ ბანზე ჯდომა. ისტორიული წყაროების მიხედვით, „ბანიდან ბანზე გადასვლით ისე შემოივლიდი ქალაქს, რომ შეგეძლო, მიწაზე ფეხი არ დაგედგა“.

ტერასებზე შეფენილი ბანიანი სახლები ყველაზე დიდხანს ავლაბარმა შეინარჩუნა. ბანიანი სახლების შემდეგ გაჩნდა აივნები, რომლებიც ქუჩას გადაჰყურებდნენ. ევროპული სტილის შემოსვლის შემდეგ კი აივნებმა ქუჩიდან ეზოებისაკენ გადაინაცვლა.

ეზოები ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩებში გადიოდა. ქუჩებზე გადმოკიდებულ ჭრელაჭრულა აივნებს საღამოობით იქ ჩამომსხდარი „ხათუნები“ ალამაზებდნენ.

XIX ს-ის 40-იანი წლებისთვის თბილისში უკვე ორ და სამსართულიანი ე.წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა ყალიბდება. მისი მთავარი მახასიათებელი იყო სახლის თითქმის მთელი ფასადის გასწვრივ მიშენებული ორნამენტებიანი ღრმა ხის აივანი, რომლის ფართობიც ხშირად ოთახების ფართობს აჭარბებდა.



## გვ. 89

### მოსწავლის წიგნი

4. ილუსტრაციაზე დაკვირვების შედეგად მოსწავლეები ასახელებენ და მიუთითებენ ა—გ პუნქტებში მოყვანილ ტერმინებს.
5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა—ე პუნქტები).
6. მოსწავლეები ეცნობიან დავალების ა—დ პუნქტებს და ტექსტზე დაყრდნობით გამოკვეთენ მცდარ ინფორმაციას.
7. მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 144 №1, 2, 3: სრულდება საკითხავი ტექსტის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

გვ.145: 4, 5, 6, 7: ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის დავალებები.

### მოსწავლის წიგნი

8. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ ძველი თბილისის შესახებ.
9. მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები მოიძიებენ ბანიანი სახლების ისტორიას (საშინაო დავალების სახით).

გვ. 90

**მოსწავლის წიგნი**

1. ა—დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით, მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს თემაზე „ქართველი გერმანელები“.
2. მოსწავლეები ეცნობიან 91—ე გვერდზე წარმოდგენილი ტექსტის პირველ მონაკვეთს და პასუხობენ წინა დავალების შეკითხვებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობის შესახებ და აკავშირებენ მას ილუსტრაციასთან.
4. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ილუსტრაციაზე უთითებენ შენობის ტექსტში აღწერილ ამა თუ იმ დეტალს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 146 № 1;ინფორმაციაზე დაყრდნობით სრულდება წერითი საკომუნიკაციო ტიპის დავალება (საშუალოდ 150 სიტყვა).

გვ. 147 № 2, 3: მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ახდენენ მეწყვილეების ნამუშევრების თანაშეფასებას.

თემა 3

„ქართველი გერმანელები“ და
გერმანული არქიტექტურა თბილისში



1. **რას ნიშნავს „ქართველი გერმანელები“ და რა იცი მათ შესახებ?**
   ა. როდიდან გაჩნდნენ ისინი საქართველოში?
   ბ. სად სახლობდნენ?
   გ. დაახლოებით, რამდენი გერმანელი ცხოვრობდა იმ პერიოდში თბილისში?
   დ. დღეს თუ სახლობენ საქართველოში გერმანელები და სად?



2. **წაიკითხე 91-ე გვერდზე მოცემული ტექსტის პირველი მონაკვეთი და შეამოწმე შენი ვერსია. თავიდან უპასუხე წინა დავალების შეკითხვებს I მონაკვეთის მიხედვით.**
3. **წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დააკავშირე შესაბამის ფოტოსთან. დაასახელე, რომელი შენობა იგულისხმება.**

*ის აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს. 1897-1900 წლებში თბილისში მცხოვრებმა გერმანელმა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფელდმა ააშენა.*

*შენობის არქიტექტურა განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა – ადამიანის სახის გამოსახულებები, მცენარეული გირლანდები, ზღვის ნიჟარები. მთავარ შესასვლელს ჩაფხუტიანი ფრთოსანი ჰერმესი-ატლანტები იცავენ. ეს სამსართულიანი ნაგებობა სამერცხლულებით დამშვენებული მანსარდით არის დახურული.*

*შენობაში იყო 2 რესტორანი და ლიფტი. შენობის მარცხენა ფრთაში კი მოწყობილი იყო თეატრი.*



4. **დაუბრუნდი შენობის აღწერილობას და ტექსტში მოცემული კონკრეტული დეტალები მიუთითე ფოტოზე.**

90 არქიტექტურა

**5. მოიძიე ინფორმაცია 90-ე გვერდზე მოცემულ ტექსტში და წარუდგინე კლასელებს.**

ა. როდის ჩამოვიდა ბილფელდი თბილისში? სად და ვისთან ერთად ცხოვრობდა აქ?
ბ. კიდევ რომელი ისტორიული შენობა-ნაგებობები უკავშირდება მის სახელს?

**6. სწრაფად ჩაიკითხე ამ გვერდზე მოცემული ტექსტის დარჩენილი მონაკვეთები და დააკავშირე ისინი მოცემულ თემებთან.**

ა. გამოჩენილი გერმანელები
ბ. საცხოვრებელი გარემო
გ. ყოფითი დეტალები

**7. თავიდან წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რით განსხვავდებოდა გერმანული საცხოვრებელი ქართულისაგან?
ბ. რა სამშენებლო მასალას იყენებდნენ გერმანელები?
გ. გარდა საცხოვრებელი სახლებისა, კიდევ რა იყო გერმანულ დასახლებებში?
დ. რა ფუნქცია ჰქონდა მამას ოჯახში?
ე. როგორი მშობლები იყვნენ გერმანელები და საიდან ჩანს ეს?
ვ. გარდა ხელოსნობისა, კიდევ რას საქმიანობდნენ „ქართველი გერმანელები“?

**8. დაადასტურე მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.**

საიდან ჩანს, რომ:

ა. გერმანელები ქართველებთან შერეულად არ ცხოვრობდნენ?
ბ. მათ ევროპული ტიპის დასახლებები ჰქონდათ?
გ. გერმანულ ოჯახში ფუნქციები მკაცრად იყო განაწილებული?
დ. გერმანელი ქალები შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ?
ე. გერმანულ ოჯახში დიდ ყურადღებას აქცევდნენ შვილების სულიერ აღზრდას?
ვ. მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს განვითარების ისტორიაში?

**9. დაიყავით ჯგუფებად. მოიძიეთ ინფორმაცია მათ შესახებ და გააცანით კლასელებს. აღნიშნეთ მათი დამსახურება.**

ა. ევგენი ზემელი
ბ. ალბერტ ზალცმანი
გ. არტურ ლაისტი

**1.** XIX ს-ში საქართველოში გადმოსახლებულმა გერმანელებმა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე გერმანული კოლონიები დააარსეს. XIX ს-ის ბოლოსათვის მარტო თბილისში 4 ათასამდე გერმანელი ცხოვრობდა. ბოლო მონაცემებით, დღეს საქართველოში 651 გერმანელი ცხოვრობს და მათი უმრავლესობა თბილისის მკვიდრია.

**2.** გერმანელები პირველ ეტაპზე ერთსართულიან საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ. სახლებს მაღალი, დაქანებული სახურავები ჰქონდა, სადაც დიდი სხვენი იყო მოწყობილი. სახლს წინ – პატარა, ხოლო უკანა მხრიდან დიდი ბაღი ერტყა. შემდეგ ეტაპზე დაიწყეს ორსრთულიანი სახლების აგება მაღალი სხვენითა და თაღებიანი (ზოგან ორ და სამსართულიანი) სარდაფებით, როგორც ეს მათ სამშობლოში იყო.

საინტერესო იყო დასახლებათა დაგეგმარებაც. ეს იყო ევროპული ტიპის სოფელი, ორ რიგად ჩამწკრივებული ქვის ლამაზი სახლებითა და მათ შორის ფართო ქუჩით (შეძლებულ დასახლებებში ქუჩები მოკირწყლული იყო). ცენტრში მოზრდილი მოედანი და ეკლესია მდებარეობდა. კოლონიას ჰქონდა საგანმანათლებლო და სპორტული კერები, მაღაზიები და სახელოსნოები.

**3.** ოჯახის მეთაური იყო მამა, რომელსაც ოჯახის ყველა წევრი ემორჩილებოდა. ყოველგვარ ოჯახურ სამუშაოს – ბავშვების მოვლას, სადილის მომზადებას, დალაგებას, რეცხვას, კერვას, პირუტყვისა და ფრინველის მოვლასა და სხვა – ოჯახის დიასახლისი ასრულებდა. ბავშვები მკაცრ რელიგიურ გარემოში იზრდებოდნენ. სწავლასთან ერთად, მათ პატარაობიდანვე შრომასაც აჩვევდნენ.

**4.** ახლანდელი აღმაშენებლის გამზირზე დასახლებულ კოლონისტთა ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო. ხელოსნობის გარდა, გერმანელები სხვადასხვა საქმიანობასაც ეწეოდნენ. მათ სახელს უკავშირდება არაერთი ისტორიული შენობის აგება საქართველოს მასშტაბით, პარკებისა და ბაღების გაშენება, სატელეფონო ხაზების შექმნა, თბილისში კავკასიის მუზეუმისა და პირველი აფთიაქის გახსნა, „კავკასიის ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსება და სხვა.



## გვ. 91

### მოსწავლის წიგნი

5. 90—ე გვერდზე მოცემული ტექსტის მიხედვით, მოსწავლეები პასუხობენ ა. და ბ. შეკითხვებს.
6. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს საქართველოში გადმოსახლებული გერმანელების შესახებ და აკავშირებენ დავალების ა—გ პუნქტებს ტექსტის 1—4 მონაკვეთებთან.
7. ტექსტის დეტალური წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ა—ვ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.
8. მოსწავლეები დავალების ა—ვ პუნქტების მიხედვით, დეტალურად აანალიზებენ ტექსტს.

### მოსწავლის რვეული

გვ. 147 №2, 3: ტექსტზე დაყრდნობით სრულდება ენობრივი ტიპის დავალებები.

გვ. 147 № 4, გვ, 148 № 1, 2, 3; გვ.149 № 4, 5, 6; სრულდება წაკითხული ტექსტების გაგებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

### მოსწავლის წიგნი

9. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა 3 ჯგუფად. საშინაო დავალების სახით, ჯგუფები მოიძიებენ ინფორმაციას და ქმნიან ილუსტრირებულ პოსტერებს/პრეზენტაციებს ევგენი ზემელის, ალბერტ ზალცმანის და არტურ ლაისტის შესახებ.

გვ. 92

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით მოსწავლეები ასრულებენ დავალების ა—ზ პუნქტებს მსაზღვრელ—საზღვრულის რაოდენობასთან და რიცხვთან დაკავშირებით.
2. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—დ პუნქტები).
3. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—ე) მსაზღვრელის ადგილთან დაკავშირებით.



**მსაზღვრელ-საზღვრული**

I. მსაზღვრელის რაოდენობა:

მსაზღვრელი შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტი:

**ა.** ერთი ბურთი / ძმის ბურთი
**ბ.** ერთი დიდი ბურთი / ძმის ახალი ბურთი / ძმის ფეხბურთის ბურთი
**გ.** ჩემი ორი პატარა და / ჩემი მეგობრის ახალი სახლი ...

II. რიცხვის გამოხატვა:

| მხოლობითი | მრავლობითი |
|---|---|
| ა. ჩემი ლამაზი კაბა | ა. ჩემი ლამაზი კაბები |
| ბ. ორი დიდი ბურთი | ბ. ---------------- |
| გ. ძველი თბილისის უბანი | გ. ძველი თბილისის უბნები |

III. მსაზღვრელის ადგილი:

მსაზღვრელის ადგილის შეცვლით იცვლება შინაარსი.

ა. **დიდ** სახლს პატარა ბაღი ერტყა.
პატარა სახლს **დიდი** ბაღი ერტყა.
ბ. ამ სახლს **ხის აივანიც** ჰქონდა.
ამ **ხის სახლს** აივანიც ჰქონდა.
გ. **დიდი ბიჭი** ველოსიპედზე ზის.
ბიჭი **დიდ ველოსიპედზე** ზის.

IV. მსაზღვრელის ფუნქცია:

შეიცავს დამატებით ინფორმაციას საზღვრულის შესახებ.

*ჩემი თბილისელი მეგობრის ორი პატარა ძმა.*

ა. ვისი მეგობარი? – **ჩემი**
ბ. სადაური მეგობარი? – **თბილისელი**
გ. ვისი ძმა? – **მეგობრის**
დ. როგორი ძმა? – **პატარა**
ე. რამდენი ძმა? – **ორი**

**1. წაიკითხე წინადადებები, მოძებნე მსაზღვრელ-საზღვრული და დაასახელე მსაზღვრელის რაოდენობა. მიუთითე, რომელ რიცხვშია მსაზღვრელ-საზღვრული.**

ა. მერილ სტრიპი ოჯახის უფროსი შვილი იყო.
ბ. ის საოცრად ნიჭიერი, თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო.
გ. ბითლებმა მთელი მსოფლიო დაიპყრეს.
დ. მათ შეცვალეს მუსიკის, ცხოვრებისა და აზროვნების სტილი.
ე. ნერუს ოჯახი ინდური საზოგადოების ყველაზე მაღალ და მდიდარ კასტას მიეკუთვნებოდა.
ვ. მტკიცე ხასიათის მქონე ძალაუფლებისმოყვარე ინდირა განდი საოცრად თბილი და მზრუნველი დედა იყო.
ზ. დაბალი ტანის ქალბატონი მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა.

**2. დაუბრუნდი წინა სავარჯიშოს წინადადებებს და შეასრულე მოცემული დავალებები.**

ა. დაასახელე კონკრეტული მსაზღვრელის ფუნქცია. რის შესახებ გვაწვდის ის ინფორმაციას?
ბ. დაუსვი შეკითხვები მსაზღვრელებს და უპასუხე.
გ. მიუთითე, რომელ ბრუნვაში დგას მსაზღვრელი?
დ. დაასახელე, აქვს თუ არა მსაზღვრელს შესაბამისი ბრუნვის ნიშანი და, არსებობის შემთხვევაში, მიუთითე ეს ნიშანი.

**3. უპასუხე შეკითხვებს სვეტში მოცემული წინადადებების გარშემო (III. მსაზღვრელის ადგილი).**

ა. როგორი ბაღი ჰქონდა დიდ სახლს? პატარა სახლს?
ბ. როგორი აივანი ჰქონდა ხის სახლს?
გ. რისგან არის აშენებული ხისაივნიანი სახლი?
დ. როგორ ველოსიპედზე ზის დიდი ბიჭი?
ე. როგორი ბიჭი ზის დიდ ველოსიპედზე?

**4. წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რომელი მსაზღვრელი გამოხატავს პროფესიას, ხელობას, თანამდებობასა და წოდებას?**

ა. ერთხელ მდინარე არაგვმა წამილო.

ბ. ტელემსახიობმა მერილ სტრიპმა პირველი ოსკარი 1979 წელს მიიღო.

გ. ინდირა განდი პრემიერმინისტრ ჯავარჰარლალ ნერუს ოჯახში დაიბადა.

დ. „მე არ გადავუხვევ ჩემს კურსს“, – განაცხადა ქალბატონმა მარგარეტ ტეტჩერმა.

ე. კოკო შანელი მხატვარ პაბლო პიკასოსთან მეგობრობდა.

ვ. მეფე ლუდვიგ ბავარიელმა მუსიკის სიყვარული მამისაგან მიიღო.

ზ. ძველ თბილისს მემაწვნე ქალების შეძახილები აღვიძებდა.

**5. მოძებნე ქვემოთ მოცემულ წინადადებებში შეცდომები და დაასახელე. გაასწორე მცდარი ფორმები რვეულში.**

ა. „ყოველს დილას აღუწერელი ბედნიერების შეგრძნება მაღვიძებს“, – თქვა მხატვარმა სალვადორმა დალიმ.

ბ. ექსცენტრულ ამ ესპანელ მხატვარს გასაოცარი იდეები მოსდიოდა თავში.

გ. სალვადორ დალი დაუჯერებელ ისტორიებით გამოირჩეოდა.

დ. მხატვარი ხშირად სტუმრობდა ოთხვარსკვლავიან სასტუმროს. მას საკუთარი სასტუმროს ნომრის კედლების მოხატვა ჩვევად ჰქონდა.

ე. შარბათ გულა ფოტოგრაფ სტივ მაკკარმა 17 წლის შემდეგ ნახა.

ვ. „მონა ლიზა“ იტალიელი სარკეების ოსტატ ვინჩენცო პერუჯიამ მოიპარა.

I.

| | |
|---|---|
| **სახ.** | ჩემი ჭრელი წითელთვალება კატა |
| **მოთხ.** | ჩემმა ჭრელმა წითელთვალება კატამ |
| **მიც.** | ჩემს ჭრელ წითელთვალება კატას |
| **ნათ.** | ჩემი ჭრელი წითელთვალება კატის |
| **მოქმ.** | ჩემი ჭრელი წითელთვალება კატით |
| **ვით.** | ჩემს ჭრელ წითელთვალება კატად |
| **წოდ.** | ჩემო ჭრელო წითელთვალება კატავ |

II.

| | |
|---|---|
| **სახ.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობარი |
| **მოთხ.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობარმა |
| **მიც.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობარს |
| **ნათ.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობრის |
| **მოქმ.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობრით |
| **ვით.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობრად |
| **წოდ.** | ჩემი ძმის საინტერესო მეგობარო |

III.

| | |
|---|---|
| **სახ.** | ძველი თბილისის ეს ლამაზი უბანი |
| **მოთხ.** | ძველი თბილისის ამ ლამაზმა უბანმა |
| **მიც.** | ძველი თბილისის ამ ლამაზ უბანს |
| **ნათ.** | ძველი თბილისის ამ ლამაზი უბნის |
| **მოქმ.** | ძველი თბილისის ამ ლამაზი უბნით |
| **ვით.** | ძველი თბილისის ამ ლამაზ უბნად |

IV.

| | |
|---|---|
| **სახ.** | მეზობლის პატარა ძმის შავი ძაღლი |
| **მოთხ.** | მეზობლის პატარა ძმის შავმა ძაღლმა |
| **მიც.** | მეზობლის პატარა ძმის შავ ძაღლს |
| **ნათ.** | მეზობლის პატარა ძმის შავი ძაღლის |
| **მოქმ.** | მეზობლის პატარა ძმის შავი ძაღლით |
| **ვით.** | მეზობლის პატარა ძმის შავ ძაღლად |
| **წოდ.** | მეზობლის პატარა ძმის შავო ძაღლო |



გვ. 93

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

4. მოსწავლეები ეცნობიან დაავლების ა—ზ პუნქტებს და გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით ასახელებენ, თუ რას გამოხატავს კონკრეტული (ხაზგასმული) მსაზღვრელი.
5. მოსწავლეები გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, ასწორებენ შეცდომებს დავალების ა—ვ პუნქტებში.

## გვ. 94

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას (გვ. 95) და პასუხობენ I-III პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.
2. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი კლასს ასმენინებს ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 3).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 149 № 6 (I-IV): სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალება.

3. მოსწავლეები ეცნობიან უჯრედში მოყვანილ ინფორმაციას და განმარტების დახმარებით ამოიცნობენ სიტყვების მნიშვნელობას.
4. წინა დავალებაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასახელებენ ისტორიულ პერსონაჟს.

---

თემა 3

„სიყვარულის სასახლე" — მითი და სინამდვილე

**1. დააკვირდი 95-ე გვერდზე მოცემულ ფოტოს, აირჩიე სწორი პასუხები და გააცანი შენი ვერსიები კლასელებს. შეადარეთ თქვენი პასუხები.**

I. სად მდებარეობს ფოტოზე გამოსახული შენობა?

ა. პეტერბურგში
ბ. პარიზში
გ. თბილისში

II. ვინ ააშენა ის, როდის და რა მიზნით?

ა. 1895 წელს ააგო პეტერბურგელმა არქიტექტორმა, პავლე შტერნმა, ავსტრიელი ემილია ტიტელის შეკვეთით;
ბ. აგებულია გერმანელი პრინცის, ოლდენბურგის მიერ 1860 წელს აგრაფინა ჯაფარიძისათვის;
გ. ააშენა პრინცმა აშილ მიურატმა 1895 წელს საკუთარი მეუღლის, სალომე დადიანისათვის.

III. რა არის დღეს ამ შენობაში განთავსებული?

ა. სასტუმრო
ბ. მუზეუმი
გ. სკოლა

2. 🎧 **მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა? შეასრულე დავალებები რვეულში.**

**3. წაიკითხე განმარტება და ქვემოთ მოცემული ინფორმაციის დახმარებით დაასახელე, რომელ სიტყვებზეა საუბარი. მიუთითე, რომელი მნიშვნელობით არის ეს სიტყვები ნახმარი ტექსტში.**

ერთი მნიშვნელობით, **ეს** არის სიბნელეში ბუნდოვნად გამოჩენილი ადამიანი, ცხოველი ან საგანი. მეორე მნიშვნელობით, **ეს** ვისიმე ან რისამე აჩრდილია.

> გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისში ხმები დადიოდა, ამ სასახლეში მოჩვენებები ბინადრობენო. ხალხი საღამოობით თითქოს ქალის ლანდს ხედავდა და მისი მომხიბლავი სიცილი ესმოდა.
>
> სიყვარულის სასახლე იდუმალებით მოცულ ბევრ უცნაურ ისტორიას ინახავს.

**4. დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ ინფორმაციას.დაასახელე, რომელი სასახლე იგულისხმება და მიუთითე, ვინ არის, შენი აზრით, ის ქალი?**



პრინცი ოლდენბურგი



აგრაფინა ჯაფარიძე (1866–1926)



პრინცი აშილ მიურატი

94 არქიტექტურა



**5. უპასუხე შეკითხვებს მესამე დავალების ინფორმაციაზე დაყრდნობით.**

ა. რას ლაპარაკობდნენ XX საუკუნის 30-იანი წლების თბილისში?

ბ. რა იყო ამ ხმების საფუძველი?

გ. როგორ ისტორიებს ინახავს ეს სასახლე?

დ. რას უკავშირდება, შენი აზრით, ეს ისტორიები?

**6. გაეცანი მარჯვნივ მოცემულ ამ ისტორიებს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. ვინ იყო და სად ცხოვრობდა ციციშვილი?

ბ. რას გადაჰყურებდა სასახლის აივანი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

გ. რა მოხდა ფანჩატურის ადგილას?

დ. რა ბედი ეწია ფანჩატურს?

ე. ვინ იყო აგრაფინა ჯაფარიძე?

ვ. საიდან ჩანს, რომ პრინც ოლდენბურგს თავდავიწყებით შეუყვარდა აგრაფინა?

ზ. რა რეაქცია ჰქონდა პრინც დადიანს ოლდენბურგის წინადადებაზე პირველი ვერსიით?

თ. რა რეაქცია ჰქონდა თავად აგრაფინას, მესამე ვერსიის თანახმად?

ი. რით დამთავრდა ეს ისტორია?

კ. როგორ შეაყვარა თავი პრინცმა ოლდენბურგმა აგრაფინა ჯაფარიძეს?

**7. გამოიყენე ტექსტი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

I.ერთ-ერთი ისტორიის თანახმად, აქ უცხოვრია პრინც მიურატს, სალომე დადიანის მეუღლეს, რომელსაც, გადმოცემით, ძალიან შეჰყვარებია იქვე, მოპირდაპირე მხარეს ახლაც მდგარი მოზაიკიანი სახლის ქალბატონი, ვინმე ციციშვილის ქალი.

მიურატი თურმე საათობით მდგარა სიყვარულის სასახლის აივანზე იმისათვის, რომ სატრფო დაენახა.

ერთ დღესაც ისინი ერთმანეთს ბაღში შეხვედრიან. ამ ადგილზე პრინცს შემდეგ ფანჩატური გაუკეთებია, რომელიც მოგვიანებით დანგრეულა.

**II.** მეორე ისტორია აგრაფინა ჯაფარიძისა და პრინც ოლდენბურგის სახელებს უკავშირდება. მეგრელი პრინცის, ტარიელ დადიანის, მეუღლე აგრაფინა ჯაფარიძე ძალიან ლამაზი ქალი იყო. პრინცმა კონსტანტინე ოლდენბურგმა აგრაფინა ქუთაისში, მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე ნახა და მისი სილამაზით მოიხიბლა. ერთი ვერსიით, გრაფს დადიანთან კაცი მიუგზავნია, ცოლს გაეყარე, მასზე დაქორწინება რომ შევძლოო. გაგიჟებულ დადიანს ხმალზე წაუვლია ხელი, მაგრამ გაუჩერებიათ, ძვირად დაგიჯდებაო.

იმასაც ამბობენ, თითქოსდა დადიანმა ბანქოში დიდი თანხა წააგო და, ვალის გადახდის სანაცვლოდ, ოლდენბურგმა მას ცოლთან განშორება მოსთხოვა.

კიდევ ერთი გადმოცემით, პრინცი ოლდენბურგი პირდაპირ მისულა დადიანთან და 1 მილიონი ოქროს ფული შეუთავაზებია აგრაფინას სანაცვლოდ. დადიანი დასთანხმებია მის წინადადებას, აგრაფინას კი პრინცისთვის უთქვამს, ფული ვისაც გადაუხადე, საქმეც იმასთან გქონდესო. გაგიჟებულმა პრინცმა ქალის გულის მოსაგებად ეს ულამაზესი სასახლე ააგო.

ასეა თუ ისე, დადიანი, საბოლოოდ, მართლაც გაშორდა ცოლს. 1882 წლის 20 ოქტომბერს კი ოლდენბურგმა და აგრაფინამ ჯვარი დაიწერეს და ქორწილიც გადაიხადეს. მათ 6 შვილი შეეძინათ – სამი ქალიშვილი და სამიც ვაჟი.



## გვ. 95

**მოსწავლის წიგნი**

5. 94—ე გვერდზე მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—დ პუნქტები).
6. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის მონაკვეთებს (I -II) და პასუხობენ შეკითხვებს (ა—კ პუნქტები).
7. ტექსტის მიხედვით, მოსწავლეები ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 150—154 №: 1, 2, 3, 1: სრულდება ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული კითხვის

საკომუნიკაციო ტიპის დავალებები.

## გვ. 96
### წაკითხულის გააზრება

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

<u>მასწავლებლის კომენტარები</u>



**წაკითხულის გააზრება**

**წაიკითხე ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**



**პაატა ქურდაძე** – ქართველი მწერალი და ჟურნალისტი, დაიბადა 1958 წელს ქ. თბილისში. 1991 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, 2011 წელს გაიმარჯვა ქართულ ლიტერატურულ კონკურსში „საბა“.

1. დროდადრო ჩემს ახალგაზრდობაში ნანახ ფრანგულ ფილმებს ვუყურებ ხოლმე... ასეთ დროს მგონია, რომ სამოცდაათიანი წლების პარიზში მოვხვდი და ეს მსიამოვნებს. მას შემდეგ ამ ქალაქში თითქოს ბევრი არც არაფერი შეცვლილა, ავტომობილებისა და ავტობუსების მოდელების გარდა. ჩაცმისა და ვარცხნილობის მანერით თუ მიხვდებით, რომ ეს ფილმი 1977 წელსაა გადაღებული და არა დღეს. დანარჩენი იგივეა: იგივე ფასადები, კაფეები, მათი დასახელებებიც კი... ისეთივე მაგიდები, სკამები, ჭიქები, ქუჩის სახელების აღმნიშვნელი აბრები, ლამპიონები, მეტროს ჩასასვლელები, ჟურნალების კიოსკები... იგივე მერხები და სკამები ბულვარებში, პარკებში...
2. პარიზი ყოველთვის პარიზია, მარადიული, როგორც რომი, ლონდონი, ვენეცია... ყველაფერი ძალიან დინამიკურად იცვლება, სახე, გამომეტყველება, თვალები, ხმა... იგივე რჩება - უნიკალური და განუმეორებელი. ამიტომ უყვარს ეს ქალაქი ყველა თაობას, ამიტომ იზიდავს ადამიანებს მეორედ, მესამედ...
3. ეს ქალაქი უბერებელ შეყვარებულს წააგავს. რამდენი წლის შემდეგაც არ უნდა დაბრუნდე, ყოველთვის ისეთი დაგხვდება, როგორიც შეიყვარე; ყოველთვის შენი ასაკისა იქნება, როგორც მაშინ, როცა პირველად ნახე; ისეთივე იქნება მაშინაც, როცა უკანასკნელად ნახავ. მას თავისი განუმეორებელი სახე აქვს, რომლის შეცვლის უფლება არასდროს არავისთვის მიუცია...
4. მე დავიბადე ამოტრიალებული ფერადი ქოლგასავით გაშლილ ქალაქში, რომელიც ხანდახან თავბრუდამხვევად ტრიალებდა თავისი სახლებით, ტროლეიბუსებით, ადამიანებით, პარკებით, სახინკლეებით, ჭორებით... ამ ქალაქს ადრე სახე ჰქონდა, მერე დაკარგა. ახლა ეს ქოლგა ხან ვის აედევნება ფარფატით, ხან – ვის...
5. რაც თავი მახსოვს, სულ ამას ამბობენ: შეიცვალა და გალამაზდა ჩვენი თბილისი... მართლაც, რამდენჯერ შეიცვალა თბილისი, ვინ მოთვლის... ყოველ ჩამოსვლაზე თბილისს სულ უფრო და უფრო ვერ ვცნობ. ახლა ამბობენ, მალე იმ ნარჩენებსაც ველარ იცნობ, რაც რამდენიმე თვის წინ ნახეო, ყველაფერს ფხეკენ, ქლიბავენ, ღებავენ... რამდენიმე უბანი საფოსტო ბარათების დეკორაციად გადაიქცა, რომელიც სასურველია ღამე გადაიღოთ, რადგან ისინი, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქალქი, ღამე უფრო ეფექტურია, თან კარგი სლაიდშოუ გამოდის... ფეისბუკზე დასადებად. ეტყობა, ვიღაცას ევროპა ასეთი ჰგონია, ტურისტული ავტობუსის მარშრუტის გასწვრივ აშენებული.
6. მაგრამ, კარგი, დავუშვათ, მართლაც ასეთია... ევროპა თუ არა, მისი იმიტაცია მაინც. მაგრამ, აბა, მითხარით, როგორ უნდა ახსნა, რომ ევროპის იმიტაციაში კი არა, ისეთ თბილისში გინდა დაბრუნება, რომელსაც იცნობ, გიყვარს და არა გამუდმებით ცვალებად, ბრჭყვიალა უშნო ქალაქში. გინდა, ისე დაბრუნდე საკუთარ ქალაქში, როგორც ბრუნდებიან პარიზში, ლონდონში ან რომში - ეს ქალაქები საკუთარი გამოკეტილი ოთახივით ზუსტად ისე დალაგებული დაგხვდება, როგორიც დატოვე. როგორ გინდა ახსნა, რომ თბილისი თბილისი უნდა იყოს და არა ფლორენცია ან სტამბული, რომ ბოლოსდაბოლოს, უნდა დამთავრდეს ეს გაუთავებელი: „თბილისს ველარ იცნობ“...
7. ამ ქალაქს ყოველ ათ წელიწადში ახალი სიმბოლოები უჩნდება, ძველს კი ანადგურებს. აქ თითქმის ვერასდროს ვერ უბრუნდები საყვარელ კაფეს ან რესტორანს, პარკს, სკვერს, კინოს... უბრალოდ, ძველ ადგილს, რომელთანაც რაიმე რომანტიკული ან უბრალო მოგონება გაკავშირებს. ეს ადგილები ვერც კი ასწრებენ დაძველებას, მათ გამუდმებით არემონტებენ, სახეს უცვლიან და მერე ამაყად გეუბნებიან — თბილისს ველარ იცნობ!... ამიტომ, გინდა – არ გინდა, სენტიმენტალური ხდები და თან ატარებ იმ ქალაქს, რომელიც გიყვარდა. ასე უფრო პრაქტიკულია: სადაც გინდა და როცა გინდა, ამოიღებ, ჯადოსნური ხალიჩასავით გაშლი, მოარგებ ნებისმიერ ქალაქს... და იხეტიალებ მის ქუჩებში რამდენსაც გინდა - უსაქმოდ, მეგობრებთან თუ შეყვარებულთან ერთად, ან სულაც მარტო.

**1. პირველი აბზაცის თანახმად, რით შეიძლება ამოიცნო 70-იანი წლების პარიზში გადაღებული ფრანგული ფილმები?**

ა) ავტომობილებისა და ავტობუსების მოდელებით;
ბ) პერსონაჟების სამოსითა და ვარცხნილობით;
გ) ავტობუსის მოდელებითა და პერსონაჟების ვარცხნილობით;
დ) ავტომობილების მოდელებითა და პერსონაჟების სამოსით.

**2. დროდადრო იგივეა, რაც:**

ა) ყოველთვის; ბ) დროებით; გ) დროულად; დ) ხანდახან.

**3. მეორე აბზაცის მესამე წინადადება გვიჩვენებს პირველ-მეორე წინადადებებში აღწერილი მოვლენის:**

ა) მიზეზს; ბ) შედეგს; გ) მიზანს; დ) პირობას.

**4. რა მიმართებაა მეორე და მესამე აბზაცებს შორის?**

ა) მესამე აბზაცში შეჯამებულია მეორე აბზაცში გამოთქმული აზრი;
ბ) მესამე აბზაცში უარყოფილია მეორე აბზაცში გამოთქმული აზრი;
გ) მესამე აბზაცში განვითარებულია მეორე აბზაცში გამოთქმული აზრი;
დ) მესამე აბზაცში გაანალიზებულია მეორე აბზაცში გამოთქმული აზრი.

**5. მეოთხე აბზაცში ვკითხულობთ: ”ახლა ეს ქოლგა ხან – ვის აედევნება ფარფატით, ხან ვის”. ეს გულისხმობს, რომ:**

ა) ქალაქი რადიკალურად შეიცვალა;
ბ) ქალაქის არქიტექტურა არასტაბილურად ვითარდება;
გ) ქალაქის არქიტექტურა სწრაფად ვითარდება;
დ) ქალაქი მნიშვნელოვნად შეიცვალა.

**6. მეხუთე-მეექვსე აბზაცების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ავტორისათვის მიუღებელია:**

ა) თბილისის მშენებლობის ტემპი; გ) ევროპული არქიტექტურის სტილი;
ბ) თბილისის მშენებლობის ხარისხი; დ) ევროპული არქიტექტურის იმიტაცია.

**7. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული (უპასუხე მეექვსე აბზაცის მიხედვით)?**

ა) სასურველია თბილისის რადიკალური სახეცვლილება;
ბ) სასურველი არ არის თბილისის რადიკალური სახეცვლილება;
გ) მნიშვნელოვანია თბილისის იერსახის შენარჩუნება;
დ) საჭიროა თბილისის იერსახის შენარჩუნება.

**8. ბოლო აბზაცის მიხედვით, როგორ იქცევა სენტიმენტალური ადამიანი?**

ა) დაეძებს იმ ადგილებს, რომლებთანაც წარსულის მოგონებები აკავშირებს;
ბ) მუდამ პატივს სცემს წარსულის მოგონებებს;
გ) ყველგან თან ატარებს წარსულის მოგონებებს;
დ) უბრუნდება იმ ადგილებს, რომლებთანაც წარსულის მოგონებები აკავშირებს;

**9. VII აბზაცში სიტყვა ”დავუშვათ” გამოხატავს, რომ გამოთქმული აზრი:**

ა) შეიძლება სწორია; გ) როგორც ჩანს, სწორია;
ბ) შეიძლება არასწორია; დ) როგორც ჩანს, არასწორია.

**10. რა არის ტექსტის მთავარი მიზანი?**

ა) პარიზისა და თბილისის შედარება;
ბ) პარიზისა და თბილისის აღწერა;
გ) თანამედროვე არქიტექტურის მიმართ ავტორის დამოკიდებულების ჩვენება;
დ) ძველი დროის არქიტექტურის მიმართ ავტორის დამოკიდებულების ჩვენება.



გვ. 97

**წაკითხულის გააზრება**

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

<u>მასწავლებლის კომენტარები</u>

გვ. 98

## თავი 4
## ტურიზმი

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს თემაზე „სამეცნიერო ფანტასტიკა“ (ა—ბ პუნქტები).
2. მოსწავლეების ისმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 1)და ასახელებენ მარჯვნივ მოცემული ტექსტის 1—9 პუნქტებიდან რომელია სწორი ან მცდარი.
3. მოსწავლეები ხელმეორედ უსმენენ ტექსტს და მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 155 № 2, 3, 4: სრულდება მოსმენილი ტექსტის გაგების შესამოწმებელი დაალებების სერია.

გვ. 156 № 1, 2: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 156 № 3, 4: სრულდება კომბინირებული ტიპის დავალებები.

გვ. 157 № 5: მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ კითხვის საკომუნიკაციო უნარზე ორიენტირებულ დავალებას.

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა. და ბ.).

თემა 3

### ტურიზმი

1. „80 დღე დედამიწის გარშემო“

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • ჟიულ ვერნის ბიოგრაფიული შტრიხები<br>• „80 დღე დედამიწის გარშემო“ | |

**1. იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.**

ა. რა არის სამეცნიერო ფანტასტიკა და რის შესახებ მოგვითხრობს ის?
ბ. რით განსხვავდება ის ჩვეულებრივი ფანტასტიკისაგან?
გ. რა იქცევა სამეცნიერო-ფანტასტიკურ ჟანრში მოღვაწე მწერლის ან რეჟისორის შთაგონების წყაროდ?
დ. როგორც წესი, რომელ დროში ვითარდება ხოლმე მოვლენები ამ ჟანრის ფილმებსა თუ ნაწარმოებებში?

**2. ვინ იყო ჟიულ ვერნი და რა იცი მის 🎧 შესახებ? <u>მოისმინე</u> და დაასახელე, მარჯვნივ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი და რომელი – არა.**

**3. 🎧 თავიდან მოისმინე და გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში (გვ. 155 , დავ №3 ).**

**4. დაუბრუნდი ჟიულ ვერნს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა გაქვს წაკითხული მისი შემოქმედებიდან, ან გინახავს თუ არა მისი რომანების მიხედვით გადაღებული ფილმები?
ბ. გსმენია თუ არა მისტერ ფოგისა და მისი ფრანგი მსახურის, პასპარტუს, მოგზაურობის შესახებ?



ფრანგი მწერალი
საპატიო ლეგიონის კავალერი
ფრანგული აკადემიის ჯილდოს მფლობელი

1828 წ. 8 თებერვალი, ქ. ნანტი
1905 წ. 24 მარტი, ქ. ამიენი

1. ჟიულ ვერნი სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო.
2. რომანების წერა მან მამის დაჟინებული თხოვნით დაიწყო.
3. ჟიულ ვერნი ბავშვობიდან ოცნებობდა შორეულ მოგზაურობაზე.
4. 11 წლის ასაკში ის მშობლების ხელშეწყობით ინდოეთში მიმავალ გემზე იუნგად მოეწყო.
5. მამას სურდა, რომ შვილი მის კვალს გაჰყოლოდა.
6. ჟიულ ვერნის პირველი პროფესია იურისტობა იყო.
7. მიუხედავად დიდი წარმატებისა, ის ხელმოკლედ ცხოვრობდა და საკუთარი ბინაც კი არ ჰქონდა.
8. ჟიულ ვერნი სიცოცხლეშივე გახდა პოპულარული.
9. ჟიულ ვერნმა ბავშვობის ოცნება მოგვიანებით რეალობად აქცია და მოგზაურობა დაიწყო.

98 ტურიზმი

**5. დააკვირდი სურათს და აღწერე მასზე ასახული პერსონაჟები. პასპარტუ მისტერ ფოგის მსახურია. შენი აზრით, რომელია მათ შორის მისტერ ფოგი და რომელი – პასპარტუ? რატომ ფიქრობ ასე? გაეცანი ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას და შეამოწმე შენი ვერსია.**

**6. წაიკითხე და დააკავშირე მოცემული სიტყვები შესაბამის განმარტებებთან.**

ბაკენბარდი  კრინტი  ღაჟღაჟა  ნაოჭი  ლაქია

ა. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი;
ბ. ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე გაპარსული წვერი;
გ. მცირე ხმა, ჩქამი;
დ. წითლად მოელვარე, მბრწყინავი.
ე. ადამიანის სხეულზე, სახეზე გაჩენილი ნაკეცი, ღარი



**7. უპასუხე შეკითხვებს მისტერ ფოგის შესახებ.**

რა ჰქონდა ფოგს:

ა. სრულებით უნაოჭო?
ბ. ფერმკრთალი?
გ. კოხტად ჩამწკრივებული?
დ. ცივი და მკაფიო?
ე. კეთილშობილური?

ლონდონში, სევილ-როუზე მდებარე სახლში ერთი ორმოციოდე წლის ტანადი, ლამაზი, კეთილშობილური იერის, კბილებჩაწიკწიკებული, ფერმკრთალი და შუბლგადატკეცილი მამაკაცი ცხოვრობდა, რომელსაც ქერა თმა ჰქონდა და ულვაშსა და ბაკენბარდებს ატარებდა. მას არც ცოლ-შვილი ჰყავდა, არც მშობლები და არც მეგობრები. მასთან სტუმრად არავინ დადიოდა და არც მის პირად ცხოვრებაზე საუბრობდა ვინმე. ეს მომხიბლავი მამაკაცი ტიპური გულცივი ინგლისელი მისტერ ფილეას ფოგი იყო. ამ მშვიდ და ფლეგმატურ ადამიანს მკაფიო და ცივი გამოხედვა ჰქონდა. ის არასოდეს უნახავს ვინმეს აღელვებული. ნებისმიერ სიტუაციაში ინარჩუნებდა წონასწორობას. მასზე აუჩქარებელი და, ამავე დროს, მასზე პუნქტუალური არავინ იყო.

ამ გულდახურულ და იდუმალებით მოცულ მისტერ ფოგს ლაპარაკი არ უყვარდა. რაიმე კეთილშობილური, სასარგებლო საქმისათვის ფულს ისე გაიღებდა, არც კრინტს დაძრავდა და არც თვითონ გამოჩნდებოდა. მისი ერთადერთი გასართობი გაზეთის კითხვა და ვისტის თამაში იყო. მოგებულ თანხას კი ქველმოქმედებას ახმარდა.

მისტერ ფოგის მსახური ჟან პასპარტუ კი სულით ხორცამდე პარიზელი იყო. ცისფერთვალა და სანდომიანი სახის პასპარტუს ოდნავ მსხვილი ტუჩები, კოხტა მრგვალი თავი და ღაჟღაჟა, დაბერილი ლოყები ჰქონდა. დაკუნთული სხეულის მქონე ფრანგი მხარბეჭიანი და ტანმაღალიც იყო. მისი სახელი – პასპარტუ – სიტყვასიტყვით ყველგანმძრომ, მარჯვე ადამიანს ნიშნავდა. თავი პატიოსან კაცად მიაჩნდა და, როგორც თვითონ ამბობდა, შეეძლო, ყოველგვარ სიძნელეს გამკლავებოდა.

პასპარტუს მრავალი პროფესია ჰქონდა გამოცვლილი: იყო მოხეტიალე მომღერალი, ცირკის მოჯირითე, ცეკვავდა თოკზე. ტანვარჯიშის მასწავლებლადაც კი მუშაობდა. ბოლოს მეხანძრეთა სერჟანტად მსახურობდა პარიზში. ხუთი წლის წინ დატოვა საფრანგეთი და ახლა ინგლისში მსახურობდა ლაქიად.

**8. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე დავალებები რვეულში.**



გვ. 99

**მოსწავლის წიგნი**

5. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და ასახელებენ ჟიულ ვერნის პესონაჟების, მისტერ ფოგისა და პასპარტუს სავარაუდო ვინაობას. თავიანთი ვერსიების გადამოწმების მიზნით, მოსწავლეები ეცნობიან ქვემოთ მოყვანილ ტექსტს.
6. მოსწავლეები კითხულობენ მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და აკავშირებენ მათ დავალების ა—ე პუნქტებთან.
7. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს მისტერ ფოგის შესახებ (ა—ე პუნქტები).
8. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 158—159 № 1, 2, 3, 4, 5: სრულდება კომბინირებული — ლექსიკური და საკომუნიკაციო ტიპის დავალებების სერია.

გვ. 159 № 1: მოსწავლეები ტექსტზე დაყრდნობით ავსებენ ცხრილს პერსონაჟების პირადი მონაცემების შესახებ.

გვ. 159 № 2: მასწავლებლის დახმარებით, კლასში იმართება დისკუსია ჟიულ ვერნის ცნობილი ნაწარმოების პერსონაჟების შესახებ.

## გვ. 100

**მოსწავლის წიგნი**

1. რუკაზე დაკვირვებით მოსწავლეები აღწერენ ნაწარმოების პერსონაჟების მარშრუტს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 160 № 3: მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ამოწმებენ ერთმანეთის ნაწერებს.

გვ. 160 № 5, 6, 7, 8: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს ა—გ პუნქტებში მოყვანილი ვერსიების თაობაზე. ვარაუდების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 2) მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ 1—ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 162 № 1: სრულდება მოსმენილი დიალოგის გაგებაზე ორიენტირებული დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები მსჯელობენ შეკითხვის გარშემო: გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომლებსაც არგუმენტებით ასაბუთებენ.
4. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვას.

თემა 4

1. **დააკვირდი რუკას და ისაუბრე მის შესახებ: რომელ ქვეყნებსა და ქალაქებში იმოგზაურეს მისტერ ფოგმა და პასპარტუმ 80 დღის განმავლობაში? რითი მოგზაურობდნენ ისინი?**




2. 🎧 **როგორ ფიქრობ, რამ გადააწყვეტინა მისტერ ფოგს დედამიწის შემოვლა 80 დღეში? წაიკითხე და დაასახელე სწორი ვარიანტი. მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხი.**
   - ა. ცნობისმოყვარეობამ
   - ბ. ფათერაკების სიყვარულმა
   - გ. სანაძლეოს მოგების წყურვილმა
3. 🎧 **გაიხსენე მისტერ ფოგსა და რეფორმ-კლუბის წევრებს შორის გამართული დიალოგი და უპასუხე შეკითხვებს. თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე პასუხები.**
   - ა. რამდენ ხანში უნდა შემოუაროს მისტერ ფოგმა დედამიწას?
   - ბ. რომელმა კატასტროფებმა შეიძლება შეუშალოს მას ხელი?
   - გ. რა შეიძლება მოხდეს მატარებლით მოგზაურობისას?
   - დ. რაზე დადო მისტერ სტიუარტმა ასი ათასი ფრანკი? რაზე დანიძლავდა ის?
   - ე. რა უნდა მოხდეს 1872 წლის 21 დეკემბერს?
   - ვ. რომელი ტრანსპორტით იწყებს მისტერ ფოგი მოგზაურობას?
   - ზ. დაასრულე მისტერ ფოგის სიტყვები: „ჭეშმარიტი ინგლისელი არასოდეს ხუმრობს, როცა ... “
4. **როგორ ფიქრობ, არის თუ არა გასაოცარი მე-19 საუკუნისათვის ამ ვადაში დედამიწის გარშემო მოგზაურობა და რატომ?**

100 ტურიზმი



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 110

**5. სწრაფად ჩაიკითხე მოცემული ნაწყვეტები და დააკავშირე შესაბამის ქალაქებთან. წაიკითხე ადგილები, რომლებიც ამ კავშირზე მიანიშნებს.**

ა. ბომბეი (ინდოეთი)
ბ. იოკოჰამა (იაპონია)
გ. სან-ფრანცისკო (ამერიკა)

**6. დაუბრუნდი ტექსტებს და დაასახელე, კონკრეტულად რის შესახებ იძლევა თითოეული ტექსტი ინფორმაციას.**

ა. გარემო
ბ. შენობა-ნაგებობები
გ. მოსახლეობა
დ. კულტურა
ე. რელიგია

**7. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რით გამოირჩეოდა იოკოჰამას ევროპული უბანი?
ბ. ვინ იყვნენ და რას საქმიანობდნენ იოკოჰამაში მყოფი უცხოელები?
გ. რით განსხვავდებოდნენ იაპონელი ქალები სხვებისაგან?
დ. როგორ გამოიყურებოდნენ სან-ფრანცისკოელი ინდიელები?
ე. ვინ რას და როგორ აღნიშნავდა ბომბეის ქუჩებში?

„პასპარტუ ალალბედზე გავიდა ქალაქის ქუჩებში. თავდაპირველად ევროპულ უბანში აღმოჩნდა. ქუჩებისა და მოედნების გასწვრივ აივნებით შემოვლებული სახლები იყო ჩარიგებული პირდაპირ ნავსადგურამდე. მოსახლეობა აქაც ჭრელი გახლდათ – ამერიკელები, ინგლისელები, ჩინელები, ჰოლანდიელები... ისინი ვაჭრები იყვნენ, ყველაფერს ყიდულობდნენ და ყიდდნენ. შემდეგ ქალაქის მეორე ნაწილში გავიდა. აქ ადგილობრივი მკვიდრნი სახლობდნენ. პასპარტუმ აქ ნახა სოჭისა და კედრების შესანიშნავი ხეივნები, სასწაულებრივი არქიტექტურის წმინდა კარიბჭე, ხიდები, ტაძრები და სამლოცველოები. ქუჩებს ბოლო არ უჩანდა. ისინი ხალხით იყო სავსე... ყველა ტანდაბალი იყო, სწორი, ყორნის ფრთასავით შავი თმა, დიდი თავები, ვიწრო მკერდი და წვრილი ფეხები ჰქონდა, სახის კანზე ხომ აღარაფერს ვამბობთ – მუქი ყავისფრიდან მოყოლებული, მქრქალი თეთრი ფერით დამთავრებული. ქალებს პატარა ფეხებზე ჭილის სანდლები, ტილოს ფეხსაცმელი ან ხის კოხტა ქოშები ეცვათ. მათი უმრავლესობა სილამაზით არ გამოირჩეოდა. თვალები ყველას შეღებილი ჰქონდა, კბილები კი მოდურად – შავად შეღებილი. სამაგიეროდ, ტანზე ყველას კოხტად ჰქონდა მორგებული ეროვნული ტანსაცმელი „კიმონო“ – წელზე აბრეშუმის ფართო შარფით გაკრული, რომლის ბოლოებიც უცნაურ ბაფთად იკვრებოდა...“

„პასპარტუს ყველაფერი უკვირდა... ქალაქის რატუშის მაღალი კოშკი, რომელზეც გუშაგები იდგნენ, მთელ ქუჩებსა და მოედნებს გადაჰყურებდა. სწორხაზოვანი ქუჩების გზაჯვარედინზე აქა-იქ მწვანე სკვერები მოჩანდა... აღარ იყო წითელი ხალათები – ოქროსმაძიებლები რომ ატარებდნენ; არ იყვნენ აღარც ფრთა-ბუმბულით მორთული ინდიელები. მათი ადგილი შავ ფრაკებსა და აბრეშუმის ცილინდრებს – მოქმედების ჟინით შეპყრობილ ჯენტლმენთა აუცილებელ სამკაულს ეკავა. ზოგიერთი ქუჩა ლონდონის რიჯენთ-სთრითს, პარიზის იტალიურ ბულვარსა და ნიუ-იორკის ბროდვეის წააგავდა. ის სავსე იყო მაღაზიებით, რომელთა ვიტრინებშიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ საქონელს ნახავდით“.

„პასპარტუმ პერანგები და რამდენიმე წინდა იყიდა და ქალაქის ქუჩებში გაისეირნა. ყველგან სხვადასხვა ეროვნების უამრავი ადამიანი ირეოდა. ევროპელთა გარდა, აქ იყვნენ წოწოლაქუდიანი სპარსელები, მრგვალთავსაბურავიანი ბანიანები, ოთხკუთხაქუდიანი სიქჰები, გრძელხალათიანი სომხები, შავი ფერის მაღალქუდიანი პარსები. იმ დღეს პარსებისა თუ გებრების დღესასწაული იყო, რომელიც რაღაც რელიგიურ სვლას წარმოადგენდა და სხვადასხვა პროცესიისა და კარნავალისაგან შედგებოდა. მისი მონაწილეები ვერცხლითა და ოქრომკედით მოქარგულ ვარდისფერ მოსასხამებში იყვნენ გახვეულნი. დოლების ჰანგებზე ზომიერი მოძრაობებით ოსტატურად ცეკვავდნენ“.



## გვ. 101

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

5. მოწავლეები ზედაპირულად ეცნობიან ტექსტს და მონიშნავენ საკვანძო სიტყვებთან (ა—გ) დამაკავშირებელ მონაკვეთებს.
6. ტექსტზე უფრო დეტალური მუშაობის შემდეგ მოსწავლეები აკავშირებენ სხვადასხვა მონაკვეთებს ა—ე პუნქტებთან.
7. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 162 № 2, გვ. 163 № 3, 4: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული და ლექსიკური ტიპის დავალებების სერია.

## გვ. 102

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აღნიშნავენ ილუსტრაციების სავარაუდო კავშირს მისტერ ფოგის მოგზაურობასთან.
2. უჯრედში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ ლექსიკურ სავარჯიშოს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ა—გ პუნქტებში მოყვანილ ინფორმაციას და გამოთქვამენ ვარაუდებს აღწერილი პერსონაჟის შესახებ. შემდეგ მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს ( 🎧) ვარაუდების გადასამოწმებლად.
4. მოსწავლეები ხელმეორედ უსმენენ ტექსტს, პასუხობენ შეკითხვებს (ა—ლ პუნქტები).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 164 № 1: მოსწავლეები ილუსტრაციებზე დაყრდნობით ასრულებენ დავალების ა—თ პუნქტებს.

გვ. 164 № 2, 3; 165 № 4, 5, 6: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებების სერია.

გვ. 164 № 7: სრულდება მოსმენილ ტექსტზე ორიენტირებული დავალება.

თემა 4

1. **დააკვირდი სურათებს და აღწერე ისინი. რა კავშირი აქვთ მათ, შენი აზრით, მისტერ ფოგთან და მის მოგზაურობასთან?**


მისტერ ფიქსი


მისის აუდა


ლორდი ოლბერმეილი

2. **წაიკითხე მოცემული დახასიათება, დააკვირდი სურათებს და დაასახელე, ვინ არის. უპასუხე შეკითხვებს.**

> ის „ტანდაბალი და ხმელ-ხმელი იყო. ჰქონდა ნერვული, საკმაოდ ჭკვიანური გამომეტყველება და ერთობ შეუფერებელი, კუშტად შეყრილი წარბები. მის გრძელ წამწამებს შორის ცოცხალი თვალები იმზირებოდა, რომელთაც ის, საჭიროების შემთხვევაში, გულგრილ გამომეტყველებას აძლევდა“.

ა. გამოიყენე სურათი და განმარტე, რას ნიშნავს „კუშტად შეყრილი“?
ბ. დაასახელე ყველა სწორი სიტყვა. კუშტი, ანუ:

*მოღუშული მოწყენილი პირშავი პირქუში მკაცრი*

გ. რა აძლევს მას ჭკვიანურ გამომეტყველებას?

3. 🎧 **წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დაასახელე, ვისზეა საუბარი ხაზგასმულ სიტყვებში. <u>მოისმინე</u> და შეამოწმე შენი ვერსიები.**

ა. მოგზაურობისას მისტერ ფოგმა და პასპარტუმ **ის** სიკვდილისაგან იხსნეს.
ბ. **ის** ერთადერთი იყო, ვინც დარწმუნებული იყო მისტერ ფოგის გამარჯვებაში.
გ. **მან** უამრავი დაბრკოლება შეუქმნა მისტერ ფოგს მოგზაურობისას.

4. 🎧 **თავიდან მოისმინე ტექსტები და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რაში არ ეპარებოდა ეჭვი მისტერ ფოგს?
ბ. რატომ გამოიწვია დიდი აურზაური მისმა გამგზავრებამ?
გ. რას ფიქრობდნენ ლონდონელები ფოგის გადაწყვეტილების შესახებ?
დ. სადაური იყო მისის აუდა?
ე. რას საქმიანობდა აუდას მამა?
ვ. რატომ მიაჩნდათ ის ევროპელ ქალად?
ზ. რა მოხდა გათხოვებიდან სამი თვის შემდეგ?
თ. რისგან იხსნა მისტერ ფოგმა მისის აუდა?
ი. ვინ იყო მისტერ ფიქსი?
კ. რას ითხოვდა აგენტი ფიქსი ლონდონის პოლიციის უფროსისაგან?
ლ. რაში ადანაშაულებდა ის მისტერ ფოგს?

102 ტურიზმი

**5. როგორ ფიქრობ, რატომ თვლიდა აგენტი ფიქსი მისტერ ფოგს ბანკის მძარცველად? აირჩიე შენთვის მისაღები ვარიანტი (ან ვარიანტები) და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე. შეადარეთ ერთმანეთის ვერსიები.**

ა. პოლიციის აგენტს ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს.
ბ. მისტერ ფოგი საეჭვოდ იქცეოდა.
გ. პასპარტუმ უთხრა მას ამის შესახებ.
დ. მისტერ ფოგი გარეგნულად მძარცველს ჰგავდა.
ე. მისტერ ფოგი და მძარცველი გარეგნობით ერთმანეთს ჰგავდნენ.

**6. წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და გაარკვიე, სწორია თუ არა შენი მოსაზრება.**

„ფიქსი ინგლისის პოლიციის იმ დეტექტივთაგანი თუ აგენტთაგანი გახლდათ, რომლებიც ინგლისის ბანკში მომხდარი ქურდობის შემდეგ ნავსადგურებში დაგზავნეს. ფიქსს თვალყური უნდა ედევნებინა ყველა მგზავრისთვის, ვინც კი სუეცში გაივლიდა და, თუ რომელიმე ეჭვს აღძრავდა, თან უნდა გაჰყოლოდა დაპატიმრების ორდერის მოლოდინში.

და მართლაც, ორი დღის წინ ფიქსმა ლონდონის პოლიციის უფროსისაგან მიიღო ქურდის სავარაუდო აღწერილობა. ეს იყო დარბაისლური გარეგნობის, კარგად ჩაცმული კაცი, რომელიც ქურდობის დღეს საგადასახადო დარბაზში შეამჩნიეს.

მისტერ ფოგის გარეგნობა ზუსტად ემთხვევოდა გამოძიებით დადგენილ ქურდის გარეგნულ ნიშნებს.

ყველას მოაგონდა ფილეას ფოგის იდუმალებით მოცული ყოფა-ცხოვრება, განმარტოებისაკენ მიდრეკილება, უეცარი გამგზავრება და ნათელი გახდა, რომ ეს პიროვნება, დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის საბაბით და სულელურ სანაძლეოს ამოფარებული, მიზნად ისახავდა ინგლისის პოლიციის აგენტებისათვის გზა-კვალის აბნევას“.

**7. დაუბრუნდი ნაწყვეტს და შეასრულე დავალებები.**

I. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია.
ა. ფიქსი პოლიციის თანამშრომელი იყო.
ბ. ის მარტო იძიებდა ბანკში მომხდარ ქურდობას.
გ. ფიქსს მისტერ ფოგის დაპატიმრების ორდერი ორი დღის წინ მისცეს.
დ. მისტერ ფოგი დარბაისლური გარეგნობისა იყო.
ე. ფოგის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ აგენტს ეჭვები გაუძლიერა.

II. უპასუხე შეკითხვებს ტექსტის მიხედვით.
ა. ვისგან და რა დავალება მიიღო ფიქსმა?
ბ. რატომ არ შეეძლო ფიქსს მისტერ ფოგის მაშინვე დაპატიმრება?
გ. სად შენიშნეს მისტერ ფოგი ბანკის გაძარცვის დღეს?
დ. როგორ გაიგეს პოლიციაში მძარცველის გარეგნობის შესახებ?
ე. მისტერ ფოგის კონკრეტულად რომელი საქციელი იძლეოდა ეჭვის საბაბს?

**8. განმარტე შენი სიტყვებით, რას ნიშნავს:**

ა. თვალყურის დევნება
ბ. ეჭვის აღძვრა
გ. გზა-კვალის აბნევა
დ. განმარტოებისაკენ მიდრეკილება



გვ. 103

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ა—ე პუნქტებში მოყვანილი ინფორმაციის თაობაზე.
6. მოსწავლეები ეცნობიან ნაწყვეტს ნაწარმოებიდან და ამოწმებენ თავიანთი ვერსიების სისწორეს.
7. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ასრულებენ დავალების I და II ნაწილებს.
8. მოსწავლეები ასრულებენ ლექსიკურ დავალებას.

გვ. 104

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ა—დ პუნქტებში მოცემული ინფორმაციის თაობაზე.
2. მოსწავლეები ეცნობიან მოსასმენ ტექსტს, პასპარტუსა და ფიქსის დიალოგს (🎧) და ამოწმებენ თავიანთი ვერსიების სისწორეს.
3. მოსწავლეები მსჯელობენ უჯრედში მოცემული ინფორმაციის შესახებ.
4. მასწავლებელი ხელმეორედ ასმენინებს მოსწავლეებს ტექსტს (დავალება № 2). კლასი იყოფა წყვილებად. მეწყვილეები ასრულებენ დავალების ა—დ პუნქტებს.
5. მეწყვილეები განასხვავებენ პერსონაჟთა რეპლიკებს.



**1. ბომბეისკენ მიმავალი გემი 9 ოქტომბერს სუეცში ოთხი საათით გაჩერდა. პასპარტუ მისტერ ფოგის დავალების შესასრულებლად გემიდან ჩავიდა. დააკვირდი სურათს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. ვინ არიან გამოსახული სურათზე და რას აკეთებენ ისინი?
ბ. აღწერე გარემო.
გ. შენი აზრით, სად მიდიან პოლიციის აგენტი და მისტერ ფოგის მსახური ერთად?
დ. როგორ ფიქრობ, რის შესახებ ესაუბრება ფიქსი პასპარტუს? რა აინტერესებს მას?



**2. 🎧 მოისმინე პასპარტუსა და ფიქსის დიალოგი და თავიდან უპასუხე წინა დავალებაში მოცემულ ბოლო ორ (გ, დ) შეკითხვას.**

როგორ ფიქრობ, გაუძლიერა თუ არა პოლიციის აგენტს ეჭვი პასპარტუსთან საუბარმა? რატომ ფიქრობ ასე? პასუხი დაასაბუთე.

**3. წაიკითხე და შეადარე შენს ვარაუდს. დაასახელე ფიქსის არგუმენტები და მიუთითე, მყარია თუ არა, შენი აზრით, ისინი?**

„იოლი გასაგებია, როგორ იმოქმედა ამ საუბარმა ისედაც აღგზნებულ პოლიციის ინსპექტორზე.

ლონდონიდან სასწრაფოდ გამგზავრება – სულ მალე, ბანკის გაძარცვის შემდეგ, თან წამოღებული მოზრდილი თანხა, შორეულ ქვეყნებში ჩასვლის უცნაური სანაძლეოს საბაბით... ყველაფერი ეს აჯერებდა ფიქსს თავის მოსაზრებებში“.

**4. 🎧 დაუბრუნდი პასპარტუსა და ფიქსის დიალოგს. გაიხსენე მათი საუბარი და უპასუხე შეკითხვებს. იმუშავე მეწყვილესთან ერთად. <u>მოისმინე</u> თავიდან და შეამოწმე შენი პასუხები.**

ა. რატომ ჰგონია პასპარტუს, რომ სიზმარში მოგზაურობს?
ბ. რა შესთავაზა აგენტმა პასპარტუს? შენი აზრით, რატომ იქცევა ფიქსი ასე?
იმიტომ, რომ:
  1. ის ძალიან თავაზიანია;
  2. შეეცოდა პასპარტუ;
  3. მისგან დამატებითი ინფორმაციის გაგება უნდოდა.

გ. რას ფიქრობს პასპარტუ მისტერ ფოგის მოგზაურობის შესახებ?
დ. რატომ ფიქრობს პასპარტუ, რომ „აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს“?

**5. წაიკითხე და დაასახელე, ვის ეკუთვნის მოცემული სიტყვები – პოლიციის აგენტს თუ პასპარტუს?**

ა. „ჩვენ შორის დარჩეს, მაგრამ არ მჯერა...“
ბ. „ძალზე თავისებური კაცი ჩანს ეს ბატონი ფოგი...“

**6.** **პოლიციის აგენტი ფიქსი სუეციდან ბომბეიში მიმავალ გემზე ავიდა და მისტერ ფოგს მალულად აედევნა. პასპარტუსთან დაახლოების შემდეგ ის მისტერ ფოგსაც დაუახლოვდა. ის მომსწრე გახდა ფოგის არაერთი ვაჟკაცური და კეთილშობილური საქციელისა. როგორ ფიქრობ, შეიცვალა თუ არა ამის შემდეგ ფიქსმა აზრი?**

**7.** **წაიკითხე ნაწყვეტი და შეადარე შენს ვერსიას.**

**8.** **როგორ ფიქრობ, რით დამთავრდა ეს ამბავი? მოიგო თუ წააგო მისტერ ფოგმა სანაძლეო? რატომ ფიქრობ ასე?**
**🎧 მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

**9.** **გაიხსენე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს. <u>თავიდან მოისმინე</u> ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები.**

ა. როდის გააკეთა ფილეას ფოგმა ბოლო ჩანაწერი?
ბ. რეალურად, რომელ დღეს დაბრუნდა მისტერ ფოგი ლონდონში?
გ. რამდენ დღეში შემოუარა მან დედამიწას?
დ. რატომ მოიგო მან ერთი დღე?
ე. რა შემთხვევაში დაკარგავდა ის ერთ დღეს?
ვ. ტრანსპორტის რა საშუალებები გამოიყენა ფოგმა?

**10.** **რამდენ ხანში შეიძლება, შემოუარო დედამიწას დღეს:** ***თვითმფრინავით? საჰაერო ბურთით? იალქნიანი ხომალდით?***
**მოიფიქრე და გააცანი კლასელებს შენი მოსაზრება.**
**🎧 მოისმინე ტექსტი, შეასრულე რვეულში მოცემული დავალება** (გვ. , დავ. № ) **და შეადარე შენს ვესრიას.**

„ნაშუაღამევს პირველი საათი იქნებოდა, როცა „ჰენრიეტა“ ირლანდიის სანაპიროს ნავსადგურში შევიდა. მგზავრები საჩქაროდ ჩამოვიდნენ გემიდან. ფიქსს ამ დროს ფოგის დაპატიმრების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ თავი შეიკავა. რატომ? რა ხდებოდა მის სულში? დაიჯერა თუ არა მისტერ ფოგის ამბავი? მიხვდა თუ არა, რომ შეცდა? ყოველ შემთხვევაში, ფიქსს მისტერ ფოგი არ მიუტოვებია. მასთან ერთად, მისის აუდასა და პასპარტუს თანხლებით, ღამის ორის ნახევარზე ისიც ჩაჯდა მატარებელში. განთიადისას დუბლინში ჩავიდა და მაშინვე ერთ-ერთ საფოსტო გემზე გადაჯდა.

თორმეტს ოცი წუთი აკლდა, როცა 21 დეკემბერს ფილეას ფოგი ლივერპულის სანაპიროზე გადმოვიდა. ლონდონამდე ექვსი საათის გზაღა რჩებოდა.

ამ დროს მას ფიქსი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და მოწმობა წარუდგინა.

– თქვენ ბრძანდებით ბატონი ფილეას ფოგი?

– დიახ, ბატონო.

– დედოფლის სახელით, თქვენ დაპატიმრებული ხართ.

ფილეას ფოგი ციხეში ჩასვეს. ის ლივერპულის საპოლიციო უბანში დაამწყვდიეს“.





## გვ. 105

### <u>მოსწავლის წიგნი</u>

6. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების შესახებ.
7. ისინი კითხულობენ ნაწყვეტს და ადარებენ მას გამოთქმულ ვარაუდებს.
8. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ნაწარმოების დასასრულის შესახებ. ვერსიების გადასამოწმებლად ისინი უსმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 5).
9. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პაუხობენ ა—ვ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
10. მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის ხანგრძლივობის შესახებ. ვერსიების გადასამოწმებლად კლასი ისმენს ტექსტს (იხ. მოსწავლის რვეული, 🎧).

### <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 166 №1: ილუსტრაციაზე დაყრდნობით, სრულდება თემათან დაკავშირებული ლექსიკური ტიპის დავალება.

გვ. 166 № 2: მოსწავლეები იყოფიან წყვილებად და ასრულებენ დავალებას.

გვ. 166 №3: მეწყვილეთა ვერსიების გადასამოწმებლად კლასი ისმენს ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 6).

გვ. 167 № 4, 5: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 167 № 6: სრულდება კომბინირებული ტიპის დავალება.

## გვ. 106

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან და აღწერენ ფოტოებს. მასწავლებელი კლასს ყოფს 4 გუნდად: თითოეული გუნდი ირჩევს 1 სახელმწიფოს — ნორვეგიას, შვედეთს, დანიას, ან ფინეთს და ამზადებენ ილუსტრირებულ პრეზენტაციას არჩეული სახელმწიფოს შესახებ დავალების ა—დ პუნქტების გათვალისწინებით.



### 2. ზღაპრულ ქვეყანაში

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • სკანდინავიური საოცრება<br>• ნაწყვეტები დათო ტურაშვილის თხზულებიდან „ტიბეტი არ არის შორს“. | • მომავალი დროის გამოხატვა ზმნით<br>• ზმნისწინი და მისი ფუნქციები |

1. **დააკვირდი ფოტოებს და აღწერე ისინი. რა აერთიანებს ამ ქვეყნებს ერთმანეთთან? დაიყავით ჯგუფებად. მოძებნეთ შესაბამისი ინფორმაცია მათ შესახებ და წარუდგინეთ კლასელებს.**

   ა. ქვეყნის ადგილმდებარეობა;
   ბ. ინფორმაცია დედაქალაქის შესახებ;
   გ. სახელის ეტიმოლოგია (რას ნიშნავს ქვეყნის სახელწოდება?);


ნორვეგია


შვედეთი


დანია


ფინეთი

დ. ქვეყნის ღირსშესანიშნაობები და ცნობილი ადამიანები.

**2. სწრაფად ჩაიკითხე მოცემული ტექსტი და შეადარე თქვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციას.**

ა. დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა?
ბ. რომელ ღირსშესანიშნაობებზეა საუბარი მოცემულ ტექსტში?
გ. რა იყო მოცემულ ინფორმაციაში შენთვის ახალი?
დ. რომელმა ქვეყანამ მოახდინა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება და რით?
ე. რომელი ქვეყნის შესახებ არ არის ტექსტში საუბარი?

**3. მოძებნე სკანდინავიის ქვეყნები რუკაზე და ცალ-ცალკე ისაუბრე მათ შესახებ – *რომელი ქვეყნები ესაზღვრება და რომელი მხრიდან.***

**4. დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რომელი ქვეყნები მდებარეობს სკანდინავიის ნახევარკუნძულზე?
ბ. რას მიიჩნევენ სკანდინავიურ საოცრებად?
გ. რით არის გამორჩეული კოპენჰაგენი?
დ. საიდან შეუძლიათ ტურისტებს კოპენჰაგენის დათვალიერება?
ე. რით არის გამორჩეული კოპენჰაგენის გასართობი პარკი?
ვ. რა არის ჰანს ქრისტიან ანდერსენის ძეგლის მარცხნივ და პირდაპირ?
ზ. რით არის პოპულარული სტოკჰოლმი?
თ. რით ჰგავს ის ვენეციას?
ი. როგორი იყო ჰელსინკის არქიტექტურა XVIII ს-ის შუა ხანებამდე?
კ. რით და რატომ ჰგავს ჰელსინკი სანქტ-პეტერბურგს?

**5. წაიკითხე და დაასახელე, რომელი ბუნებრივი მოვლენა იგულისხმება.**

ა. მისი ნახვა მაისიდან ივლისამდეა შესაძლებელი. ამ დროს მზე 24 საათის განმავლობაში ანათებს. ნორვეგიაში ეს მოვლენა 76 დღის განმავლობაში გრძელდება.
ბ. ეს ბუნებრივი მოვლენა გაზაფხულსა და შემოდგომაზე უფრო ხშირია, ვიდრე ზაფხულსა და ზამთარში. ამ დროს სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნათება სწრაფად იცვლება. ამ საოცარი სხივების, ხაზებისა და „ფარდების" ზზინვარება ცაზე რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე გრძელდება.

### სკანდინავიური საოცრება

ტრადიციული განმარტებით, სკანდინავია სამ სახელმწიფოს – დანიას, შვედეთსა და ნორვეგიას გულისხმობს, თუმცა ხანდახან მასვე მიაკუთვნებენ ფინეთს, ისლანდიასა და ფარერის კუნძულებსაც. ამ შემთხვევაში, სკანდინავია მთელ ჩრდილოეთ ევროპას მოიცავს.

სკანდინავიის ნახევარკუნძული <u>ენით აღუწერელი</u> სილამაზით უთუოდ გაფიქრებინებთ, რომ <u>ზღაპრულ სამყაროში</u> მოხვდით. <u>შთაბეჭდილებებს</u> განსაკუთრებით აძლიერებს სკანდინავიური საოცრება – ჩრდილოეთის ციალი, პოლარული დღეები, ანუ შუაღმის მზე და პოლარული ღამეები.

პირველი, რაც **დანიის** უმშვენიერეს დედაქალაქ კოპენჰაგენში თითოეულ ტურისტს ხიბლავს, გრძელი ხიდებია, რომლებიდანაც სეირნობისას შესაძლებელია ქალაქის დათვალიერება. ქალაქის ულამაზესი ხედები იშლება მთავარ მოედანზე აშენებული 100 მეტრი სიმაღლის კოშკიდანაც. კოშკის მარჯვნივ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ძეგლი დგას, რომელიც გასართობი პარკის შესასვლელს უყურებს. ეს ერთ-ერთი დიდი გასართობი ცენტრია მთელ ევროპაში.

კუნძულებზე მდებარეობისა და განსაკუთრებული სილამაზის გამო **შვედეთის** დედაქალაქ სტოკჰოლმს „ჩრდილოეთის ვენეცია" შეარქვეს. სტოკჰოლმი განთქმულია წარმტაცი პარკებით, ბაღებითა და არხებით, რის გამოც ის სკანდინავიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქალაქს წარმოადგენს.

**ფინეთის** დედაქალაქი ჰელსინკი, დაახლოებით, XVIII ს-ის შუა ხანებამდე პროვინციული ტიპის ქალაქი იყო ხისგან ნაგები სახლებით. 1809 წელს, რუსეთთან შეერთების შემდეგ, დაიწყო დანგრეული ჰელსინკის ახალი, გენერალ ერენსტრიომის გეგმით აგება. ამიტომაცაა, რომ ჰელსინკისა და სანქტპეტერბურგის ცენტრალური ნაწილები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.



## გვ. 107

<u>**მოსწავლის წიგნი**</u>

2. ტექსტის გაცნობითი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ა—ე პუნქტებით გათვალისწინებულ შეკითხვებს.
3. მომზადებული პრეზენტაციის დახმარებით, მოსწავლეები ეცნობიან რუკას და აღნიშნავენ სკანდინავიის ქვეყნების მდებარეობას, მოსაზღვრე ქვეყნებსა და სხვა.
4. ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—კ). დავალების გავრცობა შესაძლებელია მოსწავლეთა მიერ პრეზენტაციის ფარგლებში მომზადებული მასალებითაც.
5. მოსწავლეები კითხულობენ დავალების ა და ბ პუნქტებს და ასახელებენ აღწერილ ბუნებრივ მოვლენას.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 168 № 1, გვ. 170 № 1; გვ. 171 № 4, 5:სრულდება წაკითხული ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებული დავალება.

გვ. 169 № 2: სრულდება ლექსიკური დავალება.

გვ. 170 № 2: სრულდება გრამატიკული ტიპის დავალება.

გვ. 108

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს ნორვეგიული ფიორდის შესახებ (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 7) და ტექსტის ცალკეულ ფრაგმენტს უკავშირებენ ილუსტრაციებს.
2. მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—გ პუნქტები).
3. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ილუსტრაციებზე ასახული ადგილების შესახებ. მასწავლებელი კლასს ასმენინებს მომდევნო ტექსტს ნორვეგიაში ირაკლის მოგზაურობის შესახებ. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შეადარონ მოსმენილს საკუთარი ვარაუდები.

თემა 4

1. 🎧 მოუსმინე ირაკლის, რომელიც მეგობრებს თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ესუბრება. დააკვირდი ფოტოებს, მიუთითე, რომელი ფოტოების შესახებ საუბრობს ირაკლი და დაასახელე, რას ამბობს ის კონკრეტულად.

1


2


2. გაიხსენე ირაკლის საუბარი. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე საუბრის მიხედვით.
   ა. ფიორდები ნორვეგიის მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობებია.
   ბ. ფიორდი მწვანეში ჩაფლული უზარმაზარი ხეობაა.
   გ. ქალაქი ბერგენი გამორჩეულია თანამედროვე არქიტექტურით.
3. სურათზე მოცემულია ნორვეგიაში ირაკლის მოგზაურობის ერთი ეპიზოდი. დააკვირდი და ისაუბრე მის შესახებ – სად იყო და რა ნახა და რით მოიხიბლა?
   🎧 მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.

3




108 ტურიზმი

**4. წაიკითხე ფრაგმენტები ირაკლის ჩანაწერებიდან და შეასრულე მარჯვენა სვეტში მოცემული დავალებები.**

**I.** ძველ სკანდინავიურ ენაზე ნორვეგია ნიშნავს: „გზა ჩრდილოეთისაკენ“. მას, ასევე, უწოდებენ „სამოთხეს დედამიწაზე“.

ნორვეგიის სამეფომ 2007 წელს მსოფლიოში ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნის სტატუსი მოიპოვა. ის ყველაზე განვითარებული და აყვავებული ქვეყნების სიასაც ლიდერობს. გაერომ მრავალჯერ აღიარა ის, როგორც საცხოვრებლად საუკეთესო ქვეყანა.

მის დედაქალაქში 1901 წლიდან ტარდება მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონია.

**II.** შუა საუკუნეებში მათი წინაპრები ვიკინგი მეზღვაურები და მებრძოლები იყვნენ, რომლებიც თავიანთი გემებით ისლანდიის, გრენლანდიისა და ჩრდ. ამერიკის სანაპიროებამდეც კი დაცურავდნენ და, ძირითადად, მეკობრეობდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ნორვეგიელები, ძირითადად, სანაპიროების გასწვრივ სახლობდნენ და თევზჭერას მისდევდნენ.

მუდმივად კეთილგანწყობილი ნორვეგიელები ძალიან თეთრები არიან. მათი საშუალო სიმაღლე 1. 85 მეტრია.

**III.** მაისიდან სექტემბრამდე ნორვეგიაში ტურისტული სეზონია და ამ პერიოდში ქვეყანა თითქმის 2 მილიონ ტურისტს მასპინძლობს.

ნორვეგიას ტურისტებისათვის უამრავი რამ აქვს შესათავაზებელი. გარდა ისტორიისა და კულტურისა, ეს ქვეყანა უნიკალურია ბუნებრივი ფენომენებითაც. ჩრდილოეთის ციალი, შუაღამის მზე და პოლარული ღამეები ერთიორად მიმზიდველს ხდის ამ ქვეყანას ტურისტებისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებულია ქალაქი ტრომსე, რომელშიც სამივე ფენომენი გვხვდება.

**1. რას ეხება თითოეული ჩანაწერი? წაიკითხე და დააკავშირე.**

ა. ნორვეგიელები უწინ და დღეს;
ბ. ქვეყნის ღირსშესანიშნაობები;
გ. ნორვეგიის სამეფო.

**2. რა ინფორმაციას იძლევა თითოეული ჩანაწერი? წაიკითხე და დაასახელე.**

**3. გამოიყენე შენი ცოდნა სკანდინავიასთან დაკავშირებით და ისე უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რატომ უწოდებენ ნორვეგიას „გზას ჩრდილოეთისაკენ“ და „სამოთხეს დედამიწაზე“?
ბ. როგორი ქვეყანაა ნორვეგია?
გ. რა ღირსშესანიშნაობებს სთავაზობს ნორვეგია ტურისტებს?
დ. რითი გამოირჩევიან ნორვეგიელები?
ე. ვინ იყვნენ ვიკინგები და რა იყო მათი ძირითადი საქმიანობა?

**4. წაიკითხე და დაასახელე, რა ჰქვიათ ამ ადამიანებს? უპასუხე შეკითხვებს.**

*ეს ადამიანები გემებს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ. მათ ზღვის ყაჩაღებსაც უწოდებდნენ. თავდაპირველად მათი დროშა ხასხასა წითელი იყო, XVIII ს-ის დამდეგს კი შავი ფერის გახდა. დროშაზე, ძირითადად, თეთრი თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები იყო გამოსახული.*

ა. სად ყაჩაღობდნენ მეკობრეები?
ბ. როგორ ფიქრობ, არსებობენ თუ არა ისინი დღესაც?

**5. დაიყავით ჯგუფებად. მოამზადეთ თქვენთვის საინტერესო ქვეყნის შესახებ ინფორმაცია და წარუდგინეთ კლასელებს ფოტოებთან ერთად.**

ადგილმდებარეობა, სახელის ეტიმოლოგია, ღირსშესანიშნაობები, სამზარეულო და ა.შ.



## გვ. 109

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან სამ ფრაგმენტს პერსონაჟის მოგზაურობის ჩანაწერებიდან (I, II, III) და ასრულებენ სვეტში მოცემული დავალებების სერიას (ა—5).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 172 № 1:მოსწავლეები ასრულებენ წერით საკომუნიკაციო ტიპის დავალებას — ქმნიან თხზულებას (სულ ცოტა 100 სიტყვა) სამხრეთ კავკასიის შესახებ. ამაში მათ ჩარჩოში მოცემული ინფორმაცია ეხმარებათ.

გვ. 173 №2: მოსწავლეები ებმებიან თანაშეფასების პროცესში: აფასებენ მეწყვილეთა ნამუშევრებს 1—5 პუნქტებში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

გვ. 174—177: სრულდება კომბინირებული ტიპის დავალებები.

გვ. 178 № 1: მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს ჯგუფებს, ჩარჩოში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით, შეადგინონ საინფორმაციო ცნობარი საქართველოს შესახებ. ჯგუფები კლასის წინაშე წარადგენენ პრეზენტაციებს და ადარებენ მოძიებულ ინფორმაციებს.

გვ. 110

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალების ა—დ პუნქტებს მომავალი დროის გამოხატვასთან დაკავშირებით.
2. მოსწავლეები ეცნობიან წინადადებებს და ასრულებენ დავალების ა—ვ პუნქტებს.
3. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალებას ვინიანი 1, ვინიანი 2 და მანიანი ზმნების ტიპების გათვალისწინებით.



**მომავალი დროის გამოხატვა ზმნით**

| | |
|---|---|
| აწმყო | გამოხატავს წინასწარ დაგეგმილ მოქმედებას – რას ვშვრები ხვალ / ერთი საათის შემდეგ / მომავალ წელს? *ერთ კვირაში სოფელში მივდივარ; ხვალ ვწერთ საკონტროლოს; მომავალ წელს ვაბარებ უმაღლესში...* |
| მყოფადი | გამოხატავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებას, როგორც ფაქტს – რას ვიზამ? *მე დავხატავ ამას; ის წაიკითხავს წიგნს; ხვალ რომ წავალ, ვიყიდი; ექიმი რომ გავხდები, გიმკურნალებ...* |
| | გამოხატავს შესასრულებელი მოქმედების აკრძალვას: *ნუ დაწერ! ნუ წახვალ!...* |
| ხოლმეობითი | გამოხატავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას – რას ვიზამდი? (**რომ ვიყო / მქონდეს / მქონოდა / შეიძლებოდეს + ხოლმეობითი**): *ექიმი რომ ვიყო, გიმკურნალებდი; ფული რომ მქონდეს, ვიყიდდი; რომ შეიძლებოდეს, დროში ვიმოგზაურებდი ...* |
| მყოფადის კავშირებითი | გამოხატავს მომავალში შესასრულებელ სასურველ მოქმედებას, რჩევას – რას ვიზამდე? (**კარგი იქნება, (რომ) + მყოფადის კავშ.**): *კარგი იქნება, ჯერ დაწერდე და მერე დაიძინებდე!* |
| წყვეტილი | გამოხატავს ბრძანებას: რა ქენი? *დაწერე! დახატეთ! წავიდეთ!* |
| II კავშირებითი | გამოხატავს შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას – რა (უნდა) ვქნა? |
| | გამოხატავს შესასრულებელი მოქმედების აკრძალვას: *არ გააკეთო! არ იმღერო!* |
| II თურმეობითი | გამოხატავს შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას – რა მექნა? (**კარგი იქნებოდა / (არ/ხომ) შეიძლებოდა + II თურ-მეობითი**): *კარგი იქნებოდა, ხვალ რომ წასულიყავი! ხომ შეიძლებოდა, მერე რომ გამეკეთებინა?!* |

**1. მოძებნე სვეტში სათანადო ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა შემთხვევაში გამოხატავს აწმყო მომავალ დროს?

ბ. რომელი მწკრივები გამოხატავს ბრძანებას? რა განსხვავებაა მათ შორის?

გ. შესასრულებელ მოქმედებასთან როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს II თურმეობითი?

დ. რით განსხვავდება მყოფადის მწკრივი მყოფადის კავშირებითისაგან ფუნქციის (შინაარსის) თვალსაზრისით?

**2. წაიკითხე მოცემული წინადადებები და შეასრულე დავალებები.**

- დაასახელე, რას გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედება კონკრეტულ წინადადებაში;
- დაასახელე, რომელ მწკრივშია ზმნა ცალკეულ შემთხვევაში.

ა. ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგიძლია, ტურისტული სააგენტოს აბრა ამოიკითხო.

ბ. სად უნდა ვიყიდო ბილეთები?

გ. დაფიქრდი, იქნებ წამოხვიდე, კარგად გაერთობი, დამიჯერე!

დ. ჩემი მეგობრები ხვალ იაპონიაში მიფრინავენ.

ე. კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ წავსულიყავით!

ვ. ფული რომ გვქონოდა, ჩვენც გავფრინდებოდით.

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას. შეუწყვე იქ მოცემულ ზმნებს პირები და მიუთითე, რომელია სუბიექტი.**
**დაასახელე, რა ტიპის ზმნაა – ვინიანი 1, ვინიანი 2 თუ მანიანი?**

**ნიმუში:** შეგიძლია შენ ის, სუბიექტია *შენ*. *შეგიძლია* არის მანიანი ზმნა.

ზმნისწინი

4. **წაიკითხე ნაწყვეტი რომანიდან „ქურდების მბრძანებელი“ და შეასრულე მოცემული დავალებები.**

*„მზე არხებში ირეკლებოდა და ძველ გალავნებს ოქროსფრად დაჰნათოდა, თუმცა ზღვიდან ცივი ქარი ქროდა და ადამიანებს ზამთრის მოახლოებას ახსენებდა... ვიქტორს ზოგჯერ ესიზმრებოდა ხოლმე რომ სახლი მთელ ქალაქთან ერთად ტალღებში ჩაიძირა; ის მტვრიანი ფანჯრიდან გასცქეროდა ქალაქს. შემდეგ ზურგი შეაქცია ფანჯარას და სარკესთან მივიდა. ვიქტორმა სწორედ გუშინ იყიდა ისეთი უზარმაზარი ულვაში, ზღვის ლომსაც რომ შეშურდებოდა. მან მიიწება ულვაში ცხვირქვეშ, თითისწვერებზე აიწია და სარკის წინ დატრიალდა“.*

ა. მოძებნე და დაასახელე ზმნები, რომლებიც:
   1. ზმნისწინებს არ დაირთავს;
   2. ზმნისწინების გარეშე არ იხმარება.

ბ. დაუბრუნდი ყველა ზმნისწინიან ფორმას და განსაზღვრე კონკრეტული ზმნისწინის ფუნქცია ცალკეულ შემთხვევაში.

გ. დაუბრუნდი ზმნის ფორმას, რომელიც მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გამოხატავს და მიუთითე, რომელი მწკრივია.

5. **დააკავშირე მოცემული საწყისები შესაბამის განმარტებებთან.**

*შეხსენება მოხსენება*

ა. საჯარო გამოსვლა, მსჯელობა რაიმე საკითხზე.
ბ. ვინმესთვის რაღაცის მოგონება, გახსენება.

6. **დაუბრუნდი ტექსტს და დააკავშირე ხაზგასმული ზმნა წინა დავალებაში მოცემულ შესაბამის საწყისთან.**




**I.** ზმნისწინის გამოყენების თვალსაზრისით, ქართულში ზმნები სამგვარია:

| | |
|---|---|
| **ა) არ დაირთავს ზმნისწინებს.** | *ქონა-ყოლა (ჰყავს, აქვს), ცოდნა (იცის), ყურება (უყურებს), ყიდვა (ყიდულობს), თხოვნა (სთხოვა), კითხვა (ჰკითხა), თქმა (უთხრა) ...* |
| **ბ) ზმნისწინების გარეშე არ იხმარება.** | *წასვლა (მიდის), გაქცევა (მირბის), განმარტება (განმარტავს), აღნიშვნა (აღნიშნავს), აღწერა (აღწერს), მოწონება (მოსწონს)...* |
| **გ) იხმარება როგორც ზმნისწინით, ისე უზმნისწინოდ.** | *წერს/დაწერს; ცურავს/მიცურავს; ეშინია/შეეშინდა; უყვარს/შეუყ-ვარდა, ეხმარება/დაეხმარება...* |

**II.** ზმნისწინის ფუნქციები:

| | |
|---|---|
| **უჩვენებს მიმართულებას.** | *ადის / ჩადის / ჩამოდის... მიფრინავს / მოფრინავს...* |
| **აწარმოებს მომავალ დროს.** | *ხატავს / დახატავს; კითხულობს / წაიკითხავს...* |
| **მიუთითებს დასრულებულ მოქმედებაზე.** | *წერს — დაწერს / დაწერა; ვხატე – დავხატე / დავხატავ ...* |
| **წარმოქმნის ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს.** | წა-კითხვა / მო-კითხვა / შე-კითხვა; გა-გება / მი-გება / მო-გება; სთხოვა / მო-სთხოვა ... |

**III.** მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს I პირი.

| | |
|---|---|
| **ჩემგან იქით** | მიდის, შედის, გადის, ადის, ჩადის, გადადის |
| **ჩემკენ, აქეთ** | მოდის, გამოდის, შემოდის, ამოდის, ჩამოდის, გადმოდის |



გვ. 111

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

4. მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტს რომანიდან „ქურდების მბრძანებელი“ და გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, ასრულებენ დავალების ა—გ პუნქტებს.
5. ზმნისწინის ფუნქციების მიხედვით მოსწავლეები განასხვავებენ განმარტებებს (ა. და ბ. პუნქტები).
6. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და აკავშირებენ ხაზგასმულ ზმნებს მე—5 დავალებაში მოცემულ საწყისებთან.

## გვ. 112

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად საუბრობს ტიბეტის შესახებ. კლასი მსჯელობს ტიბეტის სახელწოდების — „სამყაროს სახურავის“ შესახებ. მოსწავლეები ერთმანეთს აცნობენ მოსაზრებებს.
2. მოსაზრებების გადამოწმების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს ტიბეტის შესახებ.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 179 № 2: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

თემა 4

„იყავი კეთილი, როდესაც შესაძლებელია. ეს ყოველთვის შესაძლებელია“, — დალაი ლამა

1. **რა იცი ტიბეტის შესახებ? სად მდებარეობს და რით არის ის გამორჩეული? შენი აზრით, რატომ უწოდებენ ტიბეტს „სამყაროს სახურავს?“**
   **მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. შეასრულე დავალებები რვეულში.**
2. **მოცემულია ოთხი ნაწყვეტი დათო ტურაშვილის თხზულებიდან „ტიბეტი არ არის შორს“. წაიკითხე მათი დასაწყისები და განსაზღვრე, რა გზა გაიარა ავტორმა ტიბეტამდე და რით.**
3. **მოძებნე შესაბამისი ინფორმაცია და დაასახელე.**
   ა. რატომ უყვარს ავტორს თვითმფრინავით მგზავრობა (1-ლი ნაწყვეტი, I)?
   ბ. რა განასხვავებს ნეპალელებს ევროპელებისაგან (1-ლი ნაწყვეტი, II)?
   გ. რამ გაახსენა ავტორს:
      1. თუშეთის გზა (მე-3 ნაწყვეტი, II)?
      2. თბილისური ეზო (მე-4 ნაწყვეტი, I)?
4. **ყურადღებით წაიკითხე ტექსტი თავიდან და შეასრულე დავალებები რვეულში.**



1

**I.** „...ვზივარ თვითმფრინავში, რომელიც ცხრასაათიანი ფრენის შემდეგ ნეპალის დედაქალაქში უნდა დაეშვას და მერე კი იქიდან ტიბეტის გზას უნდა დავადგეთ, მაგრამ მანამდე, დაახლოებით ხუთ საათში, ჩვენი თვითმფრინავი ჯერ არაბეთში, საამიროების რომელიღაც აეროპორტში უნდა დაფრინდეს საწვავის შესავსებად. თვითმფრინავი, აეროპორტი და, საერთოდ, მგზავრობა ძალიან მიყვარს თუნდაც ეკზიუპერის სამყაროს გამო, სადაც ფუფუნებისა და განცხრომის ბედნიერი საშუალება გეძლევა, გაიცნო ადამიანები, რომლებსაც მიწაზე ვერასოდეს შეხვდები...“

**II.** *არაბული ქალაქის, ჩარჯას აეროპორტიდან თვითმფრინავმა გეზი ნეპალის დედაქალაქისაკენ აიღო.*

„...ჩვენ გველოდა ქალაქი, რომელიც იწყება საშინელი სუნით იმ ნაგვის, ჭუჭყისა და სიბინძურის გამო, რომლითაც სავსეა კატმანდუს ქუჩები. ამ ქუჩების გავლის გარეშე კი ტამელში ვერც მოხვდები.

ტამელი ტურისტულ, ყველაზე სუფთა და გაკაშკაშებულ უბანს ჰქვია, რომელშიც, ძირითადად, ალპინისტები, დამსვენებლები, გიჟები და ჰიპები ცხოვრობენ. ჰიპებმა ნეპალში დასახლება სამოციანი წლების ბოლოს დაიწყეს, თუმცა კატმანდუს ქუჩებში ახლაც შეიძლება შეხვდეთ უკვე დაბერებულ, მაგრამ ძველებურად თმამოშვებულ ჰიპებს...

ევროპელებთან შედარებით, ნეპალელები მართლა პატარები არიან და, როგორი პატარებიც არიან, ისეთივე პატარა სახლები აქვთ და იმ პატარა სახლებში ისეთივე პატარა ტახტები უდგათ. სახლებს პატარა ფანჯრები აქვს და იმ პატარა ფანჯრებიდან მათი პატარა ცხოვრება მოჩანს. მშრომელი კატმანდუ მზის ამოსვლამდე ილვიძებს. მათი სამუშაო დღე გათენებამდე იწყება, გათენებულზე კი ნებისმიერი პროფესიისა და საქმიანობის ადამიანი შეგხვდებათ ქუჩაში...“

2

„კატმანდუს ვიწრო ქუჩებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგიძლია, ტურისტული სააგენტოს აბრა ამოიკითხო და კარზეც ომახიანად დააკაკუნო. ასეც მოვიქეცით და ტურისტული კომპანიის პატარა და მშვენიერ ოფისში აღმოვჩნდით. მასპინძლებმა ჩვენ, როგორც ტიბეტში მიმავალ ტურისტებს, ინსტრუქციის სახით, ლექცია ჩაგვიტარეს და ყველა ის რჩევაც გულმოდგინედ მოგვცეს, რომელთა გათვალისწინება ტიბეტში აუცილებელი იყო“.

112 ტურიზმი



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 122

თემა 4

3 **I.** „...ბარგი გადმოვალაგეთ და ულელტეხილისთვის მოვემზადეთ... ჩვენი ზურგჩანთებიანად ავძვერით საბარგო მანქანაზე, სადაც, ჩვენი ჯგუფის გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა. ისეთი სახეებით ჩასჭიდებოდნენ ძარაზე დამაგრებულ რკინის მოაჯირებს, რომ მივხვდი – საშინელი გზა გველოდა, თუმცა, რასაც არ უნდა მივმხვდარიყავი, მაინც ვერ შევძლებდი ბოლომდე იმის წარმოდგენას, რაც გველოდა...

**II.** რაც გავიარეთ, იმის აღწერა შეუძლებელია. მერე, ტიბეტიდან დაბრუნების შემდეგაც, რამდენჯერაც გამახსენდებოდა ის გზა, ზუსტად ისე მეშინოდა, როგორც მაშინ – როცა უფსკრულებსა და უძირო ხევებს ჩავხედავდი ხოლმე იმ ჩვენი ღია საბარგო მანქანიდან, ღრუბლებს ზემოთ რომ მიიწევდა უკვე და თვალებს ვხუჭავდი...

ასეთი იყო და არც იყო თუშეთის გზა, როცა უნივერსიტეტის პირველკურსელები პირველად წავედით ომალოში. მაშინაც საბარგო მანქანით მივდიოდით თუშეთის დაკლაკნილ გზებზე, მაშინაც ვიდექით ზემოთ, ძარაზე და მაშინაც შეშინებულები დავყურებდით ნისლებით ამოვსებულ უძირო ხეობებს...“





4 **I.** „ლჰასაში (*ტიბეტის დედაქალაქი*) ღამით ჩავედით... სასტუმრო იყო პატარა, მაგრამ ჰქონდა ეზო, სამი მხრიდან ჩვენი სასტუმროსავით ორ და სამსართულიანი შენობებით შემორტყმული და მეოთხე მხარეს ღია, თაღიანი შესასვლელით. ერთი შეხედვით, თბილისურ ეზოსაც ჰგავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან თბილისურ ეზოს ანალოგი არა აქვს არსად (იტალიაშიც კი) და თბილისელებიც (ასეთ არქიტექტურას) შეცდომით იტალიურს უწოდებენ.

მგზავრობისაგან დაღლილებს მაინც არ მოგვსვლია აზრად დაძინება ან დასვენება. ბარგი დავყარეთ და ტიბეტის ნანატრი დედაქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებს ხმაურით გავყევით. განათებული იყო მხოლოდ მთავარი მოედანი – ახლადაშენებული დისკოთეკით, სადაც ნებისმიერ ტიბეტელ ახალგაზრდას შეუძლია, დილამდე იცეკვოს... ის ღამე პირველი იყო ტიბეტში, კარგად რომ გამოვიძინეთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გამოც მივისწრაფოდით ლჰასასაკენ, პოტალა იყო – რამდენიმე საუკუნის წინ აშენებული საოცარი სასახლე, ტიბეტელი ლამების რეზიდენცია...

**II.** ლჰასა რომ დავტოვეთ, ჯერ ისევ ბნელოდა. ავტობუსში ვიჯექი ბოლო სკამზე, ზურგით დანარჩენებისკენ და ვუყურებდი მზის ამოსვლას. მზე იყო წითელი და მე არ ვიცოდი, კიდევ ვნახავდი თუ არა ტიბეტს – ქვეყანას, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იყო ქცეული უამრავი ადამიანისათვის.

იმაზეც ვფიქრობდი, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ტიბეტი არ არის შორს ისევე, როგორც თავისუფლება, რომელიც თვითონ არასოდეს მოდის, მაგრამ ყოველთვის გელოდება“.

ტურიზმი 113

## გვ. 113

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ეცნობან ნაწყვეტებს (გვ. 112—113) დ. ტურაშვილის მოთხრობიდან ტიბეტის შესახებ და ტექსტზე დაყრდნობით პასუხობენ შეკითხვებს (ა—გ პუნქტები).
4. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს, საფუძვლიანად ეცნობიან მას და ასრულებენ დავალებებს რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 180 —183: წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით სრულდება საკომუნიკაციო ტიპის დავალებები.

გვ. 114
**3 ვიზიტი უცხოეთში**

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი კლასთან ერთად მსჯელობს თემაზე „ტურიზმი“.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 184 № 1:მოსწავლეები ავსებენ ტექსტს ტურიზმის შესახებ ა—დ პუნქტების მეშვეობით და პასუხობენ დავალების ბოლოს მოყვანილ შეკითხვებს.

გვ. 184—185 № 2, 3,4: სრულდება ლექსიკურ—გრამატიკული ტიპის დავალებათა სერია.

**მოსწავლის წიგნი**

2. ილუსტრაციებზე დაკვირვებით (1, 2, 3), მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა, ბ, გ).
3. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს ქვემოთ მოყვანილ ილუსტრაციასთან დაკავშირებით.
4. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტებს (დიალოგებს I, II), (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 8).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 185 № 6: მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (🎧 იხ. მოსასმენი ტექსტი № 9) და ასრულებენ დავალებებს.



თემა 4

3. ვიზიტი უცხოეთში

თემატური ცნობარი
- აეროპორტში
- სასტუმროში
- რესტორანში
- ურთიერთობა უცხო ტურისტთან
- ტურისტულ ბიუროში
- მოგზაურობა კაბადოკიაში (ტურისტული გზამკვლევი)

ენობრივი ცნობარი
- პირთა რაოდენობა ზმნაში
- პირთა კომბინაცია ზმნაში
- ობიექტური პირები და მათი ფუნქცია

1. **რა არის ტურიზმი და რა იცი მის შესახებ? ვის უწოდებენ „ტურისტს“ და რისთვის დადის ის სხვადასხვა ქვეყანაში? შეასრულე რვეულში მოცემული დავალება.**
2. **დააკვირდი I, II და III ფოტოებს და დაასახელე, რა არის მათზე გამოსახული. უპასუხე შეკითხვებს:**
   ა. რომელი ქვეყნებია ფოტოებზე გამოსახული? რატომ ფიქრობ ასე?
   ბ. რა იცი ამ ქვეყნების შესახებ?
   გ. ამ ქვეყნებიდან რომელში იმოგზაურებდი და რატომ?
3. **დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სურათს. შენი აზრით, ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისათვის და რას აკეთებენ იქ – ვინ სად მიდის და რა მიზნით?**
4. 🎧 **მოისმინე დიალოგები და შეამოწმე შენი ვერსიები.**

1

2

3

114 ტურიზმი

5. **დააკვირდი სურათებს და დააკონკრეტე საკომუნიკაციო სიტუაციები.**

ა. ვის ესაუბრება ბაბუა?
ბ. რა აინტერესებს / სურს მას?

6. **წაიკითხე მოცემული რეპლიკები და დააკავშირე შესაბამის სიტუაციასთან. დაასახელე, რომელი რეპლიკა ვის ეკუთვნის.**

ა. – აქეთ მობრძანდით! ფეხსაცმელი გაიხადეთ და ქამარიც მოიხსენით, თუ შეიძლება!
– კი, ბატონო! საათიც მოვიხსნა?
– დიახ, თუ არ შეწუხდებით...

ბ. – ხომ არ გნებავთ, ადგილი გაგიცვალოთ?
– არა უშავს, არ შეგაწუხებთ!
– არა, რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა?! ჩემთვის სულერთია, სად ვიჯდები.

გ. – ერთი წუთით, თუ შეიძლება!
– დიახ, გისმენთ!
– ერთი ჭიქა წყალს ხომ ვერ მომიტანთ?
– რა თქმა უნდა, ბატონო, ახლავე მოგართმევთ. სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

7. **დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს ცალკეულ რეპლიკასთან დაკავშირებით.**

ა. რა არის საუბრის თემა?
ბ. კონკრეტულად რა აინტერესებს / სურს ბაბუას / მგზავრს?
გ. როგორია თანამოსაუბრის პასუხი / პოზიცია?

8. **გაეცანი მოცემულ ლექსიკას და დააკავშირე შესაბამის სიტუაციასთან. მიუთითე, რომელია ამათგან სურათებზე გამოსახული.**









## გვ. 115

**მოსწავლის წიგნი**

5. ილუსტრაციებზე დაკვირვებით მოსწავლეები აკონკრეტებენ საკომუნიკაციო სიტუაციათა კონტექსტს.
6. მცირე დიალოგების გაცნობის შემდეგ ისინი უკავშირებენ მათ ზემოხსენებულ საკომუნიკაციო სიტუაციებს.
7. წინა დავალებაზე დაყრდნობით მოსწავლეები პაუხობენ შეკითხვებს (ა—გ პუნქტები).

მოსწავლის რვეული

გვ. 186 № 1, გვ. 189 № 3, 4: სრულდება დავალებები აეროპორტთან დაკავშირებული ლექსიკისა და სამეტყველო ფუნქციების ათვისების მიზნით.

გვ. 187 № 2, 3, 4, 5: სრულდება ლექსიკური და გრამატიკული ტიპის დავალებათა სერია.

გვ. 188 № 1: სრულდება წერითი საკომუნიკაციო ტიპის დავალება — მოსწავლეები აღწერენ მგზავრის მოქმედებებს აეროპორტში და მეწყვილესთან ერთად განიხილავენ ნამუშევრებს.

**მოსწავლის წიგნი**

8. მოსწავლეები ეცნობიან უჯრედში წარმოდგენილ ლექსიკას და მიუთითებენ შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციაზე.

გვ. 116

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ფრაზათა ჩამონათვალს (1—13) და ასახელებენ მათ ავტორებს.
2. ილუსტრაციებზე დაკვირვების შედეგად მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის საკომუნიკაცო სიტუაციას.
3. პირველ დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები აკავშირებენ ფრაზებს საკომუნიკაციო სიტუაციებთან.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 190 № 1, 2 , 3, 4; გვ. 191 № 5: თემასთან დაკავშირებით სრულდება საკომუნიკაცო და ლექსიკური ტიპის დავალებების სერია.

გვ 191 № 6: კონტექსტზე დაყრდნობით სრულდება გრამატიკული დავალება.



**1. მოცემული ფრაზები დააკავშირე შესაბამის სიტუაციებთან (სასტუმრო / რესტორანი). მიუთითე, ვინ არის კონკრეტული ფრაზის ავტორი – კლიენტი თუ თანამშრომელი?**

| | |
|---|---|
| 1. ნომრის გადაცვლა ხომ არ გნებავთ? | 7. მაგიდა წინასწარ შეუკვეთეთ? |
| 2. ეს ჩვენი საფირმო კერძია, მოგეწონებათ. | 8. თქვენი ნომრები სხვადასხვა სართულზეა. |
| 3. შეგვიძლია, მეოთხე სართულზე შემოგთავაზოთ. | 9. გნებავთ, რომ ეს შეკვეთა გავაუქმო? |
| 4. არცერთი თავისუფალი ნომერი არ გვაქვს. | 10. აი, აქ მოაწერეთ ხელი. |
| 5. მაგიდა გვინდა შევუკვეთოთ. | 11. მოგვიანებით მოგვიტანეთ დესერტი. |
| 6. ამ ოთახზე თანხის დამატება მოგიწევთ. | 12. იქნებ გვირჩიოთ, რა გავსინჯოთ? |
| | 13. ქუჩიდან საშინელი ხმაური შემოდის. |

**2. დააკვირდი სურათებს და აღწერე ისინი – ვინ არიან, სად და რას აკეთებენ? დაასახელე, ვის რა აინტერესებს კონკრეტულ სიტუაციაში.**




**3. დაუბრუნდი პირველ დავალებას და მოცემული ფრაზები დააკავშირე შესაბამის სიტუაციებთან. გამოიყენე ფრაზები და მეწყვილესთან ერთად შეადგინე დიალოგები.**

თემა 4

4. მოისმინე დიალოგები და დააკავშირე სურათებთან. შეადარე თქვენს ვერსიებს. შეასრულე დავალებები რვეულში.

5. წარმოიდგინე, რომ ქუჩაში შემთხვევით გხვდება უცხო ტურისტი, რომელსაც კონკრეტული რამ აინტერესებს შენი რეგიონის (ქალაქის) შესახებ. წაიკითხე მოცემული შეკითხვები და მოიფიქრე პასუხები რეალური სიტუაციების გათვალისწინებით.

ა. რისი ნახვა შემიძლია აქ? თქვენ რის ნახვას მირჩევთ მოკლე დროში?
ბ. შესაძლებელია თუ არა აქ მანქანის დაქირავება? როგორ უნდა გამოვიძახო ტაქსი?
გ. რით ჯობია ქალაქის (რაიონის) დათვალიერება – ფეხით, მანქანით თუ ველოსიპედით?
დ. შემიძლია, სადმე შევიძინო თქვენი ქალაქის გზამკვლევი? თუ არა, როგორ მოვიქცე ასეთ შემთხვევაში? ვინ დამეხმარება? შემიძლია თუ არა გიდს მივმართო?
ე. არის თუ არა აქ წყნარი და ფეშენებელური სასტუმრო? როგორ უნდა მოვხვდე იქ? შორს არის აქედან? შემიძლია ფეხით მისვლა?
ვ. რით შემიძლია გავერთო აქ ღამით? არის აქ ღამის კლუბები?
ზ. სად შემიძლია სუვენირების ყიდვა? თქვენ რის ყიდვას მირჩევთ?
თ. სად შემიძლია გავსინჯო თქვენი ნაციონალური კერძები? განსაკუთრებით, რის გასინჯვას მირჩევთ?
ი. სად უნდა გადავცვალო / დავახურდავო ფული?
კ. ვის შემიძლია მივმართო პრობლემების შემთხვევაში? არის აქ ტურისტული ბიურო?

6. დაუბრუნდი წინა დავალებას, გამოიყენე შენი პასუხები და მეწყვილესთან ერთად გაითამაშე შესაბამისი სიტუაციები. შეცვალეთ როლები და თავიდან ჰკითხეთ ერთმანეთს.

7. დაუბრუნდი შენი და შენი მეწყვილის პასუხებს. რა დაემთხვა და რა – არა? ვინ სთავაზობს ტურისტს უკეთეს ვარიანტს – შენ თუ შენი მეწყვილე? რატომ ფიქრობ ასე?

8. დააკვირდი სურათებს და აღწერე. შენი აზრით, რის შესახებ საუბრობენ ისინი? რა აინტერესებთ მათ / რას აპირებენ ისინი?





9. მოისმინე დიალოგები, დააკავშირე სურათებთან და შეადარე შენს ვერსიებს.

ტურიზმი 117

## გვ. 117

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს (იხ. მოსასმენი ტექსტი № 8) და აკავშირებენ მათ შესაბამის ილუტრაციებთან.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 192 № 1, 2, 3 : სრულდება მოსმენილი გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

**მოსწავლის წიგნი**

5. ჩარჩოში მოცემულ შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები ამზადებენ პასუხებს ტურისტისათვის, რომელიც მათ რეგიონს/ქალაქს ეწვევა.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 193 № 4, 5, 6, 7, 8, 9: სრულდება კომბინირებული დავალებების სერია.

**მოსწავლის რვეული**

6. მოსწავლეები მუშაობენ წყვილად და წინა დავალებაზე დაყრდნობით ათამაშებენ საკომუნიკაციო სიტუაციებს. მასწავლებლის მითითებით, ისინი ცვლიან როლებს.
7. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ პასუხებს მეწყვილისას.
8. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ილუსტრაციებზე აღწერილი საკომუნიკაციო სიტუაციების შესახებ.
9. მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს და ადარებენ მათ საკუთარ ვერსიებს.

გვ. 118

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალების ა—ლ პუნქტებს ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნებთან დაკავშირებით.



**პირთა რაოდენობა ზმნაში**

ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი.

| | |
|---|---|
| ერთპირიანი | ეს პირი არის სუბიექტი (S)<br>*ის ცხოვრობს, დგას, თბება, მიდის, ლაპარაკობს, ტრიალებს...*<br>*მას სძინავს, ეშინია...* |
| ორპირიანი | ერთი სუბიექტია (S), მეორე – ობიექტი (O)<br>*მას უყვარს, მოსწონს, ჰყავს... ის*<br>*ის ელაპარაკება, ეხმარება, თამაშობს, კითხულობს... მას* |
| სამპირიანი | ერთი სუბიექტია (S) და ორი – ობიექტი (O,O)<br>ის ეთამაშება მას მას (ძმას / ბურთს); ის აძლევს მას მას (მეგობარს / ჩანთას); ის უკითხავს მას მას (შვილს / წიგნს)... |

**პირთა კომბინაცია ზმნაში**

ზმნაში შეიძლება აისახოს როგორც სამივე სუბიექტური, ისე – ობიექტური პირი.

| როცა სუბიექტი: | მასთან ობიექტი შეიძლება იყოს: |
|---|---|
| I პირია | II და III პირები |
| | *მე გეხმარები შენ*<br>*მე ვეხმარები მას*<br>*მე გხატავ შენ / მე ვხატავ მას...* |
| II პირია | I და III პირები |
| | *შენ მეხმარები მე*<br>*შენ ეხმარები მას*<br>*შენ მხატავ მე / შენ ხატავ მას* |
| III პირია | I, II და III პირები |
| | *ის მეხმარება მე*<br>*ის გეხმარება შენ*<br>*ის ეხმარება მას*<br>*ის მხატავს მე / ის გხატავს შენ / ის ხატავს მას...* |

1. **გაეცანი სვეტში მოცემულ ინფორმაციებს. წაიკითხე წინადადებები და შეასრულე დავალებები.**

ა. ეს სახლი ჩემმა დიდმა პაპამ და მისმა მამამ ააშენეს.
ბ. ამას წინათ კაფეში ვისხედით. შემოვიდა ერთი, დამინახა, მომვარდა, ძალიან მიყვარხარო, მითხრა და ტირილი დაიწყო.
გ. მეოთხე კურსზე ვიყავით მე და ჩემი და, როცა დაგვირეკეს.
დ. ეცნენ დიდი ბიჭები ჩემს შვილს და წყლიდან ამოიყვანეს.
ე. ბევრი ვეძებეთ და ბოლოს მივაგენით.
ვ. სპექტაკლი მძიმეა, მაგრამ სტიმულს გაძლევს, გეხმარება.
ზ. მელოდიასავითაა, ისმენ და ბოლომდე მიჰყვები.
თ. მისი ნიჭის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.
ი. თუ რეპეტიცია მაქვს, დილით ერთი საათით ადრე ვდგები და გავრბივარ.
კ. ეს სკულპტურა კუბელმა მოქანდაკე იოან კაპოტემ შექმნა.
ლ. აუცილებელი არ არის, რომ ადამიანი ერთ კონკრეტულ ტიპს ეკუთვნოდეს.

- მოძებნე წინადადებებში და დაასახელე ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები.
- შეუწყვე ზმნებს პირები და დაასახელე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი.
- დაასახელე, რომელი პირია წარმოდგენილი (**I, II** თუ **III**) და მიუთითე შესაბამისი პირისა და რიცხვის ნიშნები. დაასახელე, რომელ ბრუნვაშია სუბიექტი და ობიექტი.
- დაუბრუნდი ორპირიან და სამპირიან ზმნებს და დაასახელე, რომელ პირთა კომბინაციაა წარმოდგენილი ზმნაში ცალკეულ შემთხვევაში.
- დაუბრუნდი ზმნებს და დაასახელე, რომელი ტიპის ზმნებს (ვინიან 1-ს, ვინიან 2-ს თუ მანიანს) მიეკუთვნება თითოეული მათგანი.

2. **დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ წინადადებებს.**
   ა. დაასახელე რომელ მწკრივშია წარმოდგენილი თითოეული ზმნა;
   ბ. მიუთითე შესაბამისი მწკრივის ფუნქცია კონკრეტულ შემთხვევაში.
3. **წაიკითხე ობიექტური პირების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შეასრულე დავალებები.**
   ა. რით განსხვავდება პირდაპირი და ირიბი ობიექტები ფუნქციურად (შინაარსობრივი თვალსაზრისით)?
   ბ. რა განსხვავებაა მათ შორის ფორმის თვალსაზრისით?
   გ. რომელი ობიექტი იცვლის ბრუნვის ფორმას?
   დ. რომელ ბრუნვებში დგას:
      1. პირდაპირი ობიექტი?
      2. ირიბი ობიექტი?
   ე. რომელ მწკრივში იცვლის ობიექტური პირი ბრუნვას?
4. **დაუბრუნდი წინადადებებს და უპასუხე.**
   ა. ზმნის რომელ ტიპებს მიეკუთვნება იქ მოცემული ზმნები?
   ბ. რომელი ტიპის ზმნას აქვს პირდაპირი ობიექტი?
   გ. რა განსხვავებაა, ამ თვალსაზრისით, ვინიან 1-სა და ვინიან 2-ს შორის?
5. **წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რომელია პირდაპირი ობიექტი და რომელი – ირიბი.**
   ა. ისინი ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს.
   ბ. ფაცხებს ქალები აშენებენ.
   გ. მეფე სასახლის დასრულებას ვერ მოესწრო.
   დ. ბაირონი მეგობრებს შეჯიბრების მოწყობას სთავაზობს.

**I.** პირთა კომბინაცია **ვინიან (1)** ზმნაში

| S O | მე / ჩვენ | შენ /თქვენ | მას/მათ |
|---|---|---|---|
| მე / ჩვენ | ------- | გხატავ /თ<br>გხატავთ | ვხატავ /თ |
| შენ /თქვენ | მხატავ /თ<br>გვხატავ /თ | ------- | ხატავ /თ |
| ის /ისინი | მხატავს /ენ<br>გვხატავს /ენ | გხატავს /ენ<br>გხატავთ | ხატავს /ენ |

**II.** პირთა კომბინაცია **ვინიან (2)** ზმნაში

| S O | მე / ჩვენ | შენ /თქვენ | მას/მათ |
|---|---|---|---|
| მე/ ჩვენ | ------- | გემალები/თ<br>გემალებით | ვემალები/თ |
| შენ/ თქვენ | მემალები /თ<br>გვემალები/თ | ------- | ემალები /თ |
| ის/ ისინი | მემალება/იან<br>გვემალება/იან | გემალება/იან<br>გემალებათ | ემალება /იან |

**III.** პირთა კომბინაცია **მანიან** ზმნაში

| S O | მე / ჩვენ | შენ /თქვენ | ის/ისინი |
|---|---|---|---|
| მე / ჩვენ | ------- | მიყვარხარ/თ<br>გვიყვარხარ/თ | მიყვარს /<br>გვიყვარს |
| შენ / თქვენ | გიყვარვარ/თ<br>გიყვარვართ | ------- | გიყვარს /თ |
| მას / მათ | ვუყვარვარ /თ | უყვარხარ/თ | უყვარს /თ |

**ობიექტური პირები და მათი ფუნქცია**
**ობიექტური პირი (O) ორგვარია**

| პირდაპირი O | ირიბი O |
|---|---|
| სუბიექტის მოქმედება მასზე პირდაპირ (უშუალოდ) გადადის. ის სუბიექტის სამოქმედო საგანია/პირია. | ის არ არის სუბიექტის სამოქმედო საგანი, თუმცა სუბიექტის მოქმედება:<br>ა. მას ეკუთვნის.<br>ბ. მისკენ არის მიმართული. |

1. ა. დათო სურათს ხატავს. (რას შვრება?)
   ბ. დათომ სურათი დახატა. (რა ქნა?)
2. ა. დედა ელაპარაკება შვილს. (რას შვრება?)
   ბ. დედა დაელაპარაკა შვილს. (რა ქნა?)
3. ა. დათო სურათს უხატავს ძმას. (რას შვრება?)
   ბ. დათომ სურათი დაუხატა ძმას. (რა ქნა?)



გვ. 119

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

2. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს ა—ბ პუნქტებს.
3. სრულდება დავალების 1-ლი პუნქტი ზმნის ობიექტურ პირებთან დაკავშირებით.
4. წინა დავალებაზე დაყრდნობით, სრულდება ა—გ პუნქტები.
5. სრულდება დავალება ზმნის ობიექტურ და სუბიექტურ პირებთან დაკავშირებით.

## გვ. 120

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები ეცნობიან შეკითხვებს (ა—ე) და მსჯელობენ თემაზე.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტურისტული ბიუროს შემოთავაზებას (ოთხდღიანი ტური კაბადოკიაში I–IV) და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 194 № 1, 2: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 195 № 3, 4: სრულდება ენობრივი ტიპის სავარჯიშო.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს (1—4) 121—ე გვერდზე და გამოთქვამენ ვარაუდებს.
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტების მონაკვეთებს 121—ე გვერდზე და ასათაურებენ მათ დავალების ა—დ პუნქტების მიხედვით.



### ტურისტული გზამკვლევი

**1. გაეცანით შეკითხვებს და იმსჯელეთ მათზე.**

ა. ფიქრობ თუ არა, რომ აუცილებელია უცხო ქვეყანაში (ან ქალაქში) გამგზავრებამდე ფლობდე მის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას?
ბ. რა სახის ინფორმაცია უნდა გქონდეს ასეთ შემთხვევაში და რატომ?
გ. საიდან, რა გზით შეგიძლია ამ ინფორმაციის მოძიება?
დ. რა არის ტურისტული გზამკვლევი და რის შესახებ გვაწვდის ის ინფორმაციას?
ე. დაგეხმარება თუ არა გზამკვლევი უცხო ქალაქში (ქვეყანაში) და, კონკრეტულად – რაში?

**2. გაეცანი ტურისტული ბიუროს შემოთავაზებას და შეასრულე დავალებები რვეულში.**

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲙᲐᲑᲐᲓᲝᲙᲘᲐᲨᲘ – 4 ᲓᲦᲔ

**I დღე**
გასვლა ბათუმიდან 20.00 სთ-ზე; ჩასვლა კაბადოკიაში 10.00 სთ-ზე, სასტუმროში დაბინავება, საუზმე და დასვენება 3 საათი; 16.00 სთ-ზე „დევრენთის ხეობის“, გორემეს მუზეუმისა და მონქის ხეობის მონახულება; დაბრუნება სასტუმროში და ვახშამი.

**II დღე**
საუზმის შემდეგ გამგზავრება ესენთიპში პანორამული ხედებისა და ბუნებრივი კლდოვანი ციხე-სიმაგრეების სანახავად; შესვენება ავანოში და ლანჩი; ტურის ბოლოს მიბრუნება სასტუმროში და ვახშამი; ღამისთევა კაბადოკიაში.

**III დღე**
საუზმის შემდეგ გამგზავრება დერინკუჰუში და მიწისქვეშა ქალაქის მონახულება; მცირე ლანჩის შემდეგ ლაშქრობა იჰლარას ხეობაში და ეკლესიების ნახვა; დაბრუნება სასტუმროში და ვახშამი.

**IV დღე**
საუზმის შემდეგ გამგზავრება სელიმში პანორამული ხედების სანახავად. ტურის ბოლოს ურგუფში 2-საათიანი „შოპინგი“; სადილი სასტუმროში და გამომგზავრება ბათუმის მიმართულებით.

**ტურის ღირებულება:** 530 ლარი

**ფასში შედის:**
ტრანსპორტირება კომფორტული მიკროავტობუსით
დაბინავება 3-ვარსკვლავიან სასტუმროში
2-ჯერადი კვება
ქართულენოვანი გიდის მომსახურება
სამოგზაურო დაზღვევა თურქეთის ტერიტორიაზე

**3. დააკვირდი მოცემულ ფოტოებს (გვ. 121) და დაასახელე, რის შესახებ გვაწვდის თითოეული ფოტო ინფორმაციას?**

**4. წაიკითხე მოცემული თემები და დაუკავშირე ფოტოების თანმხლებ ტექსტებს. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ა. გართობა
ბ. სასტუმროები და კოტეჯები
გ. შენაძენი
დ. ღირსშესანიშნაობები

1



კაბადოკია, რომელიც „ლამაზი ცხენების ქვეყანას“ ნიშნავს, მსოფლიოს მერვე საოცრებად არის მიჩნეული. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, ნახონ 36-მდე მიწისქვეშა ქალაქი და უამრავი გვირაბი; დატკბნენ ვულკანური წარმოშობის ლანდშაფტებით; დაათვალიერონ კლდეში ნაკვეთი დასახლება და გორემეს ეროვნული პარკი, აგრეთვე, ეკლესიები და ციხესიმაგრეები.



2

შესაძლებლობა გექნებათ, საჰაერო ბურთით გაისეირნოთ უძველესი დასახლებების თავზე და დატკბეთ არაჩვეულებრივი პეიზაჟებით; ცხენით ისეირნოთ ხელუხლებელ ზღვის უბეებთან თუ გაშლილ ველებზე; დაესწროთ ნაციონალურ გასართობ პროგრამას რესტორანში; გაერთოთ და ისიამოვნოთ ეგზოტიკური ცეკვებით ქალაქ გორემეში.

3

თქვენ შეიძენთ ადგილობრივი წარმოების ნაირფერ ორნამენტებიან ხელნაკეთ ნივთებს, ნაჭრებისაგან შექმნილ „ბეზ ბებექლერის“ თოჯინებს. ასევე, შეგიძლიათ შეიძინოთ თიხის, ვულკანური ტუფისა და ქვებისაგან დამზადებული სუვენირები, ხელით ნაქსოვი ხალიჩები და უნიკალური ადგილობრივი ღვინო.





4

აქ საკმაოდ ბევრი სასტუმრო და პანსიონია. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაბანაკდეთ სტანდარტული სასტუმროსაგან ბევრად განსხვავებულ „პერი ბაჯასიში“, სადაც ყველა ოთახი ერთმანეთისაგან განსხვავებულადაა გაფორმებული, ან კლდეში ნაკვეთი სასტუმროს მშვენიერ ოთახებში დაბინავდეთ. გამოქვაბულში მოწყობილი სასტუმრო მთის ფერდობზეა განთავსებული, 6 გამოქვაბულს იკავებს და 30 ნომრისაგან შედგება.

**5.** **გაითამაშე სიტუაცია მეწყვილესთან ერთად – „ტურისტულ ბიუროში“. ამისათვის გაინაწილეთ როლები და მოამზადეთ შესაბამისი კითხვა-პასუხები. I. <u>კაბადოკიაში წამსვლელი:</u> გამოიყენე ტურისტული ბიუროს შეთავაზება და მოამზადე შეკითხვები. II. <u>ბიუროს თანამშრომელი</u>: გამოიყენე გზამკვლევის ინფორმაცია და მოამზადე შესაბამისი პასუხები.**

**6.** **დაიყავით ჯგუფებად, შეადგინეთ თქვენი რეგიონის (ქალაქის) გზამკვლევი და წარუდგინეთ კლასელებს.**



## გვ. 121

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 196 № 1: სრულდება ტექსტის გაგებაზე შესამოწმებელი სავარჯიშო (I-VI პუნქტები).

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

5. მოსწავლეები მონაწილეობენ სამეტყველო საკომუნიკაციო სიტუაციაში: მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მეწყვილეები ათამაშებენ სკეტჩებს თემაზე „ტურისტულ ბიუროში“, მონაცვლეობით ასრულებენ პოტენციური ტურისტისა და ტურისტული ბიუროს თანამშრომლის როლებს.
6. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. ცალკეული ჯგუფი მუშაობს მშობლიური რეგიონის/ქალაქის ტურისტულ გზამკვლევზე.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 198 № 1: ჯგუფების წევრები ინაწილებენ პასუხისმგებლობას/საქმიანობას და ასრულებენ გზამკვლევის შედგენისათვის საჭირო აქტივობებს (ა—ი პუნქტები).

გვ. 122

**წაკითხულის გააზრება**

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

<u>მასწავლებლის კომენტარები</u>

_______________

_______________

_______________

_______________

_______________

_______________

_______________



## წაკითხულის გააზრება

**წაიკითხე ორჰან ფამუქის „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“ და შეასრულე მოცემული მითითებები.**

*ცნობილი თურქი მწერალი, ორჰან ფამუქი, მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრიზისა და პრემიის მფლობელია.* ***2006*** *წელს იგი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურის დარგში.* ***2003*** *წელს ფამუქმა გამოაქვეყნა წიგნი თავის მშობლიურ ქალაქზე - თურქეთის დედაქალაქ სტამბულზე, სადაც დაიბადა და გაიზარდა. აი, როგორ აგვიწერს თურქი მწერალი თავისი ბავშვობის ქალაქს და ნავით გასეირნებას ბოსფორის სრუტეზე დედასთან ერთად.*



„ჩვენ მოგვწონს ბოსფორზე გასეირნება, რადგან ვგრძნობთ, რომ აქ... ზღვის თავისუფლებაა. ადამიანი, რომელიც გემით სწრაფად მიცურავს ბოსფორის მოუსვენარ წყალზე, გრძნობს, რომ ქალაქის ჭუჭყი და ბოლი ნაპირზე დარჩა, გრძნობს, როგორ ივსება ზღვის ძლიერებით და ხვდება, რომ აქაც, ადამიანების ჭიანჭველეთში, შეიძლება თავი მარტოდ და თავისუფლად იგრძნო. ეს წყლის დიდი სივრცე ქალაქის ცენტრში არ ჰგავს არც ამსტერდამის, არც ვენეციის არხებს, არც მდინარეებს, რომლებიც პარიზსა და რომს შუაზე ჰყოფს. არა, აქ ზღვის დინებები მოძრაობს, თავისუფალი ქარები ქრის...

თქვენ მიცურავთ დინებას აყოლილი, გვერდს უვლით დიდ გემებს, ქალბატონები ჩაის სვამენ და თან გათვალიერებენ; გვერდს უვლით მრავალსართულიან სახლებსა და ვილებს, ნავსადგურს და დაწნულ კაფეს. ჩაუვლით ბიჭუნებს, რომლებიც ნაპირიდან ზღვაში ხტებიან, ზოგი კი მზეზე გაწოლილი თბება; ჩაუვლით ანკესიან მეთევზეებს და კატერებს, სადაც მგზავრებს სძინავთ, სკოლიდან გამოსულ ჩანთიან მოსწავლეებს, საცობში გაჭედილი ავტობუსის მგზავრებს, რომლებიც ფანჯრიდან იყურებიან; ჩაუვლით ნეკერჩხლის ხეებს - აი, თურმე რამხელები ყოფილან! ჩაუვლით ბაღებში ჩაძირულ კერძო სახლებს, რომლებიც ნაპირიდან თითქმის არ ჩანს, ამიტომ მათ მხოლოდ ბოსფორზე სეირნობისას ხედავთ, ...მრავალსართულიან სახლებს და ამ ყველაფრის მიღმა თქვენ წინ ჩნდება და იშლება სტამბული – მეჩეთები, შორეული უბნები, ხიდები, ...კოშკები, ბაღები, მშენებარე სახლები, რომლებიც დღითიდღე იზრდება...

ჩემი ბავშვობის ბოსფორის დამახასიათებელი ნიშნები ერთმანეთის მიყოლებით ნელ-ნელა ქრებოდა. და ახლა, როდესაც მის სანაპიროზე ვსეირნობ, მიყვარს იმის გახსენება, რა იყო აქ ადრე... მთავარია, რომ ის, რაც ჩემთვის ბოსფორს ბოსფორად აქცევდა, ბავშვობის შემდეგ არ შეცვლილა. იგი სიკეთის, ოპტიმიზმის, ჯანმრთელობისა და კარგი განწყობილების დაუსრულებელი წყაროა, რაც ქალაქს ძალას მატებს და ცხოვრებას ამსუბუქებს.

„არც ისე ცუდი რამეა ეს ცხოვრება, – ვფიქრობ ხანდახან, – ბოლოსდაბოლოს, ყოველთვის შეიძლება ბოსფორზე გაისეირნო“.





**1. რატომ მოსწონს ავტორს ბოსფორზე გასეირნება?**

ა) იმიტომ, რომ გრძნობს ზღვის თავისუფლებას;
ბ) იმიტომ, რომ თავისუფლდება ჭუჭყისა და ბოლისაგან;
გ) იმიტომ, რომ თავისუფლდება ადამიანის ჭიანჭველეთისაგან;
დ) იმიტომ, რომ გრძნობს ზღვის სწრაფ დინებას.

**2. რა ზეგავლენას ახდენს ზღვის ძლიერების შეგრძნება ადამიანზე?**

**3. მწერლის სიტყვებით, ბოსფორის წყალი "მოუსვენარია". ამ სიტყვით მწერალი აღნიშნავს, რომ ბოსფორის სრუტეში:**

ა) ძალიან სწრაფი დინებაა;
ბ) წყალი მუდამ მოძრაობს;
გ) წყალი ხმაურით მოძრაობს;
დ) საკმაოდ სწრაფი დინებაა.

**4. „*ჭიანჭველეთი*" ჭიანჭველების საცხოვრებელს ნიშნავს. შენი აზრით, რატომ უწოდებს ორჰან ფამუქი თავის ქალაქს „ადამიანების ჭიანჭველეთს"? რა მსგავსებას ხედავს იგი ქალაქის მოსახლეობისა და ჭიანჭველების ცხოვრების წესს შორის?**

**5. მწერლის სიტყვებით, რა განასხვავებს ბოსფორს სხვა ქალაქების არხებისა და მდინარეებისაგან?**

**6. დააკვირდი მეორე აბზაცს, რომელშიც მწერალი აღწერს, რა სურათებს ხედავს ადამიანი ბოსფორზე გემით სეირნობისას. რამდენი ასეთი სურათია მეორე აბზაცში? დაასახელე რაოდენობა და მიუთითე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში.

1. დიდი გემები, სადაც ქალბატონები სვამენ ჩაის და თან გათვალიერებენ
2. მრავალსართულიანი სახლები და ა.შ.

**7. ამოიწერე მეორე აბზაციდან სიტყვები, რომლებიც მეორდება ტექსტში. დაუკვირდი, რას აღნიშნავს ეს სიტყვები? შენი აზრით, რატომ დასჭირდა მწერალს ამ სიტყვების გამეორება?**

**8. მეორე აბზაცში ვკითხულობთ: "ჩაუვლით ნეკერჩხლის ხეებს — აი, თურმე რამხელები ყოფილან". შენი აზრით, რა ემოციაა გამოხატული წინადადების მეორე ნაწილში?**

ა) სიხარული;
ბ) მწუხარება;
გ) გაოცება;
დ) შეშფოთება.

**9. დაასახელე სწორი ვარიანტი. "დღითი დღე" იგივეა, რაც:**

ა) ყოველდღე;
ბ) დღეგამოშვებით;
გ) დღისით;
დ) მთელი დღე.

**10. მწერლის სიტყვებით, მისი ბავშვობისდროინდელი ბოსფორის ნიშნები "ერთმანეთის მიყოლებით" გაქრა. ეს გულისხმობს, რომ ნიშნები:**

ა) თანდათან გაქრა;
ბ) საბოლოოდ გაქრა;
გ) სწრაფად გაქრა;
დ) მთლიანად გაქრა.

**11. მწერლის სიტყვებით, რისი წყაროა ბოსფორი? (უპასუხე მესამე აბზაცზე დაყრდნობით)**

**12. რა გავლენას ახდენს ბოსფორი ქალაქზე? (უპასუხე მესამე აბზაცზე დაყრდნობით)**



## გვ. 123

### წაკითხულის გააზრება

თემატური ერთეულის მოცემულ მონაკვეთთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შესავალ ნაწილში (ქვეთავი № 8).

მასწავლებლის კომენტარები

## მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები

### პირველი ნაბიჯები

**№1**

(დათო)– აჰა, გამომართვი...
(გოჩა)– ასანთი? (ისმის ასანთის გაკვრის ხმა)
(დათო)– ეს შენი მეგობარია?
– ხო, ჩვენი ახალი კლასელია, ბექა. კარგი ბიჭია.
– ბექას არ უნდა?
(ბექა)– არა, მე არ ვეწევი.
(დათო)– არ ეწევი?! შენხელა რომ ვიყავი, მე უკვე ვეწეოდი.
– რა ვიცი... თანაც ჯანმრთელობისათვის ცუდია.
(გოჩა)– კაი, რა, ყველა ეწევა! აჰა, გასინჯე! ნუ გეშინია, არავის ვეტყვით. გამომართვი!
(ბექა)– კარგი, მომეცი.
(გოჩა)– დათო, ის ლადო მასწავლებელი არ არის? წამო, სკოლის უკან გავიდეთ.

**№2**

– მაინც ვფიქრობ, მაკა, რომ არაფერი გამოვა.
–სულაც არა, სოფო. თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ.
– ვერაფერსაც ვერ მივაღწევ. ჭამაზე უარს ვერ ვიტყვი, არ შემიძლია.
– მერე ვინ გითხრა, რომ უარი უნდა თქვა? ცოტა ნაკლები ჭამე. რამდენ ჰამბურგერს ჭამ დღის განმავლობაში იცი?!
– ვიცი, საშინლად ვიქცევი.
– სოფო, მოკლედ, თავი უნდა დაანებო უზომოდ ჭამას. ვერ ხედავ, როგორ გასუქდი? არ გინდა, რომ ლამაზად გამოიყურებოდე? თანაც, ჯანმრთელობისთვისაც ცუდია.
– ვიცი. არც მე მომწონს, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ.
– იმიტომ, რომ ნებისყოფა არ გაქვს.
– მართალი ხარ, ნებისყოფა მართლა არ მაქვს.
– ჰოდა, მართალი თუ ვარ, **დამიჯერე** და ნებისყოფა გამოიმუშავე.
– ეგ როგორ?
– მე **გასწავლი**, რაც უნდა გააკეთო.
– მართლა **მასწავლი**?
– რა თქმა უნდა, **გასწავლი**.

**№3**

1. **– რა უნდა გავაკეთო, რომ ნებისყოფა გამოვიმუშავო?**
   – საკუთარ თავთან უნდა იმუშავო.
2. **– მასწავლი, რა უნდა გავაკეთო?**
   – რა თქმა უნდა, გასწავლი.
3. **– შენ გგონია, არ ვცდილობ?**
   – კიდევ ერთხელ სცადე!
4. **– ამის მიღწევა ძალიან ძნელია?**
   – სულაც არა, ოღონდ უნდა მოინდომო.

**№4**

– გამარჯობა, ამ სკოლაში სწავლობ?
– დიახ.
– შეიძლება, რამდენიმე შეკითხვაზე რომ მიპასუხო?
– დიახ, გისმენთ.
– რა მოხდა გუშინ სკოლაში?
– ვერ მივხვდი, რასთან დაკავშირებით მეკითხებით.
– გუშინდელ ინციდენტზე.
– აა, ჩხუბი რომ იყო? იცით, მე ზუსტად არ ვიცი, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც მითხრეს უფროსკლასელებს შორის ყოფილა რაღაც კამათი.
– რასთან დაკავშირებით, არ იცი?
– არა, ვერაფერს გეტყვით. იქნებ, სხვას ჰკითხოთ.
– კარგი. ის მაინც ხომ არ იცი, რომელი კლასელები იყვნენ?
– არა, არ ვიცი.

**№5**

ამ ბოლო დროს ნიკა ძალიან შეიცვალა. საერთოდ ველარ ვცნობთ. ადრე ძალიან საყვარელი და ალერსიანი ბავშვი იყო. ახლა კი, ისეთი უხეში და აგრესიული გახდა, ვერაფერზე დაელაპარაკები. ყველაფერზე გეპასუხება, ჩხუბობს, კამათობს. ყოველთვის უნდა, რომ თავისი გაიტანოს. ვერ გაიგებ, რას აკეთებს და რა უნდა. სწავლითაც ისე აღარ სწავლობს, გაკვეთილებსაც უკვე ხშირად აცდენს. შუაღამემდე ინტერნეტში ზის. ერთხანს სპორტი აინტერესებდა, შემდეგ მეგობრებთან ერთად რაღაც როკ-ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა. მერე ამაზეც უარი თქვა. არაფრის გაკეთება არ უნდა. მთელი დღე გარეთ, მეგობრებთან ერთად არის და დროს ტყუილად ფლანგავს.

**№6**

I. **(ლიკა)**: მე მომწონს, როცა უფროსები თბილად გესაუბრებიან და მეგობრად გთვლიან. ჩემი მშობლები სწორედ ასეთები არიან. შეიძლება გაგიკვირდეთ და, მათთან კონფლიქტი არასოდეს მქონია. ისინი არაფერში არ მზღუდავენ. შეიძლება, ეს იმიტომაც არის, რომ მე ისეთს არაფერს ვაკეთებ. ერთადერთი, ბებიაჩემი მეჩხუბება სახლის დალაგების გამო.

II. (**მანანა**): დღევანდელი ახალგაზრდები ძალიან თამამები და ზედმეტად თვითდაჯერებულები არიან. უფროსების რჩევებს არ იღებენ. ჰგონიათ, რომ ჩვენ დღევანდელობის აღარაფერი გვესმის. რატომღაც ისიც ჰგონიათ, რომ მართლები ყოველთვის ისინი არიან და ჩვენ, მშობლები ვცდებით. ძალიან ცუდად ესმით თავისუფლება. ამიტომაც არ მივცემ ჩემს შვილს უფლებას, შეცდომები დაუშვას და ცხოვრება აირიოს. ჩვენ უკეთ გვესმის, რა არის მათთვის ცუდი და რა– კარგი.

III. (**გურამი**): ძალიან კარგი ახალგაზრდობა მოდის, განათლებულები და ზრდილობიანები არიან. ზუსტად იციან, რა უნდათ და ყველაფერს აკეთებენ ამისათვის. ისინი უფრო მეტად გახსნილები არიან მშობლებთან, ვიდრე ჩვენ ვიყავით და ეს ძალიან მომწონს. ამიტომაც არ მიჭირს ჩემს შვილებთან მეგობრობა, პირიქით. რა თქმა უნდა, კონფლიქტებიც ხდება, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. ჩვენ ღიად ვსაუბრობთ ამის შესახებ და ერთად ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას.

IV. (**ნიკა**): ჩემი მშობლები საერთოდ ველარ მიგებენ, ან არ უნდათ, რომ გამიგონ. საერთოდ აღარ ესმით ჩემი. ყველაფერს მიკრძალავენ, არაფერი არ მოსწონთ, რასაც ვაკეთებ. მე მინდა, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყო, ისინი კი ითხოვენ, რომ ყველა ჩემი გადაწყვეტილება მათთან შევათანხმო. არ მენდობიან და არ სჯერათ ჩემი. ავიწყდებათ, რომ თვითონაც იყვნენ შვილები. ეს ყველაფერი კი ძალიან დიდ პროტესტს იწვევს ჩემში. ამის გამო ხშირად გაბრაზებულ გულზე ათას სისულელეს სპეციალურად ვაკეთებ.

## №7

I. (**ლიკა**): ძალიან რთული გადასაწყვეტია, რომელ პროფესიას აირჩევ. საკმაოდ ხშირად ვფიქრობ და მინდა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგა, მერე რომ არ ვინანო. ძალიან მინდა, რომ მიზანს მივაღწიო და წარმატებული გავხდე. გადაწყვეტილების მიღება ძალიან მიჭირს, ამიტომ, ალბათ, ჩემს მშობლებს დავუჯერებ.

I. (**ზურა**): მე კი ვფიქრობ, რომ ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა და პროფესიაც თავად აირჩიოს. ფაქტობრივად, საკუთარი გზა თვითონ უნდა განსაზღვრო. კარგად უნდა დაფიქრდე და აწონ-დაწონო, მერე რომ არ ინანო. სწორი გადაწყვეტილების მიღება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ამიტომაც არის არჩევანის გაკეთება რთული. პროფესია რომ აირჩიო, ის ძალიან უნდა გიყვარდეს და გინდოდეს.

II. (**ზაზა**): მეც ხშირად მიფიქრია ამ საკითხზე პატარაობიდანვე და აზრიც არაერთხელ შემიცვლია. ვიცი, რომ არსებობს ნაკლებად პოპულარული პროფესიებიც და ძალიან პოპულარულიც, მაგრამ ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, სულერთია. მთავარია, სადმე ჩავაბარო, რომ პროფესია მქონდეს.

## №8

რეზიუმე ანუ CV ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც იძლევა ადამიანის განათლების, მიღწევებისა და ინტერესების შესახებ ინფორმაციას. ის ლათინური სიტყვების "Curriculum vitae"-ს საწყისი ასოებია. "Curriculum vitae"-ს ცხოვრების აღწერას, გზას ნიშნავს. რეზიუმე აუცილებელია სამსახურში წარსადგენად, ამა თუ იმ ჯილდოს გადაცემისას ან კონკრეტულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

## №9

ის მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ოსეთი, ჩრდილო-დასავლეთით– ქვემო სვანეთი, სამხრეთით– იმერეთი, აღმოსავლეთით– შიდა ქართლი. (რაჭა)

I. მას დასავლეთიდან ესაზღვრება აფხაზეთი და შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან– რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სავანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით– იმერეთი და სამხრეთით გურია. მისი მთავარი ქალაქია ზუგდიდი. (სამეგრელო)

II. ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. იყოფა ორ ნაწილად– ზემო და ქვემო მხარედ. მისი მთავარი ქალაქი ქუთაისია. (იმერეთი)

## №10

**კლოჯი**– ასე უწოდებენ ქურთები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს, რომელსაც მარტში აღნიშნავენ.

I. **გიულეში** აზერბაიჯანელების ტრადიციული ორთაბრძოლაა.

II. **ხანუკას** ებრაელები 25 დეკემბერს აღნიშნავენ და ის 8 დღე გრძელდება.

III. **აბიქა**– ასე უწოდებენ ოსები შავ ლუდს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

IV. **ხაბე** ბოშების ტრადიციული წვნიანი კერძია.

V. **სუფსარქისობის** დღეს სომეხი გასათხოვარი გოგონები მარილიან კვერებს აცხობენ და მიირთმევენ.

# ეს ჩემი ცხოვრებაა !

## №1

მე პროფესიით იურისტი ვარ. ამჟამად ერთ-ერთ კერძო კომპანიაში იურისტად ვმუშაობ. მყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი – 20 წლის გაგა და 18 წლის ეკა. გაგა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. ეკა კი კოლეჯში სწავლობს. ძალიან ჭკვიანია, მაგრამ – ზარმაცი. უყვარს დეტექტივების კითხვა, ვერ იტანს უსამართლობას და ძალიან ეშინია ობობის (იცინის). კოლეჯის დამთავრების შემდეგ ეკაც იურისტობას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთული ვარ, ვცდილობ, თავისუფალი დრო ყოველთვის ოჯახთან ერთად გავატარო.

უკვე ორი წელია, რაც ჩემი ძმისშვილი თბილისში ჩამოვიდა და ჩვენს ოჯახში ცხოვრობს. ჩემს ძმას, მარის გარდა, კიდევ სამი შვილი ჰყავს. მარი ყველაზე უფროსია. ის ახლა I კურსის სტუდენტია. ძალიან შრომისმოყვარე და მიზანდასახული გოგოა. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ მასზე სხვები.

ეს სოსოა. მარისთან ერთად სწავლობს. სოსო ჩვენი უბნელია. ძალიან წესიერი და ზრდილობიანი ბიჭია. მას არასოდეს ჰქონია პრობლემები ვინმესთან. მომწონს მისი ურთიერთობები მშობლებთან და, საერთოდ, უფროს თაობასთან. ძალიან მიხარია, რომ სოსო და გაგა მეგობრები არიან. ისინი მუსიკის განსაკუთრებულმა სიყვარულმა დააახლოვა ერთმანეთს.

I. – ვერ შეგიშვებ, შენს ბილეთს ვადა გაუვიდა, ახალი უნდა აიღო!
– უი, კი არ დამიხედავს! სად უნდა განვაახლო ბილეთი?
– იქ, სადაც აიღე. ოღონდ, ცოტა ხნით მოცდა მოგიწევს, ახლა შესვენებაა.
– არა უშავს, დაველოდები. დროებით!

II. – გამარჯობა! ბილეთის განახლება მინდა, თუ შეიძლება?
– გაგიმარჯოს! რა თქმა უნდა, მომეცი ძველი.
(პაუზა)
– აი, ინებეთ.

III. – უკაცრავად, ბოლო თქვენ ხართ?
– დიახ.
– აქ გასცემენ პირადობის მოწმობებს?
– ალბათ. მაინც იკითხეთ, მე სხვა რამისთვის ვდგავარ.
– შეიძლება, ერთი წუთით რომ გამატაროთ? დავაზუსტებ.
– კი, ბატონო, მიბრძანდით!
– გმადლობთ.

IV. – გამარჯობა! პირადობის მოწმობის აღება მინდა.
– გაგიმარჯოს! მომეცი საბუთები!
– აი, ინებეთ!
– ფოტოსურათი?
– უი, არ მაქვს!
– აი, ხედავთ იმ კაბინას? იქ გადაიღეთ და მობრძანდით!
– დიდი მადლობა, ახლავე დავბრუნდები!

## №2

1. ბილეთის აღება, განახლება
2. მოწმობის აღება, განახლება, გაცემა
3. თანხის აღება, გაცემა, ამოწურვა
4. ვადის გასვლა, ამოწურვა

## №3

I. (ქუჩის ხმა. გაჩერებასთან)
– ეკა, როგორ ხარ? ვერ შეგამჩნიე. შენც ექვს ნომერს ელოდები?
– კი, მაგრამ რაღაც საეჭვოდ იგვიანებს.
– დიდი ხანია, ელოდები?
– 15 წუთი მაინც იქნება.
– არ გინდა, ფეხით წავიდეთ?
– ცოტა ხანს კიდევ დაველოდოთ, იქნებ გამოჩნდეს, თუ არადა, წავიდეთ!

II. (კაფეში ისმის ჩუმი მუსიკის ხმა და ლაპარაკი)
– გინდა, ეს შევუკვეთოთ?
– იაფია ეგ სალათა?
– რა მნიშვნელობა აქვს, მოდი, შევუკვეთოთ!
– კარგი, ეგ სალათა და ეს წვენი ავიღოთ!
(პაუზა)
– უკვე შეუკვეთავთ?
– დიახ, სალათა და წვენი მოგვიტანეთ, თუ შეიძლება!

III. (კოლეჯის დერეფანში მოსწავლეების ხმა)
– კმაყოფილი ხარ მოგზაურობით?
– კი, ძალიან. არაჩვეულებრივი იყო! დიდი სიამოვნებით წავიდოდი კიდევ.
– ხომ გითხარი, ძალიან მოგეწონება-მეთქი!
(პაუზა)
– ვაი, რომელი საათია?
– პირველის ნახევარი ხდება, რა მოხდა?
– ნანა უნდა მენახა ქვემოთ. მალე დაირეკება ზარი?
– მე მგონი, ხუთ წუთში.
– ძალიან კარგი, მოვასწრებ ამოსვლას.

## №4

ჯგუფის შექმნა ჯონ ლენონის სახელს უკავშირდება. ბავშვობაში ჯონი განსაკუთრებუ-ლი და შეურიგებელი ხასიათით გამოირჩეოდა: ვერ იტანდა სკოლას, უფრო მეტიც, სპეციალურად სწავლობდა ცუდად. სამაგიეროდ, უყვარდა ხელოვნება – მღეროდა გუნდში, გამუდმებით კითხულობდა მოთხრობას – „ალისა საოცრებათა ქვეყანაში" და უშვებდა ჟურნალს, რომელშიც საკუთარ ილუსტრაციებს აქვეყნებდა.

ჯონ ლენონი მრავალმხრივი ნიჭიერებით გამოირჩეოდა: იყო მომღერალი, კომპოზიტორი, მუსიკოსი (გიტარისტი, პიანისტი), პოეტი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, მხატვარი, მწერალი...

1957 წელს მან ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო გიტარაზე დაკვრით გატაცებული 15 წლის მოსწავლე – პოლ მაკარტნი, რომელიც თავის ჯგუფში მიიწვია. თავიდან პოლი დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. პოლის კვალს მიჰყვა მისი ბავშვობის მეგობარი და თანაკლასელი, ჯორჯ ჰარისონი.

1962 წელს, როცა მათ რინგო სტარი შეუერთდა, მსოფლიო ახალი ლეგენდის – თჰე Bეატლეს-ის დაბადების მოწმე გახდა.

## მოდა და სტილი

### №1

ბავშვები საუბრობენ ჰოლივუდზე (რეპლიკებს შორის მუსიკალური ჩაჭრები).

I. – რა არის ჰოლივუდი? ჩემთვის ეს დიდი კინოინდუსტრიაა თავისი ჰოლივუდური ფილმებითა და ვარსკვლავებით.

II. – ამერიკის მთავარი სიმბოლოა. ის ადგილია, სადაც ყველაზე მდიდარი ადამიანები ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავებთან ერთად.

III. – ჰოლივუდი? ჩემთვის ჰოლივუდი ოსკარის დაჯილდოება და წითელი ხალიჩაა, კიდევ – ცნობილი ვარსკვლავური წყვილების პირადი ამბები, სკანდალური ისტორიები, ინტრიგები...

IV. – ეს არის ადგილი, სადაც მსოფლიო ფილმების უმრავლესობას იღებენ, სადაც უდიდესი მსახიობები და რეჟისორები ცხოვრობენ.

V. – წარმოიდგინე, მიდიხარ ქუჩაში და უცებ მაღაზიიდან ქევინ ქოსტნერი ან ანჯელინა ჯოლი გამოდის, ან მანქანით ჯონი დეპი ჩაგიქროლებს... მაგარია, არა? აი, ეს არის ჩემთვის ჰოლივუდი.

VI. რა არის ჩემთვის ჰოლივუდი? ოცნება... მოვხვდე იქ და თუნდაც, მასობრივ სცენაში მივიღო მონაწილეობა.

VII. ჰოლივუდი ჩემთვის თავისუფლებაა. კიდევ, ფილმი „ტიტანიკია" და დი კაპრიო. ჩემი მშობლებისთვის „სიყვარულის ისტორია" და „მზიური ველის სერენადაა". რა ვიცი, ჰოლივუდია ის, სადაც ამ საოცარ ფილმებს იღებენ.

### №2

პირველი ოსკარის გადაცემა მოხდა 1929 წლის 16 მაისს ჰოლივუდში. ცერემონია რადიოთი გადაიცემოდა, 1953 წლიდან კი უკვე ტელევიზიით მიმდინარეობდა. 70 წლის განმავლობაში ის მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში ტარდებოდა, ხოლო 2004 წლიდან ცერემონია გადაიტანეს თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში.

პირველ ცერემონიას სულ 4 წუთი დასჭირდა. ცერემონიას 250 ადამიანი ესწრებოდა. ბილეთი 10 დოლარი ღირდა. სტატუეტი მიიღო ფილმმა „ფრთები". სპეციალური ჯილდო მიიღო ჩარლი ჩაპლინმაც უნივერსალობისათვის – მწერლური, სამსახიობო, რეჟისორული და პროდიუსერული გენიისათვის ფილმში „ცირკი".

„ოქროს ჟოლო" 1981 წელს ამერიკელმა პუბლიცისტმა, ჯონ უილსონმა დააწესა. ნომინანტების სიას კინემატოგრაფისტები, ჟურნალისტები და სხვადასხვა ქვეყნიდან „ოქროს ჟოლოს" ფონდის ანონიმური წევრები ადგენენ. ისინი თავიანთ არჩევანს ელექტრონული ფოსტის საშუალებით აკეთებენ.

„ოქროს ჟოლო" პლასტმასის ჟოლოს ფიგურაა, რომელიც ოქროსფრად არის შეღებილი. ლაურეატებს მას საჩუქრად გადასცემენ, საჩუქრის ღირებულება 5 დოლარზე ნაკლებია. „ოსკარის" ნომინალური ღირებულება კი 100 დოლარია, თუმცა აკადემიის კანონი კრძალავს მის გაყიდვას ან გასხვისებას. შესაძლებელია მისი მიყიდვა ისევ აკადემიისათვის სიმბოლურ ფასად – 1 დოლარად.

### №3

ბავშვები (I. ბიჭი, II. ბიჭი, III. გოგო) საუბრობენ მოდასა და სტილზე

**– რა არის „მოდა" და რას ნიშნავს „მოდურად ჩაცმა"?**

I. მოდა, ჩემი აზრით, არის ჩაცმის სტილი, მაგალითად, როგორ გაცვია – მოდურად თუ არა. მოდურად ჩაცმა ნიშნავს, რომ მოდას მიჰყვები. იმას იცვამ, რაც სხვებს აცვიათ.

II. მოდა არ არის მარტო ის, რაც გაცვია. მოდა არის ისიც, რა გიკეთია, როგორი მანქანით დადიხარ, ვინ ხარ პროფესიით... მაგალითად, დღეს მოდაშია იურისტობა და ... (პაუზა) კიდევ, მე მგონი, ბანკირობა. ამიტომაც დღეს ბევრს უნდა, რომ იურისტი ან ბანკირი გახდეს. რაც შეეხება „მოდურად ჩაცმას"... რა

თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ ის ჩაიცვა, რაც მოდაშია. მაგალითად, წელს მოდაშია ფართო და ჩაჩაჩული ჯინსის შარვლები. თუ ასეთი შარვალი გაცვია, ეს ნიშნავს, რომ მოდურად გაცვია.

III. მოდა არის ადამიანების მიერ, ასე ვთქვათ, აკვიატებული სტილი სხვადასხვა სფეროში. „მოდურად ჩაცმა“ არ გულისხმობს მარტო იმის ჩაცმას, რაც ყველას აცვია. ჩემი აზრით, მოდურად მაშინ გაცვია, თუ გემოვნებით იცვამ, ანუ იმას იცვამ, რაც გიხდება. მოდა არის ის, რაც გიხდება.

**– იცვლება თუ არა მოდა?**

I. იცვლება, მაგრამ ისე არა, რომ საერთოდ გაქრეს. მერე ისევ ბრუნდება ხოლმე. აი, ხომ ამბობენ, რეტრო სტილი დაბრუნდაო, ან ასეთი სტილის კაბები ჩვენს ახალგაზრდობაშიც მოდაში იყოო...

II. არ იცვლება. შეიძლება, ცოტა ხნით გადავიდეს რაღაც მოდიდან, მაგრამ მერე ისევ ბრუნდება მოდაში. მაგალითად, გრძელი თმები. ბაბუაჩემის ახალგაზრდობის სურათები მაქვს ნანახი. ყველას გრძელი თმა ჰქონდა ჩვენს ასაკში. ახლაც ხომ ატარებენ ბიჭები გრძელ თმას?

III. რა თქმა უნდა, მოდა იცვლება, ოღონდ გააჩნია, რას ეხება. ზოგჯერ სწრაფად იცვლება, ზოგჯერ – არა.

**– ჩაცმის როგორი სტილი მოგწონს და გაქვს თუ არა საკუთარი სტილი?**

I. რა ვიცი, განსაკუთრებული სტილი არ მაქვს. მეც იმას ვიცვამ, რასაც – სხვები. ისე, სპორტული სტილი ძალიან მომწონს. თავისუფლად ვგრძნობ თავს.

II. ჩაცმის საკუთარი სტილი არ მაქვს. ვცდილობ, ის ჩავიცვა, რაც მოდაშია, თუმცა ყოველთვის მოდურად არ მაცვია. ხან არ მიხდება ის, რაც მოდაშია, ხან მე თვითონ არ მომწონს... ისე... მე უფრო ... თავისუფალი სტილი მომწონს. კომფორტულია და თანაც დიდი არჩევანის საშუალებას გაძლევს.

III. მე კლასიკური სტილი მომწონს. უფრო ისეთია ... სერიოზული, თუმცა მე იშვიათად ვიცვამ კლასიკურად. ეს ისეთი რამეა, ყველგან ასე გამოწყობილი ვერ იქნები. ისე, ჩემი სტილია წელში გამოყვანილი ტანსაცმელი, აუცილებლად ქამრით ან გრძელი ყელსახვევით. ყელსახვევის გარეშე, ფაქტიურად, არც გავდივარ გარეთ.

**– მოგწონს თუ არა შენი თანატოლების ჩაცმულობა და რატომ?**

I. რა ვიცი, მე მომწონს. ისე, ყველას აქვს უფლება, ისე ჩაიცვას, როგორც უნდა. ეს არავის საქმე არ არის. ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას – არა. ყველას ხომ ერთნაირი გემოვნება არ აქვს, არა?! თან, ისე ვერც ჩაიცვამ, რომ ყველას მოეწონო. მთავარია, შენ მოგწონდეს და, თანაც, მოდურად გეცვას. ერთადერთი, რაც არ მომწონს, ეს არის, ბიჭები გრძელ თმას რომ ატარებენ. გოგონებში კი ... ვერ ვიტან, ძალიან შეღებილები რომ დადიან და ბევრი სამკაული რომ უკეთიათ.

II. მე არ მომწონს, ჯერ ერთი, რომ ყველას ერთნაირად აცვია. მეორეც, ზოგი ისე იცვამს, ვერ გაიგებ, რა არის. არადა, რომ ჰკითხოთ, აუცილებლად გიპასუხებთ, რომ მოდაშია... ასეც რომ იყოს, მერე რა?! თუ არ გიხდება, არ უნდა ჩაიცვა!

III. არც მე მომწონს, ბრმად რომ ბაძავენ ერთმანეთს, ან ვითომ რომ მოდას მიჰყვებიან. მნიშვნელობა არ აქვს, უხდება თუ არა, მთავარია, ისე ეცვას, როგორც ყველას აცვია. მიმაჩნია, რომ ასეთ ადამიანებს გემოვნება არ აქვთ. ჩემს გარშემო ბევრს გემოვნებით აცვია. ზოგიერთს ცოტა უცნაური სტილი აქვს, თუმცა მათ უხდებათ კიდეც. რა ვიცი, ასეთებიც არიან და ისეთებიც...

**№4**

**I. სიფო**

ჩემი ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, რა ჩავიცვა. გარდერობიდან ვყრი ყველაფერს და ვიწყებ არჩევას. უამრავი ტანსაცმელი მაქვს, მაგრამ მუდმივად ვწუწუნებ. ხან ეს არ მომწონს, ხან – ეს. არ მიყვარს ერთი და იმავეს ხშირად ჩაცმაც.

**II. რეზო**

წინასწარ არასოდეს ვფიქრობ, რა ჩავიცვა. ხელში რაც მომხვდება, იმას ვიცვამ. მნიშვნელობა არ აქვს, გარეთ როგორი ამინდია, ან როგორი განწყობით ვიღვიძებ. რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ამა თუ იმ სამოსზე არ მაქვს. ჩემთვის სულერთია, რა იქნება, მთავარია, სუფთა იყოს და თავი კომფორტულად ვიგრძნო. უფრო დიდ ყურადღებას ფეხსაცმელს ვანიჭებ.

**III. მაკა**

> ერთადერთი, რაც მყარად ვიცი, რომ უნდა ჩავიცვა, ჯინსებია. ზედა ჩასაცმელს კი იმის მიხედვით ვუხამებ, რა განწყობაზეც ვარ. მაქვს საყვარელი სამოსი, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებ. ძალიან მიყვარს კუბოკრული პერანგები. სხვადასხვა ფერის უამრავი კუბოკრული პერანგი მაქვს. ასე რომ, დიდ დროს არც ამაზე ვხარჯავ.

**IV. გაგა**

> მეორე დღის ჩასაცმელს ყოველთვის წინა დღით, დაწოლამდე ვამზადებ. დილით კი არჩევანს იმის მიხედვით ვცვლი, გარეთ როგორი ამინდია. მიუხედავად იმისა, რომ მიყვარს კარგად ჩაცმა, მოდას არასოდეს მივყვები. ვიცვამ იმას, რაც მომწონს და რაც მიხდება. სტილს იშვიათად ვიცვლი.

**№5**

1965 წელს მისი ჩვენება ინგლისის შემდეგ უკვე ნიუ-იორკში მოეწყო. შოუს შემდეგ მოდელები ბროდვეიზე სასეირნოდ ზუსტად ისე გამოწყობილები გავიდნენ, როგორც ჩვენებაზე იყვნენ. როგორც ამბობენ, გოგონების დანახვისთანავე მოძრაობა შეჩერდა. გაოცებული ხალხი ინტერესით აკვირდებოდა ამ სიახლეს. საღამოს საინფორმაციო გამოშვების ყველა არხზე მთავარ ამბად ამ მსვლელობას აშუქებდნენ.

**№6**

ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, რომელიც იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის მიერაა შექმნილი, დაახლოებით, 1503 წლით თარიღდება. იგი მსოფლიო კლასიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შედევრია. მიეკუთვნება აღორძინების პერიოდს. ნახატი გამოფენილია ლუვრში.

ნახატზე გამოსახულ ახალგაზრდა ქალზე დღემდე რამდენიმე სადავო და აბსურდული მოსაზრება არსებობდა. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო მხატვრის იდეალური ქალი, მეორეთათვის ის ახალგაზრდა ყმაწვილი იყო ქალის სამოსში, მესამენი ამტკიცებდნენ, რომ ეს თავად მხატვრის ავტოპორტრეტი იყო. უფრო სარწმუნო ინფორმაციით კი, კვალს ფლორენციელი ვაჭრის, დელ ჯოკონდოს ცოლთან მივყავართ.

**№7**

ამსტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ბოლოსდაბოლოს, ამოხსნეს ის საიდუმლო, რომელიც მონა ლიზას ღიმილში იმალება. კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, მათ გააანალიზეს ახალგაზრდა ქალების სახეების სხვადასხვა გამომეტყველება და დაასკვნეს: მონა ლიზას ღიმილში ჩაქსოვილია 83% ბედნიერება, 9% ნაღველი, 2% გულისწყრომა და 6% შიში.

**№8**

ცნობილმა ამერიკელმა ფოტოგრაფმა, სტივ მაკკარიმ 13 წლის ავღანელი გოგონა – შარბათ გულა 1984 წლის გაზაფხულის მიწურულს პაკისტანში, ავღანელი ლტოლვილების ბანაკში, ნახა. ავღანეთში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ გოგონას მშობლები დაღუპვოდა და ნათესავებთან ერთად თავშესაფარში ცხოვრობდა. გახუნებული და ალაგ-ალაგ დამწვარი თავსაბურავი ერთი-ორად მატებდა ელფერს გულას მომაჯადოებელ მზერას, რომელიც 17 წლის შემდეგაც ისეთივე იყო, როგორიც მაშინ, როცა პირველად ნახა ფოტოგრაფმა.

## არქიტექტურა

**№1**

მამის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე 18 წლის ლუდვიგი ავიდა. ბავარიის მოსახლეობა აღტაცებული იყო ახალგაზრდა მეფით. ლამაზი, ტანადი და ზრდილი ლუდვიგი ზღაპრულ უფლისწულს ჰგავდა. გერმანელმა კომპოზიტორმა, რიჰარდ ვაგნერმა, რომელმაც 19 წლის ლუდვიგი გაიცნო, პირველივე შეხვედრის შემდეგ განაცხადა: „მეფე ისეთი ბრწყინვალეა, ისეთი კეთილშობილი, ემოციური და განუმეორებელი, რომ ამ სასტიკ სამყაროში მისი სიცოცხლე, შესაძლოა, ისევე დაიკარგოს, როგორც ნაკადული სილაში“.

**№2**

I. აბანოთუბანი თბილისის უძველესი ნაწილია. სწორედ აქ იყო პირველი დასახლება. აბანოების უბანი გორგასლის მოედნის ოდნავ ქვემოთ იწყება და წავკისისწყლის ხეობის ბოლომდე და თაბორის მთის კალთის პატარა მონაკვეთზე ვრცელდება. გოგირდოვანი ცხელი წყლის წყაროები ამ მთიდან იღებს სათავეს. აბანოების დიდ ნაწილს ირანული არქიტექტურის კვალი ატყვია. აბანოებში დარბაზები მიწის ზედაპირიდან ქვევით არის განლაგებული და ისინი სპეციალური ფარნებით ნათდება. შედარებით დიდი დარბაზები მარმარილოთია მოპირკეთებული.

II. ნარიყალა თბილისის მთავარი ციხე-სიმაგრე იყო. XVII ს-მდე ციხის შიგნითა ტერიტორიაზე, იქ, სადაც შემოსასვლელი გვირაბია, განლაგებული ყოფილა „მეფის სასახლე“.

1827 წელს ციხის გალავნის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დააზიანა და დაანგრია. ადრეული მშენებლობის ნაშთები, რომლებიც დღესაც არის შემორჩენილი კოშკის კედლებში, ვახტანგ გორგასლისდროინდელია. ნარიყალას ორი მიწისქვეშა გასასვლელი ჰქონდა მტკვრისა და წავკისის წყლისკენ. მისი ერთ-ერთი კოშკი შუა საუკუნეებში ობსერვატორიად გამოიყენებოდა. შუა საუკუნეებშივე ნარიყალას ქვემო ეზოში იდგა ეკლესია, რომელიც ძველ გეგმებსა და ნახატებზე იყო შემონახული. დღეს ეს ეკლესია უკვე აღდგენილია.

III. ნარიყალას ციხე სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: „დედაციხე", „ნარიყალა", „შურის ციხე" და „კალას ციხე". ნარიყალა თავდაპირველად ციხე-კოშკის ყველაზე მაღალ ნაწილს ეწოდებოდა, შემდგომ გავრცელდა ეს სახელი მთლიანად ციხეზე. თავად სიტყვა „ნარიყალა" სპარსულია და შიდა ციხეს ნიშნავს. მანამდე მას კალას ციხეს უწოდებდნენ. მონღოლები კი მას „ნარინ ქალას" ანუ მცირე ციხეს უწოდებდნენ.

**№3**

1895 წელს, არქიტექტორ პოლ შტერნის პროექტით, თბილისში აშენებული ეს სასახლე 1989 წელს კინოსა და თეატრის მუზეუმად გადაკეთდა. სასახლე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარეობს. ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომს, ფრანც ტიტელს ეკუთვნოდა. სწორედ ტიტელის ქალიშვილმა ემილიამ შეუკვეთა ცნობილ არქიტექტორს, პოლ შტერნს, ახლანდელ კარგარეთელის ქუჩაზე სასახლის მშენებლობა. პროექტის დასრულებამდე შენობა შეიძინა გერმანელმა პრინცმა კონსტანტინე ოლდენბურგელმა, რომელმაც სასახლის აშენება დაასრულა. პოლ შტერნის პროექტმა სახეცვლილება განიცადა. მოგვიანებით ამ სასახლეში ცხოვრობდა სამეგრელოს უფლისწული, მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკე ანდრია დადიანი, შემდეგ კი – ანდრიას დის, სალომე დადიანის მეუღლე, პრინცი აშილ მიურატი.

## ტურიზმი

**№1**

I.

სამეცნიერო ფანტასტიკის, როგორც ჟანრის, დაბადების წლად შეიძლება 1862 წელი მივიჩნიოთ, როცა გამოვიდა ჟიულ ვერნის პირველი რომანი სერიიდან „არაჩვეულებრივი მოგზაურობანი – ხუთი კვირა ჰაერბურთზე".

თვით ჟანრის სახელწოდება – სამეცნიერო ფანტასტიკა – XX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა მწერალმა ჰიუგო გერნსბერკმა შემოიტანა.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამეცნიერო ფანტასტიკა მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც არ მომხდარა ან შეუძლებელია მოხდეს ცოდნის თანამედროვე დონეზე, თუმცა შეესაბამება სამომავლო ცოდნასა და აღმოჩენებს.

**II. (ინფორმაცია ჟიულ ვერნის შესახებ)**

კლასიკური სათავგადასავლო ლიტერატორი და სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჟიულ ვერნი ნებისმიერი ასაკის მკითხველისათვის გამორჩეულად საყვარელი მწერალია.

ბავშვობიდან შორეულ მოგზაურობაზე მეოცნებე ბიჭი 11 წლისაც არ იყო, როცა მშობლების დაუკითხავად ინდოეთში მიმავალ გემზე იუნგად მოეწყო, თუმცა მალევე უკან დააბრუნეს.

ადვოკატის ოჯახში გაზრდილმა ჟიულ ვერნმა, მამის სურვილით იურიდიული განათლება მიიღო. წარმატებით დაამთავრა პარიზში სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობაც დაიწყო, თუმცა მოგვიანებით ლიტერატურის სიყვარულმა და ალექსანდრე დიუმას პირადმა ზეგავლენამ მას არჩევანი შეაცვლევინა.

უცებ მოსული პოპულარობისა და სიმდიდრის შემდეგ ჟიულ ვერნმა პარიზი დატოვა და საცხოვრებლად ცოლის მშობლიურ ქალაქ ამიენში გადავიდა. იყიდა დიდი სახლი და პატარა ქალაქის სიწყნარეში, წერა-კითხვის გარდა, უდიდეს დროს თავისი ცნობილი კატალოგის შედგენას ახმარდა. სიცოცხლის ბოლოს მას 20 ათასი რვეული ჰქონდა, რომლებშიც, თემების მიხედვით მოთავსებული იყო: ენციკლოპედიური ცნობები, გაზეთებიდან ამონაჭრები, სხვადახვა სფეროში არსებული სიახლეები, საკუთარი მოსაზრებები, გამოგონებები და სხვა.

პოპულარობამ, შემოსავლებმა და სიწყნარეში განმარტოებით ცხოვრებამ ჟიულ ვერნის საშუალება მისცა, ბავშვობის ოცნება აეხდინა და მოგზაურობა დაეწყო. ის საკუთარი იახტებით მოგზაურობდა. „სენ-მიშელი I", „სენ-მიშელი II" და „სენ-მიშელი III" სხვადასხვა დროს მიაპობდნენ ბალტიის, ნორვეგიისა და ხმელთაშუა ზღვის ტალღებს.

**№2**

I. ჟიულ ვერნს მუშაობის საკუთარი რეჟიმი და წესი ჰქონდა: ის დილის 5 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობდა. შესვენების დროს კი ჩაისა და ორცხობილას მიირთმევდა ხოლმე.

II. (რატომ მიიღო ფოგმა მოგზაურობის გად-

აწყვეტილება)

– უნდა ითქვას, რომ სამი თვე საკმარისია დედამიწის ირგვლივ შემოსავლელად.

– კი, მაგრამ... ავდარი?! შემხვედრი ქარები?! საზღვაო და სარკინიგზო კატასტროფები?!

– ყველაფერი გათვალისწინებულია.

– კი, მაგრამ... ინდიელებმა ან ინდოელებმა რომ რკინიგზის ხაზი აყარონ?! (შესძახა გაოცებულმა) მატარებელი რომ გააჩერონ და ვაგონები რომ გაძარცვონ?!

– ყველაფერი გათვალისწინებულია.

– თეორიულად თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო ფოგ, მაგრამ პრაქტიკულად...

– პრაქტიკულადაც, მისტერ სტიუარტ!

– ასი ათას ფრანკზე ვდებ სანაძლეოს, რომ არსებულ პირობებში ასეთი მოგზაურობა შეუძლებელია.

– პირიქით, სავსებით შესაძლებელია.

– მაშ კარგი, ავასრულოთ იგი!

– ოთხმოც დღეში დედამიწის გარშემო?

– დიახ.

– დიდი სიამოვნებით!

– როდის?

– ახლავე, ამ საღამოსვე... მაშ ასე, დღეს, 1872 წლის 2 ოქტომბერს გავყვები მატარებელს და ამავე დარბაზში დავბრუნდები 21 დეკემბერს, შაბათს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე.

– ეს ხომ ხუმრობაა!

– ჭეშმარიტი ინგლისელი არასოდეს ხუმრობს, როცა საქმე ისეთ სერიოზულ ამბავს ეხება, როგორიც ნაძლევია!

III. (ვინ არიან ოლბერმეილი, ფიქსი და აუდა)

ა. ლონდონიდან მიმავალ ფილეას ფოგს, რასაკვირველია, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი გამგზავრება დიდ აურზაურს გამოიწვევდა და ასეც მოხდა. ყველა თვლიდა, რომ დედამიწის ირგვლივ შემოვლა ასეთ მოკლე დროში არამცთუ შეუძლებელი, არამედ სიგიჟეც კი იყო. მისტერ ფოგს მხოლოდ ერთი მომხრე ჰყავდა – ეს იყო ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული მოხუცი ლორდი ოლბერმეილი.

ბ. მისტერ ფოგის გამგზავრებიდან 1 კვირის თავზე, საღამოს 9 საათზე დედაქალაქის პოლიციის დირექტორმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „მივყვები ბანკის მძარცველის, ფილეას ფოგის, კვალს. დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ ბომბეიში ორდერი მისი დაპატიმრების შესახებ. პოლიციის აგენტი ფიქსი“.

გ. ეს ულამაზესი ქალი აუდა მდიდარი ბომბეელი ვაჭრის ქალიშვილი იყო. ტომით

პარსმა გოგონამ სუფთა ინგლისური განათლება მიიღო და ქცევითა და განათლებით თავისუფლად მიიჩნეოდა ევროპელ ქალად. გათხოვებიდან სამი თვის

შემდეგ აუდა დაქვრივდა. ინდოეთში არსებული ადათის თანახმად, ის გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად ცოცხლად უნდა დაეწვათ.

IV. (ფიქსისა და პასპარტუს პირველი დიალოგი)

– აქაურობას ათვალიერებთ, არა?

– დიახ, მაგრამ ისე მალ-მალე გადავდივართ ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ ასე მგონია, სიზმარში ვმოგზაურობთ.

– მაშასადამე, ძალიან ჩქარობთ?

– მე არა, მაგრამ ჩემი ბატონი – კი. მართლა, პერანგები და წინდები მაქვს საყიდელი! ჩვენ ბარგის გარეშე, მხოლოდ ერთი ხელჩანთით წამოვედით.

– მე მიგაცილებთ ისეთ ბაზრამდე, სადაც ყველაფერს იშოვით.

– ბატონო, თქვენ ძალიან თავაზიანი ბრძანდებით.

– მაშასადამე, თქვენ საჩქაროთ დატოვეთ ლონდონი?

– რასაკვირველია. გასულ ოთხშაბათს ბატონი ფოგი, მისთვის უჩვეულოდ, საღამოს 8 საათზე დაბრუნდა თავისი კლუბიდან და 45 წუთის შემდეგ ჩვენ უკვე გამოვემგზავრეთ.

– კი, მაგრამ საით მიეშურება თქვენი ბატონი?

– მუდამ წინ, დედამიწას უნდა შემოუაროს!

– დედამიწის გარშემო? (შესძახა ფიქსმა)

– დიახ, 80 დღეში, სანაძლეო აქვს დადებული. ჩვენ შორის დარჩეს, მაგრამ არ მჯერა... რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს.

– ძალზე თავისებური კაცი ჩანს ეს ბატონი ფოგი...

– მეც ასე მგონია.

– ალბათ მდიდარიცაა?!

– ალბათ. აკი მოაქვს კიდეც კარგა მოზრდილი თანხა, სულ ახალ-ახალი საბანკო ბილეთებით. გზაში ხარჯს არ ერიდება.

– დიდ ხანია, რაც თქვენს ბატონს იცნობთ?

– მე სწორედ გამომგზავრების დღეს დავიწყე მასთან სამსახური.

## №3

დაპატიმრებულმა ფილეას ფოგმა ჩანთიდან მოგზაურობის განრიგი ამოიღო და მიაწერა: „21 დეკემბერი, შაბათი, ლივერპული. მე-80 დღე, დილის 11 საათი და 40 წუთი“. 2 საათისა და 33 წუთის შემდეგ გაირკვა, რომ ფოგი დამნაშავე არ იყო.

ამ ამბიდან 25 საათის შემდეგ, ლონდონში დაბრუნებულმა ფოგმა, პასპარტუს წყალობით,

შემთხვევით გაარკვია, რომ შაბათის ნაცვლად პარასკევი იყო. როგორც ჩანს, ფოგმა დედამიწას 79 დღეში შემოუარა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ის აღმოსავლეთისაკენ გაემართა. პირიქით რომ წასულიყო, მაშინ მისტერ ფოგი ერთ დღეს დაკარგავდა.

მართლაცდა, აღმოსავლეთისკენ მოძრაობის დროს ის მზის საპირისპიროდ მიდიოდა და რამდენი გრადუსითაც წინ მიიწევდა, იმდენი 4 წუთი აკლდებოდა ყოველ დღეს. დედამიწის წრეწირი 365 გრადუსად იყოფა. თუ ამ 365 გრადუსს 4 წუთზე გავამრავლებთ, ზუსტად 24 საათს მივიღებთ. სწორედ ამიტომაც მოიგო მისტერ ფოგმა ერთ დღე და, შესაბამისად, სანაძლეოც მოიგო. ამისათვის კი მან ტრანსპორტის ყველა საშუალება გამოიყენა: რკინიგზა, ეტლები, იახტები, გემები, მარხილი და სპილო.

## №4

სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით დედამიწის გარშემო მოგზაურობასთან დაკავშირებით, არაერთი რეკორდი უკავშირდება ცნობილი ამერიკელი მილიონერისა და მოგზაურის, სტივ ფოსეტის, სახელს. ფოსეტი იყო პირველი, რომელმაც 2002 წელს სრულიად მარტომ, 58 წლის ასაკში, 13 დღეში შემოუფრინა დედამიწას საჰაერო ბურთით. 2004 წლის 4 მარტს მან გაიმეორა დედამიწის გარშემო მსგავსი მოგზაურობა, ოღონდ ამჯერად უკვე თვითმფრინავით. ამისათვის მას 67 საათი, 2 წუთი და 38 წამი დასჭირდა. ერთი წლის შემდეგ სტივ ფოსეტმა დედამიწის გარშემო მოგზაურობა იალქნიანი ხომალდით სცადა. ამ მოგზაურობას სტივმა 58 დღე, 9 საათი და 32 წუთი მოანდომა.

## №5

ეს ერთ-ერთი ფიორდია. ასე უწოდებენ ნორვეგიაში ხმელეთში ღრმად შემოჭრილ ზღვას, რომელიც ვიწრო ყურეს ქმნის. ნაპირებზე კი უზარმაზარი კლდეებია, უფრო სწორად, კლდოვანი მთები. ფიორდები ძალიან ლამაზია თავისი პატარა დასახლებებით, ტბებით, ჩანჩქერებითა და ტყეებით. აქ ყველაფერი სიმწვანეშია ჩაფლული, წყალი კი გამჭვირვალე და ფირუზისფერია. უზარმაზარი ჩანჩქერები კლდიდან წვრილი ნაკადებით ეშვება და ზღვაში ხმაურით ჩადის. ზღაპრული სანახაობაა. ყურეში შეგიძლია XIX ს-ში აგებული თბომავლებითაც გაისეირნო და ზღვიდან დასტკბე ამ ულამაზესი ხედებით. ყოველწლიურად ასობით ათას ტურისტს იზიდავს ეს ადგილები.

ეს კი ბერგენშია გადაღებული. 1299 წლამდე ის ნორვეგიის დედაქალაქი იყო. ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. შვიდ მთას შორის არის მოქცეული და ფიორდების შუაგულში მდებარეობს. ძალიან ლამაზი ქალაქია. მე-14-16 სს-ში აშენებული უძველესი ხის სახლები დგას. აქ არის შუასაუკუნეებისდროინდელი სანაპირო ზოლი, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, უდიდესი აკვარიუმი. სხვათაშორის, თვითონ ამ აკვარიუმში კიდევ 9 აკვარიუმია, რომელთაგან 3 ღიაა. ზღვის წყალი შედის და იქ სელაპები და პინგვინები ბინადრობენ.

## №6

ოსლოში ჩასვლიდან მესამე დღეს იოტუჰაიმენში წასვლა გადავწყვიტეთ. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ზღაპრული და იდუმალებით მოცული სამყარო. მთებსა და კლდეებში მოქცეულ მიხვეულ-მოხვეულ გზას ტროლების გზასაც უწოდებენ. აქვეა ნორვეგიაში ყველაზე მაღალი მთებიც.

ღამით მოვამზადეთ მთაში სასიარულო წყალგაუმტარი ფეხსაცმელი, თბილი სამოსი, საწვიმარი და ბევრი წყალი და მეორე დილით ადრიანად გავედით. პირველად ირმების მოსანახულებლად წავედით. ავტობუსით სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ 2-3 საათი ფეხით ვიარეთ კლდე-ღრეში. ბოლოს, როგორც იქნა, ჰორიზონტზე პატარა წერტილები გამოჩნდა, რომლებიც ნელ-ნელა იზრდებოდა. ძალიან ლამაზი სანახაობა იყო თეთრ ქათქათა თოვლზე გაშლილი ირმების ჯოგი.

წყაროსთან ცოტა დავისვენეთ და უკან, ჩვენი ავტობუსისკენ გამოვბრუნდით. ავტობუსით მივედით მდინარემდე, სადაც პატარა გემი გველოდა, რომელსაც სასტუმრომდე უნდა მივეყვანეთ. უკვე საღამო იყო და საკმაოდ ციოდა, მითუმეტესს, გემზე. 30 წუთიანი მგზავრობის შემდეგ ჩვენი სასტუმროც გამოჩნდა. ეს იყო მთებში ჩადგმული პატარა ხის კოტეჯი. მალე ვახშამზეც დაგვიძახეს და ცხელი თევზის წვნიანიც მოგვართვეს.

სხვათა შორის, ნორვეგიელების მთავარი საკვები სწორედ თევზია. თევზით აკეთებენ ისინი ყველაფერს – ცივი კერძი იქნება თუ ცხელი. ასევე განსაკუთრებულია თხის ყავისფერი ყველი, რომელსაც მხოლოდ ნორვეგიაში ამზადებენ დარომელიც ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ყველს გააჩნია განსხვავებული გემო და ფერი, რომელიც ყვითელი ფერიდან მუქ ყავისფერ ფერამდე მონაცვლეობს. ტურისტები მას როგორც სუვენირს, ისე ყიდულობენ. მეც ჩამოვიტანე ცოტა.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნორვეგიულმა ხის ეკლესიებმა. ეს უცნაურსახურავიანი უფანჯრებო ნაგებობა ხეობაში დგას განმარტოებით და შორეულ მთებს გაჰყურებს. ამბობენ, რომ ეს ეკლესიები თავისი აგებულებით ძალიან ჰგავს ვიკინგების გემებს.

## №7

ტიბეტი აზიაში, ჰიმალაის მთების ჩრდილოეთით მდებარეობს. ის, ძირითადად, ტიბეტელებით არის დასახლებული. მისი საშუალო სიმაღლე 4,900 მეტრია ზღვის დონიდან. ამ მაჩვენებლით, ტიბეტი

დედამიწის უმაღლესი რეგიონია. სწორედ ტიბეტში მდებარეობს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი – ევერესტი.

ტიბეტი ჩინეთის შემადგენლობაში შედის ავტონომიური რეგიონის სახით. მისი დედაქალაქია ლჰასა. პოლიტიკური და სულიერი ლიდერია დალაი ლამა.

## №8

I. **(კაცი და ქალი)**

– ორი დღე ჩვენს განკარგულებაშია. შეხვედრებს რომ მოვრჩებით, თავისუფლად მოვასწრებთ რაღაცების ნახვასაც.

– როგორ მინდა ულურუს ნახვა! წარმოგიდგენია, შუაგულ უდაბნოში უცნაური და ულამაზესი მთა, რომელიც ფერს იცვლის იმის მიხედვით, დღის რომელი მონაკვეთია ან როგორი ამინდია!

– ვიცი, ნანახი მაქვს. მართლაც შთამბეჭდავია. საღამოხანს ოქროსფერია, მზის ჩასვლისას ჯერ წითლდება, შემდეგ კი იასამნისფერში გადადის. მოღრუბლულ ამინდში კი ნაცრისფერია.

II. **(ბებია და ბაბუა)**

– ძალიან გაგვიმართლა. ახლა იაპონიაში საუკეთესო პერიოდია ტურისტული ვიზიტისათვის. საკურას ყვავილობის სეზონი დაიწყო.

– აბა, წარმომიდგენია, რა მშვენიერი იქნება ამდენი აყვავილებული ალუბლის ხე!.. რას ეძებ?

– მაინტერესებს, რომელ საათზე მივფრინავთ.

– აქ ვერ მოძებნი. თუ გინდა, ცნობათა ბიუროში ვიკითხოთ!

## №9

ულურუ ავსტრალიის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. ადგილობრივი ანანგუს ხალხისთვის ის წმინდა ადგილია. მისი სიგრძე 3 კილომეტრია, სიმაღლე – 348 მეტრი, ხოლო მიწისქვეშ 2 100 მეტრია. მთის ასაკი 600 მილიონი წელია.

პირველი ტურისტები ულურუს სანახავად 1936 წელს ჩავიდნენ. 1948 წელს გაჩნდა პირველი გზა მთის გარშემო და ტურისტული ავტობუსები.

საკურას იაპონიაში დეკორატიულ ალუბლის ხეს უწოდებენ. იგი გაზაფხულზე ყვავილობს. მისი ყვავილების შეფერილობა სხადასხვაა: შეიძლება იცვლებოდეს მკვეთრი ვარდისფრიდან თეთრისაკენ. საკურას ყვავილობა ერთიდან ორ კვირამდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში იაპონელები მის ძირში ატარებენ მთელ დღეს, სვამენ საკეს და ტკბებიან ულამაზესი და სურნელოვანი ალუბლის ყვავილობით.

## №10

I. დიალოგი რესტორნის შვეიცართან (ქალი და კაცი)

– გამარჯობა!

– მოგესალმებით! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან! მაგიდა წინასწარ გაქვთ შეკვეთილი?

– არა, არ შეგვიკვეთავს. ახლა გვინდა, შევუკვეთოთ. ხომ გაქვთ თავისუფალი მაგიდები?

– ახლავე ვნახავ. ორისთვის გნებავთ?

– არა, ოთხნი ვიქნებით.

– ერთი წუთით! (პაუზა) ფანჯარასთან ხომ არ გნებავთ დასხდომა?

– დიდი სიამოვნებით, თუ ეს შესაძლებელია!

– დიახ, აქეთ მობრძანდით!

– გმადლობთ!

II. დიალოგი ოფიციანტთან (ბებია და ბაბუა)

– ყველაფერი რიგზეა?

– დიახ, დიახ... შეგვიძლია, თავიდან შევუკვეთოთ? (ბაბუა)

– კი, ბატონო. წინა შეკვეთა გავაუქმო?

– ძალიან ვწუხვართ! თუ ეს შესაძლებელი იქნება... (ბაბუა)

– ჩვენ გადავწყვიტეთ, თქვენი საფირმო კერძები გავსინჯოთ. ხომ ვერ დაგვეხმარებით? (ბებია)

– რა თქმა უნდა! შეკვეთას გავაუქმებ და ახლავე დავბრუნდები. თქვენ მანამდე შეგიძლიათ, ეს ნახოთ!

– აბა, მაჩვენე ეს რა არის? (ბაბუა)

– არ ვიცი... გარეგნულად კი ლამაზად გამოიყურება... (ბებია)

– ნეტა, ისეთივე გემრიელი თუა? (ბაბუა)

– შეარჩიეთ რამე?

– იქნებ თქვენ გვირჩიოთ? (ბაბუა)

– ოღონდ ცხარე ნუ იქნება! (ბებია)

– მე ამას გირჩევთ. შემწვარი ქათმის ხორცია სანელებლებით შეზავებული. ოდნავ მოტკბო გემო დაჰკრავს. ესეც ძალიან გემრიელია – ზღვის პროდუქტები ბრინჯის გარნირით.

– კარგი, ორივე მოგვიტანეთ და... ცოტა მოგვიანებით – დესერტი და მწვანე ჩაიც, თუ შეიძლება!

– კი, ბატონო!

III. დიალოგი სასტუმროში (ქალი და კაცი)

– გამარჯობა, ჩვენ ორი ნომერი გვქონდა დაჯავშნული.

– თქვენი პირადობის მოწმობები მაჩვენეთ, ახლავე შევამოწმებ.

– აი, ინებეთ!

– (პაუზა) კი, ბატონო, არის. ოღონდ სხვადასხვა სართულზეა. გადაცვლა ხომ არ გნებავთ?

– არა, არ არის პრობლემა.

– ხუთი ღამით გნებავთ, ხომ?

– დიახ, ექვსში დილით დავცლით ნომრებს.

– გასაგებია. აი, აქ მოაწერეთ ხელი... ინებეთ ხურდა... აი, თქვენი გასაღებები. ლიფტი ხელმარჯვნივ გახლავთ, კიბესთან.

– დიდი მადლობა!

IV. დიალოგი სასტუმროში (ბებია და ბაბუა)

– უკაცრავად, შეიძლება დაგელაპარაკოთ?

– დიახ, გისმენთ!

– ოთახის გამოცვლა გვინდა, თუ ეს შესაძლებელია!

– რამე პრობლემაა?

– იცით, ქუჩის მხარეს გადის ჩვენი ოთახის ფანჯრები და საშინელი ხმაური შემოდის.

– რომელია თქვენი ოთახი?

– 303-ე.

– იმავე სართულზე, სამწუხაროდ, თავისუფალი არც ერთი ნომერი აღარ გვაქვს. შემიძლია, ერთი სართულით მაღლა შემოგთავაზოთ. ძალიან მყუდრო ოთახია და დიდი აივანიც აქვს შესანიშნავი ხედით, მაგრამ თანხის დამატება მოგიწევთ.

– რამდენი უნდა დავამატოთ?

– 15 დოლარია სხვაობა. სულ – 75 დოლარი. თუ თანახმა იქნებით...

– კი, ბატონო, ახლავე გადავიხადოთ?

– ერთი წუთით, დამელოდეთ, თუ შეიძლება.

## №11

I. დიალოგი ქალაქში (ორი ქალი და ორი კაცი)

– გაიცანი, აი, ესენი არიან ჩემი მეგობრები. უკვე ორი წელია, აქ ცხოვრობენ. (კაცი)

– სასიამოვნოა! (ქალი)

– მოგეწონათ აქაურობა? (იქაური ქალი)

– ჯერ ვერაფრის ნახვა ვერ მოვასწარით. მთელი დღე შეხვედრები გვქონდა. (ქალი)

– დღეს რა გეგმები გაქვთ? (იქაური კაცი)

– 12 საათზე გვაქვს ერთი შეხვედრა. ხუთზე თავისუფლები ვიქნებით. (კაცი)

– ძალიან კარგი, შეგვიძლია, საღამო ერთად გავატაროთ. (იქაური კაცი)

– მოდი, ჯერ ქალაქი დავათვალიერებინოთ და შემდეგ ღამის კლუბში წავიდეთ. ჰა, რას იტყვით? (იქაური ქალი)

– კარგი იდეაა. დაძაბული დღის შემდეგ კარგად გავერთობით. (კაცი)

II. დიალოგი ქალაქში (ბებია და ბაბუა)

– დავიღალე. სასტუმროში დავბრუნდეთ და ცოტა დავისვენოთ! (ბებია)

– რას ამბობ, რა გვინდა ახლა სასტუმროში?! მოდი, პარკში გავიაროთ, იქ დავისვენოთ და მერე ჩაის სახლშიც შევიდეთ. თუ გინდა, ჯერ ჩაის სახლში წავიდეთ. მოიცა, ვნახავ, აქედან ახლოს რომელია. (ბაბუა)

10

# მიზნებისა და შინაარსის რუკა

| თემატური ერთეული | თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი | რას შევძლებთ? |
|---|---|---|---|
| პირველი ნაბიჯები | • ჩვენი უფლებები<br>• ახალი თანაკლასელი<br>• პრობლემები ახალ სკოლაში<br>• წიგნი თუ კომპიუტე-რი?<br>• მავნე ჩვევები და ნე-ბისყოფა<br>• მეამბოხე თაობა<br>• მშობლები და შვილები<br>• რას ირჩევენ მოზარ-დები?<br>• პროფესიული განათ-ლება<br>• ეს ჩვენი საქართვე-ლოა!<br>• საქართველო მათი სახლია! | • პირობით-შედეგობითი წინადადება<br>• მომავალში შესასრულებელი მოქმედება (წარმოება და ფუნქციები)<br>• სხვისი ნათქვამის გადმოცემა (ციტირება / პარაფრაზი; სხვათა სიტყვის ნაწილაკები)<br>• I და I ობიექტური პირების გამოხატვა ზმნა-ში.<br>• I თურმეობითი (შესრულებული მოქმედების შედეგი) | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, მოგონებები, საქმიანი ქაღალდები, პირადი წერილები...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• არსებული პრობლემების გარშემო მსჯელობას, სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• სხვების პოზიციების მოსმენა-გაგებასა და შეფასებას.<br>• არსებული პრობლემების გარშემო მსჯელობასა და სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• მომავალი არჩევანისა და გადაწყვეტილებების გარშემო ინტერაქციას.<br>• რჩევებისა და რეკომენდაციების წერას.<br>• საქმიანი ქაღალდების (განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე) შექმნას.<br>• ინტერვიუსა და საგაზე-თო სტატიის შექმნას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| | **ეს ჩემი ცხოვრებაა!** | | |
| ყველაფერი ჩემ შესახებ | • ჩემი უბანი<br>• საჯარო დოკუმენტები<br>• ახალგაზრდა ქართველი მსახიობის ცხოვრებიდან<br>• მერილ სტრიპის ბიოგრაფიული შტრიხები | • ნაცვალსახელების (პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი) წარმოება და ფუნქციები<br>• კითხვითი სიტყვები | • სხვადასხვა ტიპის (ინტერვიუ / მოგონებები / ბიოგრაფიული ხასიათის) ტექსტების წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• ადამიანის, გარემოს აღწერა-დახასიათებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• მცირე ინფორმაციული ტექსტის შექმნას.<br>• დიალოგების მოსმენასა და გაგებას.<br>• დიალოგების შედგენას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| სტრესი და ბიორითმი | • ყოველდღიური ცხოვრების ბიორიტმი<br>• ახალგაზრდა ქართველი მსახიობის ცხოვრების რიტმი<br>• სტრესი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები<br>• ადამიანთა ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპები<br>• ჰოროსკოპი და ადამიანთა ფსიქოტიპები | • ზედსართავი სახელის წარმოება და ფუნქციები<br><br>• II კავშირებითი (წარმოება და ფუნქციები) | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის (ინფორმაციული, მარტივი სამეცნიერო, შემეცნებითი) ტექსტების წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• საკუთარი ყოველდღიური ცხოვრების რიტმზე საუბარს.<br>• სხვათა გადაწყვეტილების გარშემო მსჯელობასა და შესაბამისი პოზიციის გამოხატვას.<br>• სტრესული სიტუაციების, სხვადასხვა ფსიქოტიპის გარშემო მსჯელობასა და გაანალიზებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| არაორდინა-ლური ადამიანები | • „ბითლები“ და „ბითლზ-ორეულები“<br><br>• ინდირა განდი და მარგარეტ ტეტჩერი<br><br>• გენიოსი თუ შეშლი-ლი (სალვადორ დალის შესახებ)? | • არსებითი სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• ადამიანთა შედარებით დახასიათებას.<br>• ადამიანთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• ადამიანთა მოქმედების მოტივის განმარტებას, მათი საქციელის შეფასებას.<br>• სხვადასხვა ბიოგრაფი-ული ტექსტის შედარებით წაკითხვასა და სათანადო დასკვნების გაკეთებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| | **მოდა და სტილი** | | |
| ზღაპრული ჰოლივუდი | • ძველი და ახალი ჰოლივუდი<br><br>• წითელ ხალიჩაზე<br><br>• ოსკარი და ოქროს ჟოლო<br><br>• ოდრი ჰეპბერნი (მე-20 ს-ის ელეგანტურობის ეტალონი) | • მოქმედების შესრულების დრო და გამოხატვის ფორმები (მწკრივები, დროის ზმნიზედები, სახელები და საწყისები, შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები)<br><br>• ვინიანი და მანიანი ზმნები | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექს-ტების (საინფორმაციო, შემეცნებითი, ბიოგრაფიული...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• საკუთარი პოზიციის წერილობით გამოხატვასა და დასაბუთებას.<br>• მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრებას.<br>• ამბების ზეპირ და წერილობით გადმოცემას.<br>• ვარაუდის და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოდა საზღვრებგარეშე | • როგორ გამოვიყურებით<br>• რა არის მოდა?<br>• აქსესუარები და მათი ისტორია<br>• კოკო შანელი | • წარსული დროის გამოხატვა ზმნური ფორმით<br>• მანიანი ზმნები წარსულში<br>• ვინიანი ზმნები წარსულში | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, შემეცნებითი, ბიოგრაფიული...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• საკუთარი პოზიციის ზეპირი და წერილობითი სახით გამოხატვასა და დასაბუთებას.<br>• მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრებას.<br>• ვარაუდის და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| სილამაზე და მისი სტანდარტები | • სილამაზის აღქმა სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში<br>• ჯოკონდას საიდუმლო<br>• ფოტოთი დაჭერილი წამები<br>• შარბათ გულას ისტორია | • მოქმედების მრავალგზისობა<br>• ვინიანი ზმნები სავრცოიან მწკრივებში | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• ინტერაქცია სილამაზის სტანდარტებზე<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა-გაგება და გააზრება<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• საკუთარი ვერსიების ჩამოყა-ლიბებსა და არგუმენტირებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| | **არქიტექტურა** | | |
| უძველესი საცხოვრებლები | • ადამიანთა პირველი დასახლებები<br>• სხვადასხვა ხალხის საცხოვრებელი (ვიგვამი, იგლუ, იურთი)<br>• ძველი და ახალი ცივილიზაციების შერწყმა<br>• პიგმეები | • მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• შენობა-ნაგებობების აღწერა/დახასიათებას.<br>• აღწერითი ტექსტების წაკითხვას, მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• აღწერითი ტიპის წერილობითი ტექსტების შექმნა<br>• საკუთარი ვერსიების ჩამოყა-ლიბებსა და არგუმენტირებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| რას გვიამბობენ შენობები | • არქიტექტურული ძეგლი – ქვეყნის, ქალაქის სიმბოლო<br>• არქიტექტურული სტილი<br>• ლუდვიგ II ბავარიელი<br>• ფრანკენშტაინის საიდუმლო | • I თურმეობითი (წარმოება და ფუნქციები)<br>• II თურმეობითი (წარმოება და ფუნქციები) | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვას, მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• საკუთარი ვერსიების ზეპირი და წერილობითი სახით ჩამოყალი-ბებსა და არგუმენტირებას.<br>• ადამიანთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• ადამიანთა მოქმედების მოტივის განმარტებას, მათი საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| ძველი და ახალი თბილისი | • ნარიყალა და აბანოთუბანი<br>• ძველი თბილისური საცხოვრებელი (ბანი, ტერასა)<br>• ქართველი გერმანელები და გერმანული არქიტექტურა თბილისში<br>• სიყვარულის სასახლე – მითი და სინამდვილე | • მსაზღვრელ-საზღვრული (მსაზღვრელის რაოდენობა, ადგილი, ფუნქცია; ბრუნვა და რიცხვი) | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების (ისტორიული, საინფორმაციო, შემეცნებითი; ლეგენდების) წაკითხვას, მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• საკუთარი ვერსიების ზეპირი და წერილობითი სახით ჩამოყა-ლიბებსა და არგუმენტირებას.<br>• ადამიანთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• ადამიანთა მოქმედების მოტივის განმარტებას, მათი საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |

| | ტურიზმი | | |
|---|---|---|---|
| „80 დღე დედამიწის გარშემო“ | • ჟიულ ვერნის ბიოგრაფიული შტრიხები<br>• „80 დღე დედამიწის გარშემო“ | | • მხატვრული ტექსტის წაკითხვას, მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• სხვადასხვა ეპიზოდის შედარებით კონკრეტული დასკვნების გამოტანას.<br>• პერსონაჟთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• მათი მოქმედების მოტივის განმარტებასა და საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• ვარაუდების გამოხატვასა და არგუმენტირებას.<br>• კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| ზღაპრულ ქვეყანაში | • სკანდინავიური საოცრება<br>• ნაწყვეტები დათო ტურაშვილის თხზულებიდან „ტიბეტი არ არის შორს“. | • მომავალი დროის გამოხატვა ზმნით<br>• ზმნისწინი და მისი ფუნქციები | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების<br>წაკითხვას, მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• სხვადასხვა ეპიზოდის შედარებით კონკრეტული დასკვნების გამოტანას.<br>• ზეპირ და წერილობით ინტერაქციას სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქალაქის გარშემო<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| ვიზიტი უცხოეთში | • აეროპორტში<br>• სასტუმროში<br>• რესტორანში<br>• ურთიერთობა უცხო ტურისტთან<br>• ტურისტულ ბიუროში<br>• მოგზაურობა კაბადოკიაში (ტურისტული გზამკვლევი) | • პირთა რაოდენობა ზმნაში<br>• პირთა კომბინაცია ზმნაში<br>• ობიექტური პირები და მათი ფუნქცია | • ფოტოებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოხატვას.<br>• საკომუნიკაციო დიალოგების მოსმენა-გაგებასა და შექმნას.<br>• საკომუნიკაციო სიტუაციების მოსმენა-გაგებსა და გააზრებას.<br>• ტურისტული გზამკვლევის წაკითხვასა და გაგებას.<br>• თქვენი რეგიონის (ქალაქის) გზამკვლევის შედგენასა და მის წარდგენას. |

## 11
## ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი
## X დონე

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები**

| მოსმენა | კითხვა | წერა | ლაპარაკი | სწავლის სწავლა |
|---|---|---|---|---|
| **ქ. მ. X. 1.** მოსწავლეს შეუძლია კომპლექსური შინაარსის სხვადასხვა ტიპის აუდიო/ვიდეოჩანაწერის (საინფორმაციო, შემეცნებითი, გასართობი ხასიათის ტელე-რადიო გადაცემები და სხვა) მოსმენა და გაგება.<br><br>**ქ. მ. X. 2.** მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.<br><br>**ქ. მ. X. 3.** მოსწავლეს შეუძლია მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას. | **ქ. მ. X. 4.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტის გაგება.<br><br>**ქ. მ. X. 5.** მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. X. 6.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული ტექსტის გაგება.<br><br>**ქ. მ. X. 7.** მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული ტექსტის გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. X. 8.** მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის ტექნიკა.<br><br>**ქ. მ. X. 9.** მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br><br>**ქ. მ. X. 10.** მოსწავლეს შეუძლია ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის გაანალიზება. | **ქ. მ. X. 11.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა არამხატვრული (საინფორმაციო, შემეცნებითი, ესე და სხვა) ტექსტის დაწერა.<br><br>**ქ. მ. X. 12.** მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.<br><br>**ქ. მ. X. 13.** მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწეროს მცირე ზომის მხატვრული ტექსტი (მინიატურა, ნოველა).<br><br>**ქ. მ. X. 14.** მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები.<br><br>**ქ. მ. X. 15.** მოსწავლეს შეუძლია წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) შედეგის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. | **ქ. მ. X. 16.** მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო დისკუსიებში იმ კონკრეტული პრობლემის გარშემო, რომელსაც საკითხავ ტექსტებში გაეცნო.<br><br>**ქ. მ. X. 17.** მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ისაუბროს მისთვის საინტერესო თემებზე.<br><br>**ქ. მ. X. 18.** მოსწავლეს შეუძლია თავი გაართვას უჩვეულო საკომუნიკაციო სიტუაციებს (მაგ., აბრალებენ იმას, რაც არ ჩაუდენია; ნათხოვარი ნივთი შემთხვევით დაუზიანდა; შინაურულად ხვდება ადამიანი, რომელსაც ვერ ცნობს და სხვა).<br><br>**ქ. მ. X. 19.** მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებების გამოყენების უნარი.<br><br>**ქ. მ. X. 20.** მოსწავლეს შეუძლია სათანადო სტრატეგიების გამოყენება სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად. | **ქ. მ. X. 21.** მოსწავლეს შეუძლია პროექტის (მაგ., ზეიმის მოწყობა; შეხვედრები იმავე ქალაქში/რეგიონში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებთან, კოლორიტებთან და ა.შ. ადგილობრივი მუზეუმის კატალოგის შექმნა ვებგვერდზე განსათავსებლად დასხვა) განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.<br><br>**ქ. მ. X. 22.** მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად განჭვრიტოს შესასრულებელი დავალების მოთხოვნები.<br><br>**ქ. მ. X. 23.** მოსწავლეს შეუძლია სტრატეგიული უნარების გამოყენება წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად.<br><br>**ქ. მ. X. 24.** მოსწავლეს შეუძლია სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სათანადო რესურსების გამოყენება.<br><br>**ქ. მ. X. 25.** მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის დამუშავება მისი დამახსოვრებისა და ეფექტურად გამოყენების მიზნით.<br><br>**ქ. მ. X. 26.** მოსწავლეს შეუძლია შედეგების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლოს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთან. |

## მოსმენა

**ქ.მ.X.1. მოსწავლეს შეუძლია კომპლექსური შინაარსის სხვადასხვა ტიპის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის (საინფორმაციო, შემეცნებითი, გასართობი ხასიათის ტელე-რადიო გადაცემები და სხვა) მოსმენა და გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (*თანამოსაუბრეებს, თემას, საკითხებს*);
- ამოიცნობს გადაცემის მიზანს (*რას ემსახურება: მსმენელის ინფორმირება, გართობა, კრიტიკა, გამოხმაურება და სხვა*) და ადრესატს (*ვისთვის არის განკუთვნილი*);
- იგებს გადაცემის შინაარსს;
- ამოიცნობს წამყვანის/მონაწილეების მიერ გამოთქმულ პოზიციებს, თვალსაზრისებსა და შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- განარჩევს მთავარ საკითხს არამთავარისაგან;
- ამოიცნობს არგუმენტებს და აფასებს, რამდენად დამაჯერებელია და ეფექტური არგუმენტაცია;
- ამოიცნობს მონაწილეთა განწყობილებებსა და ემოციებს;
- მოვლენებს შორის ამოიცნობს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ავტორის თვალსაზრისს მიჯნავს რესპონდენტის/მონაწილის თვალსაზრისისაგან;

**ქ.მ.X.2. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ამა თუ იმ ტექსტისთვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ საშუალებებს (მაგ., ***მხატვრულ-პუბლიცისტურში*** *- მსმენელისადმი უშუალო მიმართვა, რესპონდენტების აქტიური ჩართვა, კითხვითი და ძახილის წინადადებების ხშირი გამოყენება, ემოციურობა, პოზიცია/დამოკიდებულების ღია გამოვლენა და ა.შ.;* ***ოფიციალურ-საქმიანში*** *- ენობრივი ფორმულების, კლიშეებისა და შტამპების გამოყენება, ზუსტი თარიღების მითითება, სათანადო ლექსიკის გამოყენება და სხვა*);
- ამოიცნობს დროისა და მოვლენათა თანამიმდევრობის აღმნიშვნელ ენობრივ-გრამატიკულ ერთეულებს (მაგ., *დიდი ხნის წინათ...; მაშინ - როდესაც; როგორც კი - მაშინვე და სხვა*);
- ამოიცნობს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და განარჩევს სხვათა სიტყვას;
- ამოიცნობს სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;

**ქ.მ. X. 3. მოსწავლეს შეუძლია მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობადდა მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის მოსმენისას იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (*ხმის ტემბრი, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ლოგიკური მახვილები, ილუსტრაცია, სქემა*);
- ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (*საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი*);
- ინიშნავს უცნობ სიტყვებს მათი მნიშვნელობის გასარკვევად;
- აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა;
- ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოაქვს დასკვნა, თუ რომელი მიდგომა იყო ეფექტური;
- იხსენებს, სხვა საგნებში რა ტიპის სტრატეგია გამოუყენებია ინფორმაციის მოსმენისას, ადარებს ძველ და ახალ გამოცდილებას, გამოაქვს დასკვნები;
- უყურებს და უსმენს მისთვის საინტერესო ქართულენოვან ტელე\რადიო გადაცემებსა და ფილმებს.

კითხვა

**ქ. მ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტის გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ტექსტის მიზანს (*რისთვის არის დაწერილი ტექსტი*) და ადრესატს (*ვისთვის არის განკუთვნილი*);
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო და ადგილი და სხვა*);
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ამოიცნობს ავტორის მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს კონკრეტულ საკითხზე;
- ადარებს სხვადასხვა ტექსტს ერთი და იმავე თემის/იდეის/პრობლემის მიხედვით და გამოაქვს შესაბამისი დასკვნა;
- მსჯელობს ტექსტში განვითარებული მოვლენების შესახებ და საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების დასასაბუთებლად იყენებს ტექსტის შესაბამის ადგილებს;
- დასკვნა გამოაქვს მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
- მიჯნავს ფაქტს დამოკიდებულებისაგან /ვარაუდისაგან/ შეფასებისაგან;

**ქ. მ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ტექსტის გრაფიკულ-გამომსახველობითი საშუალებების ეფექტურობაზე; აფასებს, რამდენად უწყობს ხელს ტექსტის დიზაინი ტექსტის შინაარსის აღქმას (მაგ., *ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფა, ნაწილების დასათაურება და სხვა*);
- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის სტრუქტურა მიზანს;
- ამოიცნობს და განმარტავს სათანადო ლოგიკურ და ქრონოლოგიურ მარკერებს (მაგ., *მიზეზშედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათშეხამებები და სხვა*);
- განსაზღვრავს, რა ფორმით არის გადმოცემული სხვისი მეტყველება (პირდაპირი/ირიბი) და მსჯელობს შერჩეული ფორმის ეფექტურობაზე;
- ამოიცნობს და განმარტავს, რატომ არის თხრობა I ან III პირში;
- I პირში მონათხრობი გადაჰყავს III პირში და მსჯელობს მიღებულ ეფექტზე.

**ქ.მ.X. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული ტექსტის გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს, რა არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*სად და როდის ხდება მოქმედება; გამოკვეთს დროისა და სივრცის მიმანიშნებელ დეტალებს და სხვა*);
- ამოიცნობს პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის პირდაპირ (*ავტორისეული დახასიათება*) და არაპირდაპირ (*პერსონაჟის საქციელი, მისი ფიქრები/განცდები...*) ხერხებს;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;
- თხრობითი ხასიათის ნაწარმოებში გამოკვეთს მოვლენათა თანამიმდევრულობას; ამოიცნობს ამბის დასაწყისსა და დასასრულს შორის ლოგიკურ კავშირებს;
- განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის/ამბის ინტერპრეტაციას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას/პოზიციას ტექსტში ასახულ კონფლიქტთან/პრობლემასთან/მოვლენასთან დაკავშირებით და ასაბუთებს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;

**ქ. მ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სხვადასხვა ხასიათის/სახის ტექსტის სტილურ და ენობრივ მახასიათებლებს (მაგ., *საგაზეთო პუბლიკაციებში - მკითხველისადმი უშუალო მიმართვა, დარწმუნებისა და ზემოქმედების ხერხები, რესპონდენტების აქტიური ჩართვა, კითხვითი და ძახილის წინადადებების ხშირი გამოყენება, სხვათა ნათქვამის გამოყენება; შემეცნებით ტექსტში - ინფორმაციის წყაროების მითითება, სხვისი სიტყვების ჩართვა, სპეციალური ტერმინების*

*გამოყენება, ზმნების სიმცირე და არსებითი სახელების სიჭარბე და სხვა*);
- ამოიცნობს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ქმნის განწყობას ნაწარმოებში;
- კონკრეტულ ენობრივ ნიშნებზე დაყრდნობით მიუთითებს, გვხვდება თუ არა ტექსტში ავტორისეული მეტყველება და მოვლენების ავტორისეული შეფასება;
- ამოიცნობს და განმარტავს პერსონაჟის სახის შექმნის ხერხს/გზას (მაგ., *ავტორისეული დახასიათება, პორტრეტი, მეტყველება, ქცევა, ურთიერთობა და სხვა*).

**ქ.მ.X.8. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ხმამაღალი კითხვის ტექნიკა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- წაკითხვამდე განსაზღვრავს, რისი აქცენტირება სურს ტექსტში და რა საშუალებებით;
- ეფექტურად იყენებს ინტონაციას (*სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას, შინაარსის შესაბამისად ცვლის მეტყველების ტემპს, ხმის ტემბრს და სიმაღლეს*) და სხეულის ენას (*მიმიკა, ჟესტიკულაცია*);
- ეფექტურად იყენებს ლოგიკურ (აზრობრივ) და ფსიქოლოგიურ (*დაძაბულობის, მოლოდინის, გაჩუმების*) პაუზას;
- ეფექტურად იყენებს ლოგიკურ მახვილს, როგორც სიტყვის გამოყოფისა და ხაზგასმის საშუალებას წინადადებაში;
- კითხვის პროცესში ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან.

**ქ. მ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- იყენებს გაცნობითი კითხვის ხერხებს: აკვირდება ტექსტის აგებულებას, სათაურს, აბზაცებს, ილუსტრაციებს, წარწერებს, გამოყოფილ სიტყვებს და სხვა; არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე;
- იყენებს შესწავლითი კითხვის ხერხებს: პირველი წაკითხვისას მთლიანად ეცნობა ტექსტს; სირთულეების დასაძლევად გადაიკითხავს გაუგებარ, რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს; კონტექსტის, გამოცდილების ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;
- იყენებს ძიებითი კითხვის ხერხებს: კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით სწრაფად გადაიკითხავს ტექსტს, ეძებს საყრდენებს: საკვანძო სიტყვებს, აბზაცების პირველ წინადადებებს, რუბრიკებს, განმარტებებს და სხვა;
- დამოუკიდებლად ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების დახმარებით (*ილუსტრაციები, ნაცნობი ფუძე, კონტექსტი, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვები და სხვა*);
- სხვადასხვა ელემენტის მოშველიებით (*სათაური, აბზაცების დასაწყისი, ერთ-ერთი აბზაცი, გამოყოფილი სიტყვები*) გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა;
- საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს როგორც მშობლიურ, ისე სხვა ენაზე მიღებულ გამოცდილებას.

**ქ.მ. X.10. მოსწავლეს შეუძლია ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამოიცნობს ტექსტში ასახულ სოციოკულტურულ გარემოს და ავლებს პარალელს მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან (მაგ., *აღმსარებლობა, ცხოვრების წესი, ისტორიული ეპოქის თავისებურებები და სხვა*);
- აანალიზებს პერსონაჟის დამოკიდებულებას კონკრეტული სოციოკულტურული ფასეულობების მიმართ და ავლებს პარალელს საკუთარ გარემოსთან (მაგ., *მისი დამოკიდებულება, შეხედულება სხვა სოციოკულტურული ფასეულობების მქონე თანაკლასელის, მეზობლის და სხვათა წეს-ჩვეულებაზე, ტრადიციაზე*);
- კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას კორექტულად გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს/დამოკიდებულებას/პოზიციას;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს მოცემულ გარემოში;
- ამოიცნობს მყარი იდიომატური გამოთქმების მნიშვნელობას კონტექსტის მიხედვით და პოულობს მათ შესატყვისს მშობლიურ ენაში;
- სიმულაციური სიტუაციების გათამაშებისას იცავს სხვა სოციოკულტურული გარემოსათვის დამახასიათებელ ნორმებს;



Mascavleblis_Cigni_Done-10 _ 153

## წერა

**ქ.მ. X.11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა არამხატვრული (საინფორმაციო, შემეცნებითი, ესე და სხვა) ტექსტის დაწერა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით ირჩევს ტექსტის სტილსა და ფორმას;
- განსაზღვრავს პრობლემას, გამოკვეთს საკითხის/თემის აქტუალურობას;
- ეთანხმება ან უარყოფს არსებულ მოსაზრებებს სათანადო მხარდამჭერი ან უარმყოფელი არგუმენტების მოშველიებით;
- მკაფიოდ და თანამიმდევრულად აყალიბებს საკუთარ პოზიციას პრობლემის მიმართ;
- საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს სათანადო არგუმენტები (მაგ., *ფაქტები პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან, სტატისტიკური წყაროებიდან...*);
- ტექსტის შესადგენად ინტეგრირებულად იყენებს სხვა დისციპლინებში შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.
- სათანადოდ აფორმებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს.

**ქ.მ. X.12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ითვალისწინებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებს (მაგ., *კორესპონდენციის ფორმალური მხარე*);
- სწორად იყენებს აბზაცსა და სხვა სტრუქტურულ მახასიათებლებს (*სათაური, ქვესათაური* და *ა.შ.*);
- სათანადოდ იყენებს შესაბამისი სტილის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებებს (მაგ., *მკითხველისადმი უშუალო მიმართვა; სხვათა ნათქვამის, ანუ ციტირების გამოყენება*);
- საგანგებოდ გამოყოფს ცალკეულ თვალსაზრისს შესაბამისი ენობრივი ფორმულებით (მაგ., *როგორც ავტორი ამბობს და სხვა*);
- იყენებს შესაბამის მარკერებს სუბიექტური დამოკიდებულების გამოსახატავად (მაგ., *არა მგონია, ვფიქრობ, დასაშვებია, სავარაუდოა და სხვა*);
- მართებულად იყენებს მსჯელობისა და არგუმენტაციისათვის დამახასიათებელ ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს;
- იყენებს ემოციურ სიტყვებსა და გამოთქმებს, შთამბეჭდავ შედარებებს;
- ნაცნობი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით აგებს და სათანადო ფუნქციით იყენებს რთულ წინადადებებს;
- პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთებისას სათანადოდ იყენებს შესაბამის კავშირებს (მაგ., *თუ პირდაპირი ნათქვამი კითხვითია,* ***თუ*** *კავშირს (მაგ., გიორგიმ ჰკითხა, თუ წამოვა), თხრობითის ან ბრძანებითის შემთხვევაში კი –* ***რომ*** *კავშირს (მაგ., გიორგიმ უთხრა, რომ წამოვიდეს*);
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის ნორმებს.

**ქ.მ. X.13. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწეროს მცირე ზომის მხატვრული ტექსტი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოდელის, პირობის მიხედვით წერს ტექსტს;
- შესწავლილი ტექსტის კონტექსტის (*სოციალური, ისტორიული, კულტურული - დრო, ადგილი, ეპოქა, გარემო და სხვა*) შეცვლით თხზავს ახალ თხზულებას იმავე თემაზე, პრობლემაზე;
- ქმნის მხატვრულ ტექსტს მოცემული სათაურის, თემის ან ფაბულის მიხედვით;
- მოცემული დასაწყისის მიხედვით აგრძელებს ტექსტს ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პერსონაჟის ხასიათის წაარმოსაჩენად მიმართავს სხვადასხვა ხერხს (*საქციელის აღწერა; სიტყვები, გამონათქვამები, რომლებიც მის ხასიათზე მეტყველებენ...*);
- მოვლენების აღწერისას გადმოსცემს საკუთარ განცდებსა და შთაბეჭდილებებს.

**ქ.მ.X.14. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს თხრობითი ხასიათის მხატვრული ტექსტის დამახასიათებელ არსებით ნიშნებს (*თემა, სიუჟეტი, ფაბულა, პერსონაჟი*);
- იცავს სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (*დასაწყისი - მოვლენათა განვითარება - დასასრული*);

- აღწერა-დახასიათებისას მართებულად იყენებს შესაბამის ლექსიკასა და სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს;
- სწორად განსაზღვრავს ერთ საზღვრულთან დაკავშირებულ რამდენიმე მსაზღვრელის რიგს წინადადებაში;
- მოვლენების სხვადასხვა დროში გადმოცემისას სწორად იყენებს ზმნის სათანადო მწკრივის ფორმებს;
- რთული კონსტრუქციების აგებისას იყენებს როგორც კავშირიან, ისე უკავშირო შეერთებას;
- მომავალში შესასრულებელი სასურველი თუ სავარაუდო მოქმედების გამოსახატავად იყენებს ზმნის მარტივ და რთულ ფორმებს;
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის ნორმებს.

**ქ.მ. X.15. მოსწავლეს შეუძლია წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) შედეგის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საჭიროების შემთხვევაში, რესურსებში მოიძიებს დამატებით ინფორმაციას;
- მიმართავს გონებრივ იერიშს და ჩამოწერს/ჩაინიშნავს ყველა იდეას, რომლებიც საწერ თემატიკასთან დაკავშირებით მოუვა აზრად;
- შეარჩევს ინფორმაციებსა და იდეებს; მოიფიქრებს, თუ როგორ დააკავშირებს მათ ერთმანეთთან, ანუ შეიმუშავებს გეგმას;
- წერს ტექსტს გეგმაზე დაყრდნობით;
- ნაწერის შესწორებისას ცდილობს ადრესატის ანუ პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეაფასოს, რამდენად ეფექტურად აისახა ნაწერში საკომუნიკაციო მიზანი;
- ცდილობს შეასწოროს შინაარსობრივი ხარვეზები, რამაც შეიძლება მკითხველს პრობლემები შეუქმნას და გარკვეულწილად შეაფერხოს კომუნიკაცია - ამატებს ან ამოიღებს სიტყვას, წინადადებას, ტექსტის ერთ მონაკვეთს, ცვლის სტრუქტურას, აუმჯობესებს დიზაინს;
- ასწორებს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს; ამისათვის იყენებს სასწავლო რესურსებს;
- აკითხებს თანაკლასელს და მისი შენიშვნების გათვალისწინებით აუმჯობესებს ნაწერს;
- ნაწერს გადაათეთრებს;
- იხსენებს, სხვა საგნებში რა ტიპის სტრატეგია გამოუყენებია ტექსტის შედგენისას; ადარებს ძველ და ახალ გამოცდილებას; გამოაქვს დასკვნები;

## ლაპარაკი

**ქ.მ. X.16. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო დისკუსიებში იმ კონკრეტული პრობლემის გარშემო, რომელსაც საკითხავ ტექსტებში გაეცნო.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აყალიბებს მსჯელობის საგანს ანუ სადისკუსიო თემას;
- გამოყოფს პრობლემას და ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოხატავს საკუთარ პოზიციას/დამოკიდებულებას;
- მკაფიოდ აყალიბებს პოზიციას;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს სათანადო არგუმენტები, მაგალითები პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან;
- სხვის მიერ წარმოდგენილ თვალსაზრისზე/შეხედულებაზე აკეთებს კომენტარს და მოჰყავს სათანადო არგუმენტები;
- ისმენს სხვების აზრს და სვამს შესაბამის კითხვებს.

**ქ.მ.X.17. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ისაუბროს მისთვის საინტერესო თემებზე.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ აყალიბებს გამოსვლის მიზანს, გამოკვეთს თემას;
- თანამიმდევრულად ავითარებს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას წარმოდგენილი თემის შესახებ;
- საკუთარ პოზიციას ასაბუთებს შესაბამისი არგუმენტებით (მაგ., მოჰყავს ფაქტები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან; ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, ინტერვიუს და სხვა);
- მოვლენების გადმოცემისას გამოკვეთს და დაწვრილებით აღწერს მისთვის საინტერესო დეტალებს;

- გამოხატავს საკუთარ ან სხვის ემოციებსა და განწყობილებებს;
- ძირითადი თემის გასაშლელად შემოაქვს დამატებითი ინფორმაციები;
- განმარტავს საკუთარ არჩევანს და ასაბუთებს;
- საუბრისას იცავს აზრობრივ თანამიმდევრობას;
- დამატებით იყენებს სხვადასხვა თვალსაჩინოებას (ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალა).

**ქ.მ. X.18. მოსწავლეს შეუძლია თავი გაართვას უჩვეულო საკომუნიკაციო სიტუაციებს (მაგ., აბრალებენ იმას, რაც არ ჩაუდენია; ნათხოვარი ნივთი შემთხვევით დაუზიანდა; შინაურულად ხვდება ადამიანი, რომელსაც ვერ ცნობს და სხვა).**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს პროტესტს;
- ხსნის პრობლემის არსს;
- ასაბუთებს საკუთარ სიმართლეს;
- იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;
- აკეთებს არჩევანს და განმარტავს, რატომ იქცევა ასე;
- ადეკვატურად პასუხობს დასმულ შეკითხვებზე.

**ქ.მ. X.19. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებების გამოყენების უნარი.**

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე

- მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, მართებულად იყენებს სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს (მაგ., *არაოფიციალურ სიტუაციაში, ნაცნობ ადამიანებთან საუბრისას - ძირითადად, მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადებები, თავაზიანი თუ ფამილარული ფორმები და სხვა; ოფიციალური გამოსვლისას - სპეციალური ტერმინებისა და კლიშეების გამოყენება და სხვა*);
- მსჯელობისას სათანადოდ იყენებს შესაბამის ენობრივ სტრუქტურებსა და მოდელებს (*მიზეზშედეგობრივი, პირობითშედეგობრივი და სხვა*);
- სხვადასხვა სიტუაციის /მოვლენის/განწყობა-ემოციის აღწერისას სათანადოდ იყენებს სპეციფიკურ ლექსიკასა და სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს;
- სწორად განსაზღვრავს სიტყვათა რიგსა და წინადადების მოდალობისათვის დამახასიათებელ ინტონაციას;
- მართებულად იყენებს პოზიციის/დამოკიდებულების/შეფასების გამომხატველ შესაბამის ენობრივ ფორმულებს (*განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, გარკვეული მოდალობების გამომხატველი მარტივი და შედგენილი შემასმენლები: „არა მგონია“, „ვფიქრობ“ „დასაშვებია“ „სავარაუდოდ“ და სხვა*);
- სწორად განსაზღვრავს სიტყვათა შორის სინტაქსურ მიმართებებს (მაგ., *ზმნასა და სახელს შორის შეთანხმება პირსა და რიცხვში; რიცხვითი, ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში და სხვა*).

**ქ.მ. X. 20. მოსწავლეს შეუძლია სათანადო სტრატეგიების გამოყენება სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ ამზადებს საჭირო რესურსს, თავს უყრის მოდელებს, გამოთქმებს, კლიშეებს, საკვანძო სიტყვებს;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- გაუგებრობის შემთხვევაში ითხოვს განმარტებას, ნელა და გარკვევით წარმოთქმას, გამეორებას;
- სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში იყენებს საკომპენსაციო საშუალებებს (მაგ.: *მიმიკა, ჟესტიკულაცია, პერიფრაზირება; აღწერს ნაგულისხმევ საგანს, ან მიუთითებს რაში გამოიყენება და სხვა*);
- სამეტყველო ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვა ენებზე მიღებულ გამოცდილებას;
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო მის წარმატებას, ან გამოიწვია წარუმეტებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად სახავს გამოსწორების გეგმას.

**ქ.მ.X.21. მოსწავლეს შეუძლია პროექტის (მაგ., ზეიმის მოწყობა; შეხვედრები იმავე ქალაქში/რეგიონში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებთან, კოლორიტებთან და ა.შ. ადგილობრივი მუზეუმის კატალოგის შექმნა ვებგვერდზე განსათავსებლად და სხვა) განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორცილების კრიტერიუმებს;
- გუნდის წევრებთან ერთად განსაზღვრავს და გეგმავს განსახორციელებელ ეტაპებს, შემდეგ გუნდები ერთმანეთს უზიარებენ შედგენილ გეგმას, ადარებენ, აუმჯობესებენ;
- მასწავლებელთან ერთად ადგენს შესრულების ვადებს;
- ახდენს ცოდნისა და უნარების მობილიზებას; განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს დასმული ამოცანების გადასაჭრელად;
- პროექტის განხორციელებამდე გუნდის წევრებთან ერთად განსაზღვრავს და ინაწილებს ფუნქციებს;
- შეარჩევს პროექტის წარდგენის ფორმას;
- განახორციელებს პროექტს;
- გადის რეპეტიციას, გუნდის წევრებთან ერთად აკეთებს პრეზენტაციის სიმულირებას სხვა გუნდის წინაშე კომენტარების, შენიშვნების გათვალისწინებით;
- გუნდის წევრებთან ერთად აუმჯობესებს პროექტს, შეაქვს შესწორებები.

**ქ.მ. X. 22. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად განჭვრიტოს შესასრულებელი დავალების მოთხოვნები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს დავალების წარმატებით შესრულების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში;
- გამოკვეთს დავალების განხორციელების ეტაპებს;
- განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც ფლობს და გამოიყენებს დავალების შესასრულებლად;
- განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს ახალი დავალების განსახორციელებლად;
- განსაზღვრავს, რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რაში დასჭირდება დახმარება, კონსულტაცია;
- განსაზღვრავს საჭირო სტრატეგიებს დავალების თითოეული ეტაპისათვის.

**ქ.მ. X. 23. მოსწავლეს შეუძლია სტრატეგიული უნარების გამოყენება წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სამუშაოს დაწყებამდე ახდენს ცოდნის მობილიზებას;
- მონაწილეობს აზრთა გაცვლაში იმის შესახებ, თუ როგორ მიდგომებს გამოიყენებენ ამა თუ იმ ეტაპზე კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;
- სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების წამოჭრისას ცვლილებები შეაქვს სტრატეგიებში;
- საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას, კონსულტაციას;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ წარმოადგენს გამოყენებულ სტრატეგიებს და ადარებს სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან;
- მონაწილეობს გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებაში;
- თანხმდება განსხვავებული სტრატეგიების მოსინჯვა-გამოყენებაზე;
- ადარებს სხვადასხვა, მათ შორის მშობლიური ენის შესწავლისას მიღებულ გამოცდილებას ერთმანეთთან; განსაზღვრავს, თუ რამდენად გამოადგება ესა თუ ის სტრატეგია სხვა ენის ან სხვა საგნის სწავლების პროცესში;
- აანალიზებს შეცდომების, ხარვეზების მიზეზებს;
- მონაწილეობს თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში (*მოსწავლე-მასწავლებელი ან მოსწავლე-მოსწავლე ერთსა და იმავე ნაშრომს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასწორებენ*);
- შედეგებზე დაკვირვების შედეგად აღნიშნავს, სად აქვს წინსვლა;
- აანალიზებს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებს შემდგომში მათი გათვალისწინების მიზნით;
- ასახელებს წარუმატებლობის ფაქტორებს, მიზეზებს (მაგ. *სათანადოდ არ გამოიყენა რესურსი,*

*ვერ გამოკვეთა აქტივობის მთავარი ამოცანა, გამოტოვა ერთი ეტაპი, ამოცანა დაუძლეველი მოეჩვენა, იყო უგუნებოდ და სხვა*);
- ამჩნევს და ასახელებს საკუთარ ხარვეზებს;
- ადგენს, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- საკუთარი ინიციატივით მიმართავს გამოსასწორებელ ზომებს.

**ქ.მ. X.24. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სათანადო რესურსების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ეფექტურად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (*ლექსიკონი, სტრუქტურული ნიმუშები, გრამატიკული ცნობარი, ილუსტრაციები და სხვა*);
- მოიძიებს ინფორმაციას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ ხელმისაწვდომ რესურსებში (*სახელმძღვანელოს თვალსაჩინოებები, ლექსიკონი, სკოლის/სოფლის/ქალაქის ბიბლიოთეკა, მასწავლებელი, კომპეტენტური პირი, ინტერნეტი და სხვა*);
- მოიძიებს ინფორმაციას/სასწავლო მასალას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (IST) მეშვეობით;
- იყენებს IST-ს ამა თუ იმ მასალის/ტექსტის შესაქმნელად/დასამუშავებლად;
- იყენებს IST-ს პროექტების განსახორციელებლად.

**ქ.მ. X.25. მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის დამუშავება მისი დამახსოვრებისა და ეფექტურად გამოყენების მიზნით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- აღქმა-დამახსოვრების ხელშესაწყობად მიმართავს ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხს (*სემანტიკური რუკა, სქემატური ჩანაწერები, ტაბულა, გრაფიკი, მონაცემთა ბაზა და სხვა*), ავლენს ლოგიკურ კავშირებს ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილს შორის;
- სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით ახარისხებს, აჯგუფებს მოპოვებულ ინფორმაციას.

**ქ.მ.X.26. მოსწავლეს შეუძლია შედეგების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლოს თანა-კლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამხნევებს მეწყვილეს, თანაგუნდელებს;
- ითხოვს/სთავაზობს დახმარებას;
- მოქმედებს გუნდის წევრებთან შეთანხმებულად - მსჯელობს თანაგუნდელებთან პრობლემის გადასაჭრელად, ფუნქციების გადასანაწილებლად;
- ისმენს სხვების მოსაზრებებს, გამოთქვამს საკუთარს;
- უთანხმოებისას ცდილობს შეთანხმების მიღწევას;
- ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში;
- საჭიროებისამებრ, მონაწილეობს მეწყვილის/გუნდის წევრების თანაშეფასებაში;
- აკრიტიკებს იდეებს და არა იდეების ავტორებს, შეფასებისას იჩენს კორექტულობას;
- კორექტულად მიუთითებს სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებზე;
- მონაწილეობს თანაშეფასებაში შედეგების გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

# X დონის პროგრამის შინაარსი

<table>
<tr><th>პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები</th><th>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები</th><th>ძირითადი ენობრივი საკითხები</th></tr>
<tr><td>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება</td><td>მოგესალმებით!<br>შეხვედრამდე! მშვიდობით! ბედნიერი მგზავრობა!<br>უკაცრავად (შეწუხებისათვის)!<br>უღრმესი მადლობა!<br>მე გახლავართ ...!<br>უფლებას მომცემთ, ეს + რა ვქნა? (II კავშირებითი)</td><td rowspan="7">მორფოლოგია/სინტაქსი<br><br>1. ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები;<br>2. არსებითი სახელი:<br>ბრუნვა და ფუნქციები;<br>3. ჩვენებითი ნაცვალსახელი;<br>ბრუნვა და ფუნქცია;Eეს / ეგ / ის / იგი – ამნაირი / იმნაირი / მაგნაირი ...<br>4. ზედსართავი სახელი:<br>ბრუნვა და ფუნქცია;<br>5. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, ბრუნვა და ფუნქციები;<br>6. ზმნა:<br>სუბიექტური და ობიექტური პირები სხვადასხვა ტიპის ზმნასთან; პირთა რაოდენობა და პირთა კომბინაცია ზმნაში;<br>ზმნისწინი და მისი ფუნქციები ;<br>ზმნით გამოხატული დრო :<br>ახლანდელი, წარსული, მომავალი, ზოგადი დრო ;<br>ა. ახლანდელი დრო, წარმოება და ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ზმნასთან ;<br>ბ. წარსული დრო, წარმოება და ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ზმნასთან ;<br>გ. მომავალი დრო, წარმოება და ფუნქციები სხვადხსვა ტიპის ზმნასთან ;<br>7. სიტყვათა რიგი წინადადებაში.<br><br>ორთოგრაფია/პუნქტუაცია<br>1. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები.<br><br>ლექსიკა<br>1. პროფესიული და დარგობრივი ლექსიკა;<br><br>ტექსტის ლინგვისტიკა<br>1. აბზაცი და მისი ფუნქცია (წამყვანი, დამატებითი და შემაჯამებელი აბზაცები);<br>2. დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირება და მისი საშუალებები (კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები და სხვა).</td></tr>
<tr><td>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, შეგრძნებები,</td><td>როგორ გრძნობ(თ) თავს?<br>თავს ვგრძნობ ცუდად/კარგად;<br>თავს (ვერ) ვგრძნობ კარგად;<br>სულ უფრო ცუდად ვარ;<br>ვაპირებ(თ)/ვფიქრობ(თ) + საწყისი (მიც-ში);<br>ვფიქრობ(თ), (რომ) + (ეს) + II კავშირებითი<br>ნეტავ + აწმყოს კავშირებითი / II კავშირებითი / მყოფადის კავშირებითი;</td></tr>
<tr><td>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</td><td>ისეთი/იმდენად ... რომ (მაგ., ისეთი ლამაზია, რომ ავ თვალს არ ენახვება);</td></tr>
<tr><td>1.4. გრძნობა/ ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/ უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</td><td>...-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, (მაშინ)...;<br>...ის წყალობით;<br>ჩემი ვარაუდით;<br>(მე) მაინც მგონია, რომ ეს/ის...<br>ვერაფერს ვიტყვი;<br>კარგი იქნება, რომ + (ასე/ისე/ეს/ის) + II კავშირებითი;<br>არ ველოდი!<br>ველოდი, რომ + (ასე/ისე/ეს/ის...) + ხოლმეობითი (რას იზამდა – მაგ., მოხდებოდა);</td></tr>
<tr><td>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</td><td>საწყისი (ნათ.-ში) + თანავე (მაგ., გაღვიძებისთანავე);<br>როდესაც/ როცა (მაგ., დავინახე, როცა ადგა);<br>ამ დრომდე;<br>...-ის მდე (მაგ., გაზაფხულის მოსვლამდე) და სხვა.</td></tr>
<tr><td>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</td><td>იქ – სადაც;</td></tr>
<tr><td>1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, შედეგი, პირობითობა, მიზანი</td><td>რის გამოც; ასე რომ;<br>თუმცა;<br>ამ შემთხვევაში; ...-ის შემთხვევაში;<br>ამ/იმ პირობით;<br>მაშინ – როცა;</td></tr>
</table>